კვირის პალიტრა

# გზა

N20 (414) 15/V-21/V.2008 ფასი 80

## ვისი სული გსურს?!

ქართული ექსპერიმენტი






## რა ხდება კოდორის ხეობაში

შანსები, ფავორიტი ლიდერები, იღბალი და საარჩევნო ნომრების იდუმალება

უდიასახლისოდ დარჩენილი თეატრი







ცნობილი პროექტების გმირები




ISSN 1987 - 2020

## გლდანის ციხეში მორჩენება დადის...

# იტალ - დეკორი

კანდელაკის ქ. 65 ტელ: 381240 : 384433

დეკორატიული საღებავები
და ბათქაშები იტალიიდან

Decor DIVISION OIKOS

Paint DIVISION OIKOS

Facade DIVISION OIKOS

OIKOS

# ფეხმძიმეთა ტიპური შიშები



არადა, ფეხმძიმობა სპეციფიკურ და ხშირ შემთხვევაში, გაუცნობიერებელ შიშთანაა დაკავშირებული, რაც მომატებული შფოთის საფუძველი ხდება და შედეგად, ფეხმძიმის ფიზიოლოგიური მდგომარეობაც უარესდება.

36

# რამ დააბნია ცნობილი „რესპუბლიკელი“



„ეს კითხვები ჩემთვის ვინმეს 30 წლის წინ რომ დაესვა, თითქმის ყველას უშეცდომოდ ვუპასუხებდი“.

20

26014

## ჟურნალი ჟურნალში

# გზავნილები







ბრძოლით მოპოვებული ბედნიერება

ამბობენ





სიტუაცია

39-70

კვირის პალიტრა

გზა

№20 (414)
15 - 21 მაისი, 2008 წ.
ფასი 80 თეთრი

■ მინიატიურები
იღბლიანი და უიღბლო საარჩევნო ნომრები და პოლიტიკური ცრურწმენები... 5
■ ფაქტი და კომენტარი
როგორც თვითონ უნდათ, ყველაფერი ისეა, ხალხს არაფერს გვეკითხებიან“ 6
■ არჩევანი
შანსები, ფავორიტი ლიდერები, იღბალი და... 7
■ კონფლიქტის ზონა
მოჩვენებითი სიმშვიდე თუ ნერვებზე თამაში?! 9
■ ექსპერტი
თუ ევროპა რუსეთს განუდგა... 10
■ ჟურნალისტის როლში
როგორები არიან ცნობილი პროექტების გმირები 12
■ კანდიდატები
✓ არჩევნების ღამეს ცენტრალურ შტაბში... 14
✓ გია მაისაშვილი: „შავი პიარი“ დამიპირისპირეს — „მაისაშვილი დაფრინავს“!.. 16
■ დაიჯესტი
რუსეთის პრეზიდენტი „ასპროცენტიანი ქალწული“ არ არის 17
■ ერიპა!
„სვეტი“ ბებიები, უკბილო „კრასავჩიკი“ და ბუნებრივად აწეწილი „პრიჩო“ 18
■ ერუდიტი
„30 წლის წინ, ყველა კითხვაზე უშეცდომოდ ვუპასუხებდი...“ 20
■ თემა
სიბერეში შეძენილი სიყვარული 22
■ სცენა
უდიასახლისოდ დარჩენილი თეატრი და „თვალების დიალოგი“... 24
■ ანტიდეპრესანტი 26
■ ნამდვილი ამბავი
გერმანული „შლოპანცი“ და ბლომად ბიუსტჰალტერი 26
■ არაჩვეულებრივი გამოფენა
ქადრების მოჭრითა და „ლალიძის წყლების“ მოშლით გადაშლილი წარსული 28

# დიდგორის ცაზე ფრენდა ის ჯვარი



ჩამოქვეითდნენ ტაოელნი და ხმლის ქნევითა და ყიჟინით მიჰყვნენ უფლისწულს. ამასობაში ბრძოლაში ქართლის ლაშქარიც ჩართულიყო. მეომრები შუბებს და ოროლებს სცემდნენ თურქებს, ცხენებიდან ყრიდნენ და იქვე ულებდნენ ბოლოს. ამ დროს მოლაშქრეთა შორის ქართველი მხედარი გამოჩნდა. ატ ტავილის ცხენზე შემომჯდარიყო, შუბზე მისივე თავი წამოეგო და მთელი ხმით, თურქთა გასაგონად ყვიროდა:

— აგე, თქვენი სარდლის, მუჰამედ ატ ტავილის თავი!!!

82

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

■ ჩემი ცხოვრების გზა
მათემატიკოსის სამწერლო კარიერა, არალეგალური ქორწინება გაგრაში და დირექტორის პოსტიდან თავმჯდომარის სავარძლამდე 32

■ თინეიჯერული პონტები
✓ „გზის“ საშუალებით გავიცანი ბიჭი და... ვნახოთ, რა მოხდება 34
✓ „უმიზეზოდ მეჩხუბება, რამდენჯერმე ხელითაც კი შემეხო“ 35

■ ჯანმრთელობა
✓ ფეხმძიმეთა ტიპური შიშები 36
✓ ავსტრალიელი გოგონა სამედიცინო სენსაციად იქცა 37
✓ მეცნიერებმა მუწუკების სუპერწამალი აღმოაჩინეს 38

■ ჟურნალი ჟურნალში
გზავნილები 39–70

■ წმინდანები
მართალი იობი — წინასახე განკაცებული უფლის დედამიწაზე მოსვლისა 71

■ სავანე
სილამაზე, რომელიც გულს აგიჩქროლებს... 72

■ თანამემამულენი
უცხოეთის ცის ქვეშ... 72

■ რომანი
სვეტა კვარაცხელია. ქარის საიდუმლო... (გაგრძელება) 74

■ ტაიმ-აუტი 78

■ საკითხავი ქალებისთვის
✓ 10 მითი სილამაზის შესახებ 80
✓ მომხიბვლელი ზურგის საიდუმლო 81

■ ისტორიული რომანი
გოჩა მანველიძე. დიდგორის ცაზე ფრენდა ის ჯვარი (გაგრძელება) 82

■ ბიზნესლედი
ევრობიზნესის პირველი ლედი 86

■ ვარსკვლავები
✓ მორგან ფრიმენი — მორგან ფრიმენს „კლავს“ 89
✓ პოლიცია ემი უაინჰაუსს ნარკოტიკების შენახვაში ადანაშაულებს 89
✓ უმა თურმანის თაყვანისმცემელს სასამართლომ 1-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა 90

■ საპატარძლო
„რატომ ფიქრობ, რომ ყველასთვის სასურველი ქალი ხარ?“ 91

■ ექსპერიმენტი
ფოტომოდელებადქცეული ქართველი ბალერინები და ერთობლივი გამოფენა შარდენზე 94

■ ბელადი
მხედართმთავარი სტალინი (გაგრძელება) 96

■ კრიმინალი
✓ „გიორგის იარაღი არ ჰქონია, პატრულმა კი დაუმიზნა და მოკლა...“ — უფლებამოსილების გადამეტება თუ უნებლიე მსხვერპლი? 98
✓ ავსტრალიელ მანიაკს 17 წლის გოგონას მკვლელობასაც უკავშირებენ 99

■ სპორტული მოზაიკა 101
■ ავტო 103
■ სკანვორდი 104
■ ტესტი 105
■ პროგნოზი 106


გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი


საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza@kvirispalitra.com
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.




## გოგონა სამედიცინო სენსაციად იქცა

ისტორიაში პირველად, ადამიანის ორგანიზმმა სისხლის რეზუს-ფაქტორი თავად შეიცვალა. აქამდე მიიჩნეოდა, რომ ეს თანდაყოლილი თვისება იყო, რეზუს-ფაქტორი ადამიანს შთამომავლობით გადაეცემოდა.

37

## სიბერეში შეძენილი სიყვარული



სიყვარული შეიძლება როგორც 15 წლის ასაკში, ასევე — სიბერის ჟამს გეწვიოს, როდესაც სამოცდაათ წელს გადააბიჯებ. მნიშვნელობა არა აქვს იმას, ხელ-ფეხი ისევ ისე გემორჩილება თუ არა, როგორც ახალგაზრდობაში.

22

## ევრობიზნესის პირველი ლედი



ბრიტანული მედიაგიგანტ Pearson-ის აღმასრულებელი დირექტორი, ამერიკელი მარჯორი სკარდინო ახლახან ჟურნალმა Fortune ევროპული ბიზნესის ყველაზე გავლენიან ქალად დაასახელა.

86



— მაინტერესებს, რა ხდება. რა ბზიკმა გიკბინათ ან ერთს, ან მეორეს? რატომ გადაეკიდა ჩემი ბიჭი მაგ ტვინნაღრძობ ქალს, ამის მიზეზი ვერ გამიგია. იქნებ ამიხსნა, სოფიო?

დავიძაბე. როგორ ვუთხრა, რაც მოხდა, ამას ხომ ვერასდროს ვერავის ვეტყვი, რა მოვიგონო?

— ისეთი არაფერი, ქალბატონო ანიკო, ალბათ არ ვიყავი ბოლომდე ჩემს თავში დარწმუნებული, ამიტომაც დროებით უარი ვუთხარი შეხვედრებზე.

74



# იღბლიანი და უიღბლო საარჩევნო ნომრები ანუ პოლიტიკური ცრურწმენები

ყველა ამბობს, ცრურწმენების არ მჯერაო და მაინც, მეტ-ნაკლებად ყველას სჯერა. ახლა, ჩიტებიან ხეს თუ არ ეძებს (ქვემოთ დავდგები, იქნებ, დამასკლინტონო), იმ დონეზე მაინც სჯერათ, რომ კატა თუ გზას გადაუჭრის, ფეხს აითრევენ, ჯერ სხვამ გაიაროსო. ბევრი ცნობილი ადამიანი და მით უმეტეს, პოლიტიკოსი ხომ რეგულარულად ურთიერთობს მკითხავ-მარჩიელებთან თუ მჩხიბავებთან პოლიტიკური წარმატებისთვის და შედეგიც სახეზეა — კი ხედავთ, რამდენმა პოლიტიკურმა პარტიამ მოიყარა თავი.

თორმეტმა ბლოკმა თუ პარტიამ აიღო ნომერი ცესკოში, დანარჩენებმა კი ვერ აიღეს. ალბათ, „განბაჟება“ ვერ მოასწრეს. საარჩევნო ნომრის ალებაზეც დაკა-დაკაა, ყველას კარგი ნომერი უნდა (იოლად შემოსახაზი), რაც ასევე ცრურწმენის შედეგია. მაგალითად, „ნაციონალური მოძრაობის“ ნომერი ბოლო ორ საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებში იყო 5 და არცაა გასაკვირი, რადგან პარტიასა და ქვეყანას ოქროსმედალოსანი და ფრიადოსანი პრეზიდენტი უდგას სათავეში და ხუთიანი მისი საყვარელი ციფრია. ხომ გაგიგონიათ:

„წითელი ვაშლი გაგორდა,
მიშა ნატოში გარბოდა,
ფაქტები ხელში ეჭირა
და სულ რუსეთზე ბრაზობდა“...

უბრალოდ, ერთი ნიუანსია, რაც ხუთიანის პრივილეგირებულობას აბათილებს: მაშინ სკოლებში ხუთბალიანი შეფასების სისტემა იყო, ახლა კი ათბალიანი სისტემაა და შენი ხუთიანი ორიანის ტოლფასია. 2 ნომრად კი სიაში „რესპუბლიკელები“ არიან... ნეტავ, ეს მარტო სიმბოლური პარალელია თუ პოლიტიკურიც და „რესპუბლიკელები“ და „ნაციონალები“ ისევე ერთად „ძოვენ ბალახს“, როგორც წინა საპარლამენტო არჩევნებში?!

შეფასების თანამედროვე, ათბალიანი სისტემით, საარჩევნო ნუსხის ფრიადოსნად მე-10 ნომერი — გიორგი თარგამაძე გვევლინება და ამერიკული გამოკვლევების ცენტრის მიერ ჩატარებული გამოკითხვით, ისეთი შედეგი აჩვენა, რომ მის პარტიას პარლამენტში რამდენიმე სკამი ელოდება. თარგამაძის რეკლამაში ნუ ჩამითვლით, რადგან გაპოლიტიკოსებულ ჟურნალისტს პროვოკატორის კალამი ისევე ვერ სწყალობს, როგორც გაჟურნალისტებულ პოლიტიკოსს და ამ შემთხვევაში, ორივესთან გვაქვს საქმე. თუმცა, მხარდამჭერებს თითებზე რომ არ ითვლის, ესეც ფაქტია.

არჩევნებში მოასპარეზე პოლიტიკური ძალების ნომრებს თუ გადავხედავთ, სხვებსაც ვუპოვით სიმბოლურ პარალელებს. თუ გაინტერესებთ, მივყვეთ თავიდან:

ნომერი 1 — გოჩა ფიფიას „ქართული პოლიტიკა“, რომელიც ხმალამოღებული ებრძვის ბარბარიზმებს და თავისი პარტიის დასახელებაშიც კი ვერ ასცდა „პოლიტიკას“. PRIMETIME-ში მის პრეზენტაციას ვინც უყურა, მიხვდებით, რომ ეკუთვნოდა ნომერი „ერთი“ — ამომრჩეველმა რომ გაიფიქროს, — ერთი ამათ საქმე გამოლევიათო;

ნომერი 2 — „რესპუბლიკელებიც“ გასაგებია: პარლამენტში „ნაციონალების“ სიით მოვიდნენ, მერე გაერთიანებულ ოპოზიციასთან ერთად განუდგნენ, მერე იმათაც განუდგნენ ანუ „ორმაგი“ თამაში ითამაშეს;





ნომერი 3 — „თოფაძე-მრეწველებიც“ სწორად შერჩეულია: ლუდისა და ღვინის მწარმოებელი ხალხია და ხომ იცით, „სამი დალიე, შეგერგება, არ დაითვრები“...

ნომერი 4 — ლეიბორისტები — აქაც ყველაფერი გასაგებია: იშვიათი ფენომენის პარტიაა, რომლის ნომერი — 4 ლოგიკას არ ექვემდებარება;

ნომერი 6 და ნომერი 9, შესაბამისად — სპორტსმენთა კავშირი და მაისაშვილის ქრისტიან-დემოკრატიული ალიანსი, აქაც მყარი ლოგიკაა. 6-იანი ამობრუნებული 9-იანია და — პირიქით.

ნომერი 7 კიდევ, ზედგამოჭრილია ერთიანი ოპოზიციისთვის, რადგან მათი ლიდერი ყველაზე წყნარია, არ ყვირის, არ იგინება, ისეთი მ-შვიდია, რომ ნომერი შვიდი შეესაბმება;

ნომერი 8 — რადიკალ-დემოკრატიული ნაციონალური პარტია — ჯერ მარტო სახელწოდება გვეუბნება რამდენს: ნაციონალურიცაა, დემოკრატიულიც, რადიკალურიც და კიდევ იქნება რაღაც, მაგრამ ალბათ, სათაურში არ ჩაეტია. მოკლედ, „მშობლიური 8-ნომერივითაა“, რო „დაგაბზრიალებს“, ნაციონალურობაც გემატება, დემოკრატიულიც ხდები და თუ ვინმე აგიშარდება, არც რადიკალურობა გაკლია...

ნომერი 11 — „ტრადიციონალისტებისა“ და ქალთა პარტიის ბლოკი, რომლის ლიდერი ქალბატონი მუდამ იმას გაიძახის, — ფული არა გვაქვს, თორემ პარლამენტში ბევრნი მოვიდოდითო. რა ფული უნდა, ასეთი? ზოგი, ბოლო-ბოლო, ავტობუსს გამოჰყევით, რა აუცილებელია ტაქსით სიარული?! 11 კი ალბათ, იმიტომაა, რომ „ცხრა, ათი, თერთმეტი, ყველა გავა, ჩემს მეტი“...

და ბოლოს, ნომერი 12 — „ჩვენი ქვეყანა“ — ეგენი ვინ არიან ან აქამდე ვინ იყვნენ, არ ვიცი. მე მგონი, ნომერი შეეშალათ და მე-13 უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ მოასწრეს რეგისტრაცია და რას ერჩი?! თუ ვინმე მართლა ხართ ამ პარტიაში, ყველა პარტიის აგიტატორი დადის ჩემთან, სახლში და ერთი, თქვენც გამოჩნდით, რა იქნება? საჭმელს მაინც მოგაწოდებთ ან ხმას თუ არა, ლიფტის ფულს მაინც მოგცემთ...

*P.S. თათბირი ერთ-ერთი პარტიის შტაბში:*

*— რას გიგრძნობს გული? როგორ იქნება ჩვენი საქმე?*

*— ცუდად, ბატონო: დილით სარკე გამიტყდა, კიბეზე „რიჟა“ მეზობელი შემხვდა, ქუჩაში შავმა კატამ გადამირბინა... მაგრამ ერთი კარგიც მოხდა — ფეხი ჩავკარი, იმაში... ე.ი. დამფინანსებელი გამოგვიჩნდება.*

*— დამფინანსებელი კი არა, გარეთ დატოვე ფეხსაცმელები და ისე შემოდი, გავიგუდე კაცი!..*

**პროვოკატორი**

# „როგორც თვითონ უნდათ, ყველაფერი ისეა, ხალხს არაფერს გვეკითხებიან“

**საზოგადოების დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ გასული კვირის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენები წინასაარჩევნო სამზადისს უკავშირდება. ზოგიერთ მათგანს კი უფრო მნიშვნელოვნად, აფხაზეთში რუსეთის სამხედრო კონტინგენტის გაზრდა და ახალი საბრძოლო ტექნიკის შეტანა მიაჩნია. მოქალაქეთა აზრით, ეს ომის გამოცხადების ტოლფასია...**

*ნათია ქივიძე*

**ამირან ჭუმბურიძე,** *ეკონომისტი, 57 წლის:*

— გასულ ორშაბათს არაჩვეულებრივი გადაცემა ჰქონდა ინგა გრიგოლიას. მიმაჩნია, რომ კვირის მოვლენაც სწორედ ეს იყო. როგორც იცით, გადაცემის სტუმრები ლევან ბერძენიშვილი და გოკა გაბაშვილი იყვნენ. ბატონმა ლევანმა „ნაციონალური მოძრაობის“ უმსგავსობაზე ბევრი რამ თქვა და ამის დამადასტურებელი ფაქტებიც მოიყვანა. სხვა ხელისუფლების წარმომადგენლებისგან განსხვავებით, როგორც ჩანს, გოკა გაბაშვილს სინდის-ნამუსი ჯერ კიდევ შერჩენია და ხმა ვერ ამოიღო. თურმე მერაბიშვილის ცოლის, თაკო სალაყაიას მოთხოვნით, გირგვლიანის მსგავსად, კიდევ ერთი ბიჭი გაუტაციათ. საბედნიეროდ, გიგა ბოკერიას უთქვამს, — ასეთი რამ წინასაარჩევნოდ არ უნდა გავაკეთოთო, — და ის ბიჭი 3 საათში დააბრუნეს. ამით იმის თქმა მინდა, რომ ჩვენს ქვეყანას არაფერი ეშველება. რა გასაკვირია, რომ ამ არჩევნებსაც სააკაშვილის გუნდი მოიგებს. რა თქმა უნდა, ამ გამარჯვებას მხოლოდ გაყალბების შედეგად მიაღწევენ და მომავალში, გირგვლიანისა და რობაქიძის მსგავსად, კიდევ ბევრ ახალგაზრდას გაისტუმრებენ იმ ქვეყნად. ძალიან მაინტერესებს, შინაგან საქმეთა მინისტრის ცოლი საკუთარ თავს ამდენ უფლებას რატომ აძლევს?!.

> **„ხელისუფლებაცა და ოპოზიციაც იმდენს გვატყუებენ, რომელს დავუჯეროთ, აღარ ვიცით“...**

**ავთანდილ მარგიშვილი,** *პენსიონერი, 73 წლის:*

— გასული კვირის მნიშვნელოვანი მოვლენა — მიხეილ სააკაშვილის განცხადებაა. მისი თქმით, ოპოზიციის წევრებს მაღალი თანამდებობები უნდა მიეცეთ. გარდა ამისა, აღიარა, რომ ხელისუფლებისა და ოპოზიციის ურთიერთდაპირისპირება ორივე მხარის შეცდომების გამო მოხდა. ადამიანი თავის შეცდომას არ მალავს და ოპოზიციას თანამშრომლობას სთავაზობს. ასევე იყო საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგაც, მაგრამ ოპოზიციის წარმომადგენლები ვერ დაითანხმა. მეტი რაღა გააკეთოს? თუ ვინმეს ჰგონია, რომ მიხეილ სააკაშვილი რომელიმე ოპოზიციონერს მიიყვანს და საკუთარ სკამზე თავისივე ხელით დასვამს, ძალიან ცდება. ერთადერთი, ის ფაქტი მაღელვებს, რომ აფხაზეთში ომი არ დაიწყოს. მართალია, ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტის მჯერა და დარწმუნებული ვარ, რომ ამ მოვლენის თავიდან ასაცილებლად არაფერს დაიშურებს, მაგრამ როგორც ჩანს, რუსები გაჩერებას არ აპირებენ. ათას სისულელეს გვაბრალებენ და თან მთელი აფხაზეთი შეაიარაღეს...

**მარინე ქავთარაძე,** *დიასახლისი, 53 წლის:*

— მნიშვნელოვანი მოვლენა აფხაზების მიერ გავრცელებული ინფორმაციაა — თითქოს მათ უკვე საქართველოს მეშვიდე უპილოტო თვითმფრინავი ჩამოაგდეს. ეს ხომ აბსურდია! ისეთ გაჭირვებულ ქვეყანას, როგორიც საქართველოა, სად აქვს იმდენი სამხედრო აღჭურვილობა, რომ ერთ თვეში 7 თვითმფრინავი დაკარგოს?! ჩემი აზრით, ეს რუსების მიერ დაგებული ხაფანგია. ისინი ამ ინფორმაციას მსოფლიოს გასაგონად ავრცელებენ. ამის საფუძველზე, საქართველოს ომს გამოუცხადებენ და თავის გასამართლებელი ექნებათ, — ქართველებმა გამოგვიწვიეს, მზვერავებს გვიგზავნიდნენო. მეც და ალბათ ყველა ქართველსაც ყველაზე მეტად, ომის დაწყების გვეშინია. საქართველოს არც ამდენი ჯარისკაცი ჰყავს და არც სათანადო შეიარაღება, რომ რუსეთს ომი მოუგოს. ისევ უამრავი ქართველი დაიღუპება და რუსებს მხოლოდ აფხაზეთი კი არა, კოდორის ხეობაც დარჩებათ. როგორც ამბობენ, მათ სწორედ კოდორის ხეობის მისათვისებლად სურთ ომის დაწყება...

**ლალი არაბიძე,** *ქიმიკოსი, 47 წლის:*

— ახლა მოდაში ისევ არჩევნებია, გენაცვალე. სწორედ ეს არის მნიშვნელოვანი მოვლენაც. ხელისუფლებაცა და ოპოზიციაც იმდენს გვატყუებენ, რომელს დავუჯეროთ, აღარ ვიცით. როგორც ყოველთვის, წინასაარჩევნოდ, ახლაც უამრავ რამეს გვპირდებიან. ფიცისა და ტყუილების თქმაში ერთმანეთს ეჯიბრებიან, სინამდვილეში კი მგონია, რომ ერთმანეთთან შეკრულები არიან. გია მაისაშვილმა ხომ თქვა კიდეც, — პრეზიდენტმა მითხრა, დავიღალე ლევან გაჩეჩილაძესთან ქეიფითო. ერთმანეთთან არიან შეკრულები და როგორც ორივე მხარეს ხელს აძლევს, ყველაფერს ისე აკეთებენ. იმასაც ამბობენ, „რესპუბლიკელები“ რუსეთის აგენტები არიანო. ვერავის ვერაფერს დავუფიცავ და ვერ ვიტყვი, ასე არ არის-მეთქი. ნამდვილად, არავის აგენტობა არ გამიკვირდება. სწორედ ამის გამო, არჩევნებზე წასვლას არ ვაპირებ. უჩემოდაც კარგად გადაწყვეტენ, ვინ მინისტრი უნდა იყოს და ვინ — მაჟორიტარი დეპუტატი...

**ალექსანდრე გაბელაია,** *მათემატიკოსი, 63 წლის:*

— ახლა ქვეყნის ხელისუფლებაცა და ოპოზიციაც წინასაარჩევნო კამპანიით არიან დაკავებული და მნიშვნელოვანი მოვლენაც სწორედ ეს არის. არ გვაცლიან მშვიდად ცხოვრებას. დავიღალეთ, ყოველ სეზონზე არჩევანის გაკეთება რომ გვიწევს. საპრეზიდენტო არჩევნების დროს 90%-მა რომ ლევან გაჩეჩილაძეს მივეცით ხმა, გაიმარჯვა?!. ახლაც, ისევ „ნაციონალები“ გაიმარჯვებენ, ამიტომ არჩევნების რიგში დგომა არ ღირს. სხვათა შორის, ბევრი ჩემი ახლობელი ფიქრობს, რომ არჩევნებზე არ უნდა წავიდეს. მაინც თვითონ წყვეტენ ყველაფერს. როგორც თვითონ უნდათ, ყველაფერი ისეა, ხალხს არაფერს გვეკითხებიან. ჩვენი გაჭირვების ამბავს მხოლოდ წინასაარჩევნოდ ისმენენ, მაგრამ ამისთვის არაფერს აკეთებენ... ამას წინათ, ჩვენს უბანში თინა ხიდაშელი იყო მოსული. ამ ქალბატონის მიმართ ყოველთვის დიდი სიმპათიით ვიყავი განწყობილი და ვფიქრობდი, რომ ხმა მისთვის უნდა მიმეცა, მაგრამ ჩვენი გაჭირვებისა და პრობლემების შესახებ არაფერიც უკითხავს. სულ მიხეილ სააკაშვილს ჭორავდა, მერე კი დაგვემშვიდობა და წავიდა. მისთვის ხმის მიცემა მაშინვე გადავიფიქრე. ვერ ვიტან ჭორიკანა ადამიანებს. ასე რომ, შვილო, ახლა საქართველოს ძალიან უჭირს და მის საშველად ხელს არავინ ანძრევს. პირიქით, ჩვენი ხელისუფლება ცდილობს, რომ უფრო მეტად გაგვაპარტახოს...

■

**საპარლამენტო არჩევნებამდე ზუსტად ერთი კვირა დარჩა. გაზეთ „კვირის პალიტრაში“ გამოქვეყნებული, მკითხველთა რეიტინგის მიხედვით, საზოგადოების უმრავლესობა, პოლიტიკურ გაერთიანებათა ლიდერებს შორის, თავის ფავორიტად ლევან გაჩეჩილაძეს მიიჩნევს; მომდევნო ადგილებზე გიორგი თარგამაძე და დავით უსუფაშვილი იმყოფებიან. შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ დავით ბაქრაძეზე მეტი მხარდამჭერი შალვა ნათელაშვილს აღმოაჩნდა. გარკვეული ნაწილისათვის აკაკი ასათიანი, გოგი თოფაძე და გია მაისაშვილი არიან ფავორიტები. გოგი თოფაძეს, მისი პარლამენტარი თანამებრძოლის, ზურაბ ტყემალაძის აქტიურობის მიუხედავად, ამ რეიტინგით აკაკი ასათიანმა აჯობა. გია მაისაშვილი კი ქართველებმა ბოლო ადგილისთვის „გაიმეტეს“...**

**გადავწყვიტეთ, ჩვენი სახელდახელო გამოკითხვაც ჩაგვეტარებინა და რამდენიმე დღის წინ გამოქვეყნებული, „კვირის პალიტრის“ გამოკითხვის შედეგებთან შეგვეჯერებინა. მართალია, ჩვენი რესპონდენტების ერთი ნაწილი ფავორიტად არავის აღიარებს და მხოლოდ საყვედურებით შემოიფარგლება, მაგრამ მეორე ნაწილი მის მიერ არჩეულ ლიდერზე მანამდე ლაპარაკობს, ვიდრე დიქტოფონს არ გამორთავ...**

# შანსები, ფავორიტი ლიდერები, იღბალი და...

***ხათუნა ბახტურიძე***



**ზურაბ ბერიკაშვილი,** *მსახიობი:*

— ფავორიტი ლიდერი არ მყავს. არჩევნებში აუცილებლად მივიღებ მონაწილეობას, მაგრამ ყველა პარტიას გადავხაზავ იმიტომ, რომ საკუთარ თავთან მართალი ვიყო. ამ პოლიტიკოსებს შორის ისეთს ვერავის ვხედავ, ვინც ქვეყანას უშველის. ალბათ, მომავალში მაინც გამოჩნდება ვინმე. ჩემი ქვეყნის საპარლამენტო უმრავლესობაში წესიერი, პატიოსანი, სამშობლოზე შეყვარებული და საქმის გამკეთებელი ადამიანების ხილვა მსურს. ოპოზიციაზეც გული ამიცრუვდა. 7 ნოემბერს, საპროტესტო აქციაზე მეგობრებთან ერთად ვიყავი და მივხვდი, რომ მათი იმედიც არ უნდა გვქონდეს. ჩემი აზრით, პოლიტიკოსები პარლამენტში უჩვენოდაც მშვენივრად გადაინაწილებენ ადგილებს.

**ოტია იოსელიანი,** *მწერალი:*

— რა ფავორიტებზე მელაპარაკები, გენაცვალე? ახლა ყანაში ვარ და მიწას ვთოხნი იმისთვის, რომ თქვენ, ქალაქელები ზამთარში მშივრები არ იყოთ. პატარა რაცხას როგორ არ გეტყოდით, მაგრამ ახლა, ჩემი ფიქრები სხვა რალაცისკენაა მიმართული და დაუფიქრებლად სიტყვის თქმა როგორ შეიძლება?!.

**ლუიზა შაკიაშვილი,** *ტელერეჟისორი:*

— ჩემი ფავორიტი შალვა ნათელაშვილია, თავისი ლეიბორისტული პარტიით. ის პოლიტიკაში მოსვლის დღიდან ხალხის საკეთილდღეოდ იღვწის და იბრძვის არა მხოლოდ სიტყვით, არამედ — საქმითაც. ხალხის ბედ-იღბალი ჭეშმარიტად აწუხებს. მას ხან საკონსტიტუციო სასამართლოში შეაქვს სარჩელი და ხან საერთაშორისო ტრიბუნიდან იღვწის იმისათვის, რომ ჩვენ გაზის, შუქისა და წყლის ტარიფები არ გაგვიძვირონ. როცა პედაგოგებისა და ექიმების შემცირება დაიწყეს, საბავშვო ბაღები გაყიდეს, ეს შალვას გარდა ვინ გააპროტესტა? ნათელაშვილი და მისი პარტია ყველა უბედურების წინააღმდეგ ხმალშემართული იბრძოდა და ამისი არდანახვა ძალიან დიდ უმადურობად მიმაჩნია. მისნაირი პატიოსანი ადამიანები ძალიან ცოტანი არიან. მართალია, ათასნაირ ჭორებს უვრცელებენ, მათ შორის, იმასაც ამბობენ, — ხმებს ყიდისო, რუსეთის აგენტიაო, მაგრამ მერწმუნეთ, ამას მისი დისკრედიტაციისათვის აკეთებენ. ნათელაშვილს ზოგი ოპოზიციასთან დაპირისპირების გამო ამტყუნებს, მაგრამ ასე იმიტომ მოიქცა, რომ გაერთიანებულ ოპოზიციაში ბევრი ისეთი კაცია, რომლის ნდობაც უბრალოდ, არ შეიძლება.

**გიორგი ანჩაბაძე,** *ისტორიკოსი:*

— ნება მომეცით, ეს აზრი არ გავახმაურო.

**გელა გურგენიძე,** *ინჟინერი:*

— ფავორიტი ლიდერები არ მყავს. მე საპროტესტო ელექტორატი ვარ. მიმაჩნია, რომ დღეს საქართველოში სამი პოლიტიკური ძალაა: „ნაციონალური მოძრაობა“, გაერთიანებული ოპოზიცია და რესპუბლიკური პარტია, ხოლო დანარჩენებს პოლიტიკურ ძალას ვერ ვუწოდებ, ისინი მხოლოდ მოქალაქეთა გაერთიანებები არიან. ადრე „რესპუბლიკელები“ მომწონდა, მაგრამ ბოლო დროს გადაამლაშეს. ლევან ბერძენიშვილი ძალიან აგრესიული გახდა... არც „ნაციონალები“ მომწონს. რაც შეეხება გაერთიანებულ ოპოზიციას, ერთადერთი რამ, რაც კარგი გააკეთეს, ის არის, რომ 7 ნოემბერს ხალხს აჯანყებისა და ძალადობისაკენ არ მოუწოდეს, ლეიბორისტები კი სწორედ ამის გამო ედავებიან. აქედან შეიძლება გაკეთდეს დასკვნა — ლეიბორისტები მთლად სალად მოაზროვნე ადამიანები ვერ არიან. გაერთიანებულ ოპოზიციაში რამდენიმე კარგი პოლიტიკოსიცაა, მაგრამ უმრავლესობამ ისიც არ იცის, თუ რატომ უნდა პარლამენტში მოხვედრა. არ მინდა, გაერთიანებული ოპოზიცია პარლამენტში მოხვდეს. ასე რომ, ასეთი არჩევანის წინაშე ვდგავარ: ან „ნაციონალებს“ უნდა მივცე ხმა, ან „რესპუბლიკელებს“. საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიმიღია, მაგრამ „ნაციონალებისაკენ“ უფრო ვიხრები (თუმცა ესეც მძიმე არჩევანია). საპარლამენტო უმრავლესობაში მოსახვედრად ყველაზე დიდი შანსი „ნაციონალებსა“ და გაერთიანებულ ოპოზიციას აქვს. სამწუხაროდ, გიორგი თარგამაძის და ნათელაშვილის პარტიებსაც აქვთ მცირე შანსი.

**ნატო გელაშვილი,** *მომღერალი:*

— ახლა პოლიტიკური მიმოხილვების გაკეთება არ შემიძლია. ჩემს აზრს საარჩევნო ყუთთან დავაფიქსირებ.

**ლონდა ფერაძე,** *მეწარმე:*

— ჩემი ფავორიტი გიორგი თარგამაძეა. ვფიქრობ, მხოლოდ ამ კაცის ნდობა შეიძლება. გაერთიანებული ოპოზიციის წარმომადგენლებს აღარ ვენდობი, რადგან მათ თავიანთი შესაძლებლობების წარმოჩენა ვერ შეძლეს და ხალხის მხარში დგომა ვერ გამოიყენეს. თარგამაძე ყოფილი ჟურნალისტია და მჯერა, ყოველთვის სიმართლეს მიემხრობა და საქართველოში ქრისტიანულ რწმენას გააძლიერებს. იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ მისი პარტიის უმრავლესობაში მოსვლით ბევრ საიდუმლოს აეხდება ფარდა, მაგრამ მაგას ვინ გაამარჯვებინებს? ვფიქრობ, ისევ „ნაციონალები“ გაიმარჯვებენ!

**ლალი ბაზალი,** *ადვოკატი:*

— გაჩეჩილაძე გამორიცხეთ. ამ ადამიანს ვერ ვიტან, რადგან ის ძალიან უზრდელი, თავხედი, ამბიციური და თანაც, მედროვეა. ვფიქრობ, მას ყვარყვარესავით მოუვიდა — არაფერს წარმოადგენდა და უცებ, რევოლუციამ მნიშვნელოვან ფიგურად აქცია; რაც შეეხება დავით ბაქრაძეს, ის ჭკვიან ადამიანად მიმაჩნია, მაგრამ მე დავით უსუფაშვილი უფრო მომწონს. ის ძალიან დინჯი და დაკვირვებულია. როდესაც მის ლაპარაკს ვუსმენ, ბევრ რამეში ვეთანხმები. „რესპუბლიკელების“ პროგრამაც მომეწონა. ასევე, ძალიან საინტერესო კადრები ჰყავთ. როგორც ჩანს, აქცენტი განათლებულ და დინჯ ადამიანებზე გააკეთეს, რომლებსაც ცხოვრებისეული და პროფესიული გამოცდილება აქვთ. რაც მთავარია, თავიანთ გუნდში „პაცნები“ არ ჰყავთ შეყრილი, ძალიან გონივრულად და თანამიმდევრულად მოქმედებენ. მიუხედავად ამისა, ვიცი, რომ ისინი უმრავლესობაში ვერ მოვლენ — ვიდრე ქვეყნის სათავეში სააკაშვილია, „ნაციონალების“ გარდა, ხალხის სურვილის მიუხედავად, საპარლამენტო უმრავლესობაში ვერავინ მოვა. ქართული გამონათქვამია — დათვი რომ მოგერევა, ბაბაი დაუძახეო. ჰოდა, ამ პრინციპით „ნაციონალებსაც“ ბევრი მიემხრობა.

**ლია ხატიური,** *ექიმი:*

— ჩემი ლიდერი გიორგი თარგამაძეა. მის მიმართ ძალიან დიდი სიმპათიები მაქვს. ის განათლებული, დახვეწილი და სამართლიანი ადამიანია. შეიძლება, ბევრი რაღაც დააბრალონ, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ქართველი ხალხისთვის სასარგებლო საქმეს მხოლოდ ის თუ გააკეთებს. თუ არჩევნები არ გაყალბდა, „ნაციონალები“ აუცილებლად პარლამენტის გარეთ დარჩებიან. მართალია, მე გიორგი თარგამაძეს ვემხრობი, მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას: არჩევნების სამართლიანად ჩატარების შემთხვევაში, უმრავლესობაში „რესპუბლიკელები“ მოვლენ.

**ლალი გიორგაძე,** *დიასახლისი:*

— ყველაზე მეტად გიორგი თარგამაძე და დავით ბაქრაძე მომწონს, მაგრამ ვინაიდან ხმა „ნაციონალებს“ უნდა მივცე, ჩემს ფავორიტად დავით ბაქრაძეს ვაღიარებ. „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ძალიან ბევრი კარგი საქმე გააკეთა და მჯერა, კიდევ ბევრს გააკეთებს. ოპოზიციის კი, განსაკუთრებით გაერთიანებული ოპოზიციის საერთოდ არ მჯერა. მათ მხოლოდ ლაპარაკი ეხერხებათ, მაგათი გაკეთებული საქმე არ მინახავს.

**ნიკა გულიაშვილი,** *სტუდენტი:*

— ჩემი ფავორიტი ლევან გაჩეჩილაძეა. ის საოცრად მიმწოლი და ჟინიანი კაცია, რომლის თითოეულ სიტყვასა და ქცევაში ნაღდი ვაჟკაცობა იგრძნობა. მართალია, გაერთიანებულ ოპოზიციაში ვიღაც-ვაღაცები არ მომწონს, მაგრამ გაჩეჩილაძის ხათრით, ხმას მაინც მათ მივცემ. ვიმედოვნებ, რომ პარლამენტშიც ასეთივე შემტევი იქნება და ქართველი ხალხის ინტერესებს მხოლოდ საქართველოში კი არა, უცხოეთშიც დაიცავს. განსაკუთრებით, რუსების წინააღმდეგ საბრძოლველად გვჭირდება მისნაირი ვაჟკაცები. მართალია, მუშტი-კრივის დრო წინა საუკუნეს ჩაჰბარდა, მაგრამ გაჩეჩილაძე სიტყვითაც ჯეროვნად იბრძოლებს. ისე, თუ საქმე მოითხოვს, არც მუშტი-კრივზე იტყვის უარს.

**ლიკა ბაცანაძე,** *მეწარმე:*

— იცით, ვფიქრობ, რომ შალვა ნათელაშვილს გული ხალხის უმადურობამ დაუავადა. არც ძველ და არც ახალ ხელისუფლებას ხალხის გაჭირვება არასდროს ანაღვლებდა. ერთადერთი, ვისაც გაჭირვებული კაცის ტკივილი გულთან მიჰქონდა, შალვა ნათელაშვილი იყო და ამიტომაც დასჭირდა ოპერაციის გაკეთება. ძალიან მომწონს ის, რომ მის პარტიაში მისნაირი მებრძოლები არიან — გუგავასა და ძაგანიას ვგულისხმობ. დარწმუნებული ვარ, თუ ისინი უმრავლესობაში მოვლენ, „ნაციონალების“ გამოპრანჭული გოგო-ბიჭები სულელურ კანონებს ვეღარ მიიღებენ. თუ არჩევნები არ გაყალბდება და ხალხი სინდისს არ დაკარგავს, ლეიბორისტები გაიმარჯვებენ!

**ნინო ოთარაშვილი,** *ექიმი:*

— ჩემი ფავორიტი გიორგი თარგამაძეა. ის გულწრფელი და სამართლიანი ადამიანია. იცით, თავის დროზე პარლამენტიდან რატომ წამოვიდა? — იქ იმდენი სიბინძურე ნახა, რომ ამას ვეღარ გაუძლო და დეპუტატის მანდატი საკუთარი ხელით დახია. მას არც ახლა უნდოდა პოლიტიკაში მოსვლა, მაგრამ ჩვენმა ხელისუფლებამ მისი, როგორც ჟურნალისტის თავისუფლება ისე შეზღუდა, რომ სხვა გზა აღარ ჰქონდა. იმედი მაქვს, პარლამენტში უმცირესობით მაინც მოვა და თავის ობიექტურ სიტყვას იტყვის. ■

## კალეიდოსკოპი



# „იყუჩე, სკვო!“

ამერიკაში უფრო და უფრო იკრებს ძალას გეოგრაფიულ დასახელებათა შეცვლის კამპანია. მიუღებელ ტოპონიმთა სიაში ყველა ის დასახელება მოხვდა, რომელიც სიტყვა „სკვოს“ შეიცავს. ინდიელთა ერთ-ერთი ტომის ენიდან შემოსული სიტყვა ერთ დროს „ქალს“ ნიშნავდა, მაგრამ მოგვიანებით შეურაცხმყოფელი ელფერი შეიძინა. ამერიკის კონტინენტზე ევროპიდან ჩასულმა თეთრკანიანებმა „სკვო“ გარყვნილ ინდიელ ქალებს შეარქვეს. დღეს კი ეს სიტყვა ნორმატიული ლექსიკის ფარგლებიდან საერთოდ ამოვარდა და უკიდურესად უცენზურო მნიშვნელობა შეიძინა. მის გამო ამერიკის კონტინენტის ძირძველი მოსახლეობა იმ გეოგრაფიულ დასახელებათა შეცვლას მოითხოვს, რომელთა სახელწოდებაში „მრავალტანჯული“ სიტყვა ფიგურირებს. ამ მომენტისთვის 940 ხიდს, ეკლესიას, ველს, მთას, მდინარესა თუ ნაკადულს დასახელება უკვე შეუცვალეს. ცოტა ხნის წინ ამერიკის რუკიდან გაქრა ტურისტთა შორის ძალზე პოპულარული მთა — სკვო-პიკი, რომელსაც ახლა, ერაყში დაღუპული ინდიელი ჯარისკაცის, ლორი პიესტევის პატივსაცემად პიესტევ-პიკი ეწოდება. ჯერჯერობით უცნობია, თუ რა ბედი ეწევა, 1960 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძელ ქალაქს, რომელსაც სკვო-ველი ეწოდება! ■

# მოჩვენებითი სიმშვიდე თუ ნერვებზე თამაში?!



**ზემო აფხაზეთი და გალის რაიონი აფხაზეთის სეპარატისტული ხელმძღვანელობისთვის „სუსტ წერტილად“ რჩება. 2003 წლიდან, მას შემდეგ, რაც ირაკლი ოქრუაშვილმა კოდორის ხეობაში პოლიციური ოპერაცია ჩაატარა, სოხუმი კოდორის ხეობის შემოერთებით ხშირად იმუქრებოდა. მაგრამ კონფლიქტურ ზონასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ჯერჯერობით სიწყნარეა. რა ხდება სინამდვილეში ზემო აფხაზეთში, როგორია საზღვრისპირას მცხოვრები აფხაზების განწყობილება და რამდენად შეშფოთებულნი არიან ხეობის მკვიდრი ქართველები? — ამ კითხვებზე პასუხის მიღებას უბრალო ადამიანებისგან შევეცადეთ.**

## „ყოველ დილით გაღვიძებულებს ახალი პოსტი გვხვდება...“

*ლალი პაპასკირი*

**ედიშერი,** *65 წლის, ზემო აფხაზეთის მკვიდრი:*

— საქმე ის არის, რომ სანამ აქ მაშინდელი პრეზიდენტის რწმუნებულის დისშვილი, ბაჩო არღვლიანი იყო, ხეობაში ქართული და აფხაზური ე.წ. იურისდიქცია ვერ ვრცელდებოდა. ყოფილი შს მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის გახმაურებული ოპერაციის შემდეგ, ხელისუფლება პოლიციური შენაერთების შემოსვლას ისე ზეიმობდა, თითქოს ხეობა სეპარატისტებისგან გაათავისუფლა. ალბათ ყველას ახსოვს, ადგილობრივი შენაერთი „მონადირე“, რომლის მთავარი ფუნქცია აფხაზეთიდან მოსალოდნელი საფრთხისგან მოსახლეობის დაცვა იყო... მერე კი ამბობდნენ, — მანამდე კოდორს აფხაზები მართავდნენო. არადა, თავის დროზე, ქოფჩარის ხიდი იმისთვის ავაფეთქეთ, რომ იქიდან აფხაზები არ შემოსულიყვნენ.

— **მაგრამ როგორც ვიცი, იქ აფხაზები მაინც შემოდიოდნენ...**

— დიახ, ქოფჩარის ტყეებიდან გადმოდიოდნენ, მაგრამ ეს ომის მერე იყო... თან აქ შემოსვლას, რა თქმა უნდა, ის ხალხი ვერ გაბედავდა, ვინც საომარ მოქმედებებში მონაწილეობდა. ამ ხალხს ჩვენგან სოფლის პროდუქტი მიჰქონდა, რომელსაც ყოველდღიური მოხმარების ნივთებში გვიცვლიდა; ერთგვარი, ნატურალური გაცვლა გვქონდა. მაშინ ზუგდიდის მიმართულებით თვეში ერთხელ თუ წავიდოდა სატვირთო მანქანა, რომელსაც ლამის მთელი სოფლის მარაგი უნდა ამოეტანა. უგზოობის პრობლემა იმდენად აუტანელი იყო, რომ თქვენი ტოლი გოგონები ხურჯინმოკიდებული ცხენით დადიოდნენ; გამთენიისას წავიდოდნენ და შინ მხოლოდ მეორე დილისთვის ბრუნდებოდნენ. ჩვენსა და აფხაზებს შორის ასეთი ურთიერთობის ჩამოყალიბება რამდენიმე დღეში არ მომხდარა, მაგრამ მას შემდეგ, რაც კოდორში საქართველოს შინაგანი ჯარი განლაგდა, ეს ძლივს აღდგენილი ურთიერთობები დაიკარგა.

— **სამაგიეროდ, თქვენი ცხოვრების პირობები გაუმჯობესდა...**

— დიახ, მაგრამ გააჩნია, რის ხარჯზე... ის შემორიგებული ხალხი და ურთიერთობა დაიკარგა. ჩემი აზრით, ცხოვრების პირობების გაუმჯობესება სხვანაირად შეიძლებოდა. მე ვიცნობდი აფხაზებს, რომლებიც მომხდარს ნანობდნენ და საჭიროების შემთხვევაში, ალბათ ქართველებსაც შეურიგდებოდნენ, მაგრამ ორივე ხელისუფლების მოქმედებამ, წვალებით აღდგენილი ხიდი ხელახლა ჩატეხა.

— **აფხაზები და რუსები ზემო აფხაზეთს ემუქრებიან. არ გეშინიათ?**

— კი, რაღაცები გვესმის აფხაზეთიდან, მაგრამ რას ვიზამთ, აქაურობას ხომ ვერ მივატოვებთ?!. შიში — არა, მაგრამ დაძაბულობა მაინც იგრძნობა. სტაბილურობის შეგრძნება არ გვაქვს. საერთოდ, სვანებს გვიყვარს იარაღი და ასე თუ ისე, შეიარაღებული ხალხის დანახვაზე უსიამოვნო რეაქციები არ გვაქვს. არა მგონია, აფხაზებმა შეტევა გაბედონ, თუნდაც იმიტომ, რომ მათ ჩვენი ხასიათი კარგად იციან და არც დაავიწყდებათ, რომ კოდორში ათასკაციანი პოლიციური შენაერთიც რომ გადმოისროლონ, სვანს პირველ რიგში, საკუთარი თავის იმედი აქვს, იარაღი სადმე მაინც ექნება შენახული, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში გამოიყენებს. თან, ხეობა თუ არ იცი, ისე პირდაპირ შემოჭრა — დამარცხებას ნიშნავს... იცით, რა უნდა გითხრათ? თუ ის ხალხი, ვინც რამდენიმე წლის წინ, ჩვენი საჭმლით იკვებებოდა, ჩვენ წინააღმდეგ საომრად წამოვა, ეს მისი სურვილით არ მოხდება: სამწუხაროა, მაგრამ ამას ძალით გააკეთებინებენ.

— **რატომ გგონიათ?**

— არ მგონია — დარწმუნებული ვარ! ომის შემდეგ, ორივე მხარე ბევრ შეცდომას მივხვდით და ბევრი რამ ვინანეთ.

**იანი,** *57 წლის, ტყვარჩელელი აფხაზი:*

— ტყვარჩელის რაიონში და საერთოდ, აფხაზეთში კარგი არაფერი ხდება. ყოველდღე უფრო მეტი შეიარაღებული კაცი შემოჰყავთ, კაზაკი იქნება თუ ჩეჩენი. აფხაზეთი რუსეთის პატარა სამხედრო რეგიონად იქცა, საიდანაც საქართველოს, თავისი შეიარაღებით ემუქრება, — არაფერი გაბედოო... ყოველ დილით გაღვიძებულებს ახალი პოსტი გვხვდება. ეტყობა, მართლა აპირებს საქართველო ომს, თორემ სხვა შემთხვევაში, რა აზრი აქვს ამდენი სამხედროს შემოყვანას?.. ომზე ღიად არავინ ლაპარაკობს, მაგრამ საქართველოს ხელისუფლების შეიარაღებულ გეგმებზე ათასნაირ ჭორ-მართალს გაიგებთ. საქართველოს რომ ამერიკა არ ჰყავდეს მხარდამჭერად, ამდენი ხანი აფხაზეთის დამოუკიდებლობას აღიარებდა, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ რუსეთის ხელში დამოუკიდებელი ვერასდროს გავხდებით... ახალს არაფერს ვამბობ, მაგრამ კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში არჩევანი არ გვაქვს — ვიომებთ, თუმცა წინასწარ ვიცით, რომ ეს ჩვენი კეთილდღეობისკენ არ იქნება მიმართული...

— **არც ერთი ომი არ არის მცირე ერის კეთილდღეობისკენ მიმართული...**

— დიახ, მაგრამ ეს გზა ზოგჯერ თვითგადარჩენისთვის აუცილებელია. არა მგონია, ამ შემთხვევაში ამან გაამართლოს... აფხაზეთში იმაზე მეტი ქაოსია, ვიდრე გასული საუკუნის 80-იან წლებში. მოსახლეობა აქტიურ და პასიურ ნაწილებადაა დაყოფილი: აქტიურები მხარს უჭერენ რუსეთის პოლიტიკას და უფრო მეტი გასაქანიც აქვთ — მუშაობენ, შვილების განათლებაზე ზრუნავენ და ა.შ. პასიურები ჩუმად არიან, აგიტატორებს უსმენენ, მაგრამ აზრის გამოხატვას თავს არიდებენ. მე მათ რიგს მივეკუთვნები, ამიტომაც, რამდენჯერმე მითხრეს, ქვეყნის ბედი არ გაღელვებსო. ერთხელ ისიც კი მკითხეს, თუ საჭირო გახდება, იბრძოლებო?...

— **რა უპასუხეთ?**

— არ ვიბრძოლებ-მეთქი, რადგან როცა მეგონა, რომ ჩემს ხალხსა და ქვეყანას ჩემი ძალა სჭირდებოდა, თავი არ დამიზოგავს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ თურმე სულ სხვა რამისთვის ვიბრძოდი. მერე როცა სიტუაცია დაწყნარდა, ხალხს გამარჯვების თუ ომის ჟინი გაუნელდა, იმდენი რამე მოვისმინე, გაოცებული დავრჩი; მეგონა, მარტო მე ვნანობდი მომხდარს. თუმცა ბევრი დღესაც არ ნანობს. ეს ის ხალხია, ვინც ახალ დროს ფეხი აუწყო, ახალ მთავრობასთან საერთო ენა გამონახა და დღეს იმაზე უკეთესი ცხოვრების პირობები აქვს, ვიდრე საბჭოთა საქართველოს დროს იყო.

— **ახალ დროს ფეხი ბევრმა აუწყო?**

— არც ისე ბევრმა, მაგრამ საქმე ის არის, რომ მართლაც, გაუსაძლისი ცხოვრების პირობების მიუხედავად, ქართველი ხალხის მიმართ ნდობა ყოველდღიურად მცირდება. ეს, პირველ რიგში, რუსული პოლიტიკის დამსახურებაა, რაშიც ქართველი და საერთაშორისო დონის პოლიტიკოსებსაც შეაქვთ წვლილი. ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ კიდევ ერთი ომი რომ გაჩაღდეს, მოგებული მხოლოდ რუსეთი დარჩება... ეს პრობლემა აფხაზებსაც კარგად ესმით, მაგრამ იციან, რომ ეს გაყინული ვითარება კიდევ რამდენიმე ხანს რომ გაგრძელდეს, საქართველოს ხელისუფლება უკან არაფერზე დაიხევს. მართალია, გვარწმუნებენ, ომი არ იქნებაო, მაგრამ საერთაშორისო პოლიციის შემოყვანა რასაც ნიშნავს, ყველამ კარგად იცის. ვინმე ამიხსნის, ამ შემთხვევაში ჩვენ რა სტატუსი გვექნება? აფხაზები ამერიკელების დაწყობილ ქვეყანაში ვერ ვიცხოვრებთ...

**— რუსების დაწყობილ „ქვეყანაში“?**

— რუსი სამშვიდობოები აფხაზ ხალხს არ უნდა, იმიტომ, რომ ის მესამე მხარეა და ყოველთვის სარგებლის გამონახვას ცდილობს, მაგრამ თუ საერთაშორისო ძალები ჩადგებიან, ადგილობრივი მოსახლეობისგან უკმაყოფილება მაინც იქნება.

**მევლუდ ჯაჭვლიანი,** *სახელმწიფო მინისტრი ზემო აფხაზეთში:*

— პანიკა და დაძაბულობა არ შეინიშნება. ხეობაში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები მიმდინარეობს, უკვე დასრულდა ხვნა-თესვა და ცხოვრებაც ჩვეულებრივ რიტმში გრძელდება. შიში არავის აქვს და არც ერთი ბავშვი და ქალი ხეობიდან არ გასულა.

**— ადრე აფხაზები ქოფჩარის ტყეებიდან გადმოდიოდნენ და ადგილობრივ მოსახლეობასთან საკმაოდ ნორმალური ურთიერთობა ჰქონდათ...**

— ახლა არანაირი ურთიერთობა არ გვაქვს. ამის წინააღმდეგი ჩვენ არ ვართ, მაგრამ იმ ხალხს არ აქვს სურვილი...

**— რა იცით, რომ სურვილი არ აქვთ?**

— ვიცი. სოფელ აჟარაში სამი აფხაზური ოჯახი ცხოვრობს. მათ შორის ერთ-ერთს — არჯანიებს აფხაზეთში ნათესავები ჰყავთ, მაგრამ მათთან ნათესაურ დონეზეც კი არ აქვთ ურთიერთობა. 2000 წლამდე მიმოსვლა ჰქონდათ. ეს ურთიერთობა მას შემდეგ შეწყდა, რაც კოდორის ხეობაში ჩეჩნები შემოვიდნენ... ახლა ამ ოჯახში აფხაზური მხოლოდ მამამ იცის, მეუღლე სვანი ჰყავს და შვილებს მამის ნათესავებთან არანაირი ურთიერთობა არ აქვთ და ენაც კი არ იციან.

**— ბოლო დროს, ხეობაში დამატებითი პოლიციური შენაერთების შეყვანაზეც ლაპარაკობენ...**

— მსგავსი არაფერი მომხდარა, აქ არის აფხაზეთის შს სამინისტროს მთავარი სამმართველოს პოლიციური დანაყოფები, იმავე რაოდენობით, რაც აქამდე იყო. ■



# თუ ევროპა რუსეთს გაანუღმა...

**რუსეთი შეიარაღებულ კონფლიქტში საქართველოს ჩასათრევად ნაცად სტრატეგიას მიმართავს: აფხაზეთსა და ცხინვალში საჯარისო კონტინგენტის გაზრდითა და კონფლიქტის ზონებში საბრძოლო წვრთნების ჩატარებით ცდილობს, პროვოკაციაზე წამოგვაგოს. მიაღწევს თუ არა ამ მიზანს და როგორი იქნება დასავლეთის რეაქცია, თუკი კონფლიქტის ზონაში საბრძოლო მოქმედება განახლდა? — ამ კითხვებით ექსპერტს მშვიდობისა და უსაფრთხოების პოლიტიკაში, ირაკლი სესიაშვილს მივმართეთ.**

*ხათუნა ბახტურიძე*

**— თქვენი აზრით, საქართველოში რუსული სამხედრო კონტინგენტის გაზრდა არის თუ არა ომის წამოწყების მცდელობა?**

— რა თქმა უნდა, არის. თუ სამხედრო კონტინგენტი მხოლოდ სამშვიდობო მისიას ემსახურება, რა საჭიროა „გაუბიცა“, „გრადი“, საარტილერიო დანადგარები? ასეთი სამხედრო ტექნიკა არც ერთ მშვიდობიან მისიაში არ გამოუყენებიათ. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ — ე.წ. სამშვიდობოები ფაქტობრივად, სეპარატისტული ხელისუფლების სამხედრო ფორმირებებია.

**— შეიძლება თუ არა, რომ აფხაზეთში კონფლიქტის გაღვივებამ, ჩრდილოეთ კავკასიაში ვითარების დაძაბვა გამოიწვიოს და რუსეთისათვის არასასურველი მოვლენები განვითარდეს?**

— ჩრდილოეთ კავკასიაში არსებული სეპარატისტული ძალები რუსეთისთვის საფრთხეს დღესაც წარმოადგენენ. აფხაზეთში კონფლიქტის გაღვივებით, მოსკოვი მართლაც, სერიოზულ საფრთხეს შეიქმნის. რუსეთის ხელისუფლება ამ ყველაფერს ანგარიშს უწევს. ვფიქრობ, რუსეთმა ფონი მოსინჯა, როდესაც, „ჩრდილოეთ კავკასიიის ხალხთა კონფედერაციას“ ათქმევინა — კონფლიქტის შემთხვევაში მხარს აფხაზებს დავუჭერთო. მაგრამ ისტორია გვიჩვენებს, რომ თუ ბოევიკს შეაიარაღებ და ბრძოლის საშუალებას მისცემ, მერე მისი გაკონტროლება შეუძლებელია. ამის ნათელი მაგალითია შამილ ბასაევი: მართალია, თავიდან აფხაზეთში იბრძოდა, მაგრამ შემდეგ, რუსეთისკენ შეაბრუნა იარაღი.

**— რუსეთი სოჭის ოლიმპიადისთვის ემზადება. იქ ვითარების დაძაბვა რისთვის სჭირდება?**

— რუსეთის პოლიტიკაზე ლოგიკური მსჯელობა წარმოუდგენელია. თუ გსურს, ამ სახელმწიფოს ზრახვები გამოიცნო, მოვლენები ლოგიკურად უნდა შეაფასო, შემდეგ ყველაფერი თავდაყირა დააყენო და რასაც მიიღებ, ეს არის რუსეთის პოლიტიკა... ასეთია ისტორიული რეალობა და არა ჩემი შეფასება. წესით, რუსეთს, სოჭში ოლიმპიადის ჩასატარებლად, მშვიდი გარემო, უსაფრთხო მეზობელი, განვითარებული ინფრასტრუქტურა უნდა სჭირდებოდეს.

**— სერგეი ლავროვის თქმით, კონდოლიზა რაისი აფხაზეთში რუსეთის სამშვიდობო კონტინგენტის გაზრდას გაგებით მოეკიდა, მაგრამ მას შემდეგ ამერიკა და ევროპა თითქმის ყოველდღე აკეთებენ საქართველოს მხარდამჭერ განცხადებებს. რას უნდა ველოდეთ ამ განცხადებებისგან?**

— ამ განცხადებების შედეგად, კონფლიქტის ზონაში მშვიდობიანი მოლაპარაკების პროცესი უნდა დაიწყოს.

**— ფიქრობთ, რომ ასეთ დაძაბულ ვითარებაში ეს შესაძლებელია?**

— წესით, კონფლიქტის მოგვარება მხოლოდ მაშინ იწყება, როდესაც ის უკიდურესად მწვავდება და ესკალაცია ხდება. მსოფლიო საზოგადოებამ უკვე რეალურად დაინახა ეს საფრთხე და კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების მიზნით, უფრო ქმედითი ნაბიჯების გადადგმას აპირებს. დასავლეთ ევროპა ხედავს, რომ აღმოსავლეთ ევრობა და ამერიკა კონფლიქტების მოგვარებაში მნიშვნელოვან წარმატებებს ვერ აღწევენ და ცდილობს, თავადაც ჩაერთოს ამ პროცესში. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი დროც მოდის, მაგრამ რუსეთის არაპროგნოზირებადი, არადემოკრატიული პოლიტიკა მაინც უნდა გავითვალისწინოთ...

**— დასავლეთ ევროპას, ამერიკისგან განსხვავებით, რუსეთზე რა სახის ზეწოლის მოხდენა შეუძლია?**

— რუსეთისათვის ამერიკა ყოველთვის მტერი იყო და დღესაც ასეთად აღიქვამენ. ამიტომ, კრემლისათვის აფხაზეთის კონფლიქტში ერთ-ერთ მხარედ ამერიკის ღიად ჩართვა მიუღებელია. ამიტომ, ამ კონფლიქტის მოგვარება მხოლოდ დასავლეთ ევროპას შეუძლია. მაგრამ ჯერ კიდევ საკითხავია, რას გაიღებს ის ამის სანაცვლოდ და რამდენად მზადაა, დაუპირისპირდეს რუსეთს. კონფლიქტის რეალური მოგვარება დაიწყება მაშინ, როდესაც დასავლეთ ევროპა აფხაზეთში თავისი სამშვიდობო ძალების გამოსაგზავნად იქნება მზად. რაც შეეხება ზეწოლას, — დასავლეთ ევროპას შეუძლია, რუსეთზე ენერგეტიკული ზეწოლა განახორციელოს.

**— ეს როგორ? გაზითა და ნავთობით რუსეთი თავად მანიპულირებს!**

— კი, მაგრამ დასავლეთ ევროპა და რუსეთი ენერგოსაკითხებში გადაჯაჭვული არიან: თუ ევროპა რუსეთისგან ნავთობსა და გაზს აღარ იყიდის, რუსეთის ბიუჯეტი სერიოზულ კრიზისში ჩავარდება. გარდა ამისა, საკმარისია, რომელიმე ქვეყანამ თავის ტერიტორიაზე რუსეთის პროდუქცია აღარ გაატაროს ან ტარიფების შეცვლა მოინდომოს, რომ კრემლი გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდება. ასე და ამგვარად, რუსეთი ომის წამოსაწყებად, რა თქმა უნდა, ყველაფერს აკეთებს, მაგრამ ჩემი აზრით, ამ ეტაპზე კოდორში შესვლა ნამდვილად, არ უნდა აძლევდეს ხელს. ■

# დაგროვებითი ფასდაკლების – "მტრედი ბარათები" ავერსისგან

ავერსის აფთიაქებს ერთგული მომხმარებელი მრავლად ჰყავს. მათ იციან, რომ აქ ხარისხიან მედიკამენტებს, კოსმეტიკურ საშუალებებს, ჰიგიენურ ნაწარმს თუ ბავშვის კვების პროდუქტებს შეიძენენ. დაგროვებითი ფასდაკლების ბარათი უმთავრესად სწორედ ერთგული მომხმარებლების დასაჩუქრებას ისახავს მიზნად. ავერსის ნებისმიერ აფთიაქში მედიკამენტებისა თუ სხვა სახის ნაწარმის (კოსმეტიკის, ბავშვის საკვების, სხეულის მოსავლელი საშუალებების) შეძენისას თითოეული მომხმარებელი მიიღებს დაგროვებითი ფასდაკლების მტრედ ბარათს, რომლის მეშვეობითაც ის მრავალი პრიზის მფლობელი გახდება.




არჩევანი მრავალფეროვანია: დაგროვებითი ფასდაკლების შედეგად შეგიძლიათ დამატებითი ფასდაკლების სახით მიიღოთ როგორც მედიკამენტები, ისე მაღალი ხარისხის კოსმეტიკური საშუალებები, კერძოდ:

* ავერსი-რაციონალის მიერ წარმოებული სამკურნალო პრეპარატები
* გერმანული კომპანია "დოლივას" სამკურნალო კოსმეტიკა;
* "აჰავა" _ მკვდარი ზღვის სამკურნალო კოსმეტიკა ისრაელიდან.

საუგელა - სხვადასხვა ჰიგიენური საშუალებები იტალიიდან

ლაკალუტი - კბილის პასტები და ჯაგრისები გერმანიიდან

დაგროვებითი ფასდაკლების ბარათის ყველაზე ერთგულ მფლობელებს, რომელთაც კომპანია 1 წლის განმავლობაში გამოავლენს, საშუალება ექნებათ, დაისვენონ საქართველოს ან ევროპის რომელიმე კურორტზე ან, შესაბამისად, მიიღონ 1 000$ ან 1 500$. ამ სიას კომპიუტერიც ემატება, თუმცა მის ნაცვლად მომხმარებელს შეუძლია თანხა (1 000$) მოითხოვოს. მთავარი პრიზი ავტომობილი ან 15 000$-ია.

დაგროვებითი ფასდაკლების ბარათი რომ მიიღოთ, ამისათვის ავერსის აფთიაქში ნებისმიერი თანხის პროდუქცია უნდა შეიძინოთ. სპეციალური ანკეტის შევსების შემდეგ თქვენ გადმოგეცემათ მტრედი ბარათი, რომელიც ავერსის აფთიაქში პროდუქციის შეძენისას აუცილებლად თან უნდა იქონიოთ: თქვენი ნებისმიერი შენაძენი, რა ღირებულებისაც უნდა იყოს ის, აღირიცხება და ანგარიშზე არსებულ თანხას ემატება. როდესაც თანხა 100 ლარს მიაღწევს, შეგეძლებათ, საჩუქრად მიიღოთ თქვენს ანგარიშზე არსებული თანხის 10%-ის ღირებულების პროდუქცია, რომელსაც ავერსის ნებისმიერ აფთიაქში ან კომპანიის ვებგვერდზე არსებული კატალოგიდან (www.aversi.ge) აირჩევთ.

გაითვალისწინეთ ისიც, რომ ბარათი შეგიძლიათათხოვოთ ოჯახის წევრს ან მეგობარს, რათა ანგარიშზე თანხა უფრო სწრაფად დააგროვოთ, თუმცა სასურველი ნაწარმის შერჩევა და საჩუქრად მიღება მხოლოდ ბარათის მფლობელს შეუძლია. პრიზის მიღებისას მან თან უნდა იქონიოს ბარათი და პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

ავერსის აფთიაქებში პროდუქციის შეძენა ნაღდი ანგარიშსწორებით ან საბანკო ბარათით (Visa card, Master card და ა.შ.) ხდება.

თქვენს ანგარიშზე არსებული თანხის შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ ავერსის ნებისმიერ აფთიაქში ან ავერსის ვებგვერდზე არსებული კატალოგიდან.

დღეისათვის მტრედი ბარათის მფლობელი გახლავთ 50000-ზე მეტი ადამიანი. 6000-ზე მეტმა უფასოდ მიიღო 166380 ლარის ღირებულების პროდუქცია.

ავერსი მომხმარებლებს მუდმივად ანებივრებს შეღავათებით. სწორედ მტრედი ბარათი იმ ტრადიციის გაგრძელებაა, რომელსაც კომპანია დაარსების დღიდან ანხორციელებს.



# როგორები არიან ცნობილი პროექტების გმირები

**„რუსთავი 2“-ის ახალი პროექტი „ვარსკვლავების აკადემია“ თანდათან მაყურებლის დიდ ყურადღებასა და ინტერესს იმსახურებს. მაყურებლის გადაწყვეტილებით, გასულ კვირას, პროექტი ნინო ღავთაძემ დატოვა, რომელიც ამჟამად ჩვენი რუბრიკის სტუმარია. მან და თუმანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობმა, „ჩიფსების თაობის“ (აგრეთვე ცნობილი ტელესერიალის) ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებელმა, ვანიკო თარხნიშვილმა ჟურნალისტის როლს თავი არაჩვეულებრივად გაართვეს.**



# ბაქოელი ქმარი და ქალებზე დაცული დისერტაცია

ნათია ქივიძე

ჟურნალისტი – ვანიკო თარხნიშვილი
რესპონდენტი – ნინო ღავთაძე

— **პროფესიით ვინ ხარ?**

— მუსიკოსი. დავამთავრე თბილისის კონსერვატორია ფორტეპიანოს განხრით. პერიოდულად მოსწავლეებსაც ვიყვან ხოლმე, რომლებსაც მუსიკას ვასწავლი.

— **რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, გარკვეული პერიოდის განმავლობაში საქართველოში არ ცხოვრობდი, იქნებ გვითხრა, სად იყავი?**

— ბავშვობაში ოჯახთან ერთად, თურქმენეთში ვცხოვრობდი, მერე გავთხოვდი და ათი წლის განმავლობაში ბაქოში მომიხდა ყოფნა, რადგან მეუღლე იქაური მყავს.

— **როგორც კი შენს მეუღლესთან ურთიერთობას წერტილი დაესვა, თბილისში მაშინვე დაბრუნდი?**

— ცხოვრებაში საერთოდ წერტილის დასმა ძალიან მიჭირს, შესაბამისად, ჩემს მეუღლესთანაც არ დამისრულებია ურთიერთობა, ამიტომ, წერტილის ნაცვლად ჩვენს ურთიერთობას, მძიმე დავუსვით...

— **რამდენი ხანია, რაც საქართველოში დაბრუნდი?**

— ათი წელი ბაქოში კი ვცხოვრობდი, მაგრამ საქართველოში პერიოდულად მაინც ჩამოვდიოდი ხოლმე. მაშინ რამდენიმე სიმღერაც ჩავწერე და ერთი კლიპიც გადავიღე. ახლა კი უკვე შვიდი თვეა, რაც აქ ვარ.

— **რატომ გადაწყვიტე „ვარსკვლავების აკადემიაში“ მონაწილეობა?**

— სიმართლე რომ გითხრა, მე იმ ადამიანების კატეგორიას მივეკუთვნები, რომლებიც რეალურ შოუებში საერთოდ არ მონაწილეობენ. ამ შემთხვევაში კი მხოლოდ საკუთარი თავის გამოცდა მაინტერესებდა. სწორედ ამიტომ, შევიტანე საბუთები შესარჩევ ტურზე. როგორც




იცი, ასაკით ცოტა დიდი ვარ, ამიტომ დარწმუნებული ვიყავი, კასტინგზე არ გამომიძახებდნენ. ჩემდა გასაკვირად, „რუსთავი 2“-დან დამირეკეს და მაცნობეს, რომ თურმე შესარჩევი ტურები წარმატებით გამივლია. უნდა ვაღიარო, რომ ამ პროექტისთვის მომზადებული ნამდვილად არ ვიყავი, უბრალოდ, თვალები დავხუჭე და ბრმად გავყევი ცხოვრების დინებას. ალბათ, ამიტომაც გამიჭირდა პროექტში ყოფნა. ყველა მეუბნებოდა, შენ ასაკით უფროსი ხარ და შენთვის იქ ყოფნა უფრო ადვილი იქნებაო, მაგრამ პირიქით მოხდა, რადგან ის საკითხი, რაზეც დანარჩენი ბავშვები ხალისობდნენ, ერთობოდნენ, ჩემთვის ნაკლებად საინტერესო და მოსაწყენი იყო. აქედან გამომდინარე, ხშირად ვიყავი მოწყენილი.

— **როგორც ვიცი, პროექტში ყოფნისას აგრესიულიც იყავი.**

— ასე ნამდვილად არ იყო. რამდენჯერმე რაღაცამ გამაღიზიანა, თუმცა პროექტში ბევრი სახალისო რამეც ხდებოდა. მაგრამ, როგორც ჩანს, პროდიუსერებისთვის უფრო საინტერესო, ჩემი აგრესიულობა აღმოჩნდა. ამიტომ, ეთერში სწორედ ამ კადრებს უშვებდნენ.

— **არა უშავს. ეს რეალური შოუების ერთ-ერთი „კოზირია“... ისე, როგორი ტიპი ხარ, კონკურენციისკენ თუ ისწრაფვი?**

— ბავშვობიდან მიჩვეული ვიყავი ყურადღებას, მათამამებდნენ, შესაბამისად, არასდროს, არაფრის მტკიცება არ მჭირდებოდა. ამიტომ, კონკურენცია ჩემთვის უცხოა. მიმაჩნია, რომ ყველა შემოქმედი ადამიანი თავისებურად საინტერესოა, ყველას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი თვისებები.

— **გასაგებია, მაგრამ დაუწერელი კანონია ის, რომ შოუბიზნესში აუცილებელია კონკურენცია.**

-— მართალი ხარ, მაგრამ ეს კანონი ჩემგან ყოველთვის შორს იყო და არის კიდეც. პროექტში შესული, მხოლოდ შემოქმედებით მხარეზე ვფიქრობდი და არა კონკურენციაზე. ამ პროექტში საკუთარი თავი, როგორც ვოკალისტმა, ისე გამოვცადე და უნდა ვაღიარო, რომ შედეგებმა დამაკმაყოფილა.

— **ხომ არ ფიქრობ, რომ პროექტიდან შენი გამოშვება სწორედ იმ ფაქტმა განაპირობა, კონკურენტუნარიანი რომ არ ხარ?**

— აბსოლუტურად შესაძლებელია. „ვარსკვლავების აკადემიის“ მონაწილეებს კონკურენტებად ნამდვილად არ აღვიქვამდი. შესაძლოა, ვცდები და ზედმეტად თავდაჯერებული ვარ, მაგრამ მიმაჩნია, რომ ამ პროექტში მე ყველასგან განსხვავებული ვიყავი. თუმცა, ისიც უნდა ვაღიარო, რომ პროექტში მონაწილე ყველა ბავშვი თავისებურად საინტერესო იყო. ერთმანეთს არავინ ჰგავდა. ჩემთვის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე მომენტი იყო, როცა უნებლიეთ მარგოს კონკურენტი გავხდი.

ისე გამოვიდა, რომ ჩვენ სიმღერაში კი არა, ქერათმიანობაში ვეჯიბრებოდით ერთმანეთს... ჩემთვის ეს შეურაცხმყოფელი იყო.

— **პროექტიდან შენი წამოსვლა დამარცხებას ნიშნავს თუ ერთგვარი გამარჯვებაც კია?**

— საკუთარ თავს დამარცხებულად ნამდვილად არ მივიჩევ, რადგან პროექტში შესვლისას რაც მიზნად დავისახე, იმას ნამდვილად მივაღწიე.

— **„ვარსკვლავების აკადემიამ“ ცხოვრებაში სტიმული თუ მოგცა?**

— რაც პროექტიდან გამოვედი, საკმაოდ დაბნეული ვარ და ჯერ ზუსტად არ გადამიწყვეტია, როგორ უნდა მოვიქცე. იმაში დარწმუნებული ვარ, რომ სიმღერას თავს არ დავანებებ და ვეცდები, მაყურებელს საინტერესო პროექტები შევთავაზო. მე მაინც დავბრუნდები!..

— **პროექტში დარჩენილთაგან ვის გულშემატკივრობ?**

— ყველა იქ მყოფი ადამიანი ძალიან მიყვარს და ყველას ვგულშემატკივრობ. ამ ეტაპზე მიმაჩნია, რომ მარიკო ებრალიძე საკმაოდ კარგი შემსრულებელია.

— **პროექტის დამთავრების შემდეგ, მონაწილეებთან ურთიერთობას გააგრძელებ?**

— პროექტში ყველაზე მეტად ბექას დავუახლოვდი და ურთიერთობას ვაგრძელებთ კიდეც. მგონია, რომ დანარჩენებთანაც კარგ დამოკიდებულებას შევინარჩუნებ.

— **წარმატებებს გისურვებ!**

ჟურნალისტი – ნინო ლავთაძე
რესპონდენტი – ვანიკო თარხნიშვილი

— **ტელესერიალ „ჩიფსების თაობაში“ ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებ. როგორ მოგწონს შენი გმირი ლაშა და გაქვს თუ არა მისი მსგავსი თვისებები?**

— უკვე იმდენი ხანია, ამ პერსონაჟს ვასახიერებ, რომ ლაშა დამემსგავსა კიდეც. თუმცა მას რაღაც ისეთი თვისებებიც აქვს, რაც მეც მინდა, რომ მქონდეს, მაგრამ მთლად მისი მსგავსი ტიპი არ ვარ...

— **საერთოდ, როგორი ტიპი ხარ?**

— საკმაოდ რთული შეკითხვაა. ჩემი ყველაზე დიდი პრობლემა ის არის, რომ არ ვიცი, როგორი ადამიანი ვარ. ხშირად გაურკვევლობაშიც ვარ... ცხოვრებაში ჩემი ერთ-ერთი მიზანი შეიძლება, სწორედ ის არის, რომ საკუთარი თავი ვიპოვო.

— **რა გაძლევს ცხოვრებაში სტიმულს?**

— სიყვარული.

— **რადგან ამ თემას შეეხე, გულახდილად მიპასუხე, შეყვარებული გყავს თუ არა?**

— ამ შეკითხვაზე კონკრეტულ პასუხს არ გაგცემ. გეტყვი მხოლოდ იმას, რომ როცა ვიღაც მყავს გვერდით, მაშინ ყველაზე კარგი ვარ. თუ არავინ მიყვარს, მაშინ დაბნეული და არეული ვარ... ამ პასუხიდან გამომდინარე, მოდი, შენ მითხარი, ახლა ვარ თუ არა შეყვარებული?

— **იმის გამო, რომ ამწუთას საკმაოდ დაბნეული ხარ, წესით არავინ უნდა გიყვარდეს. მართალი ვარ?**

— ... (*უკომენტაროდ*).

— **როგორ ფიქრობ, როგორი მეუღლე იქნები?**

— ძალიან მიჭირს, რომ ჩემი თავი ვინმეს მეუღლედ წარმოვიდგინო. გააჩნია, ვინ იქნება ჩემი მეუღლე. ამიტომ, ამ შეკითხვაზე მოგვიანებით გიპასუხებ.

— **რას აფასებ ქალში?**

— შტერი და სულელი ქალები არ მიზიდავს. ჭკვიანი ქალი უფრო მხიბლავს...

— **რამდენადაც ვიცი, კაცებს ჭკვიანი ქალების ეშინიათ...**

— ჩემი აზრით, ჭკვიანი ქალების შტერ კაცებს ეშინიათ. ადამიანისთვის ძალიან დამღლელი და ხელის შემშლელი ფაქტორია, როცა გვერდით სულელი ადამიანი ჰყავს. გვერდით ისეთი ადამიანი უნდა გედგას, რომელსაც თავისუფლად დაეყრდნობი. ორი ადამიანის ურთიერთობა საკმაოდ საინტერესოა. ისინი ერთმანეთისგან სულ რაღაცას უნდა იღებდნენ, ერთმანეთს უნდა ავსებდნენ. სწორედ ამით მყარდება მათი ურთიერთობა...

— **როგორ ფიქრობ, სიყვარულს ვადა თუ აქვს?**

— მიმაჩნია, რომ არა. რატომღაც ხანგრძლივი, მარადიული და უვადო სიყვარულის მჯერა!

— **ხარ თუ არა მექალთანე?**

— ძალიან მიყვარს ქალები (*იცინის*)!

— **როგორ ფიქრობ, ერთგული მამაკაცები თუ არსებობენ?**

— რა თქმა უნდა, არსებობენ, თუმცა მამაკაცის ერთგულებაც ცოლ-ქმრის ურთიერთობაზეა დამოკიდებული. ამიტომ, მიყვარს ჭკვიანი ქალები, რადგან ჭკვიანი ქალი არასოდეს მოგცემს იმის საშუალებას, რომ მას უღალატო... მგონი, ქალისა და მამაკაცის ურთიერთობაზე დისერტაცია დავიცავი. ამ თემაზე ამდენი არასოდეს მისაუბრია (*იცინიან*).

— **მაშინ თემა შევცვალოთ და მიპასუხე, სად უფრო კომფორტულად გრძნობ თავს, კამერის წინ თუ თეატრში?**

— მსახიობების ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ თეატრი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე — სერიალში გადაღება. ბევრი მათგანი იმასაც კი ამბობს, სერიალში ფულის გამო ვმონაწილეობ, თორემ ისე ეს საქმე არ მხიბლავსო. ეს აზრი ჩემთვის მიუღებელია. ჩემთვის თეატრიც და სერიალიც საკმაოდ მნიშვნელოვანია და თავს ორივეგან კომფორტულად ვგრძნობ. მსახიობს თეატრი სულ სხვაგვარად ზრდის და სერიალი — სხვაგვარად. ვფიქრობ, მსახიობისთვის ორივე მათგანი საჭიროა. სერიალი მსახიობისთვის ძალიან კარგი სავარჯიშოა, რადგან ყოველდღე, შენს თავს უყურებ და შესაბამისად, თავად შეგიძლია, რომ საკუთარი თავი არეგულირო, თეატრში კი ამის საშუალება არ არის. ჩემთვის თეატრიცა და სერიალიც თანაბრად საინტერესოა.

— **სიმღერის ნიჭი თუ გაქვს?**

— სმენაც მაქვს და ხმაც...

— **სინდის-ნამუსი?**

— (*იცინის*). მგონი, ეგეც მაქვს. ამ ნიჭის გამო სპექტაკლებში ხშირად მამღერებენ, რაც დიდად არ მომწონს.

— **პროექტი — „ვარსკვლავების აკადემია“ მოგწონს?**

— ამ პროექტს თავიდან ცოტა სკეპტიკურად შევხედე. არ მომეწონა. ამ ბოლო დროს, რამდენიმე კონცერტს ვუყურე და დამაინტერესა. ჩემი აზრით, „აკადემიის“ წევრები ყოველკვირეულად იზრდებიან. ყოველ კონცერტზე ვხვდები, რომ თითოეული მონაწილე თანდათან იხვეწება. თან თქვენი მუსიკალური მიმდინარეობა მომწონს. კარგია, რომ როკს მღერით და არა რაღაც საშინელებებს... გარდა ამისა, ეს პროექტი კიდევ იმიტომ მომწონს, რომ თქვენი რექტორიცა და ამ პროექტის წამყვანიც ჩემი ძმაკაცები არიან.




— **ბოლოს იცი, რა მაინტერესებს, ცხოვრებაში თუ იყენებ შენს მსახიობობას ანუ თუ თამაშობ?**

— არავითარ შემთხვევაში. ასეთი რაღაცები არ მიყვარს. სერიალში რომ არ ვთამაშობდე და ცნობილი სახე არ ვიყო, ვერავინ მიხვდებოდა, რომ მსახიობი ვარ, რადგან მსახიობს არ ვგავარ. გულწრფელად ვამბობ, რომ ცხოვრებაში არ ვთამაშობ... ■

# მოპარული ბიზნესგეგმა და უკონტროლო ტერიტორიის ეტაპობრივი „გამოსყიდვა“



**წინასაარჩევნო მარათონი დასასრულს უახლოვდება. დეპუტატობის კანდიდატებს საკუთარი უპირატესობის ელექტორატისთვის დასამტკიცებლად სულ ცოტა დრო რჩებათ. რა არის დღეს ქართველი კაცისთვის ყველაზე აქტუალური? — ალბათ, უპირატესად ამ კითხვას უსვამენ საკუთარ თავს, როცა ამომრჩევლებთან შესახვედრად მიემართებიან.**

**დავით ჭიჭინაძე, რომელიც ისნის რაიონში, „ტრადიციონალისტთა კავშირის“ სახელით, მაჟორიტარი დეპუტატის მანდატისთვის იბრძვის, ბიზნესმენია, მაგრამ საუბრისას წინა პლანზე არა ეკონომიკა და მეწარმეობა, არამედ ტერიტორიული კონფლიქტი წამოსწია. ბატონი დავითი მიიჩნევს, რომ ბიზნესმენებს, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესში წვლილის შეტანასთან ერთად, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ხელშეწყობაშიც დიდი როლის შესრულება შეუძლიათ...**

## „აუცილებელია, ბიზნესი აქტიურად ჩაერთოს აფხაზეთის დაბრუნებაში“

*შორენა ჭუმბურიძე*

**— მოდი, ცოტა ზოგადი კითხვით დავიწყოთ: რას მიიჩნევთ თქვენს უპირატესობად, თქვენს კონკურენტებთან შედარებით?**

— საერთოდ, მიმაჩნია, რომ ადამიანი, რომელიც პოლიტიკაში ჩაბმას გადაწყვეტს, კერძოდ, კენჭს იყრის, როგორც გარკვეული რაიონის მაჟორიტარობის კანდიდატი, ძალიან ენერგიული უნდა იყოს და განსაკუთრებით უნდა უყვარდეს ეს რაიონი. შესაბამისად, უნდა შეეძლოს მოსახლეობის ამა თუ იმ პრობლემის გადაწყვეტაც.

**— და ფიქრობთ, რომ სხვებზე უკეთ შეგიძლიათ ამ პრობლემების გადაჭრა?**

— ვფიქრობ, რომ დღეისათვის ჩვენს ქვეყანაში ყველაზე დიდ პრობლემად, ისევ დასაქმების საკითხი რჩება. ბიზნესმენს კი ნაწილობრივ მაინც შეუძლია, ამ საკითხის მოგვარებაზე პასუხისმგებლობის აღება. იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენი ბიზნესის — კომპანია „ლიბოს“ ძირითადი მიმართულება, სამშენებლო საქმიანობაა, ვფიქრობ, ამ გზით ხელს შევუწყობთ დამატებით, დიდი რაოდენობით სამუშაო ადგილის შექმნას. ამ მხრივ პრიორიტეტი, ბუნებრივია, ჩვენი რაიონის მცხოვრებლებსვე მიენიჭებათ. მოგეხსენებათ, ამ რაიონში ოდითგანვე ცხოვრობდნენ თავიანთი ხელობითა და საქმიანობით გამორჩეული ადამიანები, რომლებიც საზოგადოების აქტიურ ნაწილს წარმოადგენდნენ. ეს არის უდიდესი რესურსი ჩვენი ქვეყნისთვის და ერთ-ერთ ყველაზე დიდ შეცდომად სწორედ ამ ხალხის დაუსაქმებლობა მიმაჩნია. ბუნებრივია, ყველა ის პრობლემა, რომელიც ჩვენს ყოფაში დაგროვდა, მაინც უმუშევრობის პრობლემიდან იღებს სათავეს. ვეთანხმები იმ აზრს, რომ სახელმწიფო სათანადოდ არ ზრუნავს ამ ხალხზე, მაგრამ ამავე დროს, იმასაც ვითვალისწინებ, რომ მისი ძალისხმევა უშედეგო იქნება, თუ ბიზნესიც აქტიურად არ ჩაება ამ საქმიანობაში.

**— კანდიდატებს შორის, ერთადერთი ნამდვილად არ ბრძანდებით, ვინც უმუშევრობას სასწრაფოდ გადასაწყვეტ პრობლემად მიიჩნევს...**

— პირველ რიგში, თუ კონკრეტულად ფაქტებით ვილაპარაკებთ, სხვებისთვის შესაძლოა, უბრალოდ, მომგებიანია ამ თემით მანიპულირება, მაგრამ ჩვენ უკვე რამდენიმე წელია, დაკავებული ვართ თუნდაც ამ რაიონის მცხოვრებთათვის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებით. ეს მაძლევს საფუძველს დაგარწმუნოთ, რომ ჩვენი განცხადებები ნაკლებად ჰგავს დაპირებებს და უფრო კონკრეტული ნაბიჯებისკენ არის მიმართული. მეტად გააქტიურებისთვის, ვფიქრობ, საკანონმდებლო ცვლილებებია საჭირო. თუნდაც ელემენტარული — შეიზღუდოს უცხოელი მუშახელის აკრედიტაცია ჩვენს ქვეყანაში. მარტივ მაგალითად შემიძლია მოვიყვანო „მეტრომშენის“ დასახლება, რომელიც ძირითადად, გვირაბის მშენებლობის საუკეთესო სპეციალისტებით არის დასახლებული. როდესაც დღეს ამდენს ვლაპარაკობთ ავტობანების მშენებლობაზე, რომელიც, მთაგორიანი რელიეფიდან გამომდინარე, აუცილებლად ახალი გვირაბების გაყვანას მოითხოვს, რატომ არ უნდა დავასაქმოთ ეს გამოცდილი ადამიანები, ვინც თავის დროზე, წარმატებით გაართვეს თავი თბილისის მეტროს მშენებლობას? გარდა ამისა, როგორც უკვე ვთქვი, ავლაბარში, სადაც მოსახლეობის დიდ ნაწილს არაქართველები შეადგენენ, უამრავი საუკეთესო ხელოსანია, მაგრამ ამ ადამიანებს სამუშაოს მოპოვება ყოველდღე დიდი შრომისა და ჯაფის ფასად უხდებათ. რატომ არის გავრცელებული აზრი, თითქოს უცხოელი უკეთ შეასრულებს ამა თუ იმ სამუშაოს, ვიდრე ადგილობრივი, ჩემთვის გაუგებარია. თუნდაც უცხოელ ინვესტორებს გადავხედოთ: ფაქტობრივად, ჩვენი ტერიტორიების გასხვისება ხდება უცხოელ მოქალაქეებზე. კარგად რომ დავთვალოთ, დამერწმუნეთ — აფხაზეთზე ნაკლები ტერიტორია არ გვექნება გაყიდული მათზე. ამ ადგილებში ალბათ, ცოტა ხანში ვერც შევალთ და ამ მიწით სარგებლობის უფლებასაც საბოლოოდ დავკარგავთ...

**— მაგრამ ბიზნესმენთა ნაწილი მიიჩნევს, რომ სწორედ უცხოურ ინვესტიციებს შეუძლია ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა და შესაბამისად, ჩვენს თანამოქალაქეთა ცხოვრების დონის ამაღლება.**

— ჩემთვის გაუგებარია, რას ეძახიან ამ ქვეყანაში უცხოელი ინვესტორების შემოყვანას — სხვა ქვეყნის მოქალაქეების მიერ საუკეთესო ადგილების ჩალის ფასად შესყიდვას, შემდგომში მათი ძვირად გაყიდვის მიზნით?.. მერწმუნეთ, ამ ეტაპზე საქართველოში სერიოზული ბიზნესმენები კი არ შემოდიან, არამედ ისეთი ადამიანები, რომლებსაც აქვთ რაღაც თანხა და სურთ, მისი სარფიანად დაბანდება. დღესდღეობით საქართველო მათთვის ფულის გაკეთების საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს. მათთვის მომგებიანია, იყიდონ მიწები და გარკვეული პერიოდის შემდეგ — ძვირად გაყიდონ. ეს პროცესი კი ქვეყნის განუვითარებლობაზე უფრო მიუთითებს, ვიდრე მის განვითარებაზე. წარმოუდგენელია, ვთქვათ, გერმანიაში იყიდო მიწა, ერთი წლის შემდეგ კი ორმაგ ფასად გაყიდო... რაც შეეხება სერიოზულ ბიზნესს, — ჯერ არ შემხვედრია ინვესტორი, რომელსაც რაღაც, განსაკუთრებული ინტერესი აქვს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის აღორძინებისადმი. მართალია, თავისუფალ ეკონომიკურ ზონაზე ბევრს საუბრობენ, მაგრამ სიმართლე თუ გინდათ, ამ თავისუფალი ეკონომიკური ზონის ჩვენებური მოდელი ქვეყნიდან ვალუტის გადინებას უფრო ემსახურება, ვიდრე მის შიგნით ფულის აკუმულირებას. ამის მაჩვენებელია ის უარყოფითი სავაჭრო ბალანსი, რომელიც ჩვენს ქვეყანას აქვს. მართალია, სახელმწიფო პრიორიტეტად, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებას ასახელებს, მაგრამ რეალურად, საკვებს უფრო მეტს ვყიდულობთ, ვიდრე ვაწარმოებთ. ეს კი

იმას ნიშნავს, რომ ბალანსი დარღვეულია. სწორედ ეს არის პარადოქსი. ამ საკითხებზე მხოლოდ დეკლარირების დონეზე ლაპარაკი ყოვლად დაუშვებელია.

— **მაინც, რატომ არ ერევიან უფრო აქტიურად ქართველი ბიზნესმენები ამ პროცესში და არ ცდილობენ, უფრო მეტი ინვესტიციის განხორციელებას საკუთარ ქვეყანაში? ხომ არ შეიძლება, ამისთვის პასუხისმგებლობა მხოლოდ ხელისუფლებას დაეკისროს?**

— რა თქმა უნდა, არა. მეც სწორედ ამას ვამბობ, რომ მხოლოდ ხელისუფლება ვერ იქნება ამაში დამნაშავე. აქ ბევრი სხვა ფაქტორიცაა, თუნდაც ბანკები. ვთქვათ, ვინმე ჭკვიანმა ადამიანმა მოახერხა, შეიმუშავა პროექტი და მოიძია ფული წარმოების დასაწყებად; რა ხდება ამ დროს? ბანკი, რომელმაც გამტარი ოპერატორის როლი უნდა შეასრულოს, იმდენად მაღალ პროცენტს ითხოვს მომსახურებისთვის, რომ ბევრი იძულებულია, უარი განაცხადოს ამ იდეის განხორციელებაზე. სწორედ ესაა პარადოქსი: ერთი მხრივ, იაფ კრედიტზე ლაპარაკობდე, რომელიც ეკონომიკის განვითარებას შეუწყობს ხელს და შემდეგ ამ ფულის მოპოვებას აძვირებდე. გარდა ამისა, ჩვენში ბიზნესის განვითარების საწინააღმდეგოდ მოქმედებს თუნდაც არსებული საგადასახადო სისტემა. რეალურად, არ არსებობს სერიოზული ბიზნესი, რომელიც პირველი 3 წლის განმავლობაში მოგებაზე მუშაობს. ამ ხნის მანძილზე შემოსული თანხებით ის უნდა ახორციელებდეს რეინვესტიციას, დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას და მხოლოდ ამის შემდეგ იქმნება საკმაო საფუძველი, რომ მისი საქმიანობა უფრო პერსპექტიული გახდეს, რომელშიც თუნდაც იგივე ბანკები უფრო მშვიდად ჩადებენ ფულს. ყველაფერი ეს გამოიწვევს სტაბილურობას, რომელიც თავის მხრივ საპროცენტო განაკვეთებსაც შეამცირებს. მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენთან არ არსებობს ბიზნესის განვითარებაზე მორგებული კანონი. აქ ბიზნესმენი მოგების გადასახადს პირველი დღიდანვე იხდის, — მაშინ, როდესაც მსოფლიოში მოქმედებს კარგად აპრობირებული მეთოდი, რომლის მიხედვითაც, კომპანიები პირველი 3 წლის განმავლობაში გათავისუფლებულნი არიან მოგების გადასახადისგან. ამ თანხებს კი ისინი გაფართოებისა და ბიზნესის გამსხვილებისთვის იყენებენ. რაც შეეხება ბიუჯეტს: ყოველი დამატებითი სამუშაო ადგილი ხომ დამატებითი ხელფასია, დამატებითი ხელფასი კი — დამატებითი შემოსავალი ბიუჯეტში.

— **მმართველი პარტიის წარმომადგენლები ხშირად სდებენ ბრალს ოპოზიციურ ძალებს იმაში, რომ მას არანაირი პროგრამა არ გააჩნია. თქვენ რას უპირისპირებთ თუნდაც თქვენს კონკურენტ კანდიდატებს ისნის რაიონში?**

— კონკრეტულად ჩვენს შემთხვევაში, მინდა გითხრათ, რომ დიდ გაუგებრობასთან გვაქვს საქმე. ავლაბრის განაშენიანების ჩვენ მიერ შემუშავებული პროექტი, „ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარმა კანდიდატმა საკუთარი წინასაარჩევნო პიარ-კამპანიის მიზნით გამოიყენა. რეალურად, ჩვენმა კომპანიამ შექმნა ალიანსი „არსსა“ და „სასკოსთან“ ერთად. ჩამოყვანილი გვყავდა 13 ყველაზე ცნობილი არქიტექტორი და შევიმუშავეთ განაშენიანების ერთობლივი გეგმა. ამ დროს, გიორგი გოგუაძე თავის სარეკლამო რგოლში მთელ ჩვენს ნაშრომს, როგორც საკუთარ იდეას, ისე წარმოაჩენს. სად — ბანკირი და სად — განაშენიანება?.. მით უმეტეს, რომ არც ერთ დასახელებულ კომპანიას არ ჰქონია „სახალხო ბანკთან“ ურთიერთობა. ამ პროექტის დამფინანსებლებადაც, ძირითადად, „თიბისი ბანკი“, ბანკი „რესპუბლიკა“ და „საქართველოს ბანკი“ მოიაზრებოდნენ და არა „სახალხო ბანკი“. ეს უკანასკნელი, რამდენადაც ვიცი, სახელმწიფო ფულის განკარგვითა და პენსიების დარიგებით არის დაკავებული, თუმცა ამ მხრივაც გარკვეული პრობლემები აქვს. სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ ავლაბრის განაშენიანების ინიციატივა კომპანია „ლიბოს“ ეკუთვნის.

— **დღეს არავინ დაობს იმაზე, რომ სახელმწიფოს წინაშე ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა. თქვენი აზრით, რა უნდა გაკეთდეს საიმისოდ, რომ ამ მიმართულებით რეალურ შედეგებს მივაღწიოთ?**

— ეკონომიკური საკითხები, უმუშევრობა თუ სხვა სოციალური პრობლემები — ყველაფერი ეს ირიბად არის მიბმული აფხაზეთის თემასთან. თუნდაც ეკონომიკური განვითარების საკითხებშიც საკმაოდ გვზღუდავს დაკარგული ტერიტორიების არსებობა, სხვას რომ თავი დავანებოთ. მაგრამ უნდა ითქვას, რომ რაიმე ინიციატივა ამ პრობლემის მოგვარებასთან დაკავშირებით არ გვსმენია, არა მარტო ბოლო 4 წლის განმავლობაში, არამედ მთელი ამ 15 წლის მანძილზე. სამწუხაროდ, ყოველთვის იმის იმედად ვართ, რომ ვინმე მოვა და სიტუაციას დაგვირეგულირებს. მაგრამ რეალურად, მე ვფიქრობ, ისევ ჩვენი, ქართველებისა და აფხაზების გადასაწყვეტია ჩვენი ურთიერთობა. მათი ძირითადი მოთხოვნა უკვე ვიცით, რომელიც წლიდან წლამდე უფრო მძაფრდება: ვთქვათ, თუ თავიდან მხოლოდ ავტონომიაზე იყო ლაპარაკი, შემდეგ კონფედერაციაზე გადავიდნენ, შემდეგ — ფედერაციაზე და დღეს უკვე სრულ დამოუკიდებლობას ითხოვენ... საერთოდ, არსებობს საშიშროება, რომ რუსეთმა საბოლოოდ მიიერთოს აფხაზეთი, რაც ყველაზე დიდი ტრაგედია იქნება, როგორც ქართველი, ასევე აფხაზი ხალხისთვის. ჩემი აზრით, პრობლემის მოგვარებაში ძალზე მნიშვნელოვანი როლი ბიზნესსაც შეუძლია შეასრულოს. უნდა დამყარდეს (აქამდეც უნდა დამყარებულიყო) ეკონომიკური კავშირები აფხაზეთის ტერიტორიასთან. როდესაც სახელმწიფომ დევნილი მოსახლეობის ქონების აღწერა განახორციელა, ვიფიქრე, რომ ეს რაღაც კონკრეტულ მიზანს ემსახურებოდა. მაგრამ რა? — ყველამ დაივიწყა ეს ამბავი. თუ თბილისში, ქართველი ბიზნესმენები უძრავ ქონებაში თავისუფლად აბანდებენ ფულს, რატომ არ შეიძლება, იგივე გავაკეთოთ აფხაზეთის ტერიტორიაზე? ამით ჩვენ დავამტკიცებთ, რომ რეალურად გვჯერა იქ დაბრუნების. ხომ ყიდულობენ რუსები იქ ყველაფერს, რაც იყიდება! გამოდის, მათ ჩვენზე მეტად სწამთ, რომ ეს მდიდარი ტერიტორია მათი საკუთრება გახდება, ჩვენ კი, კონკრეტული ნაბიჯების ნაცვლად, მხოლოდ რაღაც დეკლარაციებს ვაკეთებთ. აუცილებელია, რომ ბიზნესი აქტიურად ჩაერთოს ამ პროცესებში, რა თქმა უნდა, ხელისუფლების ხელშეწყობით. უნდა მოხდეს ჩვენი ტერიტორიების ეტაპობრივი „გამოსყიდვა“, თუნდაც საინვესტიციო პროგრამების განხორციელების გზით.

— **რეალურად, შესაძლებლად მიგაჩნიათ, აფხაზეთში ქართველი ბიზნესმენების მხრიდან ინვესტიციების განხორციელება?**

— მე ვფიქრობ, თავისუფლად შესაძლებელია. თავიდან შეიძლება, ეს უცხოური კომპანიების სახელით მოხდეს, როგორც ამას მრავალი ჩვენი თანამემამულე ჩვენსავე ტერიტორიაზე ახორციელებს, მაგრამ შემდეგ, ერთიანი ძალისხმევის შედეგად, ვფიქრობ, ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგება. თუ გვჯერა, რომ ოდესმე ამ რეგიონს დავიბრუნებთ, მაშინ, არც იქ ფულის დაბანდების უნდა გვეშინოდეს... ■



**ლალი მოროშკინა, ჟურნალისტი:**

– საერთოდ, ჟურნალებს თავისუფალი დროის უქონლობის გამო, ნაკლებად ვკითხულობ, თუმცა როცა საგაზეთო ჯიხურთან ჩავივლი და ჟურნალების გარეკანებზე ჩემთვის საინტერესო ადამიანების ფოტოებს ვიხილავ, აუცილებლად ვყიდულობ და ვკითხულობ. რაც შეეხება ჟურნალ „გზას“, მიმაჩნია, რომ ის განსხვავებულია. მასში, გარდა „ყვითელი“ მასალებისა, ისეთი სტატიებიც იბეჭდება, რომლებიც მკითხველს ბევრ საინტერესო რამეს ასწავლის... ამიტომ, მინდა, რომ წარმატებული იყოთ და სოლიდური ტირაჟი გქონდეთ! ■

# არჩევნების ღამეს ცენტრალურ შტაბში...

## „მაქსიმალურად ორგანიზებულები ვართ“

**როგორც ცნობილია, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელი მეთიუ ბრაიზა მორიგი ვიზიტისას, აფხაზეთში გახლდათ ჩასული, მაგრამ ამასთანავე, თბილისში, ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლებს შეხვდა და ოპოზიციას პირობაც მისცა, რომ ყველაფერს გააკეთებს საქართველოში დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად. გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის, სალომე ზურაბიშვილის აზრით კი, თუ ვინმეს შეუძლია, ასეთი პირობა დადოს, ეს ყველაზე ნაკლებად ითქმის ამერიკის მოქალაქეზე, თუნდაც ეს, სახელმწიფო მდივნის მოადგილის თანაშემწე იყოს...**



*შორენა ჭუმბურიძე*

— **ქალბატონო სალომე, როგორ შეაფასებდით მეთიუ ბრაიზას ვიზიტს? გაამართლა თუ არა მასთან შეხვედრამ ოპოზიციის იმედები?**

— ეს შეხვედრები, თავისი შინაარსით, საერთოდ, ძალზე რუტინულია. როდესაც ჩამოდის მეთიუ ბრაიზა, ის ყოველთვის ხვდება ოპოზიციის წარმომადგენლებს. ბრაიზასაგან ჩვენ სხვას არც არაფერს ველოდით, გარდა იმისა, რომ მოესმინა ჩვენი მოსაზრებები. ჩვენ ასევე ვთხოვეთ მას, რომ ამერიკის ის ნაადრევი შეფასებები, რომელსაც ადგილი ჰქონდა 5 იანვრის არჩევნების დროს, ამჯერად აღარ გამეორდეს და მსგავს საკითხებში უფრო მეტი სიფრთხილე გამოიჩინონ.

— **შეხვედრამდე გაკეთებული განცხადების მიხედვით, გსურდათ, მეთიუ ბრაიზასთვის ჩამოგერთმიათ პირობა, რომ არჩევნები საქართველოში აღარ გაყალბდება...**

— ეს რთული მომენტია: როგორ უნდა დაადასტუროს უცხოელმა, რომ ჩვენთან არ მოხდება არჩევნების გაყალბება?!. სხვათა შორის, არც არავინ ეკითხება ამას. ჩვენ თვითონ უნდა ავიღოთ პასუხისმგებლობა ჩვენს თავზე, სხვების იმედზე არ უნდა ვიყოთ და საკუთარი თავი თავადვე დავიცვათ. რა თქმა უნდა, ამერიკელების პოზიცია ალბათ, აღარ იქნება ისეთი კეთილგანწყობილი ამ ხელისუფლებისადმი, როგორიც იყო თუნდაც საპრეზიდენტო არჩევნებამდე. ახლა უფრო დაკვირვებულები იქნებიან. მაგრამ ეს მაინც არ ცვლის მთავარს — არ დავუშვათ ხმების გაყალბება.

— **შეგიძლიათ თქვათ, რომ ახლა უფრო მომზადებული ხართ ამ მხრივ, ვიდრე იყავით თუნდაც 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების დროს?**

— რა თქმა უნდა, ბევრი რამ იქნა გათვალისწინებული. თუნდაც ის ფაქტი, რომ რეგიონებში მეტი ზეწოლა ხდება ადგილობრივ მოქალაქეებზე, მათ მიერ დამკვირვებლის მისიის შესრულების დროს. ამიტომ ჩვენ დავინახეთ საჭიროება, ისინი სხვადასხვა რაიონში უშუალოდ არჩევნების დღეს გადავანაწილოთ. ასევე გათვალისწინებული იყო კომისიის წევრების ფაქტორიც: ის ადამიანები, რომლებმაც ვერ ან არ დაიცვეს ხმები წინა არჩევნებზე, შევცვალეთ უფრო საიმედო კანდიდატებით. გარდა ამისა, ჩვენ მაქსიმალურად ორგანიზებულები ვართ და არჩევნების ღამეს ცენტრალურ შტაბში პარალელურად იწარმოებს ხმების დათვლა, რომ არ მოხდეს უბნიდან ოლქამდე თუ ოლქიდან ცენტრალურ საარჩევნო კომისიამდე მათი დაკარგვა. მოკლედ, რაც შეგვიძლია, ყველაფერს ვაკეთებთ. მაგრამ მარტო ჩვენ ვერაფერს გავხდებით, ვერც პოლიტიკური პარტიები და ვერც მაჟორიტარები, თუ თითოეულმა ამომრჩეველმა არ მიიღო უშუალო მონაწილეობა საკუთარი ხმის დაცვაში. სასურველია, ამ დღეს ჩვენი მომხრეები, ერთმანეთის მონაცვლეობით, გამუდმებით მორიგეობდნენ საარჩევნო უბნების წინ და ნებისმიერი საეჭვო სიტუაციის შესახებ დაუყოვნებლივ გვაცნობონ. ამით ხელს შევუშლით ე.წ. „კარუსელს“. გარდა ამისა, კარგი იქნება, თუ ამომრჩეველთა ერთი ჯგუფი, უბნის დაკეტვის შემდეგ, ხმის დათვლის პროცესის დროსაც, იმორიგევებს შენობის წინ და ამით ფსიქოლოგიურ ზეწოლას მოახდენს კომისიის იმ წევრებზე, რომლებიც შეიძლება, შედარებით სუსტები აღმოჩნდნენ და გარკვეულ დათმობებზე წავიდნენ, ხელისუფლების სასარგებლოდ. მნიშვნელოვანია მათ იგრძნონ, რომ ასეთი ტიპის დათმობები, შეცდომა კი არა, გაყალბებაში მონაწილეობის მიღება და ქვეყნის წინაშე ჩადენილი დანაშაულია. ■

**წინასაარჩევნო პერიოდში, ყველა პარტიის ლიდერი თუ მაჟორიტარობის კანდიდატი ცდილობს, მაქსიმალურად გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები, დააჯეროს ამომრჩევლები, რომ სწორედ მას უნდა მისცენ ხმა და ხშირად, მოულოდნელ განცხადებებსაც აკეთებს. ამ მხრივ, გამორჩეული იყო გია მაისაშვილის სატელევიზიო გამოსვლა, რომელშიც ის პრეზიდენტთან ოპოზიციონერთა ერთი ნაწილის ურთიერთობას შეეხო...**

# გია მაისაშვილი:

## „შავი პიარი“ დამი პირისპირეს — „მაისაშვილი დაფრინავს“!..

*არჩილ ჩხარტიშვილი*

— **ბატონო გია, რა გამოხმაურება მოჰყვა თქვენს ცნობილ განცხადებას? დასახელებული კოლეგებიდან ხომ არ დაგეკონტაქტათ ვინმე?**

— არა, არავინ. ვინ უნდა დამკავშირებოდა — გაჩეჩილაძე? უსუფაშვილი?.. მათ ხომ ყველაზე კარგად იციან, რომ სიმართლე ვთქვი. თვითონაც ხომ განაცხადეს ადრე იმის შესახებ, რომ მიხეილ სააკაშვილს ხვდებოდნენ. რაც შეეხება ჩემს განცხადებას, — ყველამ კარგად დაინახა, რომ მე ნაკლებად მსიამოვნებდა ამ საკითხზე შეჩერება: ჩემი მხრიდან ეს, კონკურენტებისთვის გამიზნული დარტყმა არ იყო, უბრალოდ, თემამ, საუბარმა მოიტანა.

— **თქვენი აზრით, რატომ ჩამოაგდო ამ თემაზე საუბარი სააკაშვილმა თქვენთან შეხვედრის დროს? რა მიზანი შეიძლება ჰქონოდა მას — ოპოზიციის დისკრედიტაციის მცდელობა თუ თქვენ შორის უთანხმოების გაღრმავება?**

— არც ერთი და არც მეორე. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია. სააკაშვილი იმდენად თავისთავად და ბუნებრივად შეეხო წამიერად ამ თემას, რომ არა მგონია, ამის მიღმა მას სერიოზული გათვლები ჰქონოდა.

— **რას ელოდით სააკაშვილთან შეხვედრისგან? გქონდათ იმედი, რომ დაგიჯერებდათ და თქვენს მოსაზრებებს გაითვალისწინებდა?**

— ამის ილუზია არ მქონია. ჩემთვის მთავარი იყო შეხვედრის თემა — აფხაზეთი. ასეთი გართულებული პოლიტიკური ვითარების ფონზე, მინდოდა, მისთვის სამუშაო ჯგუფების შექმნა შემეთავაზებინა და ისეთი საზოგადო მოღვაწეების აქტიურად ჩართვა ამ საქმეში, რომელთაც ყველა ენდობა, რომელთა სიტყვასაც ქართველებიც უსმენენ და აფხაზებიც... მე სააკაშვილს არ შევხვედრივარ ჩუმად და ფარულად.

— **კი, ბატონო, მაგრამ რას იტყვით იმ მოსაზრებაზე, რომ სააკაშვილს ოპოზიციასთან კონსულტაცია**

**და თანამშრომლობა (თუნდაც აფხაზეთთან დაკავშირებით) მხოლოდ წინასაარჩევნოდ ახსენდება ხოლმე?**

— ნამდვილად ობიექტური შეფასებაა, მაგრამ მე მაინც მცირედი შანსის გაშვებაც არ მინდოდა ხელიდან, იქნებ, ერთი პატარა ნაბიჯი მაინც გადაგვედგა აფხაზეთისკენ, მაგრამ...

— **მოდი, თქვენს ეკონომიკურ პროგრამას შევეხოთ. თქვენ სააკაშვილის თანამებრძოლი იყავით. გამორიცხულია, რომ ის დეტალურად არ იცნობდეს თქვენს პროგრამას. თუ ასეთი ეკონომიკური სასწაულის მოხდენაა შესაძლებელი, რატომ არ ფიქრობს მის განხორციელებას პრეზიდენტი?**

— იცით, რა, მე ზუსტად ვიცი, რომ პირადად სააკაშვილი სიამოვნებით განახორციელებდა ამ პროგრამას, მაგრამ ყოველივე ამას „ბლოკავენ“ ის ბნელი ძალები, რომლებიც მას გარს ახვევია — ბენდუქიძეები, ბოკერიები, თარგამაძეები... ამიტომაც არის საჭირო ხელისუფლების გაწმენდა ამ ბოროტი ძალებისგან, თუკი გვინდა, რომ ჩემი პროგრამის ამუშავება შესაძლებელი გახდეს.

— **მაგრამ ჯერჯერობით თქვენი რეიტინგი ჩამოუვარდება თუნდაც დანარჩენი ოპოზიციური ძალების რეიტინგს. თქვენ „ქართული პიარის“ წესებით არ მოქმედებთ, არ იძლევით მარტივ დაპირებებს. თუ გაქვთ წარმატების იმედი?**



— ის, რაც თქვენ ჩამოთვალეთ, წარმოადგენს ფუნდამენტურ განსხვავებას არა მხოლოდ ჩემსა და დღევანდელ ხელისუფლებას შორის, არამედ ჩემსა და დანარჩენ ოპოზიციას შორისაც. საქართველოში ხალხს უკიდურესად დაუმახინჯეს მენტალიტეტი. ამომრჩეველს ელემენტარულად, „ყიდულობენ“: ზოგი — ერთი ტომარა ფქვილით ან დაგებული ასფალტით, ზოგი — მოკლევადიანი დაპირებებით. ეს არ არის ჩემი გზა. მეც რომ ასე მოვიქცე, მოკლევადიან მიზანს ნამდვილად მივაღწევ, პარლამენტშიც მოვხვდები, მაგრამ გავხდები ისეთივე, როგორებიც ისინი არიან, გრძელვადიანი და ყველაზე კეთილშობილური მიზნები კი მიუღწეველი დარჩება, დამახინჯებული მენტალიტეტი — შეუცვლელი. დამახინჯებული მენტალიტეტის შეცვლა სწრაფად არ ხდება.

— **ხომ არ მიგაჩნიათ, რომ ცოტა გვიან ჩაებით წინასაარჩევნო პროცესში? მით უმეტეს, თავადვე ამბობთ, რომ დამახინჯებული მენტალიტეტის გამო, ხალხმა შეიძლება, სხვა ძალებს დაუჭიროს მხარი?**

— საბურთალოზე გამარჯვების იმედი ნამდვილად მაქვს, ამას ჩვენი კვლევებიც ადასტურებს... რაც შეეხება დაგვიანებას, — შეიძლება, ასეც იყოს... თანაც, მოგეხსენებათ, როგორი „შავი პიარი“ დამიპირისპირეს — „მაისაშვილი დაფრინავს“!.. ჩემთვის ეს აბსოლუტურად გასაგებია, რადგანაც ჩემზე ვერ იტყვიან, რომ ვარ კორუმპირებული, მოპარული მაქვს მილიონები, ვერ ვერკვევი ეკონომიკაში და არა ვარ კანონმორჩილი... ერთადერთი, რაც შეუძლიათ დამიპირისპირონ, არის ჩემი და ჩემი პროგრამის აბუჩად აგდება, არასერიოზული იმიჯის შექმნა. ოთხი ტელეკომპანია ამას ყოველდღე აკეთებს... მე მაინც ქართველი ამომრჩევლის გონიერების იმედი მაქვს. მაგრამ თუ დავმარცხდი, ალბათ, წავალ აქტიური პოლიტიკიდან. ■



# რუსეთის პრეზიდენტი „ასპროცენტიანი ქალწული“ არ არის

დმიტრი მედვედევი უკვე ოფიციალურად გახდა სახელმწიფოს პირველი პირი. ინაუგურაციის წინ პეტერბურგელმა ასტროლოგებმა პრეზიდენტის პერსონალურ ვარსკვლავურ რუკას გადახედეს და აღმოაჩინეს, რომ ახალი მმართველი მის ამომრჩეველ ქვეყანასთან სრულ ასტრალურ ჰარმონიაში იმყოფება.

როგორც საქმეში ჩახედულნი ირწმუნებიან, ასტროლოგიას აბსოლუტურად ყველაფერი — სახელმწიფოცა და ცალკეული პიროვნებებიც, ფინანსური ბაზრებიცა და ბუნებრივი კატაკლიზმებიც ერთნაირად ექვემდებარება. 2008 წელს რუსეთისთვის ერთი მხრივ, „რაღაც ახალი და პოზიტიური მოაქვს“, ხოლო მეორე მხრივ, ის „დეკაბრისტების“ აჯანყებით ცნობილ 1825 წელსაც ძალზე ჰგავს. რამ შეიძლება წლის ბოლოსთვის ხელისუფლებასთან საზოგადოების ერთგვარ კონფრონტაციაზე მიგვანიშნოს?

„წინასწარმეტყველთათვის ჩვეული ისტერიკულობისთვის თავის არიდების დიდი სურვილის მიუხედავად, მაინც აქედანვე ვაფრთხილებ ახლანდელ მმართველებს — არ მოდუნდნენ და არ იფიქრონ, რომ ახლანდელი სტაბილურობა მარადიულად გაგრძელდება. ისინი მუდმივად უნდა გრძნობდნენ საზოგადოებრივი განწყობილებების პულსს და შიდა უთანხმოებებითა და პარტიული მშენებლობით ზედმეტად არ უნდა გაერთონ“, — თავადაც ფრთხილობს ასტროლოგი ალექსეი გოლოუშკინი. მისი კოლეგის, ალა ივანოვსკაიას აზრით, ახალარჩეული პრეზიდენტი რთულ პოლიტიკურ ამოცანებს წარმატებით გაუმკლავდება. მის ასტრალურ რუკაზე ხომ უმაღლესი პლანეტები — ნეპტუნი და პლუტონია ამოქმედებული, რაც იმას ნიშნავს, რომ დმიტრი მედვედევს უმაღლესი იდეალების ერთგულება სჩვევია. ივანოვსკაიას თქმითვე, ახალ პრეზიდენტს აქვს ვარსკვლავური რუკა, რომელიც რუსეთის რუკას ქვეყნის ყველა წინა მმართველის რუკაზე მეტად ემთხვევა. ასტროლოგი ირწმუნება, რომ მედვედევი თვით ბედისწერითაა მოწოდებული იმის

## ნიკა ქავთარაძე, შოუმენი:



— თითქმის ყველა ჟურნალს ვკითხულობ, რაც ჩვენში გამოდის, რადგანაც მათში ხან ჩემი, ხან ჩემი მეგობრების ინტერვიუები იბეჭდება. ასეთი მიზეზი ღმერთმა არც გამოგვილიოს (დაე, მე და ჩემი მეგობრები მუდმივად ვიბეჭდებოდეთ ჟურნალების პირველ გვერდებზე), რატომაც არა?!. მაგრამ ახლა რის თქმასაც ვაპირებ, ძალიან მინდა, რომ ის საწყენი არ იყოს არც თქვენი რედაქციისთვის და არც ჟურნალისტებისთვის. უბრალოდ, ჩემს მეგობრულ რჩევად მიიღეთ: ჟურნალისტებს პროფესიონალიზმი აკლიათ. ხშირად, ინტერვიუზე მისულებს, კონკრეტული მიზანი არ გააჩნიათ, რაც, რა თქმა უნდა, დაბეჭდილ მასალასაც ეტყობა. ყველა ინტერვიუ თითქმის ერთმანეთს ჰგავს. ამას ზოგადად, საქართველოში არსებული პრობლემები იწვევს... მაგრამ ვფიქრობ, რომ თქვენი ჟურნალის სტაბილური პოზიცია უკვე უნდა გაძლევდეთ სხვა შემოქმედებით ეტაპზე გადასვლის საშუალებას. საჭიროა მეტი კრიტიკული მასალა, მეტი მყარად და მკაფიოდ დაფიქსირებული საზოგადოებრივი პოზიცია, მეტი ბასრი კალამი, მეტი ავანტიურა, რომ უფრო მეტად დაიმკვიდროთ ადგილი ქართულ ბეჭდურ მედიაში. მდორე ნაკადიდან სხვა, უფრო ექსპერიმენტულ ნაკადში უნდა გადაინაცვლოთ, რაც ვფიქრობ, ბევრად საინტერესო იქნება... ■

გადასაწყვეტად, რაც რუსეთის უკანასკნელმა იმპერატორმა ნიკოლოზ II-მ საკუთარი პიროვნული თვისებების გამო ვერ შეძლო: „ყოველ ადამიანს ე.წ. შავი მთვარე, ერთგვარი მტკივნეული წერტილი აქვს, რომელიც მას მთელი სიცოცხლის მანძილზე აწუხებს, — განმარტავს ივანოვსკაია, — მედვედევს და ნიკოლოზ II-ს კი ეს მთვარე მერწყულში და თვით ერთსა და იმავე გრადუსშიც კი აქვთ“. ქვეყნის ორივე მმართველს პიროვნების თავისუფლების, ზნეობრივი იდეალების დაცვის საკითხი აწუხებს. ჰოროსკოპების „წამკითხველთა“ აზრით, ახალი პრეზიდენტი „საზოგადოებაში ყოველი ინდივიდისადმი, როგორც განსაკუთრებული ღირებულებისადმი, პატივისცემის დანერგვას“ შეძლებს. ხოლო იმის საფრთხეს, რომ შეიძლება, მედვედევს ნიკოლოზ II-სავით, ტრაგიკული ბედიც ჰქონდეს, ასტროლოგები კატეგორიულად გამორიცხავენ. ისე, თუ რუსეთის ახალი პრეზიდენტის თანდაყოლილ სიფრთხილეს (რაზეც ვარსკვლავებიც მიუთითებენ) გავითვალისწინებთ, ეს ალბათ, ასეც იქნება.

მედვედევი ჰოროსკოპის მიხედვით ქალწულია. ამ ნიშანს კი იერარქიის პატივისცემა, სისტემაში ჩართვის ნიჭი, რუტინული საქმიანობის უნარი და სხვისი აზრის გათვალისწინება სჩვევია. „ქალწულები შესანიშნავი ორგანიზატორები, საქმის იდეალური შემსრულებლები არიან და ხშირ-



ად მათ „ნაცრისფერ თაგუნებსაც“ უწოდებენ, — განმარტავს ასროლოგი ეკატერინა ვიშნევსკაია. თუმცა სულაც არაა აუცილებელი, რომ ახალარჩეული „დათვი“ უცილობლად, „თაგუნაც“ აღმოჩნდეს. — ზოდიაქოს ნიშნის საერთო დახასიათებას პიროვნების ინდივიდუალური ნიშნებიც ყოველთვის თან ერთვის, — აზუსტებს ვიშნევსკაია. — ამდენად, მედვედევი არც მთლად ასპროცენტიანი ქალწული გახლავთ და არც სიურპრიზების მოწყობის უნარსაა მოკლებული. და კიდევ, რაოდენ უჩვეულოდაც უნდა მოგეჩვენოთ, რუსეთის დესპოტი მმართველი ივანე მრისხანეც ზოდიაქოს „ქალური“ ნიშნით იყო დაბადებული.

**Утро.ru (რუსეთი)**

*რუბრიკის გაგრძელება იხ. გვ. 92*



# „სვეტი“ ბებიები, უკბილო „კრასავჩიკი“ და ბუნებრივად აწეწილი „პრიჩო“

## „დაკიდეთ ყურმილი, თორემ ენას ამოგაძრობთ!..“

**ტელეფონით ლაპარაკი ზოგს მანიად რომ აქვს ქცეული, ეს ახალი ამბავი არ არის, მაგრამ მე ეს არასდროს მხიბლავდა და ვცდილობდი, ვისაც უნდა დაერეკა, ტელეფონი მალევე გამეთიშა. მაგრამ ბოლო დროს ამ საქმემ მეც გამიტაცა. თუმცა, სხვებისგან განსხვავებით, ახლობლებს კი არ ვეჭორავები, არამედ ვიღაცების ლაპარაკს ვუგდებ ყურს. არა, ასინეთა არ გეგონოთ, უბრალოდ, ტელეფონომანიამ ჩემდა უნებურად შემიპყრო...**



*ლიკა ქაჯაია*

ბინაში, სადაც საცხოვრებლად ახლახან გადავედი, „ძველი ქსელი“ დამხვდა. ჰოდა, ყურმილი რა დროსაც უნდა ამეღო, ვიღაცების ლაპარაკი მესმოდა. თავიდან, ამის გამო ვბრაზობდი, მაგრამ ერთხელ, ორი მოხუცი ქალბატონის საუბარში ჩემდა უნებურად ჩავერთე და მათმა ლაპარაკმა ისე გამიტაცა, რომ სანამ ერთმანეთს არ დაემშვიდობნენ, სულგანაბული ვუსმენდი და როცა ყურმილი დაკიდეს, გული დამწყდა. ამ ამბის შემდეგ მივხვდი, რომ ტელეფონის წყალობით ბევრი სახალისო ამბის მოსმენა შეიძლებოდა და ამ ცდუნებას ვეღარ გავუძელი. მოკლედ, „ძველი ქსელის“ მიმართ სიბრაზემ გადამიარა და ის ახლა ისე მიყვარს, რომ თუ „ახალზე“ გადავალთ, ძალიან მოვიწყენ, ნიანგის ცრემლებს გადმოვყრი (თუ ვიშოვე) და ვიყვირებ: „მე ახალი არ მინდა, ძველი მირჩევნია!..“

ახლა, სწორედ იმ 2 ქალბატონის საუბრის ჩანაწერს შემოგთავაზებთ, რომლებმაც ტელეფონს მიმაჯაჭვეს, იმ იმედით, რომ კიდევ ბევრ მსგავს სახალისო ამბავს მოვისმენდი და თქვენც გაგამხიარულებდით. მათი ხმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, 60 წელს გადაცილებული მანდილოსნები იყვნენ და ლაპარაკისას რუსულ სიტყვებს ხშირ-ხშირად იშველიებდნენ.

— ჩემო „კრასავიცა“, ნაოჭები ხომ არ გაგიჩნდა?

— შენი დაკარგვის შემდეგ, ჩემს სახეზე 2 ნაოჭი აღმოვაჩინე (*იცინიან*). მარიშ, იცი, რატომ გირეკავ?

— არა, ხომ მშვიდობაა? ბავშვები ხომ კარგად არიან?

— ბავშვები კი არა, ისეთ ამბავს გეტყვი, გაოცებისგან პირს დააღებ. იცი, ვინ ვნახე?

— ნუ გამიხეთქე გული, თქვი, რა იყო, შე ქალო?!

— მიშა ვნახე, თავის გაბღენძილ სასაცილო ცოლთან ერთად (*იცინის*).

— ოჰ, რას ამბობ, ძვირფასო. სად ნახე? ისინი თბილისში ცხოვრობენ? როგორ გამოიყურება?

— საშინლად, სა-შინ-ლად... ისე, მეტის ღირსიც არაა. ვისში გამცვალა, მაგ არაკაცმა!..

— (*აწყვეტინებს*) აბა, აბა, კაცებს ტვინი რომ ჰქონდეთ, მე გაუთხოვარი ვიქნებოდი?

— ეჰ, ჩემო მარიშ, რას იზამ... ჰოდა, მაცალე, მგონი, საცოდავს პროთეზის ფულიც არ აქვს, არც ერთი კბილი არ ჰქონდა.

— უი, საცოდავი. ალბათ, ძალიან დაბერდა! ნეტავ, შვილები ჰყავს?

— ჰყოლია, მაგრამ რად გინდა?! ასე მითხრა, რუსეთში არიანო.

— გოგო, ელაპარაკე კიდეც?

— აბა, რას ვიზამდი?! რომ დამინახა, ჭარხალივით გაწითლდა, დაიბნა. ისე, მეც ამიფართხალდა გული. მისი „ლასტოჩკა“ (*არ ვიცი, აქ რა იგულისხმა... — ავტ.*) რომ მახსენდება, ცუდად ვხდები... მერე, მივედი და გამოველაპარაკე. თავისი ცოლი გამაცნო. ასე უთხრა, — ერთად ვმუშაობდითო.

— ის რატომ არ უთხრა, ერთად ვიწექით და მერე მივატოვეო (*იცინიან*)?

— აბა, აბა... „კრასავიცა“, ვინმე ხომ არ გვისმენს?

— არა მგონია, ვინ უნდა გვისმენდეს?.. მერე, რა მოხდა, რა? „ლასტოჩკა“ არ გაახსენე?

— არა, ქალო, დავიბენი. ხელებიც კი უკანკალებს უკვე. არადა, ხომ გახსოვს, როგორი „კრასავჩიკი“ იყო. მეც კი ამიბნია თავგზა. ცოლი ეჭვიანი მზერით მათვალიერებდა და დააჩქარა: წავიდეთ, გვაგვიანდებაო!

— ისინიც თეატრში ან კინოში არ წასულიყვნენ (*იცინიან*)...

— აბა... ქმარიც მორჩილი ვირივით დაემორჩილა. „კრასავიცა“, კაკო ისევ გაკითხავს?

— აბა, სად წავა?! მოდის, საწყალი, და ახალგაზრდობას იხსენებს. მისი „ლასტოჩკა“

ვის რად უნდა და ისევ ძველ სიყვარულს მაკითხავს, ჩემით ტკბება. გოგო, ლენას ხომ არ დაურეკავს? ჩემკენ აღარ გამოჩენილა.

— ეჰ, არც ჩემთვის დაურეკავს. ეტყობა, პრობლემები აქვს, არადა, რა გოგო იყო! მაგას ასეთი ქმარი უნდა ჰყოლოდა? გახსოვს, „რუსთაველზე" რომ გავივლიდით, ბიჭებს რა ემართებოდათ! ახლა კი ვის რა ჭირად ვუნდივართ?!

— ჩვენი ბრალია ყველაფერი, თორემ ახლა კაცები ხელისგულზე უნდა გვატარებდნენ. სად იყო თავში ჭკუა?.. მოიცა, მგონი, კაკო მოვიდა. მერე დაგირეკავ, ლამაზო, თორემ ხომ იცი, არ უყვარს, ტელეფონზე რომ ვჭორაობ.

— კარგი, კარგი, „ცელუიუ", და აბა, შენ იცი, ახალგაზრდობა გაიხსენე.

— მეც გკოცნი, „ლასტოჩკა"...

ჩემი მეორე „მსხვერპლი", მოდას აყოლილი მეგობრები არიან. მათი დახმარებით, მოდური ტენდენციების შესახებ ბევრი რამ გავიგე...

— ნინომ მითხრა, რომ მაგარ შარვალს შემიკერავს, მაგრამ არ ვიცი, „ზევით" რა ჩავიცვა.

— ე.ი. მაინც გადაწყვიტე, რომ შარვალი ჩაიცვა?

— ჰო, აბა, რა ვქნა? ხომ იცი, მაღალწელიანი იქნება, თითქმის მკერდამდე მომწვდება.

— ქამარიც არ დასჭირდება, არა?

— ჰო, ალბათ. მგონი, ზევით, კორსეტს ჩავიცვამ. გოგო, ყელსაბამის საყიდლად გამომყვები? თეთრი ქვებით გაწყობილი კოლიე მინდა. ხომ იცი, მაგრად მევასება.

— გამოგყვები, მაგრამ არ ვიცი, როდის მოვიცლი. მე ედისთან ვიკერავ ვერცხლისფერ კაბას. მაგრად ბრჭყვიალებს.

— გრძელია? ხომ იცი, ახლა „მინებია" მოდაში.

— კი, მაგრამ გამოსასვლელ კაბას სიგრძე უხდება. მაგარ შავ ქამარს მიკერავს, სუფთა ტყავისგან.

— თეძოზე არ „ჩამოაგდებინო", მკერდთან გაიკეთე. კარგი ტანი გაქვს და მოგიხდება... მე კიდევ ვერ გადავწყვიტე, ეს მელირება გავიკეთო თუ არა...

მათ საუბარში ვიღაც ბიჭი ჩაერთო:

— ალო, ალო...

— ბატონო?..

— დაკიდე, გოგო, ტელეფონი, რა.

— შენ თვითონ დაკიდე, დეგენერატო!

— შენ ჩაგვერთე და ჩვენ გვეჩხუბები?!

— რით ვერ მოიფხანეთ ენები?! 2 საათია, გისმენთ და თქვენ გამო ვერსად ვრეკავ.

— გარეკილი გაქვს და ეგაა (*იცინიან*).

— გოგო, დაკიდეთ ყურმილი, თორემ ენას ამოგაძრობთ!

— ფეხებს მოგვჭამ ძირში!

— ბიჭო, ვისი ხარ, ასეთი მაღალი და „ცისფერი"?

— გოგო, თქვენ რა უბნელები ხართ?

— რა შენი საქმეა?!

— ნინ, სახლის მისამართიც ხომ არ გავუმხილოთ? რა იცი, რაში გამოგვადგება.

— მე თქვენ „ნოტებზე" გალადავებთ, თქვენი...

— ჩვენი კი არა, შენი!.. ბიჭო, სიცოცხლე ხომ არ მოგბეზრდა?! მგონი, ავადმყოფი ხარ და ჩვენ გადაგვეკიდე.

— წადი, სხვა იპოვე. იქნებ გიმკურნალოს (*იცინიან*).

— ფუი, თქვენს ქალობას, თქვენი!..

— ბიჭო, წესიერად ილაპარაკე, გესმის?!

— კაი, ნინ, ტყუილად ლაპარაკობ, მგონი, შეგვეშვა. რას ამბობდი?

— ავადმყოფი იყო, დეგენერატი. ჰო, თმას სად იკეთებ? მე ვართენასთან ვაპირებ მისვლას. ასე მითხრა, შენს თმას ბუნებრივად აწეწილი „პრიჩო" მოუხდებაო.

— აუ, მეც ჩამწეროს, რა. მაგარ რაღაცებს აკეთებს. დაურეკავ?

— კარგი, ხვალ ჩაგწერ. იცი, ახლა იაკოს ველაპარაკე და მგონი, ბანკეტზე მაგარი ბანძი იქნება. სკოლასთან რომ სამკერვალოა, იქ იკერავს. ალბათ, ფაშფაშა კაბას შეუკერავენ, ყვითელი კოპლებით (*იცინიან*). აუ, გიოს, ძმამ მაგარი ფეხსაცმელი გამოუგზავნა, მრგვალი ცხვირით. მაგარი საყვარლობაა.

— იტალიური თუა, მაგარი იქნება. კოსტიუმიც გამოუგზავნა?

— არა, შენი ზომები მე რა ვიციო?! ფული გამოუგზავნა და აქ იყიდის. ხვალ მაღაზიაში უნდა გავყვე. ხომ იცი, რომ მევასება კოსტიუმი და ჰალსტუხი და იცის, რომ მსგავს რაღაცებში ვერკვევი. არ გინდა, შენც წამოხვიდე?

— კარგი, წამოვალ. რომელ საათზე და სად მოვიდე?

— 12-ის ნახევარზე, „პასაჟთან" დაგელოდებით.

— „პაკა".

— „პაკა", „პაკააა"...

არ ვიცი, დედა-შვილის ჩხუბის მოსმენით რამდენად გაერთობით, მაგრამ მათი ლაპარაკის დროს კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების...

— ხომ გაიგონე, რასაც გელაპარაკები?! მამაშენს გადაეცი, რომ მარტო შენ არ ხარ მისი შვილი, შენს დასაც სჭირდება მიხედვა.

— ისევე, როგორც მე მჭირდებოდი ერთ დროს. ახლა, თავს მშვენივრად ვგრძნობ.

— შენი და არ გენატრება?

— მას არ ვენატრები? მოვიდეს და მნახოს.

— ის შენზე პატარაა...

— თითზე არ მიკბინოს, რა!.. ქალო, თავი დაგვანებე, თორემ მამა თუ არა, ჭკუას მე გასწავლი.

— გიო, მე დედა ვარ შენი და მიყვარხარ...

— დედა — არა... შენნაირი დედა არ მჭირდება.

— ასე ნუ მელაპარაკები!

— აბა, როგორ გელაპარაკო? მიგვატოვე და ახლა უსინდისოდ ითხოვ, რომ გარჩინონ. იმან გარჩინოს, ვინც გვამჯობინე.

— მე მამაშენმა მაიძულა, ასე მოვქცეულიყავი.

— შენი მოსმენა არ მინდა, იცოდე, ჭკუიდან გადამიყვან. აქ აღარ დარეკო!

ბიჭმა ყურმილი დაკიდა, დედამისი კი დიდხანს გაიძახოდა: შვილო, შვილო, შვილოო! — მერე კი ტელეფონი მანაც გათიშა. კარგა ხანს ვფიქრობდი ამ დედა-შვილზე, მინდოდა, მათი ცხოვრების დეტალებსაც ჩავწვდომოდი, მაგრამ უეცრად, ვიღაც კაცის ყვირილმა რეალობაში დამაბრუნა:

— ვინ ხარ, შენი!.. დაკიდე-მეთქი ყურმილი, თორემ ისეთს გაგინებ, აუცილებლად მოგივა.

უცებ ვერ მივხვდი, ეს კაცი ვის ეჩხუბებოდა და სულგანაბული ვუცდიდი იდუმალ ხმას, რომელიც ამ კაცს დააშოშმინებდა, მაგრამ რადგან მას არავინ გამოეპასუხა, მივხვდი, რომ მისი გულისწყრომა მე დავიმსახურე და ტელეფონი სასწრაფოდ გავთიშე.

დამერწმუნეთ, გაუმართავი სატელეფონო ქსელის „წყალობით", ბევრ ისეთ ამბავს შეიტყობთ, რაც გაგაოცებთ, სიცილისგან „აგაყირავებთ" და სიმწრისგან ენას მუცელში ჩაგაგდებინებთ. ჩემი ცნობისმოყვარეობის გამო ბევრჯერ გამლანძღეს უცნობმა ადამიანებმა, ბევრჯერ კი სიყვარულით მომიკითხეს, რადგან თავიანთ ახლობლად მიმიჩნიეს და საიდუმლოებებიც გამანდვეს. ისიც გავიგე, რომ ასეთი „საუცხოო" კავშირის მეშვეობით, ბიჭები გოგოებზე (და პირიქით) „ნადირობენ" და საპირისპირო სქესის წარმომადგენლების „შებმასაც" ახერხებენ. შესაძლოა, ამ გზით ოჯახებიც კი შეიქმნა და თუ თქვენ მსგავსი შემთხვევების შესახებ რაიმე იცით, დაგვიკავშირდით — სიამოვნებით დაგითმობთ ჟურნალის ფურცლებს... ■



## ლეონარდო და ვინჩის ხორცშესხმული ოცნება



**შვეიცარიელმა ოლივიე ვიტე-ტეპმა ლეონარდო და ვინჩის ოცნებას შეასხა ხორცი: გულადი გამომცდელი დიდი შემოქმედის ნახაზების მიხედვით დამზადებული პარაშუტით 650 მეტრის სიმაღლიდან გადმოხტა და დედამიწაზე უვნებლად დაეშვა. ეს აპარატი და ვინჩიმ 1485 წელს გამოიგონა. პირამიდის ფორმის პარაშუტი ერთმანეთის ტოლი, ოთხი სამკუთხა ტილოს ნაჭრისგან შეიკერა. და ვინჩის პარაშუტით გადმოხტომა პირველად 2000 წელს ბრიტანელებმა სცადეს. მათ გამოჩენილი იტალიელის გამოგონება ზუსტად გაიმეორეს, მაგრამ ექსპერიმენტი კინაღამ ტრაგედიით დასრულდა. შვეიცარიელმა კონსტრუქტორებმა ბრიტანელთა გამოცდილება გაითვალისწინეს და წარმატებასაც მიაღწიეს.** ■

# „30 წლის წინ, ყველა კითხვაზე უშეცდომოდ ვუპასუხებდი..."

## რას ვერ იხსენებს და რამ დააბნია ცნობილი „რესპუბლიკელი“



**„რესპუბლიკელმა“ ვახტანგ ხმალაძემ წინასაარჩევნო პერიოდში, დატვირთული დღის რეჟიმის მიუხედავად, არ დაიზარა და „ერუდიტში“ შეხვედრაზე დაგვთანხმდა. საარჩევნო შტაბში მოსულს კი მითხრა: წიგნის კითხვა დიდ სიამოვნებას მანიჭებს, ახალგაზრდობაში კარგი მკითხველი ვიყავი, დღეს კი ცუდი მკითხველი ვარო და მიზეზად დროის უქონლობა დაასახელა. კითხვაზე — დრო რომ გქონდეთ, რას წაიკითხავდით? — დაუფიქრებლად მიპასუხა: — წაკითხულ ნაწარმოებებს ხელმეორედ გადავიკითხავდი და როგორც მკითხველი, ფორმაში ჩავდგებოდიო. ვაჟა-ფშაველა, გალაკტიონი, გოგლა ლეონიძე, ანა კალანდაძე, მიხეილ ჯავახიშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე... საყვარელ შემოქმედთა ჩამონათვალი არცთუ ისე მცირეა. თანამედროვე ქართველი მწერლებიდან ძალიან მოსწონს ოთარ ჭილაძე, გურამ დოჩანაშვილი, აკა მორჩილაძე... ამბობს, რომ წიგნი არასდროს მოუპარავს. ლიტერატურული პერსონაჟებიდან მეგობრად დიუმას „სამი მუშკეტერიდან“ ერთ-ერთს — ათოსს ირჩევს.**

*თამუნა კვინიკაძე*

— **რა ჰქვია მეცნიერული ხარისხის მისაღებად წარდგენილ ნაშრომს?**

— დისერტაცია.

— **რომელი ვულკანის ამოფრქვევამ გაანადგურა ქალაქი პომპეი?**

— ვეზუვის.

— **რომელი სრუტე აკავშირებს შავსა და მარმარილოს ზღვებს?**

— დარდანელის თუ ბოსფორის სრუტე, რომელია?

— **ამ ორიდან არჩევანი თქვენ უნდა გააკეთოთ, ერთ-ერთი სწორი პასუხია.**

— (*ფიქრობს*) ბოსფორის სრუტე. გამოვიცანი?

— **დიახ. დაასახელეთ თავისებურება, რომლითაც შავი ზღვა სხვა ზღვებისგან განსხვავდება.**

— იგი 200 მეტრი სიღრმიდან ფსკერამდე, დიდი რაოდენობით გოგირდწყალბადს ანუ მომწამლავ გაზს შეიცავს.

— **დაასახელეთ ცნობილი დამპყრობელი, რომელიც ჩრდილოეთ ჩინეთში შეიჭრა, აიღო პეკინი, დაამარცხა ხორეზმის შაჰი მუჰამედი, მიაღწია რუსეთამდე და 1223 წელს, მდინარე კალვაზე რუსეთის ლაშქარი გაანადგურა. მისი ჯარი საქართველოში პირველად 1220 წელს გამოჩნდა. რომელ დამპყრობელზეა საუბარი?**

— ჩინგიზ-ხანზე.

— **ვინ მეფობდა ამ დროს საქართველოში?**

— ლაშა-გიორგი.

— **რომელ ქალაქში და როდის შეიქმნა ინტერპოლი?**

— ოო! თარიღები ჩემი სუსტი წერტილია. ინტერპოლი კი არა, ზოგჯერ შვილების დაბადების წლებიც კი მავიწყდება (*იცინის*). ცოლი რომელ წელს შევირთე, რომელი შვილი რამდენი წლის შემდეგ შემეძინა, ვანგარიშობ ხოლმე.

— **საინტერესოა, დაქორწინების თარიღს როგორ ითვლით?**

— მარტივად, მახსოვს მაშინ 33 წლის ვიყავი. საკუთარი დაბადების წელი არ მავიწყდება (*იცინის*).

— **ინტერპოლი 1923 წელს ვენაში შეიქმნა. რომელი დინასტიის წარმომადგენელი იყო რიჩარდ IV და როგორ მოკლეს იგი?**

— რიჩარდ IV პლანტაგენეტთა დინასტიის წარმომადგენელი იყო. როგორ მოკლეს, არ ვიცი.

— **იგი 1199 წელს მოწამლული ისრით მოკლეს. ცნობილია, რომ რიჩარდ IV აქტიურად მონაწილეობდა ჯვაროსანთა III ლაშქრობაში. საფრანგეთის მეფე ფილიპე II-სთან ერთად დიდ წარმატებასაც მიაღწია. გასაოცარი სიმამაცისა და შეუპოვრობის გამო მას მეტსახელად უწოდეს...**

— ლომგული.

— **სიქსტის კაპელაში, საკურთხევლის კედელზე არის განთქმული კომპოზიცია, რომელიც 1536-1541 წ.წ. შეიქმნა. მას „განკითხვის დღე“ ჰქვია და ბიბლიურ სიუჟეტს გადმოგვცემს. ვინ არის მისი ავტორი?**

— მიქელანჯელო ბუონაროტი.

— **რა ფერის იყო პირამიდები სამშენებლო მუშაობის დასრულების შემდეგ?**

— არ ვიცი.

— **თეთრი. მოგეხსენებათ, სემირამიდას დაკიდებულ ბაღებში, თითოეულ სართულზე დედოფლის მოსასვენებელი სენაკები იყო მოწყობილი. ზაფხულშიც კი, როცა გარეთ აუტანლად ცხელოდა, პალატებში სასიამოვნოდ გრილოდა. რის საშუალებით მიიღწეოდა ეს?**

— ვერც ამ კითხვაზე გიპასუხებთ.

— **წყლის საშუალებით, რომელიც ტუმბოებით იქაჩებოდა და ტერასებზე ჩამოედინებოდა. რა ჰქვია სოსო ჯაჭვლიანის კინოგმირს ფილმში — „ნატვრის ხე“?**

— გედია.

— **ეს ფილმი ვისი ნაწარმოების მიხედვით არის გადაღებული?**

— გოგლა ლეონიძის.

— **ჩერნენკო, ანდროპოვი, ხრუშჩოვი, ბრეჟნევი — ყოფილი საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნები ჩამოთვალეთ ქრონოლოგიურად.**

— ხრუშჩოვი, ბრეჟნევი, ანდროპოვი და ჩერნენკო.

— **რომელი კუნძულია მაფიის სამშობლოდ მიჩნეული?**

— სიცილია.

— **შექსპირის მშობლიური ქალაქი ინგლისში?**

— იმ ქალაქში ნამყოფი ვარ. (*ფიქრობს*) სახელს ვერ ვიხსენებ.

— **სტრატფორდი. დაასახელეთ ძველი ბერძნული ეპოსის გმირი, მიკენის მეფე, რომელიც ტროას ომში ბერძენთა ლაშქარს მთავარსარდლობდა, ომიდან დაბრუნებული კი მისმა ცოლმა, კლიტემნესტრამ მოკლა.**

— ვერ გიპასუხებთ.

— **აგამემნონი. გადმოცემის მიხედვით, როგორც „ქართლის ცხოვრებაშია“ დაცული, მდინარეების ნაპირას დაბანაკებული არაბთა ლაშქარი წყალდიდობამ იმსხვერპლა. ერთმა მდინარემ, არაბთა ჯარში მყოფი 23000 აბაში (აბასინიელი) წალეკა, ხოლო მეორე მდინარემ 35000 ცხენი დაახრჩო. რას უწოდებენ ამ მდინარეებს დღეს?**

— აბაშისწყალს და ცხენისწყალს.

— **დაასახელეთ სწრაფმავალი დიდი სამხედრო გემი, რომელიც შეიარაღებულია მძლავრი არტილერიით.**

— კრეისერი.

— **ეს ქალაქი წერილობით წყაროებში 1256 წლიდან იხსენიება. იგი გალიჩვოლინის მთავარმა, დანიელ რომანის ძემ დააარსა და „ლევი“ უწოდა. რა ჰქვია დღეს ამ ქალაქს?**

— არ ვიცი.

— **მიგანიშნებთ, ეს ქალაქი 1772-იდან 1918 წლამდე ავსტრიის შემადგენლობაში შედიოდა და „ლემბერგად“ იწოდებოდა.**

— მაინც ვერ მიმახვედრეთ.

— **ლვოვი.**

— ვფიქრობდი, მაგრამ თქვენმა მინიშნებამ დამაბნია. არ ვიცოდი, ოდესმე ეს ქალაქი ავსტრიის შემადგენლობაში თუ შედიოდა.

— **არგენტინა, ბრაზილია, დიდი ბრიტანეთი, ეკვადორი — ჩამოთვლილთაგან ტერიტორიულად რომელია ყველაზე დიდი ქვეყანა?**

— (*ფიქრობს*) ბრაზილია.

— **ანდორა, გვატემალა, ლუქსემბურგი, მონაკო, სინგაპური — რა აქვს საერთო ამ ქვეყნებს?**

— ქალაქი-სახელმწიფოებია. ანუ მათი დედაქალაქები ქვეყნის სახელებს ატარებენ.

— **დაასახელეთ ქალაქი, რომელიც ალმასის საბადოებზეა განლაგებული.**

— სახელწოდებას ვერ ვიხსენებ, მაგრამ ვიცი, რომ იგი სამხრეთ აფრიკის ტერიტორიაზეა.

— **პრეტორია. ამერიკულ დოლარზე გამოსახული პირებიდან, რომელი არ იყო აშშ-ის პრეზიდენტი?**

— ვერ ვიხსენებ.

— **ფრანკლინი. 1945 წელს, რომელი ორგანიზაციით შეიცვალა ერთა ლიგა?**

— გაეროთი.

— **რომელმა ქვეყანამ აჩუქა ამერიკას თავისუფლების ქანდაკება?**

— არ ვიცი და არც არასდროს ვიცოდი.

— **საფრანგეთმა. რომელი ლათინური ასოთი აღინიშნება წყალბადი?**

— H.

— **რომელი სახელმწიფოა II ადგილზე მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით?**

— ინდოეთი.

— **რა ჰქვია თუჯის გამოსადნობ შახტურ ღუმელს?**

— ვერ გეტყვით.

— **ბრძმედი. რომელი ქვეყნის საფეხბურთო გუნდია „გალათასარაი“?**

— თურქეთის.

— **რა გვარის წარმომადგენლები იყვნენ რუსეთის იმპერატორები?**

— რომანოვები.

— **რომელ მხატვარს უძღვნა ალა პუგაჩოვამ ცნობილი სიმღერა მილიონი ვარდის შესახებ?**

— ფიროსმანს.

— **რამდენი და მღეროდა იშხნელების ვოკალურ ანსამბლში?**

— ზუსტად არ მახსოვს, 4 თუ 5.

— **4 და. რომელ სახელმწიფოში ტარდება იურმალის ფესტივალი?**

— (*ფიქრობს*).

— **მიგანიშნებთ, ეს ფესტივალი ბალტიისპირეთის ერთ-ერთ ქვეყანაში ტარდება.**

— ლატვიაში.

— **ვინ დაწერა „მთვარის სონატა“?**

— ბეთჰოვენმა.

— **რომელმა კომპოზიტორმა დაწერა მუსიკა ფილმისთვის „მიმინო“?**

— გია ყანჩელმა.

— **„კუკარაჩა“, „დიდი მწვანე ველი“, „სიყვარული ყველას უნდა“, „არაჩვეულებრივი გამოფენა“, — დაასახელეთ ამ ფილმების რეჟისორები.**

— თუ შეიძლება, უკუღმა დავიწყებ. ელდარ შენგელაია, გიორგი შენგელაია, გიორგი დანელია და „კუკარაჩას“ რეჟისორს ვერ დაგისახელებთ.



**ეს კითხვები ჩემთვის ვინმეს 30 წლის წინ რომ დაესვა, თითქმის ყველას უშეცდომოდ ვუპასუხებდი**

— **„დიდი მწვანე ველი“ — მერაბ კოკოჩაშვილმა, „კუკარაჩა“ კი ქეთი დოლიძემ გადაიღო. სპორტის რომელ სახეობაში ტარდება უიმბლდონის ტურნირი?**

— ჩოგბურთში.

— **რომელ ქვეყანაშია მედიაკორპორაცია „ბი-ბი-სი“?**

— დიდ ბრიტანეთში.

— **ვისი აფორიზმია „გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუმაძღარი“?**

— ვაჟა-ფშაველასი.

— **დარწმუნებული ხართ?**

— არა, შეცდომით ვთქვი, ხომ? (*ფიქრობს*) შოთა რუსთაველის.

— **ვანი, ხობი, ხონი, სამტრედია — რომელი არ მიეკუთვნება იმერეთის რეგიონს?**

— ხობი.

— **ბოლოს, დაასრულეთ გაიბელის ცნობილი გამონათქვამი „ჭკვიანია იგი, ვინც დროზე მოვა, უფრო ჭკვიანია ის, ვინც...“**

— ეს გამონათქვამი ზეპირად არ მახსოვს, მაგრამ ლოგიკურად თუ ვიმსჯელებ, შემდეგნაირად უნდა მთავრდებოდეს: „...უფრო ჭკვიანია ის, ვინც დროზე წავა“.

— **გაიბელიც ზუსტად ასე ფიქრობდა.**

— ეს კითხვები ჩემთვის ვინმეს 30 წლის წინ რომ დაესვა, თითქმის ყველას უშეცდომოდ ვუპასუხებდი. ■

**ერუდიტი +**

— *ინტერვენცია — ერთი ან რამდენიმე სახელმწიფოს ძალადობრივი ჩარევა, რომელიმე ქვეყნის საშინაო საქმეებში.*

— *ესკალაცია — აგრესიის განუხრელი გაფართოების, გაძლიერების სტრატეგია*

— *ერისტიკა — კამათის, პაექრობის ხელოვნება.*

— *უნიტარული — ისეთი სახელმწიფო, რომლის ტერიტორია არ არის დაყოფილი ფედერაციულ ერთეულებად (შტატებად, მხარეებად და ა.შ.).*



არ ვიცი, მართლაც ვერტიკალური და ბრუნვადია თუ არა სიყვარული, მაგრამ დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ მას ასაკი ნამდვილად არ აქვს!.. შეიძლება სიყვარული როგორც 15 წლის ასაკში, ასევე — სიბერის ჟამს გეწვიოს, როდესაც სამოცდაათ წელს გადააბიჯებ. მნიშვნელობა არა აქვს იმას, ხელ-ფეხი ისევ ისე გემორჩილება თუ არა, როგორც ახალგაზრდობაში. მთავარია, გულმა შეძლოს შეყვარება და სიბერე ვერაფერს დაგაკლებს.

# სიბერეში შეძენილი სიყვარული

## „გული, სხეულისგან განსხვავებით, უბერებელი რჩება"...

*ემა ტუხიაშვილი*

*სოლოლაკში, „გუდიაშვილის ბაღთან" „გაზ-24" მარკის ღია ფერის ტაქსი დგას. თბილისის ამ კოლორიტულ უბანში ნებისმიერმა იცის, რომ ამ ტაქსის მძღოლი ძირძველი თბილისელი — ძია რუბენაა. ამრიგად, რუბენ გიორგევიჩმა (მას ასე მოიხსენიებენ), ტაქსის მძღოლობით ნახევარი საუკუნე გადააგორა, ამიტომ მასზე ამბობენ: თვალდახუჭული აგნებს თბილისის ყველა კუთხე-კუნჭულსო. თავად კი მგზავრებს ასე აცნობს თავს: „ტაქსაობაში" ჭიპი მაქვს მოჭრილიო. ბოლო დროს ნაცნობ-მეგობრების გარდა, რუბენას ყველაზე ხშირმა მგზავრებმაც კი შენიშნეს, რომ თბილისის ყველაზე გამოცდილი ტაქსის მძღოლი სიტყვაძუნწი და გულჩათხრობილი გახდა. ამბობენ: მისი უხასიათობის მიზეზი ახალგაზრდა ქალია, რომელიც იქვე, „გუდიაშვილის ბაღთან" მდებარე მინიმარკეტში მუშაობსო. არჩევნების თემის შემდეგ, რუბენას სიყვარულის ამბავი სოლოლაკში ყველაზე აქტუალურია და მის ირგვლივ აზრთა სხვადასხვაობაც არსებობს. ზოგი ამბობს: ამ ხნის კაცი რამ გამოატვინა, ეს ახალგაზრდა ქალი მას ხომ შვილად ერგებაო. ზოგიც იმას აღნიშნავს, რომ სიყვარულს ასაკი არა აქვს და დასტურად ცნობილ გამონათქვამს იშველიებენ: გულს ვერ უბრძანებო. სხვების მითქმა-მოთქმას ვამჯობინე, თავად შეყვარებულ რუბენას დავლაპარაკებოდი, მის ტაქსიში ჩავჯექი და გზად სიბერეში შეძენილ სიყვარულზე ჩამოვაგდე სიტყვა. რუბენ გიორგევიჩმა მანქანის სარკეში შემათვალიერა, საჭეზე თითები აათამაშა და თავისი ამბის მოყოლა მესამე პირში დაიწყო:*

— ერთი მეგობარი მყავს, ისიც ჩემსავით, მალე სამოცდაათს მიუკაკუნებს. მთელი ცხოვრება პატიოსანი შრომით ირჩენდა თავს, ბევრი ფული არასდროს ჰქონია, მაგრამ შვილები გაზარდა, განათლება მისცა, დააბინავა და რომ ეგონა, ტკბილი სიბერე მექნება, ცოტას ახლა მაინც დავისვენებო, მისმა „ავჩარკა" ცოლმა დაჰკრა ფეხი და შვილთან გერმანიაში არ წავიდა საცხოვრებლად?! მამა უცხონდა, მაგის წინაპრებსაც სულ ბონში ცხოვრებით ამოხდათ სული, რა! მოკლედ, დარჩა ეს ჩემი მეგობარი მარტო. ერთი ქალიშვილი კი ჰყავს თბილისში გათხოვილი, მაგრამ ისეთი უვარგისი ქმარი შეხვდა, მამის სანახავადაც კი არ უშვებს. შენ ჯერ ძალიან ახალგაზრდა ხარ, შენი ხნის რომ ვიყავი, ვნატრობდი: ნეტავ, სადმე გადაკარგულში მარტო მამყოფა, დამასვენა-მეთქი, სიბერეში კი მარტოობა აუტანელი რამ ყოფილა, ზოგჯერ — შიშის მომგვრელიც. ამიტომ, კარგად მესმის ჩემი მეგობრის, როგორ გაუჭირდებოდა მეუღლის და შვილების გარეშე. ყველაზე თან გადაყოლილი, მოამაგე კაცია, ამიტომ მეზობლები და საერთოდ კეთილი ადამიანები თავს ევლებოდნენ: აბა, ძია, შენი ჭირიმე, ხომ არაფერი გინდაო?.. ცოტა ხნის წინ, მისი სახლის მახლობლად პატარა მაღაზია გაიხსნა და ჩემი მეგობარიც პროდუქტს ხშირად იმ მარკეტში ყიდულობდა. მაღაზიის მეპატრონე მისი კარის მეზობელი და კარგი მეგობარია, ამიტომ მოხუცს ისე არ გაუშვებდა, გამყიდველის მოდუღებული ჩაი ან ყავა არ შეეთავაზებინა. ეს ახალგაზრდა გამყიდველი ქალი როზაც ჩაისა და ყავას ერთ-ორ ტკბილ სიტყვას დააყოლებდა: მიირთვი, ძია, შენი ჭირიმეო, და ამ ხნის კაცს მეტი რა უნდა?! ჩემს მეგობარს ეს ქალი თავდავიწყებით შეუყვარდა. შეუყვარდა ისე, რომ ვერც მალავს თავის გრძნობებს და დილიდან დაღამებამდე იმ მაღაზიასთან ტრიალებს, სადაც როზა მუშაობს. ბოროტ ხალხს სალაპარაკო მიეცა: ამ ხნის კაცს ახალგაზრდა ქალის დევნა არ ეკადრებაო, მაგრამ იმას სხვისი აზრი სულაც არ ადარდებს, რადგან სიყვარულმა ახალგაზრდული მხნეობა დაუბრუნა, მის ცხოვრებას აზრი შესძინა და თუ როზა მის ხელსა და გულს არ მიიღებს, იმითაც ბედნიერია, რომ სიბერეში კიდევ ერთხელ განიცადა ეს საოცარი გრძნობა — სიყვარული.

*ფსიქოლოგებს მიაჩნიათ, რომ ხანდაზმული მამაკაცი ახალგაზრდა ქალის გვერდით თავს თავადაც ჯეელად გრძნობს. კრიზისულ ასაკში, რომელიც პირობითად 50-70 წელს გულისხმობს, მამაკაცს სიკვდილის შიში უმძაფრდება. ამიტომ, თუ მის გვერდით ახალგაზრდა ქალია, ფიქრობს, რომ ცხოვრებაში კიდევ ბევრი რამ ყველაფერი წინ აქვს. ამიტომაც ამბობენ: მართალია, სიბერე არ გვიცავს სიყვარულისგან, სამაგიეროდ, სიყვარული გვიცავს სიბერისგანო.*

**გრიგოლ დოლიძე**, *78 წლის:*

— ჩემს ახალგაზრდობაში ოჯახები ხშირად გარიგებით იქმნებოდა. მეც ასე შევქმენი ჩემი პირველი ოჯახი და ვფიქრობდი, რომ გამიმართლა, რადგან განათლებული, მოსიყვარულე და ძალიან ლამაზი მეუღლე მყავდა. ერთად 16 წელი ვიცხოვრეთ, ორი შვილი შეგვეძინა. მეუღლე ისეთმა ავადმყოფობამ წამართვა, რომლის წინააღმდეგ მედიცინა ახლაც უძლურია. ექიმებმა ქეთის ავთვისებიანი სიმსივნის დიაგნოზი დაუდგინეს, ხანგრძლივი მკურნალობის მიუხედავად, მისი გადარჩენა ვერ მოვახერხეთ და ჩვენი სოფლის მიწას მივაბარეთ. არავის ვუსურვებ განიცადოს ის, რაც მეუღლის სიკვდილით განვიცადე. როდესაც ჩემს დაობლებულ შვილებს ვხედავდი, დარდით გული მისკდებოდა. ვინ იცის, რამდენჯერ მივსულვარ ჩემი ცოლის საფლავზე და სიმწრით მიწა მიჭამია. წლებმა დარდთან შეგუება მასწავლა, შვილებიც გულს მიხარებდნენ. ორივემ წარჩინებით დაამთავრა სკოლა და სწავლა უმაღლეს სასწავლებელში განაგრძო. დავრჩი სოფელში მარტო და კვირიდან-კვირამდე სოფლის შარას გავყურებდი იმ იმედით, რომ ჩემი შვილები ქალაქიდან არდადეგებზე ჩამოვიდოდნენ. ერთხელ მეზობელმა შემომაპარა:

გრიგოლ, წლები გვემატება და პატრონი ყველა ჩვენგანს უნდაო. თავიდან გავცხარდი: ამ ხნის კაცს, თანაც ასეთი ცოლის დაკარგვის შემდეგ, ქალის მოყვანაზე სიტყვა როგორ ჩამომიგდო-მეთქი, მაგრამ დრო რომ გავიდა და შვილებმა უმაღლესის დამთავრების შემდეგ თბილისში მუშაობა დაიწყეს, ცოტა არ იყოს, შევფიქრიანდი. შემეშინდა სიბერეში მარტო დარჩენის და კეთილმოსურნე მეზობელს ამის შესახებ შევჩივლე. რამდენიმე დღეში მაჭანკლობაში დახელოვნებულმა მეზობლის ცოლმა შესაფერისი კანდიდატურების სია წარმომიდგინა. მახსოვს, მათ შორის იყვნენ ქვრივები, განათხოვრები და შინაბერები, მოკლედ, ისინი, ვინც ჩემსავით სიბერეში ეძებდა ცხოვრების მეგზურს. საკმაოდ მრავალრიცხოვანი სია იყო და უმრავ გვარსახელს შორის, მხოლოდ ერთი იყო წითელ ჩარჩოში ჩასმული. რა თქმა უნდა, ამის მიზეზი ვიკითხე და მაჭანკალმა ცოტა დარცხვენით მიპასუხა: ეს ქალბატონი 60 წელს გადაცილებული გახლავთ, შინაბერაა და ქალწული, ამის გამო ბევრი მამაკაცი იწუნებსო. სწორედ სხვა კაცების მიერ დაწუნებულ ქალზე შევაჩერე არჩევანი და შვილების თანხმობით ნონა ცოლად შევირთე. ყველაფერი ისე გავაკეთეთ, როგორც ქართულ ტრადიციებსა და წესჩვეულებებს შეეფერება: ჩემმა შვილებმა დედინაცვლისთვის ოქროს სამკაულები და ახალი სამოსი შეიძინეს, სიძე და მაყრიონი პატარძლის მოსაყვანად ყვავილებით მორთული ავტომობილებით გავემართეთ და მოკრძალებული ქორწილიც გადავიხადეთ. სოფლის დედაკაცები შურით სკდებოდნენ: რა ეღირსა ამ ბებერ შინაბერასო. არ გადიმალავთ და გეტყვით, რომ ნონას ქალწულობამ პატარა პრობლემები შეგვიქმნა, მაგრამ გინეკოლოგის ჩარევით ყველაფერი მოგვარდა და მე ამაყი ვარ იმით, რომ ჩემი ცხოვრება კიდევ ერთ ღირსეულ ქალს დავუკავშირე. რაც შეეხება სიყვარულს, განა ერთმანეთზე ზრუნვა და ერთმანეთის მიმართ პატივისცემა სიყვარული არაა? ხოლო იქ, სადაც სიყვარულია, სიბერეს რა ძალა აქვს! მე და ნონა ხშირად დავდივართ ჩემი გარდაცვლილი მეუღლის საფლავზე და იქ მდგომი, ღმერთს მადლობას ვწირავ, რომ ცხოვრებაში ბედნიერება მომანიჭა — ორჯერ მყვარებოდა.

*როდესაც ამ თემაზე ვმუშაობდი, ერთმა ხანდაზმულმა ქალბატონმა საკუთარი სიყვარულის შესახებ მიამბო. ჩვენი მოსაზრებით, ამ ამბის გმირების საქციელი მორალის ყველა ზღვარს სცილდება, მაგრამ უტყუარი ფაქტია იმისა, რომ ადამიანი ზრდასრულ ასაკშიც კი უძლურია სიყვარულის წინაშე.*

**ქალბატონი ლიანა**, *68 წლის:*

— 50 წლის ვიყავი, როდესაც ქმარი გარდამეცვალა და ჩემსა და ჩემს შვილებზე მზრუნველობა ჩემი მეუღლის ძმამ იტვირთა. მისი წყალობით, ჩემს შვილებს უმამობა არ უგრძნიათ: ჩასაცმელი არ აკლდათ, საჭმელი და საქართველოს სხვადასხვა კურორტზე დასვენება. მე სამსახური არ მქონდა, ამიტომ მთლიანად მასზე ვიყავი დამოკიდებული. დღე არ გავიდოდა ისე, რომ ჩემი გარდაცვლილი მეუღლის ძმა ჩვენს სანახავად არ მოსულიყო. არადა, თვითონაც ორი დიდი შვილი, შვილიშვილები და მეუღლე ჰყავს. დროთა განმავლობაში სულ უფრო აშკარა ხდებოდა, რომ ჩემს მაზლის ცოლს არ სიამოვნებდა, რომ მისი მეუღლე გარდაცვლილი ძმის ოჯახის მიმართ ასეთი ყურადღებიანი იყო. ამ მიზეზით ცოლ-ქმარმა რამდენჯერმე იჩხუბა კიდეც და მაზლი ღამის გასათევად ჩვენთან მოვიდა. ეს კი საკმარისი აღმოჩნდა, რომ მის მეუღლეს ჩვენთვის ცილი დაეწამა და საყვარლობა დაებრალებინა. ეს საშინელი დარტყმა იყო როგორც ჩვენთვის, ასევე ჩვენი შვილებისთვის. რომ არა ეს ცილისწამება, ალბათ ვერასდროს გამოვუტყდებოდით მე და ჩემი მაზლი საკუთარ თავს იმაში, რომ მართლაც გვიყვარდა ერთმანეთი. ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, თუ როგორ წყრომას დავიმსახურებდით საზოგადოების მხრიდან, მაგრამ სიყვარულმა გამძლეობა შეგვმატა და ბევრი შეურაცხყოფა აგვატანინა. შვილებმა ზურგი შეგვაქციეს. ჩემმა მაზლისშვილებმა ლანძღვა-გინება არ გვაკმარეს და ერთ დღეს მე და მათ მამას ფიზიკურადაც გაგვისწორდნენ. ნათესავები მოდიოდნენ, ზოგი გვეჩხუბებოდა: ჩვენი გვარი ტალახში ამოსვარეთ, ქუჩაში აღარ გამოგვესვლებათო; ზოგიც გვთხოვდა, ჭკუა-გონებისთვის მოგვეხმო და ოჯახებს დავბრუნებოდით. ჩვენ კი არ ვაპირებდით იმ ბედნიერების დათმობას, რასაც ერთად ყოფნა გვანიჭებდა, ამიტომ ბინა ვიქირავეთ და ნაცნობ-მეგობრებს გამოვერიდეთ. ვიცი, რომ ძალიან ვცოდავ, მაგრამ თავს ვერ ვერევი. ასე ახალგაზრდობაშიც კი არ მყვარებია. ალბათ, ბედის შეცდომა იყო, რომ მე და ვასიკო ერთმანეთს მანამ არ შევხვდით, სანამ ოჯახებს შევქმნიდით და დავნათესავდებოდით. სიყვარული თურმე საოცარ ძალას გმატებს და კარს მომდგარი სიკვდილიც ვეღარ გაშინებს. არადა, აღარც მე ვარ ახალგაზრდა და ვასიკომაც უკვე გადააბიჯა სამოცდაათს. რაც უნდა მოხდეს, იმის თქმა მაინც შემიძლია, რომ სიბერე უფრო ბედნიერი მქონდა, ვიდრე ახალგაზრდობა. ვიცი, ამის წაკითხვის შემდეგ ბევრი გამკიცხავს: შვილებისა და შვილიშვილებისგან უარყოფილი, ბედნიერებაზე როგორ ლაპარაკობო, მაგრამ გულის სიღრმეში ნებისმიერი დამეთანხმება, რომ პირადი ბედნიერების ჩანაცვლება შეუძლებელია.



ერთმა ხანდაზმულმა ქალბატონმა საკუთარი სიყვარულის შესახებ მიამბო

*უნდა გამოგიტყდეთ, რომ ამ თემაზე თვეზე მეტი ვიმუშავე. მათ, ვისაც სიყვარული სიბერის ჟამს ეწვია, თბილისშიც ვეძებდი და მის გარეთაც. სამწუხაროდ, მომდევნო ორი ამბის გმირები დღეს ცოცხლები აღარ არიან, მაგრამ მათი სასიყვარულო თავგადასავალი ალბათ კიდევ დიდხანს ემახსოვრებათ.*

**მედიკო ზეიკიძე:**

— ეს ამბავი ვაზისუბანში რამდენიმე წლის წინ მოხდა და ალბათ ბევრს ემახსოვრება. ჩვენს მეზობლად, მოხუცი ძია შურა ცხოვრობდა. ცოლი ადრე გარდაეცვალა, შვილებმა კი ფულის შოვნა საზღვარგარეთ გადაწყვიტეს. თავდაპირველად, თბილისში მყოფ პენსიონერ მამას ცოტა ფულს უგზავნიდნენ, შემდეგ მატერიალური დახმარება შეუწყვიტეს და წელიწადში ერთხელ, ტელეფონით თუ მოიკითხავდნენ. გარკვეული პერიოდის შემდეგ, დარეკვითაც აღარ იწუხებდნენ თავს. მარტოხელა კაცს პენსია რას ეყოფოდა, ამიტომ მეზობლები მონაცვლეობით ხან სადილად ვეპატიჟებოდით, ხანაც მის მაგიერ ელექტროენერგიის დავალიანებას ვიხდიდით. ძალიან ამაყი კაცი იყო ძია შურა, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე და რამდენიმე ჩინმედლის მფლობელი გახლდათ, ამიტომ ყოველთვის როდი შეჰბედავდი: სადილი მოგიტანეო. მოკლედ, ერთხანს კაცს ისე გაუჭირდა, რომ რამდენჯერმე სათნოების სახლ „კათარზისშიც“ კი ნახეს უფასო სადილზე მისული. შემდეგ მოუხშირა შურამ იქ სიარულს და ერთხელაც შინ მისულს, მეზობლებმა ამბავი დამახვედრეს: შურამ ვიღაც ბებო მოიყვანა სახლშიო. მაშინვე მისვლა ვერ გავბედე, ცოტა ხანში კი მოხუცმა თავად დამიძახა: თუ გცალია ჩემთან შემოდიო. შურამ ჩია ტანის ხანდაზმული ქალი თავის მეუღლედ გამაცნო. მოგვიანებით გვიამბო, რომ ეს ქალი მოხუცებულთა თავშესაფარში გაუცნია, შვილებისგან მიტოვებული იქ ცხოვრობდა თურმე. შურას მარტოხელა მოხუცი შესცოდებია და შინ ამიტომაც მოუყვანია. ახლა უკვე შურა ძია და ნაზიკო დეიდა ერთად დადიოდნენ უფასო სასადილოში, შემდეგ შურამ პენსია დაზოგა და ნაზიკო კბილების პროთეზის გასაკეთებლად პოლიკლინიკაში მიიყვანა. უნდა გენახათ, როგორი სითბოთი და ალერსით მიმართავდნენ ხოლმე მოხუცები ერთმანეთს, ქუჩაში ხელიხელჩაკიდებულები დადიოდნენ. ერთად თითქმის ხუთი წელი იცხოვრეს და მათი შემხედვარე რწმუნდებოდი, რომ ადამიანის გული

უბერებელი რჩება. ერთ დღეს კი შევნიშნეთ, რომ სახლიდან არც შურა გამოსულა და არც მისი მეუღლე. ვიფიქრეთ: დილაადრიან ისევ „კათარზისში“ თუ წავიდნენ სადილზე-თქო, მაგრამ მოხუცები მეორე დღესაც რომ არ გამოჩნდნენ, საპატრულო პოლიცია გამოვიძახეთ. შინ შესულებს ძალიან ამაღელვებელი სურათი დაგვხვდა: ხელიხელჩაკიდებული ორი მოხუცის ცხედარი საწოლზე ესვენა... სამედიცინო ექსპერტიზამ მოგვიანებით დაადგინა, რომ შურა ბიძია ინსულტით გარდაიცვალა, ხოლო მისი გარდაცვალებიდან რამდენიმე საათში ნაზიკო ბებოსაც გაუჩერდა გული. მას შემდეგ წლები გავიდა, მაგრამ მოხუცი „რომეოსა და ჯულიეტას“ ამბავს ვაზისუბანში დღემდე იხსენებენ. აი, ასეთი სიყვარული შეუძლიათ თურმე მოხუცებს.

**მაყვალა ბანცური:**

— ეს ამბავი მცხეთის რაიონში, სოფელ მუხრანში მოხდა. ერთმანეთის მეზობლად ქვრივი ქალი და მამაკაცი ცხოვრობდნენ. ქალი ობლებს ზრდიდა, კაცს კი ცოლი ისე გარდაეცვალა, რომ შვილის გაჩენაც ვერ მოასწრო. კაცმა ცოლი წლების განმავლობაში იგლოვა და ვერც კი შენიშნა, სიბერე ისე შემოეპარა. ქალმაც მთელი ცხოვრება შრომასა და ჯაფაში გალია, შვილებს ლუკმაპური რომ არ მოჰკლებოდათ. არც ქმარზე ჩაცმული ძაძები გაუხდია ქალს და დღენიადაგ გახუნებული, ჩამოძონძილი სამოსით დადიოდა. ვისაც ამ ქალის ახალგაზრდობა ახსოვდა, იტყოდა ხოლმე: მისი სილამაზის ლანდიც კი აღარ შერჩაო. ქალმა ქალიშვილი გაათხოვა, ვაჟმაც ცოლი მოიყვანა და საცხოვრებლად ქალაქს მიაშურა. დარჩა მარტო ჩვენი ქვრივი ნინა, აღარც მუშაობის ხალისი ჰქონდა და აღარც სახლის მოვლა-პატრონობის. მოვლილი კარმიდამო მიუშვა და გააპარტახა. ძნელია, როდესაც ადამიანი სიბერის ჟამს აღმოაჩენ, რომ აღარავის სჭირდები. არც ქვრივი ჯუმბერა იყო უკეთეს დღეში, მაგრამ თავის თავზე მეტად ნინა ებრალებოდა. ამბობდა: არ დაუფასეს შვილებმა ამაგიო. ერთ დღესაც ჯუმბერამ ნინას კაცი მიუგზავნა: შენც მარტოხელა ხარ და მეც, სიბერეში მაინც ვიქნებით ერთმანეთის პატრონიო. ნინამ ეს რომ გაიგო, ქვა ააგდო და თავი შეუშვირა: ეს როგორ გამიბედა მაგ ხვადაგმაო, მაგრამ დროთა განმავლობაში მოლბა და ქვრივ ჯუმბერას ცოლობაზე თანხმობა უთხრა. სამეზობლოში პატარა პურისჭამა გავმართეთ, სიძე-დედოფალი დავლოცეთ და პირველი საქორწინო ღამის გასატარებლად მარტო დავტოვეთ. რამდენიმე საათში სოფელი ნინას შემზარავმა კივილმა გააღვიძა. იქ მისულებს ჯუმბერა გარდაცვლილი დაგვხვდა. სოფელში ამბობდნენ: ნინას ნატიფი ტანი რომ ნახა, გულმა ვერ გაუძლოო. მართლაც, საოცარ სხეულს მალავდა ქალი დაძონძილი ძაძების ქვეშ, მარმარილოს ქანდაკებას მოგაგონებდა და მის სილამაზეს წლებიც კი ვერაფერს აკლებდა. ჯუმბერას სიკვდილი თავის თავს დააბრალა ნინამ და ისე გარდაიცვალა, რომ სიცოცხლეში აღარავის დალაპარაკებია. ■



**უნიკალური ქართველი მსახიობის, სოფიკო ჭიაურელის გარდაცვალების შემდეგ, ალბათ ბევრი ადამიანისთვის ერთი ჭრელი ეპოქა დასრულდა... უამრავ შესანიშნავად განსახიერებულ როლთან ერთად, მან ერს საკუთარ სახლში გახსნილი, ერთი მსახიობის თეატრი დაუტოვა, რომელიც მეუღლესთან — კოტე მახარაძესთან ერთად, 20 წლის წინ დააარსა. თეატრის პოპულარობამ იმთავითვე პიკს მიაღწია. მაყურებელი სპექტაკლებზე დასასწრებ ბილეთს 6 თვით ადრე ყიდულობდა... მრავალფეროვანი რეპერტუარით, თეატრმა არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც დიდ წარმატებას მიაღწია. ამჟამად „უდიასახლისოდ“ დარჩენილ თეატრს, ბატონი სოსო ბაკურაძე ხელმძღვანელობს, რომელიც მას დაარსების დღიდან უდგას სათავეში. ძალიან უჭირს უფროსი მეგობრების გარეშე ამ ურთულესი საქმის გაძღოლა, მაგრამ მიაჩნია, რომ თეატრმა, რომელიც უკვე დიდი ტრადიციებით გამოირჩევა, არსებობა არ უნდა შეწყვიტოს. ამიტომაც, შემოქმედებითი კოლექტივი მუშაობის ხალისსა და ენერგიას არ კარგავს. სოფიკო ჭიაურელის გარდაცვალებიდან ორმოცი დღის შემდეგ, ერთი მსახიობის თეატრმა „ვერიკომ“ მუშაობა განაახლა.**



# უდიასახლისოდ დარჩენილი თეატრი და „თვალების დიალოგი“...

მაია ღუღუნიშვილი

**სოსო ბაკურაძე:**

— აქ ქალბატონ სოფიკოსთან და ბატონ კოტესთან ერთად, დიდი ხნის განმავლობაში ვიმუშავე. მათი ერთი გამოხედვაც კი საკმარისი იყო, მივმხდარიყავი, თუ რას ფიქრობდნენ ისინი. ერთად არაჩვეულებრივი წლები გავატარეთ. ძალიან გვიმძიმს მათ გარეშე თეატრის გაძღოლა. ამ ხნის განმავლობაში, ერთი მარცხიც არ განგვიცდია. რეპერტუარში 21 სპექტაკლიც გვქონია, ვერც კი ვასწრებდით ყველა მათგანის ერთი თვის განმავლობაში წარმოდგენას. ეს ჩვენი თეატრის ისტორიაში „ოქროს ხანა“ იყო. ყოველდღე სხვადასხვა სპექტაკლს ვთამაშობდით. ახლა ბიძგი გვჭირდება, რომ ჩვენთან კვლავ გამოცოცხლდეს სარეპერტუარო ცხოვრება. სამწუხაროდ, არ გვყოფნის ის მწირი დაფინანსება, რომელიც თეატრისთვის ქალაქის ბიუჯეტიდანაა გამოყოფილი.

— **ქალბატონი სოფიკოსა და**



**ერთად არაჩვეულებრივი წლები გავატარეთ. ძალიან გვიმძიმს მათ გარეშე თეატრის გაძღოლა**

**ბატონი კოტეს ოჯახის წევრები თუ არიან დაინტერესებული, თეატრს თავადვე უხელმძღვანელონ? ხომ არ გაგრძელდება ოჯახური ტრადიცია და მას სათავეში მათი შთამომავლები ხომ არ ჩაუდგებიან?**

— ჩვენი თეატრის ცხოვრებაში აქტიურად არიან ჩაბმული ქალბატონი სოფიკოს შვილი — ნიკუშა შენგელაია და შვილიშვილი — ნატაშა. საერთოდ, თეატრში არაერთი სპექტაკლის მხატვრული გაფორმება სწორედ ნიკუშას ეკუთვნის. ისინი ძალიან მონდომებულები არიან, რომ თეატრმა არსებობა გააგრძელოს. თუ ნიკუშა სურვილს გამოთქვამს, რომ ამ თეატრს სათავეში ჩაუდგეს, ამას მივესალმებით.

**— ბატონი კოტეს გარდაცვალების შემდეგ, მისი სპექტაკლების ჩანაწერებს თეატრში არსებულ მონიტორზე უშვებდით ხოლმე. ამ ფორმით, ქალბატონი სოფიკოს სპექტაკლებსაც ვიხილავთ?**

— ბატონი კოტეს სპექტაკლების ჩანაწერების ჩვენება, მაყურებელთა მოთხოვნის საფუძველზე ხდებოდა. მოგეხსენებათ, ბატონ კოტეს შესანიშნავი დადგმები ჰქონდა: „აკაკი“, „ილია“, „ბაგრატიონები“. ამიტომ, როდესაც სკოლებში ამ მწერლების შესწავლა მიმდინარეობდა, პედაგოგების თხოვნით, ამ სპექტაკლების ჩანაწერებს ვუჩვენებდით. თუკი ქალბატონი სოფიკოს სპექტაკლების ჩვენებაზეც იქნება მოთხოვნა, ჩვენ ამ სურვილს მაყურებელს დიდი სიამოვნებით შევუსრულებთ. ის კი არა და, შესაძლებელია, სპექტაკლის ჩვენების შემდეგ, მაყურებელს მცირე ლექცია-საუბარიც შევთავაზოთ. ამაზე ჩვენი ლიტერატურული ნაწილის გამგე, ქალბატონი მანანა გეგეჭკორი იზრუნებს, რომელიც მაყურებელს ძალზე საინტერესო ინფორმაციას მიაწვდის.

**— ცოტა ხნის წინ, კიდევ ერთი პრემიერა ითამაშეთ, რომელსაც მაყურებლის მხრიდან გამოხმაურება მოჰყვა.**

— ქალბატონმა ელდინო სალარაძემ სპექტაკლის — „ეს რა წიგნი ყოფილა!“ — პრემიერა წარმოგვიდგინა. ძალიან კარგი ნამუშევარია. იდეა სპექტაკლის დადგმის თაობაზე, სოფიკოს რომ ვაცნობეთ, მან მაშინვე თანხმობა მოგვცა და მასზე მუშაობაც დაიწყეს. პრემიერა ოქტომბრისთვის იგეგმებოდა, მაგრამ იმის გამო, რომ ქალბატონი სოფიკოს ჯანმრთელობის მდგომარეობა ძალზე მძიმე იყო, პრემიერა გადაიდო. რამდენიმე თვეში ქალბატონი სოფიკო გარდაიცვალა. სანამ ორმოცი არ გავიდა, სპექტაკლი ვერ წარმოვადგინეთ. როგორც თქვენ აღნიშნეთ, ცოტა ხნის წინ, როგორც იქნა, სპექტაკლის პრემიერა შედგა. ძალიან საჭირო და საინტერესო სპექტაკლია. ეს გახლავთ „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველების“ ელდინო სალარაძისეული ინსცენირება. როდესაც წარმოდგენა ვნახე, სულ სხვანაირად აღვიქვი და დავინახე „ვეფხისტყაოსანი“, თვით ნაწარმოების სიუჟეტიც კი. ეს ნამუშევარი, პირველ რიგში, ფილოლოგებმა თავიანთ მოსწავლეებთან ერთად უნდა ნახონ. თუმცა ის არა მარტო ფილოლოგებისთვის, არამედ ყველასთვის საინტერესო იქნება.



**თუკი ქალბატონი სოფიკოს სპექტაკლების ჩვენებაზეც იქნება მოთხოვნა, ჩვენ ამ სურვილს მაყურებელს დიდი სიამოვნებით შევუსრულებთ**

**— რამდენად აქტიურია მაყურებელი, კვლავ დადიან სპექტაკლებზე?**

— ქალბატონი სოფიკოს გარდაცვალების გამო მთელი ქალაქი დამწუხრებულია. ბევრმა ალბათ არც იცის, რომ ერთი მსახიობის თეატრმა მუშაობა განაახლა. მაყურებლის მოსაზიდად, სხვადასხვა მეთოდს მივმართავთ. ამიტომ, მაყურებლის სიმცირეს არ განვიცდით. ჩვენს რეპერტუარში ამჟამად 5 სპექტაკლია. მართალია, თეატრს ერთი მსახიობის თეატრი ჰქვია, მაგრამ დავამკვიდრეთ ტრადიცია, ისეთი სპექტაკლები დაგვედგა, სადაც ერთზე მეტი მსახიობი ითამაშებდა. ცხადია, ამან უფრო მეტი მაყურებელი შეგვძინა და ინტერესიც გამოიწვია. ქალბატონი სოფიკო ამ თეატრს — თეატრი მსხვილი ხედით — ეძახდა, რადგან აქ მაყურებელსა და მსახიობს შორის ძალზე მცირე მანძილია. ისინი მთელი სპექტაკლის განმავლობაში თითქოს თვალებში უყურებენ ერთმანეთს, ეს კი ძალიან სასიამოვნო განწყობილებას ქმნის.

P.S. *როცა ბატონ სოსოსთან საუბარი დავასრულე, მან სპექტაკლზე მიმიპატიჟა. იმ დღეს, მურმან ჯინორია ქართული პოეზიის ნიმუშების მიხედვით დადგმულ საკუთარ სპექტაკლს — „და სიმღერით ვკვდები“ — თამაშობდა. არცთუ ისე ხალხმრავალ დარბაზში ფეხაკრეფით შევედი და სპექტაკლი დიდი ინტერესით და სიამოვნებით ვნახე. როდესაც წარმოდგენა დასრულდა, ე.წ. „პაკლონზე“ გამოსულმა მურმან ჯინორიამ მაყურებელს ასე მოგვმართა: „მეგონა, ამ თეატრში მაყურებელი აღარ მოვიდოდა, თურმე ასე არ ყოფილა, დიდი მადლობა თქვენ, რომ გვეწვიეთ“...* ■


## ირაკლი ბათიაშვილი, პოლიტიკოსი:



—„გზა“ იმიტომ მიყვარს, რომ ყოველთვის საინტერესო თემებზე ამახვილებთ ყურადღებას. მკითხველისთვის, დამერწმუნეთ, ამა თუ იმ გამოცემის წერის სტილს დიდი მნიშვნელობა აქვს: თქვენი სტატიები გამართული ქართულით იკითხება, რაც შემოქმედებითი ჯგუფის პროფესიონალიზმზე მეტყველებს. მომწონს, რომ იაფფასიან სენსაციებზე არ მუშაობთ და წერთ იმას, რაც წაკითხვის ღირსია. მუდამ სიახლისკენ ისწრაფვით. რის წაკითხვას ვისურვებდი თქვენს ჟურნალში?.. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მიჭირს, მხოლოდ ერთს გეტყვით: იმ გზიდან, რომელზეც ახლა დგახართ, არ გადაუხვიოთ. წარმატებებსა და მკითხველთა სიმრავლეს გისურვებთ.

## ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

### ეოჩა დვალიშ
### უზის წიგნაკიდან:

1. ვაცლავ კლაუსი ჩეხეთის პრეზიდენტია.

2. საბერძნეთსა და ბულგარეთს როდოპის მთები ყოფს.

3. ლეონარდო და ვინჩი საფრანგეთშია დასაფლავებული.

4. „ბედნიერ ციფრს ბევრი ნული აქვს“, — ამბობენ ებრაელები.

5. გალაკტიონ ტაბიძე მარჯანიშვილის ქუჩის 4 ნომერში ცხოვრობდა.

6. ჯონ კენედის სამუშაო კაბინეტში მერილინ მონროს სურათი ეკიდა.

7. ანიმაციურ ფილმში „სიზმარა“ ძილის მინისტრს კარლო საკანდელიძე ახმოვანებს.

8. მსოფლიო მოსახლეობის 40% ალერგიის ამა თუ იმ ფორმით იტანჯება.

9. სტატისტიკის მიხედვით, მსოფლიოში ყველაზე მეტს ფინელი ბავშვები კითხულობენ.

10. მხატვრულ ფილმში „დიმიტრი II“ ტარსაიჭ ორბელის როლს ოთარ კობერიძე ასრულებს.

11. ნეანდერტალელის ტვინი თანამედროვე ადამიანის ტვინზე 13%-ით უფრო დიდი იყო.

12. ორთოდოქსი ებრაელები შაბათ დღეს ტელეფონს არ პასუხობენ და ლიფტითაც არ სარგებლობენ.

13. „საფრანგეთი... არმია... ჟოზეფინა...“ — გადმოცემით, ეს გახლდათ ნაპოლეონის უკანასკნელი სიტყვები.

14. დავითი დოდო აბაშიძის ნამდვილი სახელია. მსახიობი პატარაობისას გოგოებს დოდოებს ეძახდა და დოდო ამის გამო შეარქვეს.



15. „ბავშვს ის სცემს, ვისაც ბავშვობაში სცემდნენ და ეს დაწყევლილი წრე ოდესღაც უნდა გაწყდეს“, — ამბობდა ასტრიდ ლინდგრენი.

16. აფრიკაში ამჟამად 300000-ზე ნაკლები სპილოა დარჩენილი. თეთრკანიანმა მონადირეებმა მარტო ამ კონტინენტზე საერთო ჯამში, 10 მილიონი სპილო ამოწყვიტეს.

17. საშუალო ამერიკელი წლის განმავლობაში 33 კილოგრამამდე ღორის ხორცს მიირთმევს, საშუალო ევროპელი — 44-ს. ფერმერებს მსოფლიო მასშტაბით, 1 მილიარდი ღორი ჰყავთ მოშენებული.

18. მოსკოვის მერიამ 9 მაისის სამხედრო აღლუმის დროს ტანკების მიერ დაზიანებული ასფალტის აღსადგენად, 1 მილიარდი მანეთი გამოყო. თუმცა მანამდე სულ გაიძახოდნენ, გზის საფარი ტანკის მუხლუხებისგან უმნიშვნელოდ ზიანდებაო.

19. „რასია მატუშკა ადნავრემენნო ვ ნესკოლკიხ სტალეტიახ პრაჟივაეტ, ი ვ



# გერმანული „შლოპანცი" და ბლომად ბიუსტჰალტერი

**შორენა ჭუმბურიძე**

მთელ დუნიაზე იყო ცნობილი ვალიკოსა და გურამის მეგობრობა. ჯერ კიდევ სულ მთლად ცხვირმოუხოცავი ღლაპები იყვნენ, ხელიხელჩაკიდებულნი, კისრისტეხით რომ გარბოდნენ ყოველ დილით სკოლისაკენ და გზადაგზა მეზობლების ბაღ-ვენახებს ანადგურებდნენ. თუ თოვლიანი ამინდები იყო, მაშინ ხომ გაგიხარია, მოწყობილი ჰქონდათ ხელი ბიჭებს: დასხდებოდნენ ცელოფანის პარკებზე და დაეშვებოდნენ თავდაღმართზე ყვირილით — „ავოიეეე! გზა მომეციიიით!“ ასეთ დროს მეგობრებს სულ ცოტა, ანზორის დანჯღრეულ, მწვანე „ჟიგულიში“ მაინც წარმოედგინათ თავი, რომელზე უკეთესი მანქანაც მსოფლიოში არ ეგულებოდათ. მაგრამ როცა აღმოაჩინეს, რომ მწვანე „ჟიგულის“ გარდა ახალთახალი, „ტაოტიანი“ „კამაზიც“ არსებობდა, კიდეც გადაწყვიტეს, ავტოსკოლაში სწავლა და C კატეგორიის მოწმობისთვის გამოცდაც ჩააბარეს. გამოცდის შემდეგ, ინსტრუქტორმა ორივეს მაგრად ჩამოართვა ხელი და სამდივნოში გაგზავნა, — ჩვენი უმანკო „პრავებს“ „ჩაგახუტებთო“. მეტრ-ნახევრიანი, კოჭლი უმანკოს დანახვისას, რომელსაც პირში ოქროს კბილები ძვირფასი ლითონის საბადოსავით უელავდა, ვალიკომ ყურში ჩასჩურჩულა გურამს, — უმანკო იქნება, აბა, რა, ეს უპატრონო, ამას ვინ ოხერი მიეკარებოდაო?! — და ბიჭებს ისეთი ხარხარი აუტყდათ, რომ იმ დღეს კინაღამ „პრავების“ გარეშე დარჩნენ.

ასე იყო თუ ისე, მართვის მოწმობები არშინიანი დიპლომებივით დაიკავეს ხელში და პირდაპირ „ატეკას“ მიადგნენ. მძღოლობა არც ერთისთვის არ დაუწუნებიათ და ის იყო და ის, მას მერე, „კამაზის“ საჭეს აღარც მოსცილებიან. თუმცა ხანდახან, ანზორის მწვანე „ჟიგულის“ სადარი „ცელოფანების“ ნოსტალგია მაინც უჩნდებოდათ ხოლმე. მოკლედ, ორივე კარგად მოეწყო სამსახურში. ეს ის დრო იყო, როცა ხელფასიც ხელფასობდა, „ლევი“ შემოსავალიც არსებობდა და ცხოვრებაც უფრო ნაკლებად ჭირდა. შემდეგ ორივე დაოჯახდა და ნელ-ნელა ბოვშებიც წამოესიათ კისერზე. როცა ვალიკოს, ბიჭის იმედით, მეხუთე ქალიშვილი შეეძინა, სიმწრის ღიმილი არ



მოშორებია სახიდან. ყველაზე მეტად, ქალ-ვაჟის პატრონი გურამის დანახვა ესიკვდილებოდა, მაგრამ სად წაუვიდოდა და მეგობარიც ეწვია, პატარა ფუთით ხელში.

— ამის დანიშნულებას შენ ვერ გეიგებ, ძამია, მარა გქონდეს, ჩიბუხად მაინც გამოგადგება, — ჩაიქირქილა გურამმა და „ხუთგზის“ მამას ხის მოზრდილი შიბაქი გაუწოდა... დიდხანს ეკიდა ის შიბაქი ვალიკოს „ზალის“ კედელზე, როგორც რელიკვია და ზოგჯერ, განსხვავებული სასმისის ფუნქციაც შეუსრულებია...

ამასობაში, ბავშვებიც დაიზარდნენ. ჭკუა არც ერთს არ აკლდა, მაგრამ გურამის სოფოს მაინც უფრო „მაცადინის“ სახელი ჰქონდა გავარდნილი. სოფლისთვის ცოტა უჩვეულოც კი იყო, ხელში სულ წიგნი რომ ეჭირა, იმის მაგივრად, დედას მიხმარებოდა საოჯახო საქმეში. ერთ მშვენიერ დილას, მანქანის ხმა გაიგონა თუ არა, სოფომ გაბურძგნილი თავი ფანჯრიდან გამოყო და სამსახურში მიმავალ მამას მიაძახა: ქალაქიდან რომ წამოხვალ, „შლოპანცი“ წამომიღეო. „შლოპანცი“ იმ დროს ახალი შემოსული იყო მოდაში და გურამს წარმოდგენაც არ ჰქონდა, თუ რა შეიძლებოდა ყოფილიყო. მაგრამ ისე ეჩქარებოდა, კითხვაც ვერ მოასწრო შვილისთვის, — ეგ რაღა ოხრობააო? — და უსიტყვოდ დაუქნია თავი.

სამსახურში მისულმა, ვალიკოსთან დაიწუწუნა:

— სოფომ „შლოპანცი“ მთხოვა და ვერ გევიგე, რა უნდა იმ ბოვშს.

ვალიკომ მშვენივრად იცოდა, რაც უნდოდა სოფოს (მისი ხუთი ქალიშვილიდან სამს უკვე მოესწრო, მოდის ამ თანამედროვე „მიღწევის“ ყიდვა), მაგრამ ბედად, იმ დილით სახლიდან გამოსვლის წინ „ზალაში“ საპატიო ადგილას „გამოჭიმულ“ შიბაქს მოჰკრა კიდევ ერთხელ თვალი და იფიქრა, — ახლა კი დადგა სამაგიეროს გადახდის დრო! — და მეგობარს სერიოზული სახით უთხრა:

— „შლოპანცი“, მე მგონი, გერმანელი მწერალია, ბუჯო, თანაც, სოფოს სულ წიგნისკენ უჭირავს თვალი და სხვას აბა, რას მოგთხოვდა?! მიდი, სანამ გაგვგზავნიდნენ რეისში, ჩეირბინე ეგერ, წიგნების მაღაზიაში და უყიდე ბოვშს, რაცხა უნდა.

გურამს ჭკუაში დაუჯდა მეგობრის რჩევა და სასწრაფოდ, მაღაზიისკენ გაემართა. მაღაზიაში პეპელასავით ცქრიალა გოგონა დახვდა და კაცმაც მამაშვილურად გაუღიმა:

— შვილო, შენს გაზრდას, ერთი „შლოპანცი“ მომეცი, თუ გაქვს, ძალიან მეჩქარება, ბევრი დრო არ მაქვს.

გამყიდველმა უხერხულობისგან აახამხამა გრძელი წამწამები და იქვე მდგომ სხვა კლიენტებს გადახედა. არადა, ჭაღარაშეპარული, ულვაშიანი გურამი იმ ასაკში იყო, როდესაც პატარა გოგოებს აღარ ეარშიყებიან და გოგონამაც იფიქრა, ხომ არ მომესმაო?

— რა გნებავთ, ბიძია?

— „შლოპანცი“ მომეცი-მეთქი, თუ გაქვს.

— რაა, ბიძია? — კიდევ ერთხელ დააზუსტა ცქრიალა გოგონამ და კაცს გაფართოებული თვალებით მიაჩერდა.

— რა და გერმანელი „შლოპანცი“ დამაბარა ბალანამ, წამომიღეო, რას ვამბობ გოუგებრად?! — სიმკაცრე გაურია ხმაში მძღოლმა, იმის შიშით, სამსახურში არ დამაგვიანდესო. მაშინ კი ვეღარ შეიკავა სიცილი გამყიდველმა და გაბრაზებულ კაცს კისკისით უთხრა:

— უი, რას ამბობ, ბიძია?! „შლოპანცი“ წიგნი კი არა, ფეხსაცმელია და უნივერმაღში უფრო იშოვება.

დარცხვენილი გურამი სამსახურში დაბრუნდა და მთელი დღე უბღვერდა ვალიკოს, რომლის წყალობითაც, წიგნის მაღაზიაში მომხდარი ამბავი 10 წუთში მთელმა ქალაქმა იცოდა.

ამასობაში მეგობრებს საქმე გამოუჩნდათ. მანქანები დატვირთეს და საქონელი დანიშნულების ადგილას წაიღეს. ვალიკომ წინასწარვე იცოდა, რომ იმ დღეს მანქანით პოლონური წარმოების პირსახოცები უნდა გადაეტანა მახლობლად მდებარე ქალაქამდე და გადაწყვიტა, — რა ხანია, ცოლისთვის ალარაფერი მიჩუქებია და რამდენიმე ცალი პირსახოცი არ აწყენდაო, — მით უმეტეს, რომ გზად თავის სოფელზეც უნდა გაევლო. ბევრი აღარ უფიქრია, სახლთან მანქანა გააჩერა და ორი ყუთი, რომელზეც „ბიუსტჰალტერი“ ეწერა, ძარადან ეზოში გადაისროლა, თან ცოლს გადასძახა, — ჩემს მოსვლამდე ხელი არ ახლოთო!. ცოტა კი ემჩატა ყუთი და მასზე გაკეთებული წარწერაც ეუცნაურა, მაგრამ იფიქრა, ალბათ პირსახოცის პოლონური დასახელებააო და ყურადღება აღარ გაუმახვილებია, ისე გააგრძელა გზა. დარჩენილი საქონელი პატრონს ჩააბარა და კვლავ სახლში დაბრუნდა.

ის იყო, ყუთების გახსნას აპირებდა, რომ გურამიც მოადგა კარზე.

— რა არის, ძამია, ეს?

— რა და პირსახოცებია. მოდი, მოდი, რამდენიმე შენთვისაცაა, ბუჯო, — გამოეპასუხა ვალიკო და მუყაოს ყუთი გახსნა, რომელიც სხვადასხვა ზომისა და ფერის ლიფით იყო სავსე. საწყობიდან პირსახოცებთან ერთად, ის ორი ყუთი ბიუსტჰალტერიც გამოუტანებიათ, რომელიც ვალიკომ სიურპრიზად ოჯახს მიართვა.

— ესაა, ბუჯო, პირსახოცები?! თუმცა შენს ოჯახში ნამდვილად საჭირო ნივთია, — აუტყდა სიცილი გურამს. მაგრამ უამისოდაც სიმწრის ოფლი ასხამდა ვალიკოს: კარგად იცოდა, რამდენიმე საათის წინ გაბითურებული მეგობარი ამ ამბავს საიდუმლოდ რომ არ შეუნახავდა და მეორე დღეს ყველას ეცოდინებოდა მისი და ფერად-ფერადი ლიფების ამბავი. ახია ჩემზეო! — ჩაილაპარაკა და სიყრმის მეგობარი დაპატიჟა — იმ იმედით, იქნებ მთვრალს გადავაფიქრებინო და არსად გამამხილოსო.

შინ წასვლამდე კი გურამმა მეგობარი კიდევ ერთხელ ჩაიკრა გულში, მხარზე მაგრად დაჰკრა ხელი და ჩაულაპარაკა:

— ახლა შენ, ძამია, მაი ლიფებიდან ყველაზე დიდი ზომა ამოარჩიე და ჩემს სახელზე დაკიდე იმ შიბაქის გვერდით. დანარჩენი ქე გქონდეს სახლში, მაგის გამომყენებლები მაინც გყავს ოჯახში ბლომად.

და ასე, სწრაფი შურისძიებით კმაყოფილი, ღიღინ-ღიღინით გაუყვა გზას სახლისკენ.

■



## ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

### ჟოზე ღვალიას უბის წიგნაკიდან:

დევიატნადცატომ, ი ვ სემნადცატომ, ი ვ დვადცატპერვომ, ი ვ დვადცატომ“, — ამბობენ რუსები.

20. საფრანგეთის რევოლუციის დროს გამხეცებულმა ბრბომ პრინცესა დე ლამბალის მოკვეთილი თავი მარგილზე ჩამოაცვა და პარიზის ქუჩებში დაატარებდა. ბოლოს მარია ანტუანეტას ფანჯრებს მიადგა და ყვირილით მოითხოვდა, საფრანგეთის დედოფალს, მისთვის გაცივებულ ტუჩებში ეკოცნა. ამის დანახვაზე, მარია ანტუანეტა გულწასული დაეცა.

21. პოლონეთში აბორტები აკრძალულია, მაგრამ არსებობს ბარჟები, რომლებიც სხვა ქვეყნის დროშით ცურავენ. სწორედ ასეთ ბარჟებზე აჰყავთ ექიმებს პაციენტები, ღია ზღვაში გადიან და იქ ატარებენ ქირურგიულ ჩარევას, რაც უკვე ლეგალურად ითვლება.

22. ავტომობილების გაქირავება საბჭოთა კავშირში მას შემდეგ გაჩნდა, რაც ნიკიტა ხრუშჩოვმა ამერიკის შეერთებული შტატები მოინახულა. მაგრამ ეს სერვისი ძირითადად, უცხოელთათვის და საბჭოთა მაღალჩინოსნების შვილებისათვის იყო ხელმისაწვდომი.

23. კინოვარსკვლავთა სერიოზულ პრობლემად არის ქცეული თაყვანისმცემელთა კატეგორია, რომელიც შეგნებულად მიდის დანაშაულზე, რათა წამიერად მაინც შეეხოს სხვის დიდებას. თავის დროზე ტრაგედიას გადაურჩა ალექსანდრ აბდულოვი, რომელსაც ერთმა თაყვანისმცემელმა ქალმა მჟავა შეასხა სახეში და მიაძახა, — ჩემი თუ არა, არავისი არ იქნებიო. მსახიობს თითქოს გულმა უგრძნო საფრთხე და ისეთი ნახტომი გააკეთა, ფეხბურთის მეკარესაც რომ შეშურდებოდა. მჟავა ქვის კოლონას შეესხა და არავინ დაუზიანებია.



24. ქაშუეთის ეკლესიის აღმოსავლეთი კედელი ლადო გუდიაშვილის მოხატულია. მხატვარმა სამუშაოს დასრულება ვერ შეძლო. საბჭოთა მთავრობამ სასტიკად გაკიცხა იგი, სამუშაოს დასრულების ნება არ მისცა და კომუნისტური პარტიიდან და მხატვართა კავშირიდანაც გარიცხა.

25. 1824 წლის აჯანყების გულშემატკივრობისთვის, დიმიტრი ყიფიანი ვოლოგდაში გადაასახლეს. წარმოსადეგი ჭაბუკი იქაურ გუბერნატორს მოსწონებია სასიძოდ და ერთი დიდი სურვილის შესრულებას დაჰპირებია, იმაში დარწმუნებული, რომ ის ქალიშვილის ხელს სთხოვდა. დიმიტრიმ სამშობლოში დაბრუნება ითხოვა. გაწბილებული გუბერნატორი იძულებული გახდა, სიტყვა შეესრულებინა.

# ჭადრაკის მოჭრითა და „ლაღიძის წყლების“ მოშლით გადაშლილი წარსული

**ჩემმა რესპონდენტებმა რუბრიკის სახელწოდება რომ შეიტყვეს, მაშინვე ჩამოთვლა დაიწყეს: თბილისის საპატიო მოქალაქე ჯანო ბაგრატიონი არაჩვეულებრივია, მოცეკვავე თენგიზ სუხიშვილი არაჩვეულებრივია, მომღერალი ბუბა კიკაბიძეც და ილუზიონისტი ავთო ლომსაძეც. რა გითხრათ, ჩვენ — მეცნიერები ჩვეულებრივები ვიყავით — მეც, კობაც, მიშა გიგინეიშვილი, ზურაბ ხავთასი, ომარ ჩიხლაძე, გივი კახეთელიძე, აჩიკო ორაგველიძე და კიდევ ძალზე ბევრიო... დიდი ხნის წინ, თითოეული მართლაც, ჩვეულებრივი პირველკლასელი იყო და არავინ იცოდა, მათგან ვინ უკეთ ისწავლიდა მათემატიკას თუ სხვა საგანს და ვინ სიმღერით, ცეკვითა თუ უბრალოდ, კაცობით გაითქვამდა სახელს. ისინი თბილისის ვაჟთა პირველ საშუალო სკოლაში 1945 წლის პირველ სექტემბერს შევიდნენ.**

**ამჯერად რუბრიკას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი დავით გორდეზიანი და სახალხო ბანკის დეპარტამენტის უფროსი კობა პატარაია სტუმრობენ.**



კობა პატარაია და დავით გორდეზიანი

*ირმა ხარშილაძე*

**დავით გორდეზიანი:**

— სწავლა პირველ ვაჟთა სკოლაში დავიწყეთ და ჯგუფების გაყოფის შემდეგ პირველ ქალთაში (*შემდგომში 47-ე საშუალო სკოლა. — ავტ.*) დავასრულეთ, თუმცა ვფიქრობ, რომ ეს მხოლოდ პირობითი გაყოფა იყო, რადგან სულიერად, არც არასდროს გავყოფილვართ. მახსოვს, პირველ კლასში 42 ვაჟი ვიყავით. ყველა მშობელს ამ კლასში სურდა შვილის შემოყვანა, რადგან კლასს არაჩვეულებრივი ქალბატონი — ნინო ალადაშვილი ხელმძღვანელობდა.

**— და ეს ჩვენი სახელოვანი ადამიანებიც თავიდანვე თქვენს კლასში სწავლობდნენ?**

**კობა პატარაია:**

— ყველანი, ავთოს გარდა. კარგი ბავშვები ვიყავით, თუმცა ამდენ ვაჟში კლასის ამკლებიც ანუ ძალიან ცელქიც ბევრი გვყავდა — თემურ ცუცქირიძე, სოსო მამფორია, ოთარ ბუტიკაშვილი... მაგრამ ნინო მასწავლებელთან ყველა გასუსული იყო. სხვათა შორის, სწორედ ნინო ალადაშვილის დამსახურებაა, რომ ყველა მისი მოსწავლე ვაჟი, დღესაც ძალიან ლამაზად ვწერთ, კალიგრაფია გვაქვს გამორჩეული. ამ ტანმორჩილმა ქალმა ისე შეგვაყვარა ქართული ანბანი, რომ მერე კითხვაც შევიყვარეთ, სწავლაც და კაცებიც დავდექით.

**დავით გორდეზიანი:**

— კარგი, გემრიელი თბილისური კლასი გვქონდა. არც ერთი ბიჭი უკადრებელს არაფერს ჩაიდენდა და არც სხვას გააბედვინებდა ზედმეტს.

**კობა პატარაია:**

— ჯანო ბაგრატიონი კლასის „ფიზორგი“ იყო, განსაკუთრებულად უყვარდა სპორტი, თუმცა დანარჩენებიც სხვადასხვა სექციაში ვიყავით გაერთიანებული — ვის ხელბურთი უყვარდა, ვის — ფეხბურთი და კალათბურთი, მე და დათო, მაგალითად, ტანვარჯიშში ვვარჯიშობდით.

**დავით გორდეზიანი:**

— კობას ისეთი მონაცემები ჰქონდა, ტანვარჯიშს რომ გაჰყოლოდა, სუპერსპორტსმენი იქნებოდა...

**კობა პატარაია:**

— ძალიან საინტერესო, კოლორიტული ფიზკულტურის მასწავლებლები გვყავდა — შალვა ფანჩულიძე და ოტო რაგავსკოი. გაკვეთილებზე შალვა თავის მოვალეობას „რიჟა“ ჯანოს გადააბარებდა ხოლმე. ისიც მსაჯობდა, მერე კი მასწავლებელი დაუძახებდა: „ჯანო, ვრემია!“ — და ჯანოც იმ წუთში ჩასტვენდა და თამაშიც მთავრდებოდა. დათო, გახსოვს, შალვა რამდენ ამბავს გვიყვებოდა? ერთხელ თურმე, ხალხით სავსე დარბაზში სატანვარჯიშო ღერძზე ტრიალებდა, „სოლნცეს“ აკეთებდა და პიკზე რომ მოექცა, ამ დროს გამოაცხადეს, — ვოროშილოვი თუ რომელიღაც საბჭოთა მოღვაწე გარდაიცვალა და წუთიერი დუმილით პატივი ვცეთო. შალვა სიამაყით იხსენებდა: მეც პიკზე თავდაყირა გავშეშდი, ვდგავარ ერთი წუთი, ორი წუთი, მერე მარცხენა მკლავმა მიმტყუნა და ცალ ხელზე ვიდექი ხუთი წუთიო (*იცინიან*). შალვას ამბები შესანიშნავად იცოდა ოტომ და სულ აშაყირებდა ხოლმე...

**დავით გორდეზიანი:**

— კიდევ მახსოვს, თენგიზ სუხიშვილი რომ ამოიჩემა ქიმიის მასწავლებელმა. ძალიან მკაცრი და ასევე ძალიან ცნობილი პედაგოგი ქალი — ვარდიაშვილი გვასწავლიდა ქიმიას. თენგიზი მაშინ პატარა იყო, რაღაც სტუდენტურ ფესტივალზე აცეკვეს და მედალიც მისცეს. სკოლაშიც კარგა ხანს იმ მედლით დადიოდა. ვარდიაშვილი ცნობისმოყვარე ქალი იყო, აინტერესებდა, რა მედალი მისცეს მის მოსწავლეს, მაგრამ პატივმოყვარეობა შეკითხვის დასმის უფლებას არ აძლევდა. ჩანს, იფიქრა, გამოვიძახებ და ახლოდან დავაკვირდები მედალსო. მაგრამ ვერა და ვერ გამოიძახა — თენგიზმა არც ერთხელ არ იცოდა გაკვეთილი. ბოლოს ყელში ამოუვიდა თენგიზის უცოდინარობა, რომელსაც ფესტივალს უკავშირებდა და საკმაოდ უხეშად უთხრა: თქვენ — მოცეკვავეებს ტვინი ფეხებში გაქვთო.

**— მძიმე წლებში მოგიწიათ სწავლამ**

პირველი ვაჟთა სკოლის II კლასი



— **ომი ახალი დამთავრებული იყო...**

— მახსოვს, სკოლაში თითო პატარა ფუნთუშასა და ორ ცალ ეგრეთ წოდებულ „პადუშკა“ კანფეტს გვირიგებდნენ. იმდენად გემრიელი იყო, დღესაც მახსოვს მისი გემო.

**კობა პატარაია:**

— მძიმე წლები რომ ახსენეთ, საქმე ის იყო, რომ ჩვენ მაშინ წელგამართულები ვიყავით — გამარჯვებული ქვეყნისა და მამების შვილები გვერქვა. შეიძლება მაშინ ამას ვერ ვაცნობიერებდით, მაგრამ ნამდვილად ასე იყო. ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში რომ უბედურებები დატრიალდა საქართველოში, ომები წავაგეთ და დამარცხებული კაცის სინდრომი გაჩნდა, ამან უფრო მეტად გააუბედურა და დააბეჩავა ადამიანები. ჩვენ ამისგან თავისუფლები ვიყავით, ტრავმირებული თაობა არ გვერქვა. მართალია, ბევრს უჭირდა, მაგრამ კლასში გამორჩეულად ჩაცმულიც არავინ მოდიოდა.

— **ბუბა კიკაბიძე როგორი იყო?**

— მაშინ არ მღეროდა, თუმცა მუსიკალური ბავშვი იყო. მახსოვს, ვიოლინოზე დაკვრას სწავლობდა, დიპლიპიტოზეც კი უტყაპუნებდა.

**დავით გორდეზიანი:**

— რაღაც ხალხურ ანსამბლშიც იყო, მერე, მეოთხე კლასიდან, სხვა სკოლაში გადავიდა.

**კობა პატარაია:**

— ჩვენმა სკოლამ საერთოდ, ძალიან კარგი თაობები აღზარდა და ამაში დიდი წვლილი სკოლის დირექტორს — ჯაჯუ ჯორჯიკიას მიუძღვის. ამ კაცს განათლება საფრანგეთში ჰქონდა მიღებული და აკაკი წერეთელთან მეგობრობდა თურმე. ის რომ დერეფანში გამოივლიდა, ყველანი კედელს ავეკვრებოდით, ისეთი რიდი და შიში გვქონდა. ჩვენზე რამდენიმე წლით ადრე და გვიან, იცით, რა ხალხი სწავლობდა ამ სკოლაში?! ელდარ და გიორგი შენგელაიები, კოტე მახარაძე; ერთი წლით ადრე, ჩემი დის კლასში მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია სწავლობდნენ. ასეთ ხალხთან ვურთიერთობდით. გაკვეთილებსა და შესვენებებზე ყველანი, ჩვეულებრივ, ვსწავლობდით და ვერთობოდით, მაგრამ გაკვეთილების შემდეგ ან „შატალოზე“ ყოფნისას სულ ვკამათობდით, ვმსჯელობდით.

**დავით გორდეზიანი:**

— მეოთხე კლასიდან უკვე ნაწარმოებებს ვარჩევდით, აკრძალულ ლიტერატურაზე — რობაქიძის და ჯავახიშვილის შემოქმედებაზე ვსაუბრობდით. გეფიცებით, ახლაც მიკვირს, იმ ასაკში ასეთ ლაპარაკს როგორ ვბედავდით. არაჩვეულებრივი ფილმების რეტროსპექტივა ეწყობოდა და შანსს არ ვუშვებდით ხელიდან, ახალი ფილმი რომ გვენახა. აბონემენტებით მოზარდ მაყურებელთა თეატრში დავდიოდით, სულ ბიბლიოთეკაში ვისხედით



თენგიზ სუხიშვილი

და ასე ვმდიდრდებოდით სულიერად. განსაკუთრებულად ვინტერესდებოდით საქართველოს ისტორიით და სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ჩვენს სკოლაში ზვიად გამსახურდიას თაოსნობით, ეროვნული მოძრაობა დაიწყო.

— **ეს იყო თაობა, რომლის მიზანიც, საუკეთესო განათლების მიღება იყო. ალბათ, თქვენი მშობლებიც ზრუნავდნენ ამისთვის...**

— ასე არ იყო. ჩემმა მშობელმა ისიც კი არ იცოდა, სკოლის გარდა რა წრეზე დავდიოდი. უბრალოდ, საერთო ფონი იქმნებოდა ისეთი, რომ წესიერები ვყოფილიყავით.

— **და არაფერს აშავებდით ისეთს, რომ თუნდაც მშობელი გამოეძახებინათ სკოლაში?**

— ასეთი შემთხვევებიც იყო, რა თქმა უნდა, მაგრამ ძალიან იშვიათად ხდებოდა, ისიც — „შატალოს“ ან ორიანის გამო.

— **გოგონებთან როდის გაგაერთიანეს?**

— მეათე კლასიდან გაგვყვეს ვაჟები და ნაწილი პირველ ქალთაში გადაგვიყვანეს. იქაც ანალოგიურად, გოგონები გაყვეს და აქეთ გადმოიყვანეს. დახატული გოგონები იყვნენ და თავიდან, ცოტა არ იყოს, დავიბენით. მერე ძალიან დავმეგობრდით. მე და კობამ ოქროს მედლებზე დავამთავრეთ სკოლა. ის გოგოებიც ძალიან კარგად სწავლობდნენ. ია ფხაკაძე დღეს, სრული პროფესორია, ბესარიონ ჟღენტის ქალიშვილი — ნინო, თამრიკო სურგულაძე, მარინა მხეიძე, ცუცა ცაგარელი, გოგი ხარაბაძის და — ნანა და კიდევ ბევრი ჩვენი თანაკლასელი, არაჩვეულებრივი ადამიანები არიან.

— **კლასელი გოგონების გამო არ გიჩხუბიათ ვაჟებს?**

**კობა პატარაია:**

— კლასში ასეთი რამ არ ხდებოდა. ეგ კი არა, ქუჩაში გოგონასთან ერთად მომავალი მოსისხლე მტერი რომ შეგვხვედროდა, საყვედურის თქმასაც ვერ აკადრებდი. ჩხუბისას კი შენს მეტოქეს ოდნავ რომ წაეფორხილა, წამოდგომას დააცდიდი და ისე დაარტყამდი. მაშინ ყველაფერს რაინდულად უდგებოდნენ.

**დავით გორდეზიანი:**

— კობა, თემურ ჯვარშეიშვილის ხუმრობები გახსოვს? უკვე გოგონებთან ერთად ვსწავლობდით და ერთ-ერთ გაკვეთილზე ისტორიის მასწავლებელი შემოდის კლასში, ჩვენ კი, მერხიანმოსწავლეიანად, ზურგით დავხვდით. გაგიჟდა: ეს რა არისო?! ჩვენ, შებრუნებულები, ვეკითხებით: რაზე ამბობთ, მასწავლებელო-თქო? — ამას ასე არ დავტოვებო! — და გავარდა დირექტორთან — თამარ დარახველიძესთან. ცოტა ხანში ორივენი შემოდიან კლასში და... მათ შემოსვლამდე მოვასწარით, ყველა მერხი წაღმა დაგვედგა და ჩვენც ადამიანურად დავსხედით. რა დაგემართა, ვარდოო? — ეკითხება გაოცებული დირექტორი მასწავლებელს. ის გადაირია: როგორ, თქვენ ცოტა ხნის წინ შებრუნებით არ ისხედითო?! — რას ამბობთ, ასე ვიყავით-თქო! — ვუპასუხეთ. დირექტორმა თავი გადაიქნია: ალბათ, ეგონა, ვარდომ აურიაო. გააგრძელე, ვარდო, გაკვეთილიო, — დაყვავებით უთხრა მასწავლებელს და კლასიდან აშკარად ჩაფიქრებული გავიდა (*იცინიან*)... ძალიან კარგი მათემატიკის მასწავლებელი გვყავდა, მცოდნე, ოღონდ დიდი ღიპი ჰქონდა. თანაკლასელების ნაწილი გაკვეთილის მსვლელობისას ეზოში იმყოფებოდა. მასწავლებელს ეზოდან ხმაური შემოესმა და ფანჯრიდან გადახედვა მოისურვა, მაგრამ ღიპმა ხელი შეუშალა. მერე მოიფიქრა, ხელით ასწია ღიპი, ფანჯრის რაფაზე ჩამოდო და ისე სცადა გადახედვა. მაინც არაფერი გამოუვიდა. საოინბაზოდ მუდამ მზად მყოფი თემურ ჯვარშეიშვილი მივარდა, ფეხები აუწია და ისე გადააგორა. მასწავლებელმა გადახედა ბავშვებს, დატუქსა და მერე ისევ უკან გადმოგორდა. იცით, რა სანახავი იყო (*იცინის*)?! გახსოვს, კობა, სკოლაში ახალი დირექტორი — შალვა გიგაშვილი რომ მოვიდა? ზამთარი იყო და სანამ ბატონი შალვა კლასში გაკვეთილის ჩასატარებლად შემოვიდოდა ხოლმე, მისი კათედრის ზემოთ, ჭერზე გუნდებს ვისროდით — იმ იმედით, რომ ერთ-ერთი მაინც შერჩებოდა ზედ. შალვა მალევე შემოვიდოდა, დაჯდებოდა კათედრასთან, ნახევრად დამდნარი გუნდაც ჩამოვარდებოდა ხოლმე და ან თავში ეცემოდა მასწავლებელს, ან — ცხვირწინ. გაბრაზებული წამომაყენებდა მე, რადგან კლასკომი ვიყავი და ცდილობდა, გამოვეტეხე. მე, რა თქმა უნდა, არ ვტყდებოდი და არავის ვასმენდი. ასე გრძელდებოდა მთელი ზამთარი.

— **კლასკომი რას ნიშნავდა?**

— კლასის ორგანიზატორი ვიყავი და



მეთერთმეტე კლასელები: ცუცა ცაგარელი, ნანა ხარაბაძე, კობა პატარაია და დუდანა გეგენავა

სხვებზე მეტი პასუხისმგებლობა მეკისრებოდა.

**კობა პატარაია:**

— ერთხელ მახსოვს, ქართულში საკონტროლოს ვწერდი. ძალიან ცხელოდა და ოფლის მოსაწმენდად, ხელში ცხვირსახოცი მეჭირა. „შპარგალკით“ არასდროს მისარგებლია და შესაბამისად, არც მაშინ მქონდა. ჩვენი ქართულის მასწავლებელი კი მანამდე, ქალთა სკოლაში ასწავლიდა, სადაც გოგონები „შპარგალკას“ თურმე ცხვირსახოცში მალავდნენ. იფიქრა, ამასაც „შპარგალკა“ აქვსო, გამომართვა მოკუჭული ცხვირსახოცი და სიამაყით განუცხადა კლასს: მიყურეთ, ახლა ფოკუსს გიჩვენებთო. გაშალა ცხვირსახოცი და... ფოკუსიც ჩაუფლავდა. გაგიჟდა, ჩვენ კი ჩუმად ავფხუკუნდით.

— **ჩვენი სახელოვანი ჯანო ბაგრატიონიც იყენებდა „შპარგალკას“?**

**დავით გორდეზიანი:**

— მოკლედ, თქვენ სულ ბაგრატიონები გაინტერესებთ...

— **ისე გეღიმებათ, ეტყობა, ბატონი ჯანო „შპარგალკის“ აქტიური მომხმარებელი იყო. თქვენ ნუ გათქვამთ, მე ვიტყვი, იწერდა-მეთქი...**

— ამაზე ერთი ანეკდოტი გამახსენდა. მოშეს ჰკითხეს: ღმერთი არსებობსო? მოშე დუმდა. — რატომ არ გვპასუხობო? — ისევ ჰკითხეს. — თუ არსებობს, უარის თქმით რატომ ვაწყენინო და თუ არ არსებობს, სათქმელიც არაფერიაო, — უპასუხა მოშემ. მასე, ყველანი ვიწერდით, კობა არ იწერდა, რადგან თემების წერა კარგად ეხერხებოდა. მე, მაგალითად, ლექსებს ვერ ვიმახსოვრებდი კარგად და წინასწარ პატარა ფურცელზე ვწერდი, მერე რომ გადამეწერა. აი, კობა ლექსებსაც კარგად იმახსოვრებდა. არ დამავიწყდება, გამოსაშვებ საღამოზე ლექსი რომ წაიკითხა (*იცინის*).

**კობა პატარაია:**

— მგონი, ლადო ასათიანის „სალაღობო“ იყო. რიხით დავიწყე და უცებ გავიჭედე... კარგა ხნის შემდეგ ძლივს დავასრულე.

— **ვერავინ უკარნახეთ?**

**დავით გორდეზიანი:**

— არავინ ვიცოდით და... ისე, კარნახზე გამახსენდა: „თორნიკე ერისთავს“ ვსწავლობდით და შურიკა მღებრიშვილი გამოძახებულ მიშა გიგინეიშვილს კარნახობდა: „თავგასულია სკლიაროსი, მთავარი ბარდაველი...“ მიშამაც გაიმეორა: „თავგასიებულია სკლიაროსი, მთავარი ბარდაველი“... თავს გაგისივებ შენ, დაჯექი გაკვეთილი არ იციო! — მიაძახა მასწავლებელმა (*იცინიან*).

**კობა პატარაია:**

— მოჰყევი ერთი, არჩილ ორაგველიძე რომ იწერდა შენგან და აქეთ რომ აგიშარდა...

**დავით გორდეზიანი:**

— ჩემ უკანა მერხზე იჯდა არჩილი, რომელიც ჩემგან იწერდა, იმის უკან მსხდომნი არჩილისგან იწერდნენ და ასე შემდეგ. რაღაც შემეშალა, გადავხაზე და თავიდან დავიწყე წერა. არჩილმა ერთი ამბავი ამიტეხა: რატომ გადახაზე? არ შეგიძლია, შეუცდომლად დაწეროო?! წარმოიდგინეთ, ის ადგილი ხომ ყველას ერთნაირად უნდა გადაეხაზა (*იცინის*)!

**კობა პატარაია:**

— არჩილი ძალიან ცელქი იყო, საოცარი იუმორის გრძნობა ჰქონდა და განსაკუთრებულად უყვარდა პოეზია. ახლა გამახსენდა, ერთხელ სკოლიდან შინ დაბრუნდა და მამამისმა შენიშნა, რომ იღლიასთან პიჯაკი გარღვეოდა. — რა მოგივიდა, ყველაფერი რომ გამობდღვნილი გაქვსო? — უსაყვედურა. არჩილიც არ დაიბნა: მასწავლებელს ხელაწეული ვეხვეწებოდი, გამიძახე-მეთქი და მაგ დროს გამერღვაო. მამამისმა გადახედა, თურმე, და, — ვიცი, კარგი მოსწავლე რომ ხარ, შვილო, იმიტომ არის, თერთმეტი წლის განმავლობაში ერთხელ რომ გაგერღვა პიჯაკიო (*იცინიან*)...



მეთერთმეტე კლასელები: ნაირა ახალკაცი, თამარ ღოღობერიძე, მანანა ომიაძე; დგანან: დავით გორდეზიანი, ლია ლომთაძე, კობა პატარაია, დოდო ქორქოლიანი

— **მოსწავლეობის ხანა უტკბეს მოგონებად დაგრჩათ, მაგრამ იქნებ, დიდი ხნის შემდეგ მაინც გიფიქრიათ, რა შეიძლებოდა იმ წლებში შეგეცვალათ, სხვანაირად მოგეწყოთ, რომ უკეთესად გეცხოვრათ. თუნდაც, რა არ მოგწონდათ თქვენი თაობის?**

**დავით გორდეზიანი:**

— რა ძნელია, იცით, ამის თქმა? ვერ წარმოიდგენთ, რომ დღევანდელი გადასახედიდან, ჩემთვის ყველაფერი იდეალურად ჩანს, თაობის ნაკლს ვერც ვხედავ, სამწუხაროდ, თორემ საკუთარს როგორ ვერ ვამჩნევ?!.

— **სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ?**

— თუკი თაობის ნაკლს დავინახავდით, ეგებ იმაზეც გვეფიქრა, რა შეიძლებოდა, უკეთესი ყოფილიყო. ყოველთვის სამწუხაროა, როცა ნაკლს ვერ ხედავ...

**კობა პატარაია:**

— ტრადიციად გვქონდა — ყოველ საღამოს საგანგებოდ გამოწყობილებს რუსთაველის პროსპექტზე გვესეირნა. უკეთესი „პოდიუმი“ არ არსებობდა: საუკეთესო და ულამაზეს გოგო-ბიჭებს ნახავდით იქ, სულ სიცილ-კისკისი და სიმღერის ხმა ისმოდა. „ლაღიძის წყლების“ წინ რომ ხეები მოჭრეს, ვინც ეს გააკეთა, როგორც ჩანს, იმ ხალხს წმინდა არასდროს არაფერი ჰქონია. იცით, რამდენჯერ მივყრდნობივართ იმ ხეებს, ხელი მიგვიდვია, თითქოს ჩვენი — მთელი თაობის სხეულის ნაწილი იყო. იმ ხეებს, „ლაღიძის წყლებს“ თბილისის სიმბოლოებად მივიჩნევდით. მან, ვინც ის ჭადრები მოჭრა და „ლაღიძის წყლები“ მოშალა, თაობებს წარსული წაგვიშალა და ეს არ იყო შემთხვევითი — გამიზნულად, თბილისური, ქალაქური ტრადიციების წარღვნისთვის იყო გაკეთებული.

— **ისე გულანთებული ლაპარაკობთ, ჩანს, დღემდე ის ძველი მუხტი მოგყვებათ, ისევე, როგორც მოჰყვებით ერთმანეთს...**

**დავით გორდეზიანი:**

— ძალიან ხშირად ვიკრიბებით. იცით, ჩვენ ანგარება არ გვაკავშირებს. ვერ აგიხსნით, რატომ გვიყვარს ერთმანეთი. დანამდვილებით მხოლოდ ის ვიცი, რომ ეს ჩემი ოჯახია და მასზე ძვირფასი არავინ მყავს. ■

კალეიდოსკოპი

# ფლაგმანები და დროშები



ავსტრიის რკინიგზა „ევრო-2008“-ისთვის გამალებით ემზადება. ქვეყნის შიგნით და მეზობელ შვეიცარიაში, მგზავრობის სპეციალური ტარიფების გარდა, რკინიგზის სახელმწიფო კომპანიამ ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის მონაწილე ქვეყნების დროშების ფერებში შეღებილი, 16 თემატური ელექტრომავალი მოამზადა. ავსტრიის რკინიგზის ლიანდაგებზე EVROmotion-ის კოპწია შემადგენლობა და უეფას სიმბოლიკით დამშვენებული მატარებლებიც იქროლებენ. კარგი იქნებოდა, თუ ფერადი ვაგონები ჩემპიონატის მონაწილე ქვეყნებშიც იმოძრავებდნენ და ტურისტებს პირდაპირ ავსტრიაში ჩაიყვანდნენ, მაგრამ ავსტრიელი რკინიგზელები საშინაო გადაზიდვებით შემოიფარგლნენ და მხოლოდ შვეიცარიელ გულშემატკივართა მომსახურებაზე იზრუნეს... ■

ძალიან შეაწუხა და თანამგზავრს უთხრა: „კარგი, რა, გეყოფა ბავშვების ლანძღვა. მომასვენე, რა იყო, შე ადამიანო, რა გახვრიტე თავის ტვინი!“ ავტობუსში ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა, მაგრამ ეტყობა, იმ ქალს ლაპარაკის საღერღელი აშლილი ჰქონდა და კვლავ დაიწყო: „გახსოვს, რა გოგოები ვიყავით? კაცებს სიშიშვლით კი არა, ჩვენი სილამაზით, სინაზით ვუბრმავებდით თვალებს; ეჰ, რა დრო დავკარგეთ?! ამათ ყველაფრით ვჯობდით. საოცრად ლამაზი ქალები ვიყავით, ახლა კი ეშმაკის მაშხალებს ჰგვანანო...“ მეც, მეტი ვეღარ მოვითმინე და ის ქალი კარგად გამოვლანძღე. საბედნიეროდ, უფროსი თაობის ადამიანებს ჩემთვის შენიშვნა არ მოუციათ, პირიქით, იმ ქალს სიჩუმისკენ მოუწოდეს, თორემ არ ვიცი, რას ვიზამდი (*იცინის*)...

**ელენე,** *15 წლის:*

— მე ქართულ ტრადიციულ ოჯახში ვიზრდები და ამაში სამარცხვინო არაფერია. ძალიან მომწონს ქართული სუფრის, „ქალიშვილობის ინსტიტუტის“, ნიშნობა-გათხოვების და ა.შ. ტრადიციები. როცა გათხოვებას გადავწყვეტ, საქმროს მოვთხოვ, რომ ჩემს ოჯახში მოვიდეს და მშობლებს გაეცნოს. მერე, ჩვეულებისამებრ, დამინიშნოს და რაღაც პერიოდის შემდეგ, ცოლად მომიყვანოს, დიდი (300-კაციანი მაინც) ქორწილი გადაიხადოს (*იცინის*). იცით, კარგი იქნებოდა, შინ მანქანით კი არა, ეტლით მოვეყვანე, მაგრამ დღეს ეს შეუძლებელია.

**— დისკოკლუბებში არ დადიხარ?**

— არა, ასეთი დაწესებულებები არ მაინტერესებს. იქ ერთხელ ვიყავი და მეორედ წასვლის სურვილი აღარ გამჩენია.

**— რატომ? შენი თანატოლები ხომ იქ მშვენივრად ერთობიან!**

— არ გეგონოთ, რომ მშობლები რაიმეს მიკრძალავენ და კლუბში ამიტომ არ მივდივარ. უბრალოდ, იქაური სიტუაცია არ მომწონს — უაზრო მუსიკა, საშინელი ხმაური, ბიჭების ლაქუცი... იქ ყველა შენს შებმას ცდილობს, მერე კი „ზასაობის“ სურვილი უჩნდებათ და... არც სიგარეტის მოწევის სურვილი მაქვს და არც სპირტიანი სასმელი მომწონს. ასეთი რაღაცების გარეშეც მშვენივრად ვერთობი.

**— კლუბში ამ ყველაფრის გარეშე გართობას ვერ ახერხებენ?**

— ალბათ, ვერა, რადგან ყველა ცდილობს, „კაიფი მიიღოს“ და ამას სხვადასხვა გზით ცდილობენ... მე მომწონს ქართული სუფრა. თან, კარგად ვმღერი, ვცეკვავ და ასეთ დროს არასდროს ვიწყენ.

**— ისიც მოგწონს, კაცები ძალიან ბევრ ღვინოს რომ სვამენ და მერე ჩხუბობენ?**

— ჩხუბი შეიძლება, ფხიზელ ადამიანებსაც მოუვიდეთ. უნდა დალიონ, აბა, რა უნდა ქნან?! მამაჩემს თამადობა ხშირად უწევს და შესაბამისად, შინ მთვრალი ბრუნდება, მაგრამ ჩვენ არ გვაწუხებს. პირიქით — გვართობს, კარგ განწყობილებაზე გვაყენებს და მერე — იძინებს.

**— ასეთი აზროვნების გამო, თანატოლებთან ურთიერთობა არ გიჭირს?**

— რატომ უნდა მიჭირდეს?! უბრალოდ, ამ საკითხის გამო ხშირად ვკამათობთ, მაგრამ ისინი ჩემი მეგობრები არიან და განსხვავებული გემოვნების გამო, ერთმანეთი რატომ უნდა დავკარგოთ?

**გიო,** *16 წლის:*

— მოიცა, რა, ტრადიცია, არა!.. რა უნდა მომწონდეს, სუფრასთან გამართული ღრეობა და მთვრალი ხალხის ყურება თუ ის, რომ გოგო მანამ არ უნდა გაგეკაროს, სანამ ცოლად არ მოიყვან?.. რა სისულელეა, რომელი საუკუნეა?!.

**— გასაგებია, რომ ქართული სუფრის ტრადიცია არ მოგწონს. და მაინც, როცა ასეთ სიტუაციაში ხვდები, როგორ იქცევი?**

— ჩვეულებრივად, ისევე, როგორც სხვები, მაგრამ ასეთ ადგილებში მოხვედრისგან თავის დაღწევას მაქსიმალურად ვცდილობ. ქეიფის დროს აუცილებელი სულაც არაა, ჭამით გასკდე და მერე, ვიღაცის ცემის ხასიათზე მოხვიდე, შენი ხუშტურები დაიკმაყოფილო და მეორე დღეს ნამოქმედარის შეგრცხვეს.

**— შენ როგორ ერთობი? შენთვის ნამდვილი დროს ტარება რასთან ასოცირდება?**

— ყველაფერ ზომიერთან. კაიფში უნდა იყო, მაგრამ ისეთში, რომ საკუთარ საქციელზე პასუხს აგებდე. ბევრი ცეკვა, სიცილი, გართობა — ესაა ნამდვილი ქეიფი და არა უაზრო ჭამა-სმა, ვიღაცისთვის ჯიბრში ჩადგომა, ღვინოში ჩახრჩობა და ა.შ.

**— როგორც მივხვდი, შენ „ქალიშვილობის ინსტიტუტიც“ არ მოგწონს...**

— რა აქვს ამ ტრადიციას მოსაწონი? ამის გამო, ზოგიერთი ქალი ამ ქვეყნიდან ისე მიდის, რომ „კაცის გემოს“ ვერ იგებს. ჩემი აზრით, ეს უსამართლობაა. ყველას აქვს ბედნიერების უფლება. ჰოდა, ყველა ქალმა თავისი ჭია რომ გაახაროს, ამაში ცუდს და დასაძრახს ვერაფერს ვხედავ.

**— გიო, და გყავს?**

— კი, ორი და მყავს და ერთი ძმა.

**— ჰოდა, ერთ დღეს შენი და რომ მოვიდეს და გითხრას, — კაცთან ვიწექიო, — როგორი რეაქცია გექნება?**

— იცი, სულაც არაა სავალდებულო, რომ ეს ამბავი გამიმხილოს, მაგრამ თუ მეტყვის, სკანდალს ნამდვილად არ მოვუწყობ. პირიქით — ვეცდები გავუგო და მხარში ამოვუდგე.

**— ეცდები თუ?..**

— (*მაწყვეტინებს*) ნამდვილად გავუგებ. თუმცა, ჩემი ძმა, ჩემგან განსხვავებით, ბევრად ტრადიციული ადამიანია (24 წლის გახლავთ) და შეიძლება, მან ხელიც კი გაარტყას და თავიც მოაჭრას (*იცინის*)...

**— ნუთუ, არც ერთი ქართული ტრადიცია არ მოგწონს?**

— (*ფიქრობს*) არა მგონია, რომელიმე მომწონდეს... უბრალოდ, ვაფასებ ტრადიციას, რომლის მიხედვითაც, დამნაშავეს, პოლიციას კი არ აბარებენ, არამედ დაზარალებული მხარე მას თავად უსწორდება. მე რომ ვიღაცამ და ან ძმა მომიკლას, მისი ციხეში გამოკეტვა რას მომიტანს?! დამნაშავეს ისეთი სიკვდილი უნდა ერგოს, როგორსაც იმსახურებს. კაცის მკვლელი მიწას არ უნდა ამძიმებდეს!

**— მაგრამ სისხლის აღების შემდეგ, მიწას შენც ხომ დაამძიმებ!**

— კი, მაგრამ მე სუფთა სინდისი მექნება და უფლის არ შემეშინდება.

**— ნათქვამია: მედალს ორი მხარე აქვსო...**

— კი და ამის მთქმელს მეც ვეთანხმები. მე ვამბობ, რომ სისხლის აღების ტრადიცია მომწონს, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგეს, სურვილის მიუხედავად, შეიძლება, მსგავსი რამ ვერ გავაკეთო.

**— ღმერთმა გაშოროს!.. დაბოლოს, მინდა გკითხო, ცოლად ისეთ გოგოს თუ მოიყვან, რომელმაც ქალწულობა სხვას ჩააბარა?**

— თუ შემიყვარდება, რა თქმა უნდა, მოვიყვან.

**— იმ შემთხვევაშიც, თუ გეცოდინება, რომ მას არაერთი კაცი ჰყავდა გამოცვლილი?**

— (*იცინის*) ინტრიგა გინდათ, არა?!. მე ვთქვი, რომ არაქალიშვილს, მაგრამ მაინც წესიერს შევირთავ და არა — ბოზს.

**— აკი თქვი, ყველამ თავისი ჭია უნდა გაახაროს, ბედნიერების უფლება ყველას აქვსო?**

— ჰო, მაგრამ თუ კაცების ცვლაში ვიღაც ბედნიერებას პოვებს, არა მგონია, ჩემ გამო ამ სიამოვნებაზე უარი თქვას (*იცინის*)... კარგი, მეტი დრო არ მაქვს, მეჩქარება, მელოდებიან.

**— კი, ბატონო, ვერ დაგაკავებ, მაგრამ კიდევ ერთ კითხვას დაგისვამ: მშობლებმა არაქალიშვილი გოგოს ცოლად მოყვანა თუ აგიკრძალეს, როგორ მოიქცევი?**

— მათ თავიანთ მშობლებს ჰკითხეს, — ვინ მოვიყვანო ცოლად ან ვის გავყვეო?.. ასე რომ, ამას ჩემგანაც ვერ მოითხოვენ. თუმცა, არა მგონია, მათ ამ საკითხში ვერ გამიგონ. ისინი ახალგაზრდულად აზროვნებენ და ეს ჩვენს ურთიერთობაზეც აისახება.

# მათემატიკოსის სამწერლო კარიერა, „არალეგალური" ქორწინება გაგრაში და სვლა დირექტორის პოსტიდან თავმჯდომარის სავარძლამდე



**„მწერალს, კარგი წერის გარდა, ბევრი რამ მოეთხოვება. უპირველეს ყოვლისა, ნონკონფორმიზმი და სიმამაცე... მწერალი ხომ ცნობილი პერსონა ბრძანდება, გაცილებით ცნობილი, ვიდრე მისი მკითხველების უმრავლესობა... დამისახელეთ კონფორმისტი და მხდალი მწერალი და დაგისაბუთებთ, რომ ასეთი პიროვნებების მიერ შემოთავაზებული ტექსტი მხოლოდ დროებით შეიძლება მოექცეს მკითხველის თვალთახედვის არეში. სამაგიდო წიგნებს მხოლოდ მამაცები წერენ". ასეთია აზრი მწერლისა, რომლის ნაწარმოები დღევანდელ სასკოლო სახელმძღვანელოშია შესული, ხოლო თვითონ ცოტა ხნის წინ, თბილისის ერთ-ერთი საშუალო სკოლის დირექტორი იყო. ეს — ადრე, ახლა კი ზაალ სამადაშვილი თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეა. მან სწორედ ის სავარძელი დაიკავა, რომელმაც მიხეილ სააკაშვილი ქვეყნის პრეზიდენტობამდე მიიყვანა, ხოლო ზაზა ბეგაშვილი — ჩინეთის გზას გაუყენა. რისი დასასრული და რისი დასაწყისი აღმოჩნდება ეს პოსტი ბატონი ზაალისათვის — ამას დრო გვიჩვენებს. ჩვენ კი ამ რუბრიკაში, დღემდე გამოვლილი ცხოვრების გზის, მნიშვნელოვანი და საინტერესო ადამიანების შესახებ სასაუბროდ მოვიწვიეთ.**

***მანანა ჭირაქაძე***

— თბილისში, 1954 წელს დავიბადე. მაშინ ჩემი მშობლები ნაძალადევში ცხოვრობდნენ. ის პერიოდი თითქმის არ მახსოვს. მერე ე.წ. მალაკნების ბაზართან გადავედით. ძალიან კარგი ადგილი იყო, ძველი თბილისის ერთ-ერთი ლამაზი კუთხე. არაჩვეულებრივი სახლი იდგა, სამსართულიანი, შიდა მხრიდან აივნები ჰქონდა. ახლა ეს სახლი აღარ არსებობს, რატომღაც, დაანგრიეს. იმ ადგილას წინათ მალაკნები ცხოვრობდნენ. მე მალაკნებიც მახსოვს, ზემოდან გადმოშვებული თეთრი ხალათები ეცვათ, წვრილი სარტყლები ჰქონდათ შემოჭერილი, უმეტესობა გრძელ წვერს ატარებდა. მალაკნების ბაზართან მხერხავებიც იყრიდნენ თავს. მაშინ თბილისში ძალიან ცოტა სახლს ჰქონდა ე.წ. ცენტრალური გათბობა და თითქმის მთელი ქალაქი შეშით თბებოდა.

— **აი, თურმე საიდან მოდის გასული საუკუნის 50-იანი წლების თბილისის სურათ-ხატები, რომლებიც თქვენს მოთხრობებშია აღწერილი...**

— გასული საუკუნის 60-იან წლების სურათი უკეთ მახსოვს, 50-იანი წლების სურათები კი უფრო სხვების მონათხრობიდან ვიცი. მერე, სკოლის ასაკმა რომ მომიწია, რუსულ ეკლესიასთან გადავინაცვლეთ, მარჯანიშვილზე. 23-ე სკოლაში შემიყვანეს, უზნაძის ქუჩაზე.

— **თქვენს მშობლებზე რატომ არაფერს ამბობთ?**

— დედას თამარი ერქვა, ის ზოოვეტერინარი იყო. მამა, შოთა სამადაშვილი, ყოფილი სპორტსმენი, მასწავლებელი გახლდათ. ის ჯერ ტანვარჯიშით იყო გატაცებული, მერე — ჭიდაობდა, ისეთ სახელგანთქმულ მოჭიდავეებთან ერთად, როგორებიც იყვნენ გივი კარტოზია და ამურ ციმაკურიძე. მამა ჯერ სპორტულ სკოლაში მუშაობდა, მერე — ჩვეულებრივ სკოლაში, ფიზკულტურის მასწავლებლად.

— **მამათქვენის პროფესიიდან და გატაცებებიდან გამომდინარე, სპორტის მიმართ ინტერესი არ გქონდათ?**

— ვერ ვიტყვი — არ დარჩენილა სპორტის სახეობა, რომელზეც მამაჩემს არ წავუყვანივარ-მეთქი, მაგრამ საკმაოდ ბევრ სახეობაში ვცადე ბედი და უნდა გითხრათ, რომ საკმაოდ კარგად ვცურავდი და ჩოგბურთს ვთამაშობდი. თანაც, ერთ-ერთი უძველესი კორტები თბილისში, მარჯანიშვილის ქუჩაზე იყო. მე 23-ე სკოლა არ დამიმთავრებია, მეცხრე კლასიდან 42-ე მათემატიკურში გადავედი.

— **ამ პერიოდში თუ ფიქრობდით თქვენს სამომავლო პროფესიაზე?**

— არა, არ ვიცოდი, შემდგომში რა უნდა მეკეთებინა და რადგან მათემატიკურ სკოლას ვამთავრებდი, უნივერსიტეტში მათემატიკურზე ჩაბარება გადავწყვიტე. ეს იყო 1971 წელს. რაც შეეხება გატაცებებს, სკოლის პერიოდში ვხატავდი, ალბათ — საშუალოდ.

— **როგორი იყო იმ დროს, თბილისის უნივერსიტეტი, მისი უძველესი პირველი კორპუსი, თავისი ბაღით, და „ისტორიული" „ჩაის სახლი", სადაც სტუდენტების არაერთი თაობა იკრიბებოდა?**

— მე სამწუხაროდ, უნივერსიტეტის ძველ კორპუსში სწავლა არ მომიხდა, მხოლოდ „სამხედროზე" ჩამოვდიოდით ხოლმე ვაკეში. მაღლივი კორპუსი ახალი აშენებული იყო და ჩვენ ერთ-ერთი პირველი ნაკადი ვიყავით, რომელიც ამ შენობაში შევიდა. სიმართლე გითხრათ, ამაზე ცოტა გული მწყდებოდა. უნივერსიტეტელობის განცდა კი ყოველთვის დიდი დოზით მქონდა, რადგან ჩემი პროფესორები იყვნენ ქართული მათემატიკური სკოლის ფუძემდებლები: ილია ვეკუა, ნიკო მუსხელიშვილი, არჩილ ხარაძე, ევგენი ხარაძის უფროსი ძმა და ბრწყინვალე ქართველი მათემატიკოსი. ისინი საოცარ გარემოს გვიქმნიდნენ და ისე გვმუხტავდნენ, რომ ეს ემოციები დღემდე გამომყვა. როცა უკვე სპეციალობის არჩევის დრო დადგა, აღმოვაჩინე, რომ ეს საქმე მაინცდამაინც არ მიტაცებდა, მაგრამ სწავლა არ მიმიტოვებია და მათემატიკის ფაკულტეტი დავამთავრე.

— **როგორი იყო გასული საუკუნის 70-იანი წლების სტუდენტური ცხოვრება?**

— ძალიან ლამაზი და საინტერესო. ზაფხულობით ლიძავაში დავდიოდით, ზამთრობით — ბაკურიანში. 70-იანელებს ხშირად მოგვიხსენიებენ, როგორც „ჯინსების თაობას", მაგრამ ეს ასე არ არის.

— **რატომ?**

— (*იცინის*) ერთ კაცს ეცვა მაშინ ჯინსი და ათი უკან დასდევდა, მის წასართმევად...

— **ამ პერიოდში არ იყავით გატაცებული ლიტერატურით? რას კითხულობდით?**

— სულ ვკითხულობდი, იმიტომ, რომ ჩვენთან სახლში წიგნის კულტი იყო.

— **ოჯახში დიდი ბიბლიოთეკა გქონდათ?**

— სახლშიც გვქონდა და ბიბლიოთეკებშიც დავდიოდი. მახსოვს, გორკის კლუბთან მდებარე ბიბლიოთეკაში მუშაობ-

და ხანში შესული ქალი, რომელიც ახერხებდა ხოლმე, დავეინტერესებინე იმ წიგნებით, რომლებიც თვითონ მოსწონდა. განსაკუთრებით მიყვარდა და დღესაც მიყვარს სტივენსონი.

— **უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ რას საქმიანობდით?**

— იყო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, გეოლოგიური ექსპედიცია, ტექნიკური უნივერსიტეტი... მერე დავოჯახდი.

— **ამის შესახებ ცოტა უფრო დაწვრილებით, თუ შეიძლება.**

— მე ცოლი მოვიყვანე გაგრაში, უფრო სწორად — ლიძავაში ვიყავით და გაგრაში მოვაწერეთ ხელი.

— **იქ გაიცანით?**

— არა, თბილისში. ჩემი მეუღლე, ნანა იაშვილი ექიმია. მაშინ მას ახალი დამთავრებული ჰქონდა სამედიცინო ინსტიტუტი და მცხეთის საავადმყოფოში კარდიოლოგად მუშაობდა. მე გეოლოგებთან ვიყავი ექსპედიციაში და ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩავედი ლიძავაში. 25 წლის ვხვდებოდი. სექტემბერში მოვაწერეთ ხელი და ოქტომბერში შემისრულდა 25. ეს ჩემი მეგობრის ლაშა თაბუკაშვილის (რომელთანაც ვიყავი ჩასული) დამსახურებაა, თორემ არ შეიძლებოდა, თბილისში ჩაწერილების ქორწინება სხვაგან გაეტარებინათ რეგისტრაციაში. ლაშა „სტაჟიანი“ ლიძაველი იყო. სახლი ჰქონდათ იქ თაბუკაშვილებს; ჰოდა, ჩაგვწერა თავის მეგობართან, აფხაზ კაცთან, გაგრაში მისამართზე — Сухумское шоссе, 128.

— **სად აღნიშნეთ ეს მოვლენა? თაბუკაშვილების აგარაკზე?**

— არა. მინდა გითხრათ, რომ ძალიან ქესეტად ვიყავით. ბიჭვინთაში ტრასაზე ძალიან უსახური რესტორანი იყო და სწორედ იქ მივუსხედით სუფრას. იყო მხიარულება, სითბო, სიყვარული.

— **პირველი მოთხრობა როდის გამოაქვეყნეთ და შეეხო თუ არა თქვენს შემოქმედებას კომუნისტური ცენზურა?**

— წერა საკმაოდ გვიან დავიწყე. 1983-ში დაიბეჭდა ჩემი პირველი მოთხრობა „გარსევანი“, ჟურნალ „ცისკრის“ დამატებაში, სადაც დებიუტანტების ნაწარმოებებს ბეჭდავდნენ — „ნობათი“ ერქვა. რაც შეეხება ცენზურას — პირველ მოთხრობას არ შეხებია. როგორც უკვე გითხარით, წერა გვიან დავიწყე — 30 წლის ასაკში, სულ მალე კი „პერესტროიკაც“ დაიწყო... საერთოდ, ისეთი ცხოვრების წესი მქონდა, ისეთი გზა ავირჩიე, რომ რაც შეიძლება ნაკლები შეხება მქონოდა იმ სისტემასთან. სახელმწიფო სამსახურში არ ვყოფილვარ, გეოლოგიურ ექსპედიციაში რა შეზღუდვა უნდა ყოფილიყო?.. ერთი სიტყვით, ვირჩევდი ისეთ ადგილს, სადაც უფრო თავისუფლად, კომფორტულად ვიგრძნობდი თავს.

— **თქვენ გაქვთ მოთხრობა — „მათთვის, ვინც ველარ დახეტიალებს მთაში“. მან ჩემი სტუდენტობა გამახსენა, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ერთხელ „წავხეტიალდი“ მთაში.**

— ბარისახო, დათვიჯვარი, შატილი, მუცო, აწუნთა, ფარსმა, გირევი, დართლო, ომალო — ეს ის ადგილებია, სადაც ხშირად დავხეტიალებდით. ავიყრებოდით რამდენიმე ბიჭი, ხანდახან გოგოებიც აგვეტორღიალებოდნენ. სულ იყო ჩხუბი, ვეუბნებოდით, — არ გინდათ თქვენ წამოსვლა-თქო, — მაგრამ რაღაცნაირად, ახერხებდნენ ჩვენს დაყოლიებას. ძირითადად, ხევსურეთში და მთათუშეთში დავდიოდით.

— **2003 წელს გამოცემულ კრებულში შესულია მოთხრობა, რომლის სიუჟეტი ასახავს იმას, რაც რეალობაში მოუვიდა გურამ რჩეულიშვილს: ახალგაზრდა ბიჭი გადაარჩენს სხვებს და თვითონ იღუპება აზვირთებულ ტალღებში...**

— ჩემი თაობისთვის რჩეულიშვილი ძალზე ახლობელი, მნიშვნელოვანი ავტორი იყო. მე მისი ერთ-ერთი პირველი წიგნის გარეკანიც კი მახსოვს, ოჩიაურის მიერ გაფორმებული: ცხენზე ამხედრებული ახალგაზრდა; სწორედ ეს სურათია გურამის საფლავის ქვაზე ამოტვიფრული... ეს წიგნი ლამის ზეპირად ვიცი... ვინც ამ პერიოდში ვწერდით, თითოეულზე დიდი გავლენა



ჩემი თაობისთვის რჩეულიშვილი ძალზე ახლობელი, მნიშვნელოვანი ავტორი იყო

მოახდინა მისმა შემოქმედებამ. სტუდენტობის დროს „ჩაის სახლში“ შევიკრიბებოდით ხოლმე და იქ იყო საუბარი ლიტერატურაზე, რჩეულიშვილზე და სხვა ქართველ ავტორებზე. მაშინ მარკესის რომანი — „მარტოობის ასი წელი“ — პირველად, ნაწილ-ნაწილ რუსულ ჟურნალში — „Иностранная литература“ — დაიბეჭდა. ბევრს ვსაუბრობდით მარკესზე...

— **როგორც ლიტერატორმა, მუშაობა როდის და სად დაიწყეთ?**

— კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მწერალთა შემოქმედებით გაერთიანებაში, სტაჟიორ ლიტერატორად. გაერთიანებას ხელმძღვანელობდა ბატონი რეზო თაბუკაშვილი. იქ იყო ქართული მწერლობის მთელი ნაღები: გურამ დოჩანაშვილი, რეზო ინანიშვილი, გურამ გეგეშიძე, რეზო ჭეიშვილი. ნამდვილი მასტერკლასი გახლდათ. ვიჯექი ჩუმად, ხმის ამოღებას ვერ ვბედავდი, ისე ვუსმენდი მათ...

— **ახლა დღევანდელობაში გადმოვინაცვლოთ. პოლიტიკაში როგორ მოხვდით? საინტერესოა, რატომ მაინცდამაინც ახლა და მაინცდამაინც — „ნაციონალურ მოძრაობაში“?**

— ცხოვრებამ მოიტანა ეს. სადაც სათქმელი იყო, ვთქვი, სადაც საბრძოლველი იყო, ვიბრძოლე და „ვარდების რევოლუციის“ დროს მკაფიოდ ჩამოყალიბებული პოზიცია მქონდა: მინდა, რომ ჩემმა შვილმა, მომავალმა თაობამ იცხოვროს ნორმალურ ქვეყანაში და არა — ქაოსში.

— **სკოლის დირექტორი რამდენ ხანს იყავით?**

— წელიწადი და ორი თვე. ეს პერიოდი იყო ერთ-ერთი ბედნიერი ხანა ჩემს ცხოვრებაში, იმიტომ, რომ ძალიან ქრისტიანულ საქმეს ვაკეთებდი — პატარების აღზრდაზე, განათლებასა და ჯანმრთელობაზე ვზრუნავდი.

— **გული არ დაგწყდათ, სკოლიდან რომ მოგიხდათ წამოსვლა? მოგწონთ ეს ახალი წესი — სკოლის დირექტორის არჩევა?**

— გული, რა თქმა უნდა, დამწყდა, მაგრამ კანონმორჩილი მოქალაქე ვარ და შესაბამისად, ვემორჩილები წესებს. იქ არჩევანი გაკეთდა, სამეურვეო საბჭოს უნდა აერჩია დირექტორი და აირჩია კიდეც, სხვა ადამიანი. გარდა ამისა, სრულებით არ არის აუცილებელი, სკოლის დირექტორი იყო, რომ ბავშვებზე იზრუნო. ყოველთვის მაღიზიანებს ადამიანებში, რაღაცას რომ ვერ ელევიან. კაცმა ამას არ უნდა გადააყოლო ყველაფერი.

— **რამდენად ეკლესიური ხართ, ბატონო ზაალ?**

— ვცდილობ, ვიყო... მთელი ჩვენი ცხოვრება ადამიანად ქცევის პროცესია. ერთი ძალიან ჭკვიანი კაცი, ესპანელი ფილოსოფოსი ამბობს: ადამიანად რომ დაიბადები, მას მერე, ხან ხარ ადამიანი, ხან — არა, კარგავ ამ ადამიანობას და მთელი ცხოვრება უნდა ისწრაფოდე იმისკენ, რომ იყო ადამიანი... ქრისტიანიც, სწორედ ამას ნიშნავს. ვცდილობ, ვიყო ქრისტიანი, ქრისტიანობა ხომ ცხოვრების წესია — სიყვარული და ზნეობრივი პრინციპების დაცვა.

— **საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ყოფნისას, რას შეცვლით, რის გაკეთებას აპირებთ?**

— მილიონნახევრიან ქალაქში რამდენი ადამიანიცაა, იმდენი პრობლემაა. სწორედ საქმის კეთების სურვილმა მიბიძგა მკვეთრი პოზიციების დაფიქსირებისაკენ და ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა გადამაწყვეტინა. ვფიქრობ, რომ ახლა მოთხრობების წერაზე მნიშვნელოვანი, სახელმწიფოს შენებაში მონაწილეობაა. ■

# „გზის" საშუალებით გავიცანი ბიჭი და... ვნახოთ, რა მოხდება"...



**„გზის" №19-ში დაიბეჭდა 19 წლის გოგონას მესიჯი, რომელმაც თავი მოხეტიალის სახელით გაგვაცნო. შეგახსენებთ, ის გვწერდა, რომ „გზის" მეშვეობით გაიცნო ბიჭი, რომელმაც თავი შეაყვარა, მერე კი მოულოდნელად განუცხადა, — ერთმანეთს უნდა დავშორდეთო! მოხეტიალის შეყვარებული ხან გამოჩნდება, ხან — გაუჩინარდება. ის გოგონას ეუბნება, რომ ჰყავს შეყვარებული, რომელთანაც თავს ისე კარგად ვერ გრძნობს, როგორც მასთან, რადგან ის არც თავმდაბალია და არც — ყურადღებიანი, რომ ის გოგო უყვარს, მაგრამ მოხეტიალესაც ვერ ივიწყებს და ა.შ. მოკლედ, ამ წყვილის ურთიერთობა ვერ ეწყობა, მათ სიყვარულის რაღაც ან ვიღაც უშლის ხელს და მოხეტიალე თანატოლებს სწორედ ამიტომ სწერდა: „ვერ ვხვდები, ვინ ვარ მისთვის და იქნებ, რაიმეს გარკვევაში დამეხმაროთო.**

*ლიკა ქაჯაია*

**გვანცა,** *17 წლის:*

„პრივეტები". მოხეტიალევ, ვფიქრობ, რომ ის ბიჭი შენით ერთობა. იცი, მაგარი „ბაბნიკი" ჩანს და ამიტომაც გირჩევ, დაივიწყო. დამიჯერე, ის შენი ცრემლების ღირსი არ არის. წარმატებებს გისურვებ!"

**NONST:**

„პრივეტ", ლიკუშ. როგორ ხარ? მინდა, მოხეტიალეს გამოვეხმაურო: მგონი, იმ ბიჭმა თავადაც არ იცის, რა სურს. თუ ის გოგო უყვარს, შენგან რა უნდა? ააა... ის ლამაზია, მაგრამ არაა თავმდაბალი და ყურადღებიანიო, არა? კარგი გემოვნება ჰქონია. ალბათ, შენში სწორედ თავმდაბლობა, შენი ყურადღება მოსწონს, იმ გოგომ კი თავისი სილამაზით მოხიბლა და ახლა ორივეს „დაჭერას" ცდილობს. მაგრამ ადამიანში მხოლოდ გარეგნობა ხომ არაა მთავარი?! რატომ გითხრა — ცხოვრებაში არავის უნდა ენდოო? იქნებ, არც მისი ნდობა შეიძლება და გატყუებს? რა ვიცი... ასეთ გაურკვევლობაში ყოფნას ალბათ, მართლა მისი დავიწყება სჯობს. თან, პირადად არ იცნობ და ვფიქრობ, ეს გაგიადვილდება. თუმცა, ეს შენი გადასაწყვეტია. დაფიქრდი! წარმატებებს გისურვებ!"

**კახელო 616:**

„პრივეტ", ლიკ. იცი, შენთან პირველად ვამესიჯებ. მინდა, მოხეტიალეს გამოვეხმაურო: ჩემი კარგო, იმ ბიჭმა თავადაც არ იცის, რა უნდა. მას შენი ხასიათი მოსწონს, მაგრამ ის სხვაც იზიდავს? თავად ვერ გაურკვევია, მისთვის რასაც წარმოადგენ და როცა ამას მიხვდება, სასურველია, შენც შეგატყობინოს; ისე, მაგარი უპრინციპო ტიპი ჩანს."

**მუკოზანძელი:**

„მოხეტიალევ, ხეტიალს თავი დაანებე. ცხოვრებას ფანტაზიით ნუ უყურებ, მიწაზე დაეშვი, რათა რეალობას არ მოსწყდე. მას პირდაპირ უთხარი, — ვინც უყვარს, იმასთან წავიდეს და შენ ბედს ნუ გირევს, შენით ნუ ერთობა, ნუ თამაშობს. ისე, დღეს მართლაც ძალიან ძნელია, ვინმეს ენდო. თუ გინდა, უფრო მეტად დაგეხმარო, ლიკას ჩემი ნომერი გამოართვი და შემეხმიანე. ვხვდები, ყველაფერს არ წერ, ანუ ბოლომდე გახნილი არ ხარ. ფანტაზიისგან დროულად გათავისუფლდი".

**თეთრი ვარდი:**

„ამდენ ტანჯვა-წამებას არ სჯობს, რომ ერთმანეთი პირისპირ ნახოთ? შეხვედრის შემდეგ ყველა ეჭვი გაიფანტება, ჩემო მოხეტიალევ. კარგი იქნება, თუ დაილაპარაკებთ და ერთმანეთს უკეთ გაიცნობთ. იქნებ, სულაც არ ჯდება შენს გემოვნებაში? წარმატებებს გისურვებ! P.S. მეც „გზის" საშუალებით გავიცანი ბიჭი და მას ხვალ უნდა შევხვდე. ვნახოთ, რა მოხდება"

**იკუშკები:**

„ჩემო კარგო, ვირტუალური სიყვარული არ არსებობს! ქალებს თავის მოტყუება გვჩვევია და დარწმუნებული ვარ, ბევრ გოგოს გამოუცდია მსგავსი მოჩვენებითი სიყვარული. იმ

## „მიწაზე დაეშვი, რათა რეალობას არ მოსწყდე"

ბიჭს შეეშვი. ფაქტია, რომ არამყარი და ქალის გრძნობებზე მოთამაშე ტიპური „აფერისტი" კაცია. ფიქრობს, რომ რაც მეტად დაგაინტრიგებს, მით მეტად დაგაინტერესებს და შეეჩვევი. მიჩვევა კი ცუდი რამაა. ის ან მართლა ცოლიანია, ან პატიმარი. სისუსტე არ გამოიჩინო და თავი არ მოატყუებინო. ხშირად, ქალები მამაკაცებს იმის უფლებას ვაძლევთ, რომ მათ სულელებად მიგვიჩნიონ და ჩვენით გაერთონ. იყავი ძლიერი და საკუთარი თავის პატივისცემას ნუ დაკარგავ, თორემ ერთ დღეს აღმოაჩენ, რომ უღირსი კაცის მარიონეტად იქეცი. წარმატებები!"

**ინა:**

„მოხეტიალევ, თავი დაიფასე და იმ ტიპს ნუ აფიქრებინებ, რომ შენს დაპყრობას ნებისმიერ დროს შეძლებს! შენ დასაკარგი არაფერი გაქვს, ის კი ნამდვილად კარგ ადამიანს კარგავს".

**აბეზარა:**

„არც კი ვიცი, რა გირჩიო. ეტყობა, იმ ბიჭმა არ იცის, რაა სიყვარული ან ვიღაც ნაცნობია და შენი რეაქცია აინტერესებს. მასთან ურთიერთობა განაგრძე, მაგრამ ისე, როგორც მეგობართან და დაელოდე, რა მოხდება. მისი რჩევა (რომ ყველას არ უნდა ენდო) გაითვალისწინე, ეს აუცილებლად „გამოგადგება".

**მგზავრი:**

„პრივეტ, ლიკ". მოხეტიალევ, იმ ბიჭს შეეშვი. ასეთ ადამიანთან ურთიერთობას აზრი არა აქვს. მან თავადაც არ იცის, რომელ კარზე უნდა დააკაკუნოს და შენ რას გაუგებ?"

**თათა 17:**

„ჩემო კარგო, ნუთუ, მასზე კიდევ ფიქრობ? გული გატკინა და... მის გამო დროის დაკარგვა ნამდვილად არ ღირს. ჯერ ახალგაზრდა ხარ, ცხოვრება წინ გაქვს. ვერ ვხვდები, უღირსს რატომ უნდა ელოდო?"

**აზიელი:**

„ისეთი გაოცებული ვარ, რომ არ ვიცი, რა ვთქვა... მოხეტიალევ, ნუთუ თავად ვერ ხვდები, რომ მასთან ურთიერთობა არ ღირს?! ამას მეგობრობაც არ ჰქვია. დაემშვიდობე, რა"...

**მიკა:**

„ჰაი" ლიკ. მოხეტიალევ, ასეთ გაურკვევლობაში ყოფნა არ ღირს. შენ კი არა, ყველა მკითხველი დაიბნეოდა (ისევე, როგორც მე). იმ ბიჭს შეეშვი და სხვა რამეზე ან ვინმეზე იფიქრე. აუ, ზოგჯერ გოგონები მაგარს ურევთ, რა. მოკლედ, შეწყვიტე ეს უაზრობა! P.S. ლიკა, აქვე მინდა გითხრა, რომ ძალიან მიყვარხარ. ბათუმელებო, გენაცვალეთ".

**ფისო:**

„ეჰ, ჩემო კარგო, მაგარი დარხეული რომ გაქვს, იცი? ხომ არ გიყვარს? თან, პირადად არ იცნობ, არა? როგორც ჩანს, იმ ბიჭს მაგრად „აკლია". თავის თავში ვერ გარკვეულა. იცი, შენ მიმართ რას გრძნობს? ვფიქრობ, უბრალოდ შეგეჩვია და ამიტომაც გეკონტაქტება. დამიჯერე, ეს ასეა!.. ისე, რა ვიცი, ჯობია საკუთარ თავს თავადვე დაეხმარო. კარგად დაფიქრდი! თუ გინდა, ვიმეგობროთ".

**წიწილა:**

„ლიკ, „პრივეტები". ანდრია პირველწოდებულის და თამარ მეფის ხსენების დღეს გილოცავთ. მათი მადლი შეგეწიოთ, გენ-

აცვალე... ახლა, რაც შეეხება მოხეტიალეს წერილს. იცი, ცოტა არ იყოს დავიბენი; რატომ? — რატომ და ამ ხალხის გამკვირვებია — ყველას (თანაც, მობილურით გაცნობილს ასე იოლად როგორ ენდობიან?) არა, ცუდად არ გამიგოთ. მე ბოლომდე გავითავისე მოხეტიალეს პრობლემა და ისიც ვიცი, თუ როგორი რთულია, როცა შენს გრძნობებზე ასე თამაშობენ, როცა ასეთი გრძნობისგან გათავისუფლების საშუალებას არ გაძლევენ, როცა თვეში მხოლოდ ერთხელ „გამოხტებიან“ და ტვინს გირევენ, ფიქრებს გიწეწავენ. ნუთუ, იმის სურვილი ერთხელაც არ გაგიჩნდა, რომ პირადად გენახა და კითხვები, რომლებიც ასე გაფიქრებს, თავგზას გიბნევს, მისთვის დაგესვა? გირჩევ, მას თვალებში ჩახედო და აუცილებლად მიხვდები, ღირს თუ არა ის ადამიანი ამდენ ტანჯვად. იცი, მე ის ბიჭიც მეცოდება. რატომ? — იმიტომ, რომ დაავიწყდა ერთი ცნობილი ანდაზა: ორი კურდღლის მდევარი ვერც ერთს დაიჭერსო. ჩემო კარგო, გირჩევ, მას პირადად შეხვდე. მართალია, გვექადება — მალე ყველა გამიცნობთო, მაგრამ შენ დაასწარი და მანამ გაიცანი, ვიდრე ამას თავად მოახერხებს. დაფიქრდი, გსურს კი, რომ შენი ცხოვრება მერყევ ადამიანს დაუკავშირო? გთხოვ, ყველაფერი კარგად აწონ-დაწონე და მერე იმოქმედე, გკოცნი“.

**ქეთი:**

„მოხეტიალევ, ჩემო კარგო, გირჩევ, ეს ადამიანი დაივიწყო. რატომღაც მგონია, რომ გეთამაშება, ან არა და, რაღაც დიდი პრობლემა აქვს. უფალს ებარებოდე“.

**მაკუნა:**

„ლიკუ, როგორ ხარ? მინდა, მოხეტიალე გოგოს ვუთხრა: არა, მას არ უყვარხარ. ნუთუ, ვერ ხვდები, რომ ორი კურდღლის მადევარივით იქცევა? შენ რომ სჭირდებოდე, არჩევანს შენზე გააკეთებდა და სხვას არ დაუწყებდა დევნას. თან, თუ მას პირადად არც იცნობ, ვფიქრობ, დაშორება არ გაგიჭირდება. ეგ ბიჭი ცოტა ვერ არის. მას თავადაც ვერ გაურკვევია, რა სურს და ჩვენ საიდან გვეცოდინება? ჩემი აზრით, მხოლოდ გართობაზე ფიქრობს“.

**ანი:**

„პრივეტ“. მინდა მოხეტიალეს ვურჩიო, რომ იმ ბიჭს შეეშვას, რადგან მან თავადაც არ იცის, რა უნდა. მოხეტიალევ, არჩევანის გაკეთება მოსთხოვე: ან შენ, ან ის!.. წარმატებებს გისურვებ!“

**მეგრელი მგელო:**

— აპ, აპ, აპ... მგონი, შენს „შეყვარებულს“ ის გოგონა მართლა უყვარს, მაგრამ ახლა ცუდადაა და უნდა, სტრესი შენი დახმარებით დასძლიოს. „კაროჩე“, მისდა უნებურად გეთამაშება. გირჩევ, შეეშვა, ტელეფონის ნომერი შეიცვალე და გაიაზრე, რომ ეგ ადამიანი არაფერში გჭირდება. ყველაფერი მშვიდად „გაატარე“, „პლიზ“. დამიჯერე, ჩემს სიტყვებს წყალი არ გაუვა (მსგავს სიტუაციაში მეც ვყოფილვარ და ამას ამიტომაც გეუბნები).

**პარიჟანკა:**

„მოხეტიალევ, მეც შენი ასაკის ვარ და სიტუაციაც მეცნობა. ნეტავ, ეგ ბიჭი მგზავნელი ხომ არაა? ძნელია, რაიმე გირჩიო და მაინც, გეტყვი იმას, რასაც ვფიქრობ: ის მერყევი და სუსტი ადამიანია. ასეთებს გადაწყვეტილების მიღება არ შეუძლიათ, არ იციან, რა უნდათ. მის ზარს აღარ უპასუხო. მისთვის დროის დაკარგვა არ ღირს. წარმატებებს გისურვებ!“

**ლუნა:**

„ლიკ, როგორ ხარ? მინდა, მოხეტიალეს რჩევა მივცე: საყვარელო, გირჩევ, იმ ბიჭთან ურთიერთობა გაწყვიტო! დამიჯერე, შენთვის ასე აჯობებს. ეტყობა, საკუთარ გრძნობებში ვერ გარკვეულა. თუ გეუბნება, — ერთმანეთს დავშორდეთო, მაშინ რაღა უნდა, რატომ არ გეშვება? ის უყვარს, შენ კი ენატრები და ვერ გივიწყებს? ეგრე სადაა? არა, ბატონო, ეგ ბიჭი შენს მოტყუებას ცდილობს. ნუ დაიბნევი! სჯობს, მასთან ურთიერთობა გაწყვიტო. მართალია, ახლა ეს გაგიჭირდება, მაგრამ თუ ასე არ მოიქცევი, მომავალში ყველაფერი სანანებელი გაგიხდება. ისე, სულაც არ გამიკვირდება, პატიმარი რომ აღმოჩნდეს. გთხოვ, ლიკას ჩემი ნომერი გამოართვი და დამიკავშირდი. დაგეხმარები!“

**კახელი ხისთავიანი:**

„მოხეტიალევ, შენ მისთვის „პლუშის“ დათუნია ხარ და გეთამაშება. ისღა დაგრჩენია, ბედნიერება უსურვო და დაემშვიდობო“.

**ფსიქოლოგი:**

„გამარჯობა, ლიკა. გმადლობ, მესიჯი რომ დამიბეჭდე. იცი, პატარა ბავშვივით გამიხარდა, თვალებზე ცრემლიც კი მომადგა. ვეხმაურები მოხეტიალეს: დროის დაკარგვა ნამდვილად აღარ ღირს, რადგან ის ბიჭი თავადაც ვერ მიმხვდარა, რა სურს. ასეთ ადამიანთან ურთიერთობა ძალიან ძნელია. აუცილებლად უნდა დაელაპარაკო და ჰკითხო: რას გრძნობს შენ მიმართ? ამბობს, რომ მუდამ ის სხვა ეყვარება და ვერ ვხვდები, აქ საფიქრალი რაღაა? ისე, თავად თუ იცი, რას გრძნობ მის მიმართ? შენ ხომ ის არ გინახავს, არ იცი, გარეგნულად როგორია, როგორი ხასიათი აქვს. ვერ ვხვდები, როგორ უნდა გაიცნო ადამიანი ჟურნალის ან ტელეფონის მეშვეობით. დამერწმუნე, თუ არ შეეშვები, ბოლოს, მოტყუებული და განადგურებული დარჩები. როგორც ჩანს, იმ ბიჭს ცხოვრებაში ბევრი რამ გადაუტანია, რადგან იცის, რომ ყველას არ უნდა ენდოს. შეეცადე გაარკვიო, შენგან რას მოითხოვს. ცოტაც ადროვე დასაფიქრებლად, მაგრამ თუ გარკვეული ხნის შემდეგ ამ კითხვაზე პასუხს ვერ გაგცემს, აჯობებს, შენი ცხოვრებიდან სამუდამოდ გააქრო. ცხოვრება მართლაც რთულია, მაგრამ ამის გამო ეგოისტად არ უნდა ჩამოყალიბდე. ჩემო კარგო, ახლა დაბნეულობის დრო არაა, XXI საუკუნეა და ყველას ყურადღებით უნდა დააკვირდე“.

**გრუზინკა:**

„მან თავისი სათქმელი უკვე თქვა. შეეცადე, როგორმე დაივიწყო. ის ნამდვილად გატყუებს, 2 კურდღლის მადევარია. დამიჯერე, ღმერთი სამაგიეროს გადაუხდის. არ იდარდო“.

**პაწია:**

„შენი შეყვარებული უცნაური ტიპი ჩანს. შეიძლება უყვარხარ, მაგრამ ამის უფლება არ აქვს და შენგან თავს შორს ამიტომაც იჭერს. რამდენი ხანია, რაც ერთმანეთს ეკონტაქტებით? ნუთუ იმის სურვილი არ გაგიჩნდა, რომ გენახა? საერთოდ, როგორც წესი, ბიჭები ტელეფონით გაცნობილ გოგონებს ეგრევე პაემანზე ეპატიჟებიან, რათა დრო არ დაკარგონ. რა იცი, რა პრობლემები აქვს. ცოტა დრო მიეცი. თავის გრძობებში გაერკვევა და შენს კითხვებსაც ის უპასუხებს. წარმატებები!“

# „უმიზეზოდ მეჩხუბება, რამდენჯერმე ხელითაც კი შემეხო“

## „ცხოვრება მომბეზრდა... სიცოცხლეს სიამოვნებით დავთმობდი“

**დატანჯული:**

„ძალიან გთხოვთ, დამეხმარეთ. ვარ 17 წლის. მყავს ძალიან უხასიათო და ეჭვიანი მამა. ის ყოველდღე, უმიზეზოდ მეჩხუბება. რამდენჯერმე ხელითაც კი შემეხო. დედაჩემი ქმარს გაშორებულია და ჩვენ მამასთან ვართ იმის გამო, რომ მშივრები არ დავიხოცოთ. ის თითქმის ყოველდღე მთვრალი მოდის, მაგინებს. უკვე აღარ შემიძლია მისი ატანა. მასთან დალაპარაკება ბევრჯერ ვცადე, მაგრამ ამის შემდეგ უარესს აკეთებდა: ჯიბრით მთვრალი მოდიოდა და საშინლად გვეჩხუბებოდა. მყავს 11 წლის ძმა და 19 წლის გათხოვილი და. მან მამაჩემს ვეღარ გაუძლო და ამიტომაც, 16 წლის ასაკში გათხოვდა. ახლა მე ვარ ცუდ დღეში, ყოველდღე ვტირი და ვფიქრობ, რით ვუშველო თავს? ერთხელ თავის მოკვლაც ვცადე — ვენები გადავიჭერი, მაგრამ არაფერი გამომივიდა. ლამისაა, გავგიჟდე. ცხოვრება ისე მომბეზრდა, რომ გეფიცებით, სიცოცხლეს სიამოვნებით დავთმობდი. ლიკ, გთხოვ, დამიბეჭდე, შენი და მკითხველების მხარდაჭერის იმედი მაქვს. წინასწარ გიხდით მადლობას“.

***P.S.** თუ დატანჯულის წერილის წაკითხვის შემდეგ მასთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.99. 17.35.27. მას თქვენი დახმარების იმედი აქვს... და კიდევ, თქვენ მიერ გამოგზავნილი „ესემესები“ ჩვენამდე არასრულად აღწევს (სადღაც წყდება და შესაბამისად, მის შინაარსს ვერ ვიგებთ) და მათ დაბეჭდვას სწორედ ამ მიზეზის გამო ვერ ვახერხებთ. გაითვალისწინეთ, თუ ვრცელი „ესემესის“ გამოგზავნა გსურთ (ერთი მესიჯი 160 სიმბოლოს იტევს), ის რამდენიმე მესიჯად უნდა გამოგზავნოთ.* ■

*რუბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამაცაშვილი*

# ფეხმძიმეთა ტიპური შიშები



**ფეხმძიმობას, ჩვეულებრივ, ასეთი ფრაზებით მოიხსენიებენ: „შესანიშნავი და სავსებით ბუნებრივი მდგომარეობა“, „ყველაზე ბედნიერი პერიოდი ქალის ცხოვრებაში“ და ა.შ. ფეხმძიმეები გულაჩუყებისა და გამუდმებული კომპლიმენტების ობიექტები ხდებიან. მათ გამუდმებით უსვამენ ერთსა და იმავე შეკითხვას — გოგოს ელოდებით თუ ბიჭს? ხოლო იმაზე, რომ ფეხმძიმობა, ფიზიოლოგიური თვალსაზრისით, არცთუ მარტივი პერიოდია, მრავალტომიანი სამედიცინო ტრაქტატებიც კია დაწერილი. აი, ფსიქოლოგიური მხარე კი რატომღაც, ყოველთვის კადრს მიღმა რჩება. არადა, ფეხმძიმობა სპეციფიკურ და ხშირ შემთხვევაში, გაუცნობიერებულ შიშთანაა დაკავშირებული, რაც მომატებული შფოთვის საფუძველი ხდება და შედეგად, ფეხმძიმის ფიზიოლოგიური მდგომარეობაც უარესდება.**

## 1. სხეულის კონტროლის დაკარგვის შიში

ფეხმძიმეთათვის ყველაზე დიდი პრობლემა საკუთარ სხეულზე კონტროლის დაკარგვის შიშია. ორსულობისას ქალი წონაში მატებას იწყებს, მუცელი კი თითქოს, ცალკე იზრდება, იცვლება სხეულის პროპორციები. ასევე, ამ დროს ხშირია შეშუპებებიც და მადასთან დაკავშირებითაც უცნაური რამ ხდება: ფეხმძიმეს ჭამა ხან საერთოდ არ უნდა, ხან ჭამად იქცევა, ხან ისეთი რაღაც უნდება, რისი მიღებაც მისთვის არ შეიძლება ან იმ მომენტისთვის ხელთ არა აქვს. ჩნდება ძილსა და მოძრაობასთან დაკავშირებული პრობლემებიც — ჩვეულ პოზაში დაძინება მოუხერხებელი ხდება, დიდ მანძილზე ფეხით სიარული უმძიმს, ხოლო საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობაზე ფიქრიც აღარ შეიძლება.

ფეხმძიმე ქალს უამრავი კითხვა უჩნდება და ხშირად, მათზე სრულიად ურთიერთგამომრიცხავ პასუხებს იღებს. მას ერთი ექიმი არწმუნებს, — ნაკლები სითხე უნდა მიიღოო, ხოლო მეორე იმით აფრთხობს, — შეიძლება, გაუწყლოება დაგემართოსო. სასურველი ინფორმაციის მისაღებად, ფეხმძიმე ქალი ინტერნეტში „ხეტიალს“ იწყებს და იქ ხშირად აწყდება ისეთ არაადეკვატური შინაარსის შემცველ რჩევებსაც, როგორიცაა მაგალითად, „ყოველ ლუწ რიცხვში, 10-დან 11 საათამდე, ლოტოსის პოზაში თავზე დგომა“. მსგავსი ინფორმაციის სიჭარბე ფეხმძიმეს მხოლოდ შიშს თუ უძლიერებს. ხშირად, მას ისეთი აკვიატებული აზრიც უჩნდება, თითქოს მას ან მის ბავშვს რაღაც ისეთი დაემართებათ, ექიმები რომ ძალიან გვიან ან საერთოდაც ვერ მიხვდებიან. თუ მსგავსი აზრები ქალს ვინმემ არ გაუქარწყლა, მაშინ ის საშინელი სიზმრების, საერთო შფოთისა და დეპრესიის მიზეზი ხდება.

### როგორ გავუმკლავდეთ შიშს?

ა) უნდა მოიძებნოს ისეთი გინეკოლოგი, რომელსაც მომავალი დედა ბოლომდე ენდობა და რომელიც ფეხმძიმობის ყველა ეტაპზე დაწვრილებით აუხსნის მას, თუ რა და რატომ ემართება;

ბ) ქალს ფეხმძიმობის ყველა ეტაპზე მოხერხებული და ლამაზი ტანსაცმელი უნდა ეცვას. არ შეიძლება, სამიდან ცხრა თვის ჩათვლით, ფეხმძიმემ გამუდმებით ერთი, უშნოდ გამოჭრილი ჯინსის კომბინიზონი ატაროს.

## 2. კონტროლის დაკარგვის შიში

სხეულის კონტროლის დაკარგვის შიში, მომავლის კონტროლის დაკარგვის შიშს წარმოშობს.

ყველაზე სერიოზული და ამასთან, საფუძვლიანიც, სამსახურის დაკარგვასთან დაკავშირებული შიშია. მასთან ბრძოლა მხოლოდ „უკან დასახევი გზების“ წინასწარ მომზადებით, კარგი სოციალური გარანტიების მქონე ორგანიზაციაში მოწყობითა და კარიერული ტრაექტორიის წინასწარ განსაზღვრითაა შესაძლებელი. ამ მხრივ, ყველაზე უფრო დაუცველ მდგომარეობაში, როგორც წესი, ძალზე ახალგაზრდა ქალები არიან და მათ, პირველ რიგში, ახლობლების მხარდაჭერის იმედი აქვთ.

ფეხმძიმე ქალი, რომელსაც მეუღლის გაორმაგებული ყურადღება სჭირდება, ხშირად ორმაგ შიშს განიცდის: ჯერ ერთი, ქალს ეშინია, მეუღლეზე ზედმეტად დამოკიდებული არ გახდეს და ამავდროულად, იმის შიშიც აქვს, რომ შეიძლება, სრულიად უსარგებლოდ და ზედმეტად იქცეს. სხვათა შორის, ძალიან ხშირად, სწორედ ამ შიშთანაა დაკავშირებული ფეხმძიმეთა ჭირვეულობაც, რადგან ამ გზით მათი ქვეცნობიერება უსაფრთხოებისა და პარტნიორის საიმედოობის დასტურს ეძებს. არადა, არცთუ იშვიათად, მამაკაცი ისე იქცევა, რომ ქალის შიშსა და შეშფოთებას კი არ აქარწყლებს, არამედ პირიქით, ადასტურებს: ის ან ყველაფრის მიმართ გულგრილია, ან მეუღლის ფეხმძიმობასთან დაკავშირებული ყველა წვრილმანით ინტერესდება; მკაცრად ადევნებს თვალს მის დიეტას, გადაადგილებას, ჯიუტად ითხოვს, ცოლმა ბავშვს სახელი უთუოდ მასთან შეთანხმებით შეურჩიოს და ა.შ.

### როგორ გავუმკლავდეთ სოციალურ და ოჯახურ შიშს?

ა) ყველაზე უკეთესი, ყველაფრის წინასწარ, დაფეხმძიმებამდე მოფიქრება, მაქსიმალური სოციალური გარანტიების მიღებაა. ასევე, თქვენს პარტნიორში ბოლომდე უნდა იყოთ დარწმუნებული;

ბ) სასურველია, ყველა შიშის ხმამაღლა განხილვა. ეს მის დაძლევაში ნაწილობრივ მაინც დაგეხმარებათ;

გ) თუ ამ თუ იმ საკითხში საკუთარი ძალებით გარკვევას ვერ ახერხებთ, მაშინ ფსიქოლოგს უნდა მიმართოთ.

## 3. მშობიარობისწინა შიში

ფეხმძიმობის დროს არცთუ უმნიშვნელო ასპექტია მშობიარობის შიშიც. ის შეიძლება, მრავალგზის გაა-

ძლიერის „მრავალნაცადი“ დაქალებ-ის მიერ მონაყოლმა, მშობიარობასთან დაკავშირებულმა „საშინელებებმა“. თუმცა, ასეთი ამბებით ფეხმძიმეთა დაშინება არაერთ ექიმსაც სჩვევია.

მოსალოდნელი ტკივილისა და გართულებების სავსებით ლოგიკური შიშის გარდა, არსებობს სექსუალური მიმზიდველობის დაკარგვის შიშიც. ეს უკანასკნელი იმ ცრურწმენითაცაა გამყარებული, რომ ფეხმძიმობის დროს სექსი დაუშვებელია. შედეგად, სექსუალური დაძაბულობა და საკუთარ თავში დაურწმუნებლობა მთელი წელი გრძელდება და არცთუ იშვიათად, ბავშვის გაჩენის შემდეგ, ქალის სექსუალური ცხოვრება მართლაც უარესდება.

### როგორ გავუმკლავდეთ?

ა) მშობიარობასა და მასთან დაკავშირებული ტრავმების შესახებ დეტალურად უნდა იმსჯელოთ მეანგინეკოლოგთან, რის შემდეგაც, შიშის უმეტესობა უთუოდ გაქრება;

ბ) სასურველია, ექიმთან სქესობრივი ცხოვრების შესაძლებლობაზე საუბარიც;

გ) არ წაიკითხოთ და არ მოისმინოთ მშობიარობის შესახებ არსებული უსიამოვნო ამბები, რადგან ამას ძალზე სერიოზული ზიანის მოტანა შეუძლია.

## 4. იმის შიში, რომ დედად ვერ ივარგებ

არცთუ იშვიათად, პირველი შვილის მომლოდინე ახალგაზრდა ქალებს ეშინიათ, რომ დედის მოვალეობის შესრულებას ვერ გაუმკლავდებიან. ეს განცდა განსაკუთრებით მაშინ მძაფრდება, როცა ფეხმძიმობა ქორწინების გარეშე ან ძალზე ადრეულია.

## „ახალშობილობის კრიზისი“

„ახალშობილობის კრიზისი“ (რომელსაც, ძირითადად, სეპარაციის კრიზისად იხსენიებენ) ძალიან უცნაური თემაა: ერთი მხრივ, ამ მოვლენაზე თითქოს, ყველაფერი ცნობილია, მაგრამ მეორე მხრივ, ახალბედა დედის განცდებზე თითქმის არაფერია ნათქვამი. არადა, მის მდგომარეობას მარტივს ნამდვილად ვერ დაარქმევ — ბავშვის გაჩენის შემდეგ ხომ ქალი საყოველთაო ზრუნვის ობიექტიდან იმ ადამიანად იქცევა, ვინც გამუდმებით სხვაზე უნდა იზრუნოს. ასეთ მკვეთრ ცვლილებასთან გამკლავება კი ადვილი სულაც არაა (განსაკუთრებით მაშინ, თუ მას ჰორმონალურ დისბალანსთან დაკავშირებული მშობიარობის შემდგომი დეპრესიაც ერთვის).

### როგორ გავუმკლავდეთ?

ბოლო კვლევებმა უჩვენა, რომ მშობიარობის შემდგომი დეპრესიის რისკი, ძირითადად, სოციალურმატერიალურ გართულებებთანაა დაკავშირებული. გარდა ამისა, არსებობს ჰიპოთეზა, რომ მშობიარობის შემდგომი დეპრესია მხოლოდ და მხოლოდ პოსტტრავმული სტრესული აშლილობის ფორმაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მასთან გამკლავება ახლობლების აქტიური მხარდაჭერითა და ფსიქოლოგთან სიარულით უფრო გონივრულია, ვიდრე ანტიდეპრესანტებით, რომლებსაც როგორც დედის, ისე ახალშობილის ჯანმრთელობაზე უარყოფითი გავლენის მოხდენა შეუძლია.

მშობიარობისთვის ფსიქოლოგიურ მომზადებაში, მთავარი, შიშის დაძლევა და მისი გაცნობიერებაა. გაცნობიერებული შიში ხომ, როგორც წესი, ადვილად გადასაჭრელი პრობლემების რანგში გადადის. ■

## ავსტრალიელი გოგონა სამედიცინო სენსაციად იქცა

ავსტრალიიდან ახლახან მიღებულმა ცნობამ მსოფლიოს მთელი სამეცნიერო სამყარო შეძრა. ისტორიაში პირველად, ადამიანის ორგანიზმმა სისხლის რეზუს-ფაქტორი თავად შეიცვალა. აქამდე მიიჩნეოდა, რომ ეს თანდაყოლილი თვისება იყო, რეზუს-ფაქტორი ადამიანს შთამომავლობით გადაეცემოდა და მისი შეცვლა შეუძლებელი იყო, მაგრამ 15 წლის ავსტრალიელ გოგონასთან დაკავ-



შირებულმა შემთხვევამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა: გოგონას თირკმელი გადაუნერგეს. ტრანსპლანტაციის შემდეგ კი დაიწყო პროცესები, რომელთაც ექიმები საოცრების გარდა, ვერაფერს უწოდებენ. მათი თქმით, ახალი თირკმლის უჯრედებმა ძვლის ტვინში შეაღწიეს და პაციენტის მთელი იმუნური სისტემა „კონტროლზე აიყვანეს“. შედეგად, ავსტრალიელ გოგონას ახლა უარყოფითი კი არა, დადებითი რეზუს-ფაქტორის სისხლი აქვს.

ამჟამად, ამ საოცარ ფენომენს მთელი მსოფლიოს ექსპერტები სწავლობენ. ამასობაში კი გოგონამ სწრაფი გამოჯანმრთელება დაიწყო და უკვე, ახალი ორგანოს მოწყვეტის თავიდან ასაცილებელი წამლებიც აღარ სჭირდება. ■


აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად

ინტერნეტ მაღაზია

www.elva.ge

წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

| გამოცემის დასახელება | 1 ეგზ. ფასი | 6 თვე |
|---|---|---|
| 1. ოჯახის მკურნალი | 0.80 | 11.2 |
| 2. ЗДОРОВЬЕ | 6.00 | 36.0 |
| 3. КАРДИОЛОГИЯ | 14.00 | 84.0 |
| 4. КЛИНИЧЕСКАЯ МЕДИЦИНА | 11.00 | 66.0 |
| 5. ЛЕКАРСТВЕННЫЕ ТРАВЫ | 9.55 | 57.3 |
| 6. МЕДИЦИНА ТРУДА | 14.00 | 84.0 |
| 7. МЕДИЦИНСКИЙ БИЗНЕС | 50.95 | 305.6 |
| 8. НОВЫЕ ЛЕКАРСТВЕННЫЕ ПРЕПАРАТЫ | 9.55 | 57.3 |

პრესის გავრცელების სააგენტო

ქ. თბილისი
[illegible] ქ. № 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elva@kvirispalitra.com

აგრეთვე ნებისმიერი ზხვა
დასახელების ჟურნალ-გაზეთები

# მეცნიერებმა მუწუკების სუპერწამალი აღმოაჩინეს



კაცობრიობის ამ მარადიულ უსიამოვნებას მედიკოსები მრავალი ათეული წელი ებრძვიან, პრობლემის გადაწყვეტის გზა კი სრულიად მოულოდნელად გამოჩნდა.

ფერიმჭამელები და მუწუკები ნაკლებად საშიში, მაგრამ უკიდურესად უსიამოვნო და ძალზე ხარჯიანი სენია. აფთიაქები და კოსმეტიკური მაღაზიები კანის დეფექტებთან საბრძოლველად ან მათ შესანიღბავად უამრავ საშუალებას გვთავაზობენ და ჩვენც, ოღონდ ამ „შავი წერტილებისგან“ გავთავისუფლედეთ და ნებისმიერი თანხის გასაღებად მზად ვართ. არადა, სულ მალე, შეიძლება, ათობით ტონიკი და ლოსიონი აბების ერთ ფირფიტაზე გავცვალოთ და სასურველ შედეგსაც იმედიანად დაველოდოთ.

ისე, ეს ჯადოსნური აბები, უფრო ზუსტად კი პრეპარატი SMT D002 აფთიაქებში დიდი ხანია, იყიდება, მაგრამ ეს მედიკამენტი სულ სხვა დაავადებების სამკურნალოდ გამოიყენებოდა. ახლა კი მეცნიერები აცხადებენ, რომ პრეპარატს გასაოცარი გვერდითი ეფექტიც აღმოაჩნდა, რომელიც კანის ცხიმის გამოყოფასა და შესაბამისად, მუწუკების გაჩენის შანსსაც 70-80%-ით(!) ამცირებს. შედარებისთვის, რეტინის მჟავა, რომელიც მუწუკების მოსაშორებელ ეფექტურ საშუალებად მიიჩნევა, 3-4-ჯერ უარეს შედეგს იძლევა და თან, მას სერიოზული ფსიქიკური აშლილობის გამოწვევაც შეუძლია, ხოლო ფარმაცევტების მიერ უკვე აბებად დაფასოებული ახალი პრეპარატის გამოყენებას არანაირი უარყოფითი გვერდითი ეფექტი არ მოჰყოლია. თუმცა, მის მასობრივ წარმოებამდე ჯერ მაინც შორია — წინ ლაბორატორიული კვლევების რამდენიმე საფეხურია, რომლებიც დაახლოებით ერთი წლის მანძილზე გაგრძელდება.

ალბათ, აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ისეთი ცნობილი საშუალება, როგორიც „ვიაგრაა“, მსოფლიო ფარმაცევტულ ბაზარზე სწორედ ამავე გზით გამოჩნდა: თავიდან მწარმოებელი ფირმა მის აბებს გულ-სისხლძარღვთა დაავადების სამკურნალოდ ამუშავებდა, მაგრამ როცა კლინიკური გამოცდების დროს ერთ-ერთმა „საცდელმა“ მოხალისემ „ფრიად სასიამოვნო“ გვერდითი მოვლენაც აღმოაჩინა, პრეპარატის შემუშავება უმალვე შეწყვიტეს. თუმცა, მოგვიანებით, ცოტა უფრო საზრიანმა მეწარმემ ამ მიტოვებული აღმოჩენით სარგებლობა და უჩვეულო აბების (ოღონდ, რა თქმა უნდა, უკვე არა როგორც გულის საშუალების) ბაზარზე გატანაც გადაწყვიტა...


## სიახლე! ჩანართი მათთვის, ვისაც სახლში პატარა ჰყავს

პედიატრიული ჩანართი თქვენს ჟურნალში









პედიატრი

შეკითხვები პედიატრს

0-დან 1-მდე

ბავშვის ფსიქოლოგია

როგორ შევურჩიოთ ბავშვს ფაფა

შეაგროვე და აკინძე

# ჟურნალი ჟურნალში

# ვნილები

15.05. – 21.05.2008




## ბრძოლით მოპოვებული ბედნიერება

პატარძალი ბებოს შეეცოდა მთამომავლობა, დაუქუკა და უთხრა: ნუ გეშინიათ, მე გავთხოვდი და ბედნიერი ვარო...

## ამბობენ

...გაიგეთ, რამე? რა შუაშია „კიკუ" და „მარიტა"? ვერაფერი გაიგეთ? უკულმა წაიკითხეთ, უკულმა!






– კი, მაგრამ ბებიის დაბადების დღე 250.000 $ რომ დაჯდება, ეგ არაფერი? – გაკვირვებისგან ლამის ყურმილში გამოძვრა...

**სიზმარა მგზავნელები და „მგზავნელ პოინტჯგუფი“ ანუ „გზაში“ გაცვლილი ამომრჩევლის ხმა**

# ბრძოლით მოპოვებული ბედნიერება



მარი ჯაფარიძე

*მეგონა, ველარაფერი გამაკვირვებდა, მაგრამ თურმე კიდევ შეიძლება ისეთი რამ მოხდეს, რომ მეც კი (ამდენის მნახველსა და მომსწრეს) მათქმევინოს — ვააა!*

*„სალამი მგზავნელებს. დიდი ხანია, ვკითხულობ „გზავნილებს“, მაგრამ არასოდეს ვიცოდი, რა ნომერი იყო მარის. როდესაც ძალიან დიდი სურვილი გამიჩნდა მომეწერა, საგულდაგულოდ ჩავიკითხე „გზავნილები“ და მივაგენი ნომერს. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ჩუტყვავილა“. არ მეგონა, დედამიწის ზურგზე კიდევ თუ არსებობდა ადამიანი (მით უმეტეს — დიდი ხნის მკითხველი), ვინც ჩემი ტელეფონის ნომერი არ იცის. აბააა!*

***ახლა კი მესიჯები. ჰო, მართლა, ეს თემა არ მოგეწონათ? მესიჯი უთვალავი მივიღე, მაგრამ თემასთან დაკავშირებით — ძალიან ცოტა.***

## ბრძოლით მოპოვებული უბედურება

„სკოლას ვამთავრებდი, მეგობარმა ჩემი მომავალი მეუღლე რომ გამაცნო. დანახვისთანავე შემიყვარდა. თითქოს მასაც ვუყვარდი. ყოველ შემთხვევაში — მაშინ. ძალიან ბედნიერი ვიყავი. ის ზუსტად ისეთი იყო, როგორიც მინდოდა, რომ ყოფილიყო. თბილი, ყურადღებიანი, მზრუნველი და ა.შ. ნუ, მოვიხიბლე მისით და თავდავიწყებით შემიყვარდა. მალე გერმანიაში წავიდა. მოთმინებით ველოდი და მასზე ოცნებებით ვცხოვრობდი. მიუხედავად დედაჩემის მხრიდან დიდი წინააღმდეგობისა, მაინც დავქორწინდით. ბევრჯერ მომხვედრია იმის გამო, რომ მასთან შესახვედრად გავპარულვარ, ბევრჯერ სახლშიც ჩავუკეტივარ დედას, ბევრი ტანჯვა გადამიტანია, მაგრამ არ შემშინებია და არც უკან დამიხევია. ახლა კი რა გამოვიდა? კაცი, რომელიც სიყვარულს მეფიცებოდა, მღალატობს. აღარც პატივს მცემს, ოჯახიც მენგრევა და ეს ყველაფერი სულ რაღაც, წელიწად-ნახევარში მოხდა. გამანადგურა და სიცოცხლის ხალისი დამაკარგვინა. აღარ ვიცი, რა ვქნა, მაგრამ ერთს მივხვდი — სიყვარული არ არსებობს. გამოდის, ბედნიერებისთვის კი არა, უბედურებისთვის მიბრძოლია“.

## ნაჯიკები

„ჩემს ძვირფას შეყვარებულს თუ არ უჯიკე, ისე სიტყვასაც ვერ დააცდენინებ (რამე სასიკეთოს, თორემ იცოცხლე, ენას არ აჩერებს). ბრძოლითა და ჯიკავ-ჯიკავით მივაღწიე იმას, რომ „თურმე ვყვარებივარ“ და ვერ ამხელდა. დიდი ბრძოლის შედეგად მივაღწიე იმას, რომ ახლა ყოველდღე მირეკავს (თავიდან კვირაში ერთხელ მირეკავდა). ჰოდა, ახლა ვიბრძვი, რომ შეხვედრაზე დავითანხმო. ერთი თვეა, არ მინახავს. ეეჰ, ალბათ მომდევნო ეტაპისთვის უფრო მეტი ბრძოლა დამჭირდება, მაგრამ მაინც ბედნიერი ვარ. რა ვქნა, როგორიც არის, ისეთი მიყვარს. კიკი“.

## პოლიტბრძოლა

„ახლა სააკაშვილს აქვს საქმე შავად, რადგან შესაძლოა, ბრძოლით მოპოვებული ბედნიერება დაკარგოს. აბა, რა ეგონა, ეკლიანი „ვარდების რევოლუციით“ რომ მოდიოდა ხელისუფლებაში და ხალხს უამრავ რამეებს ჰპირდებოდა? დასაქმებას, განათლებას, ეკონომიკურ სიძლიერეს, „საქართველოს — სიღარიბის გარეშე“. აქედან რომელი შეასრულა? „ხანდაზმული“, მშრომელი ხალხი, რომელთა ასაკი 40 წელია, სამსახურიდან დაითხოვა და უნიჭო ახალგაზრდებით შეცვალა. ეკონომიკა ისეთი მაგარი გვაქვს, რომ ჩემს ნაჯღაბნში აუგად ვერ მოვიხსენიებ. რაც შეეხება ლოზუნგს — „საქართველო სიღარიბის გარეშე“, იმდენი უფასო სასადილოთი ვართ განებივრებული, რომ ვერც ერთი სახელმწიფო ამით ვერ იტრაბახებს. ბოლოს და ბოლოს, ღარიბი სახელმწიფო ხომ ვერ გახსნის ამდენ სასადილოს? ერთადერთი დადებითი საქმე ის გააკეთა, რომ იმდენი

შადრევნუკები აშენა, დათვლა რომ გვინდოდეს, მაინც ვერ დავთვლით. ყველაზე სამწუხარო კი ისაა, რომ ჩვენს მხარეში ნომერი „5“-ის გარდა სხვა რიცხვი არ ვიცით. ეს სააკაშვილის შავი პიარია. ხალხო, გამოფხიზლდით! წავიდეთ ყველანი არჩევნებზე და დავამტკიცოთ, რომ ხუთი რიცხვის გარდა სხვა რიცხვებიც არსებობს. P.S. ძლივს არ დავწერე სათქმელი? გრუზინკა“.

## ბრძოლით მოპოვებული „პოლის“ ჯოხი

„არა მგონია, ვინმემ ბრძოლის გარეშე მოიპოვოს ბედნიერება. ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის სულ ასეა. როცა პატარა ვიყავი, უდარდელი ცხოვრება მქონდა. არ ვიცოდი ცხოვრების ნამდვილი არსი, მაგრამ ჩემს ბედნიერებას მაინც აკლდა რაღაც. ყოველთვის, როცა ვუყურებდი, დედა როგორ წმენდდა იატაკს იატაკის საწმენდი ჯოხით, მინდოდა, მეც იგივე გამეკეთებინა, მაგრამ დედიკოს ჯოხი ჩემთვის დიდი იყო. ვერც კი ვძრავდი. ამიტომ ვიბრძოლე (ჩემს ასაკს თუ გავითვალისწინებთ), ვიტირე, ვიწივლე, ვითხოვე, რაც შემეძლო, ყველაფერი გავაკეთე და სულ მალე ჩემსიმაღლე იატაკის საწმენდი ჯოხი მქონდა და სრულიად ბედნიერი ვიყავი. ხომ ვიყავი სულელი, მაგრამ ბავშვობა და სისულელეები ხომ ერთმანეთისგან განუყრელია. ტოპოლინა“.

## კოკო გამსახურდიას მასპინძელი

„ბრძოლით მე ბედნიერება დავკარგე, თანაც სამუდამოდ. რომ არა ის უაზრო ბრძოლა, რომელიც შევარდნაძემ ნამდვილი, ღირსეული პრეზიდენტის ჩამოსაგდებად და თავისი თვითმარქვია ტიტულის მოსაპოვებლად დაიწყო, დღეს საყვარელი ადამიანის მონატრებით არ ვიქნებოდი გაწამებული. ედიკას ბრძანებით, მისივე ხალხისთვის ნასროლმა „გრადმა“ ჩემი ბედნიერება ნაფლეთებად აქცია. მის გამოა, რომ ჩემი უსაყვარლესი მამა, რომელსაც, სახლიდან მიმავალს საკუთარი ხელით გავუღე კარი, აღარასოდეს დამიბრუნდება, რადგან უღირსმა ადამიანებმა თავიანთი ბედნიერებისთვის ბრძოლაში, საკუთარ სახლთან მომიკლეს. მას შემდეგ ვეძებ, ვიბრძვი, მაგრამ ერთ რამეს მივხვდი — ბრძოლას ტკივილი მოაქვს და არა ბედნიერება. როცა ის, რაც შენ გჭირდება ბედნიერებისთვის (არ აქვს მნიშვნელობა, კარიერა, სიყვარული თუ ა.შ.) ბრძოლითაა მოსაპოვებელი, ბედნიერებას ვერასოდეს მოგიტანს, რადგან უმტკივნეულოდ ბრძოლა არ არსებობს. ტკივილნარევი ბედნიერება კი ბედნიერება არ არის. P.S. ამ დღეებში კოკო გამსახურდია მყავდა სტუმრად შინ და მაშინ მივხვდი, რომ მიუხედავად ბევრი საერთო აზრისა, პირველ რიგში, ჩვენ ერთი ადამიანის სიძულვილი გვაერთიანებს. ადამიანი (თუ შეიძლება, მას ასე ეწოდოს), რომელმაც, ორივეს წაგვართვა მამა, თვითონ კი დღეს კრწანისის რეზიდენციაში თბილ ბულიონს ხვრეპს და მემუარების წერით ტკბება უამრავი ადამიანის უბედურებისა და სიცოცხლის ხარჯზე. მე მას ვერასოდეს ვაპატიებ ჩემს გამწარებულ ბავშვობას, მაგრამ აბა, რა შემიძლია? კამელია“.

## დამპყრობელი

„ეს „სთორი“ გურიაში მოხდა. 32 წლის, საკმაოდ „ბარაქიანი“ ქალიშვილი მაღალმთიანი სოფლის შვილმა მოიტაცა. პატარძალმა ჩია ტანის საქმრო რომ დაინახა, კინაღამ გული წაუვიდა, დევივით ქალს იქით სადედამთილო გადაირია — ვის ხელში იგდებს თავს ჩემი ბალანაო. მოკლედ, ატყდა გურულებისთვის დამახასიათებელი ვაი-ვიში. თუმცა, სიძეს ისე უყვარდა თავისი „დარეჯანი“, რომ მასთან განმარტოება მაინც მოახერხა. ჰოდა, როგორც კი მეორე დღე გათენდა და ბედნიერი ახალი პატარძალი აივანზე გამოვიდა, დედამთილმა ხელები თავში წაიშინა — ალბათ ჩემმა ბიჭმა ვერ იკადრა წუხელისო. იმის მერე 18993 ღამე ანუ 13 წელი გავიდა.

დედამთილი დღესაც ნერვიულობს, მაგრამ ალბათ უსაფუძვლოდ. მას 4 შვილიშვილი ჰყავს და 5 ახალი საწოლი აქვს ნაყიდი რძლისთვის და შვილისთვის. მოკლედ, ასეა თუ ისე, ამ ჩვენი ამბის გმირმა სწორედ ბრძოლით დაიპყრო ყველაზე „დიდი ტერიტორია“, გურიაში. იკუშკები“.

## საჯდომზე ამოსული ულვაში

„ბრძოლით მოპოვებულ ბედნიერებას მოუძებნეს გამართლება და გაჩნდა გამონათქვამი — „მიზანი ამართლებს საშუალებას“. ასეა ეს! ბრძოლით მოიპოვა ჩემმა სიძემ ჩემი და და... თუმცა, თავიდან დავიწყოთ. ერთ ამაყ გოგოს, ბევრი თაყვანისმცემლის მიუხედავად, ვერ გადააწყვეტინეს ოჯახის შექმნა. მეტიც — დაიდებდა საულვაშეზე თითს და იქადებოდა — აქ ამოსასვლელი ულვაში საჯდომზე ამომივიდეს, თუ გავთხოვდეო(?!). გოგო კი იყო, თანაც ლამაზი, მაგრამ ვაჟკაცური ბუნების პატრონი. ითმინა ბიჭმა, ითმინა ერთი წელი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი და... გამოვიდა წყობილებიდან. :-) ჰოდა, ერთ დილით სკოლაში მიმავალ ამ ჩემს დაიკოს (პედაგოგია) დაახვედრა მანქანა და ძმაკაცები, რომლებმაც არც

## ბებომაც იბრძოლა!

„ერთ კახელ ბებოზე უნდა გიამბოთ. ჩვენს ბებოს შვილებიც ჰყავდა და შვილთაშვილებიც, მაგრამ ბედნიერება მაინც აკლდა. ჰოდა, ბევრი იჩალიჩა თუ ცოტა, საკბილოს მაინც გამოჰკრა ხელი. როგორც ახალგაზრდამ, კოხტამ და ტანადმა, იპოვა თავისი შესაფერისი (75 წლის), დინჯი მამაკაცი და როგორც დღესდღეობითაა მიღებული, გაიპარნენ. ატყდა ერთი ამბავი. გამოაცხადეს შვილებმა და შვილიშვილებმა საკავშირო ძებნა თავიანთი ბებოს საპოვნელად, მაგრამ ვერსად მიაგნეს. ბოლოს, პატარძალ ბებოს შეეცოდა შთამომავლობა, დაურეკა და უთხრა: ნუ გეშინიათ, მე გავთხოვდი და ბედნიერი ვარო. შვილებსა და შვილიშვილებს ძალიან გაუხარდათ ბებოს ამბავი, რადგან ყოველდღე კი არ პოულობენ ფეხზე თოხლგამობმულ პაპას სიძედ. P.S. ეს მესიჯი ჩემი საქორწილო საჩუქარია, მათთვის. გრუზინკა".

აციეს, არც აცხელეს, დაავლეს ხელი და დაუპირეს მანქანაში ჩასმა. ბურნუთამ რომ დაუპირა მაყვალას მოტაცება, ისეთი სცენარი გათამაშდა ზუსტად. რამდენიმე ბიჭი რომ დააშავა საპატარძლომ, მაშინ დაუწყეს სასიძოს ძმაკაცებმა ხვეწნა — გაანებე, ძმაო, თავი, ასეთი ქალი ოჯახში არ გამოგადგებაო. წაიყვანეს მაინც... გადაიჭრა ჩემმა დამ ვენები, მაგრამ არ უშველა. ბიჭის სიყვარული და საბრძოლო შემართება ბედნიერებისთვის, ძლიერი აღმოჩნდა და ახლა ძალიან ლამაზი ოჯახი აქვთ. დაბოლოს, ნამდვილად ღირს ბრძოლა ბედნიერებისთვის, თუ ეს სხვის ბედნიერებას არ შეუშლის ხელს, რადგან უბრძოლველად არავინ მოგვართმევს ბედს, ლანგარზე დადებულს".

## უცნაური მეგობრობა

„მე და ერთ კარგ ბიჭს ერთმანეთი გვიყვარდა. მერე კი დაქალი გავაცანი. ჩემს დაქალსაც შეუყვარდა, მაგრამ ჩემი „ლოვეს" — „მინდა ვიყო ძმაკაცს" შეუყვარდა ჩემი დაქალი. მანამ კი ამ ბიჭმა მეც ამიხსნა სიყვარული. მიუხედავად იმისა, რომ ჩემს „ლოვეს" ფიზიკურად ბევრად სჯობდა, არ მაინტერესებდა და დაუწყო ჩემს დაქალს შებმა. შეაბა, მაგრამ მალევე „დაადო" და იმან ჩემი „ლოვე" შეიყვარა. ამახია, მაგრამ დაქალური სიყვარული ბევრად ძლიერი აღმოჩნდა. ჩვენ ვიბრძოლეთ ჩვენი მეგობრობისთვის და ისევ ერთად, ბედნიერად ვართ. ეს „მინდა ვიყო ძმაკაცები" კი გზას გავუყენეთ. ჩემი „ლოვე" მიხვდა დანაშაულს და თავს აღარ გვახსენებს, მაგრამ ეს მისი ეგოისტი ძმაკაცი არ ისვენებს. დღემდე გვამწარებს მეც, დაქალუშკასაც და ყოფილ „ლოვესაც". ანი".

## ჭირი იქა, ლხინი — აქა

„მაშინ, როცა შავიზღვისპირეთი თავს იწონებდა მრავალსართულიანი პანსიონატებითა და ლამაზი რუსი ქალებით, იქვე, განაპირას ერთი ტკბილი ცოლ-ქმარი ცხოვრობდა. ქალს გვერდით ერთგული ქმარი ეგულებოდა და დილით ჩაის საკრეფადაც უდარდელად მიდიოდა. ის იყო, ქალი ფეხს გარეთ გაადგამდა და კაცი უკვე პანსიონატის ეზოში იყო და რუს ნაშებს კერავდა. ერთხელ ქალმა ქმარს პირდაპირ ნომერში წაასწრო, მაგრამ რადგან მათ ვერ დაინახეს, მოთმინება მოიკრიბა და უკან წამოვიდა. როცა ქმარი დაბრუნდა, ცოლს უთხრა, რომ ჯარის ამხანაგი ჩამოვიდა, დაათრო და ამიტომ დააგვიანდა. ბევრი ფიქრის მერე, ქალმა ქმარს ჩაიში თუ ღვინოში დასაძინებელი აბები ჩაუყარა, დააძინა, თვითონ კი მის ჯიბეში ნაპოვნი მატარებლის ბილეთი წაიღო და იმ ქალთან მივიდა. რა რუსულიც იცოდა, იქვე დახარჯა და იმდენი კი მიახვედრა, „სიჩასჟე უბირაისა, ილი უბიუ ტებიაო". რუსის ქალი ბოდიშებს უხდიდა, მაგრამ სანამ თვითონ არ ჩასვა მატარებელში და „პრავადნიკს" არ ჩააბარა (თან მწვანე 50-მანეთიანი უფეშქაშა), მოსკოვამდე ფეხი არ ჩამოადგასო, მანამ არ მოსცილებია. მას მერე ასი ყური და ასი თვალი გამოიბა და ასე, ბრძოლით მოიპოვა ბედნიერება. ჭირი იქა, ლხინი აქა... აბლახანუმი".

## შიში

„სულ მალე საქართველოდან მივდივარ და იქიდან მოგწერთ. სიყვარულისთვის მართლა ბევრი რამ გადავიტანე. ვებრძოდი მხოლოდ საკუთარ თავს, რომ შემეყვარებინა კაცი, ვისთანაც უსიყვარულოდ აღმოვჩნდი. თუმცა, მანაც ბევრი იბრძოლა სიყვარულისთვის ანუ ჩემთვის. რამდენიმე მოტაცების, მილიცია-პოლიციის მერე, დღეს მისი ცოლი ვარ. 5 წელი ვებრძოდი ჩემს თავს, რომ არ მიმეტოვებინა და ისიც იბრძოდა, რომ მყვარებოდა. ორივემ ჩვენი გავიტანეთ. დღეს მე ის მიყვარს და 5 წელია, მისი ცოლი ვარ, მაგრამ ის ახლახან დააკავეს და 7-წლიანი „სროკი" აქვს. ვიცი, რომ ახლა გვიანია განშორებაზე ფიქრი, რადგან გულს ვერ ვატკენ, მაგრამ სადამდე გავქაჩავ ამ ჩემი ნაცოდვილარი სიყვარულისთვის ბრძოლას და კიდევ რამდენ რამეს ავიტან, არ ვიცი; მეშინია, ამ ბრძოლაში დამარცხებული მე არ აღმოვჩნდე. სიყვარულით ბედნიერი უნდა იყო. ამ სიყვარულმა კი ჩემი ნერვები შეიწირა. მეშინია,

როცა ციხიდან გამოვა, ვეღარ გავუგოთ ერთმანეთს და უკან რომ მოვიხედავ, ჩემი ბრძოლით გატარებული 12 წელი (20 წლის გავთხოვდი) სისულელედ არ მომეჩვენოს. კუდრაჭა“.

## თემაზე მოსული მოკლე მესიჯები.

### ბრძოლით მოპოვებული ქმარი

„ვფიქრობ, რომ ბრძოლით მოპოვებული ბედნიერება ბედნიერება არ არის. ბედნიერება თავად უნდა მოვიდეს, თავად უნდა გიპოვოს. მე, მაგალითად, მთელი ცხოვრება ვცდილობდი, ვიბრძოდი ბედნიერების მოსაპოვებლად და რომ ვიფიქრე, ვიპოვე-მეთქი, სწორედ მაშინ აღმოჩნდა, რომ ეს მხოლოდ ილუზია იყო. ახლა ვზივარ და ველოდები, თვითონ როდის მომიპოვებს ბედნიერება. რავი, მე ასე ვფიქრობ და... გკოცნით. თითი“.

„მე თუ მკითხავ, ბრძოლით მოპოვებული ბედნიერება სრულფასოვანი არაა. ამ დროს ბრძოლაში შეიძლება მეორე მხარე დაზარალდეს. ბედნიერებისთვის არ მიბრძოლია. უბრალოდ, ვიწამე და მჯეროდა, რომ ოდესმე ბედნიერი ვიქნებოდი. ბედნიერებას გაფრთხილება უნდა. ყველაფერი წარმავალია, მაგრამ რაც გაქვს, უნდა დააფასო. ბრძოლით არა, თანდათან შექმნილმა საკუთარი ძალების რწმენამ ბედნიერება ლანგრით მომართვა. მე კი ვცდილობ, ლანგარი არ გადავტვირთო და ხელიდან არ გამეშვას... ბრძოლაში საკუთარი უნიათობა გამოიწვიეთ და ოდესმე მოიპოვებთ ბედნიერებას. ეჰ, დავბერებულვარ... პენსიონერულ მესიჯს გწერ. პროკურორა“.

„ბრძოლა... არსებობისთვის, ბრძოლა სიცოცხლის გადასარჩენად, ბრძოლა სამშობლოს დასაცავად, ბრძოლა უაზრო სტერეოტიპებთან, ბრძოლა საკუთარ თავთან, ბრძოლა სიყვარულისთვის და ბრძოლა ბედნიერების მოსაპოვებლად! ჩვენი ცხოვრება ერთი დაუსრულებელი ომია! ბედნიერება ყოველი გათენებული დღე და გამვლელის ლამაზი ღიმილია, დედის მოსიყვარულე თვალები და სიყვარულის ნიჭი! ჩვენ კი რაღაც აბსტრაქტულისთვის ვიბრძვით. უბრალოდ, დავაფასოთ. ესაა ბედნიერება. ვირუსა-89“.

„შევკრიბე დამქაშები და ბრძოლით მოვიპოვე ქმარიკო, მაგრამ (სიამაყეს რა ვუთხრა, თორემ) ჯობდა, დამეთმო. ყველაზე ძვირფასი, თავისუფლება დავკარგე, რასაც მწარედ განვიცდი. რისთვის ვიხლაფორთე? ეეჰ, თავიდან შეიძლება? აღარ შევცდები, რა... თავისუფლებამოწყურებული ჩორნა“.

„ბრძოლით მოპოვებული ბედნიერებაა, აბა რა, როცა ჩემს მესიჯს „გზაში“ ვნახავ. რამდენ ხანს ვებრძოდი ეშმაკს, რომელიც ჩემი სურვილის საწინააღმდეგოდ მეუბნებოდა, არ დამესიჯოო, მაგრამ ანგელოზი რის ანგელოზია, ეშმაკზე რომ არ გაიმარჯვოს. ჰოდა, ახლა აქ ვარ, „გზავნილ-იორკში“, კერძოდ კი გზავნილ-სტრიტის №2-დან №10 ნომრებში. ასე რომ, მსურველებს შეუძლიათ ადვილად მიპოვონ“.

„ძალიან ბევრი ვიბრძოლე ბედნიერებისთვის, მრავალი წელი გვიყვარდა ერთმანეთი, ხშირად გვიჩხუბია. იყო სიშორეც, რომელიც გადავლახეთ. დღეს კი მისი მეუღლე ვარ და უზომოდ ბედნიერი. ლამაზი ქალი“.

„თემასთან დაკავშირებით ერთი გოგო გამახსენდა, რომელსაც შეყვარებული აახიეს და 4 წელი იბრძოდა, მის მოსაპოვებლად. დღეს 2 წლის შვილი ჰყავთ. მარიკა999“.

### ახლა სვანი

„ჩემი მამიდაშვილი, ბონდორიკა მეჩხუბა, რატომ მისწერე მარის ტყუილი, მე ნაგაზის ლეკვში კი არა, მეძებრის ლეკვში გცვლიდიო და ამიკრძალა შენთან მისი ხსენება. ეს ჩვენი ბონდორიკა 17 წლის კაცია. ძალიან თავისებური და შრომისმოყვარე. სულ სადღაც მუშაობს. ასფალტი არ დაგებულა, ფასადი არ შეღებილა და თონეში პური არ გამომცხვარა უმისოდ. მის „დაცულ“ ობიექტებს ხომ რა ჩამომათვლევინებს. დედით სვანია, მამა გორელი ჰყავს, მაგრამ აბა, ვის აქვს 2 თავი, რომ უთხრას, სვანი არ ხარო? სვანური ქუდით დადის და ბარე ორ ჯილა სვანზე ნაკლებად არ იცის სვანური. ერთხელ ახლობელს ეხმარებოდა რემონტში. ბონდორიკას რაღაცა შეეშალა და კაცმა დაუცაცხანა — უჰ, შე მართლა სვანოო. ბონდორიკამ ჩაქუჩი დააგდო და გულუბრყვილო სახით ჰკითხა: — სვანი კი ვარ, მარა ახლა რატომ ვარ სვანიო? თაკლო“.

## ყველაფერზე თემის გარდა

### „მგზავნელ პოინტჯგუფი“

„შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე (რადგან ყველას „გზავნილ-იორკში“ უნდა ცხოვრება), გადავწყვიტე, „მგზავნელ პოინტჯგუფი“ შევქმნა და „გზავნილ-იორკში“ საცხოვრებელი კომპლექსების მშენებლობა დავიწყო. რა თქმა უნდა, ლიცენზია შენ უნდა მომცე, მარ. აქტიურად ვიზრუნებ „გზავნილ-იორკის“ აშენება-გამშვენებაზე. არა, ყოველ კუთხეში მიშას შადრევნებს არ გავხსნი, არც

გაფუჭებულ საათებს „დავრგავ“, არც ბიძია ბუშის ქუჩა იქნება ჩვენს ქალაქში და არც მე წავალ პოლიტიკაში. პირველ კორპუსს „მგზავნელ სტარი“ ერქმევა. დანარჩენს, ლიცენზიის აღების შემდეგ მოგიყვებით. აბა, ვინ შემომიერთდება „მგზავნელ პოინტჯგუფში“?“

## ნიჭიერი

„როცა მე და ჩემი ძმა მარტო ვრჩებით სახლში, რაღა თქმა უნდა, მისი მეცადინეობა ჩემი მოვალეობაა. ასეთ დროს 2-3 სთ განუწყვეტლივ ისმის ყვირილი, კივილი და ტირილიც კი (ოღონდ, ჩემი, რადგან როცა დავიღლები, ძალაგამოცლილი ვტირი ხოლმე). საბოლოოდ, მის დავალებებს მე ვწერ, ხოლო როცა მათემატიკის ამოცანებს ვხსნი, ძამიკო ბურთს თამაშობს. რატომ ვიტანჯავ თავს? იმიტომ, რომ ძმაა და მისი მასწავლებლები მე მეჩხუბებიან, რატომ არ ამეცადინებ და რატომ უკარგავ ამ „ნიჭიერ“ ბავშვს სწავლის უნარსო(??). ახლაც მაგ დღეში ვარ. მარ, დამიბეჭდე, მშობლებს უნდა წავაკითხო და ვთხოვო, რომ აღარ დამიტოვონ ეს „ნიჭიერი“ ბავშვი სამეცადინოდ. აბეზარა“.

## დავიწყებული?

„არ ვიცი, რას მივაწერო, ამ ბოლო დროს დასტა-დასტად რომ გიგზავნი წერილებს. მე მხოლოდ ერთხელ მოგწერე და მაშინაც მთელ ცისქვეშეთს ვიფიცებდი, რომ კარგა ხანია, აღარ მახსოვხარ და აღარც შენთან გატარებული ტკბილ-მწარე დღეები მაგონდება-მეთქი. მართლაც, რა ბედნიერებაა, რომ უშენობის ეს დღეები ისე გაილია, ერთხელაც არ გაიელვა შენმა ფერმკრთალმა, უღვთოდ ლამაზმა სახემ, თორემ რას ჰგავდა ადრე ჩემი ცხოვრება? დღენიადაგ შენზე ფიქრით დაღამებულ-გათენებული? შინ იმიტომ მივიჩქაროდი, მისვლის უმალ დამირეკავდი ხოლმე. სამსახურში ყოველდღე ადრე იმიტომ ვცხადდებოდი, ოთახში შესვლისთანავე ტელეფონის ზარი ისმოდა. ეს უსათუოდ შენ იყავი. ახლა კი... ახლა „მიტოვებული ქალი“ მქვია (გახსოვს, ბალზაკის ეს დიდებული მოთხრობა?) ჰო, მიტოვებული მქვია უდანაშაულოდ, განუსჯელად, დაუნდობლად მიტოვებული და მაინც ბედნიერი, რადგან შევძელი შენი დავიწყება. შენ იცი, რომ დიდი ღვთისმოსავი არა ვარ, ამ ბოლო დროს კი ღმერთს მხოლოდ ამას შევთხოვდი, მოეცა ჩემთვის იმდენი ძალა, შენს დავიწყებას რომ შემაძლებინებდა და მისმინა! აღარ მახსოვხარ, გესმის, აღარ მაგონდები! მერე რა, თუ ამას წინათ დიდ პალმას რომ ჩაუარე, წუთით, მხოლოდ წუთით შევჩერდი და ისე ნათლად, ისე ცხადად დაგინახე ზურგმიყრდნობილი... მაგრამ ეს იყო წუთით, მერე კი გაქრა, გაუჩინარდა ის წამიერი მოლანდება. მერე რა, თუ ჩემი სახლის წინ ვილაცები იდგნენ და ერთს, შენსავით მაღალსა და ბეჭგანიერს სულ შენი ხმა ჰქონდა და შენი სიცილი... მერე რა, თუ მუხლები მომეკვეთა და კინაღამ წავიქეცი. მერე ირგვლივ საოცარი სიბნელე ჩამოწვა და იმ უკუნეთში მხოლოდ შენი ღიმილიანი სახე ჩანდა და ის საყვარელი ღიმილი... ვუძღვნი რაჟიკოს (ვოინ). სახელს შეგნებულად არ ვწერ, ეს ჩემი საიდუმლოა და არ მინდა, ზედმეტი კითხვები გაუჩნდეს ვინმეს. ცხოვრებაში ყველაფრისთვის უნდა იყო თურმე, მზად. იმისთვისაც, რომ ბევრად უმცროსი ბიჭი შეგიყვარდეს და მასთან ბედნიერებაზე ფიქრობდე, თავიც დაამცირებინო, სიკვდილიც

### ყველას ლიზიკო

„ერთხელ, სოფელში, ბირჟაზე ასეთ ამბავს შევესწარით: მჭედელი გოგი მეზობლის ქალმა გააბრაზა და ბირჟაზე გულმოსული ილანძღებოდა:

— ეს ქალები სულ ერთ დღეს უნდა გაწყდნენ, მე მაგათი!

მერე თითქოს გონს მოეგო:

— არა, ჩემმა ლიზიკომ რა დააშავა? მარტო ლიზიკო გადარჩეს, დანარჩენები კი სულ ამოწყვეტილანო.

ბირჟაზე მყოფმა ირაკლიმ უსმინა და უთხრა:

— მე იხერო, ყველას ცოლები რომ მოგვიკვდება და ერთ მშვენიერ დღეს ყველანი რომ შენს ლიზიკოს მოვადგებით, ეგ გადარჩება, როო? წიკვინე“.

### ვინ არ იცის სროლა?

„რამდენიმე მეგობარი სანადიროდ წავიდა. მთელი დღე ისე იწანწალეს, თოფი არ გაუსვრიათ. სალამოს დაღლილები, ტყის პირას წამოწვნენ დასასვენებლად. — აფსუს, რომ არაფერი შეგვხვდა, თორემ გაჩვენებდით სროლის კლასს, — თქვა ერთმა. — თუ ძმა ხარ, ნუ ტრაბახობ! — უთხრა მეორემ. — თუ ვტრაბახობ, ახლავე გაჩვენებ, დაიდგი ბოთლი თავზე და ასი მეტრიდან თუ ერთი სროლით ვერ ჩამოვაგდებ, ჩემი „ზაუერი“ შენი იყოს. თუ ჩამოვაგდე, მაშინ შენს თოფს სამუდამოდ დაემშვიდობე. მოდის? — შესთავაზა ნაძლევი პირველმა. მეორე შეყოყმანდა. — ნუ გეშინია, დაენაძლევე და დაიდგი ბოთლი თავზე, სროლა არ იცის, აუცილებლად მოუგებ! — გაამხნევა ჩუმად მესამემ. ლუნა“.

განატრებინოს და მაინც გიყვარდეს ჩუმად, შენთვის. ბევრჯერ ვცადე დავიწყება, მაგრამ არ გამომივიდა. თუმცა, უბედური მაინც არ ვარ, რადგან გულით უკვდავ სიყვარულს ვატარებ. მ“.

## იყიდება ვალერი

„მეგობარი მყავს, ვალერი. ახალი დაბადებული რომ ყოფილა, მამამისს უხუმრია 5 წლის მეზობლის ბავშვთან — ვალერის 3 კაპიკად ვყიდიო. ბავშვს სახლში 5 კაპიკი მოუპარავს, მოსულა ამათთან და უთქვამს — ხურდა არ მინდა, ვალერი გამატანეთო. რომ მიმხვდარა, პატარას არავინ დაუთმობდა, იმდენი უტირია, ძლივს წაუყვანიათ სახლში. დღეს კი ძმაკაცები არიან. აბაა! :) მის რაგბი“.

## ძაღლური სიყვარული

„მარ, რასაც ახლა მოგიყვები, ტყუილი არ გეგონოს, ნამდვილი ამბავია. ყველა ადამიანურ სიყვარულზე გწერს, მე კი გადავწყვიტე, ძაღლურ სიყვარულზე მომეწერა. ყველაფერი 2 წლის წინ დაიწყო. :) ჩემს პუჩიტოს პარკში ვასეირნებდი. ერთი მაწანწალა ქუჩის ძაღლი გამოეკიდა, წკმუტუნით. მას მერე, სადაც კი პუჩას დაინახავდა, უკან დაჰყვებოდა, შესწკმუოდა და სევდიანად უყურებდა. :) რომეო შევარქვით. ერთ ღამეს, კართან რაღაც ხმაური შემომესმა. გავაღე კარი და რას ვხედავ? რომეო იწვა კართან ფეხის საწმენდზე. ეტყობა, სატრფოს უცდიდა. :) მას მერე კორპუსს არ შორდებოდა და ჩემს ფანჯრებთან წკმუოდა (უეჭველად სერენადებს უმღეროდა ძაღლურ ენაზე, პუჩას). სამწუხაროდ, ძაღლური „რომეო და ჯულიეტაც“ სევდიანად დასრულდა. რომეომ მალე იპოვა მეზობლის ძაღლ ფანისთან ბედნიერება და ცხოვრობდნენ ასე ბედნიერად, სანამ ფანიმ ფეხები არ გაჭიმა. ASHLEY PCD“.

## ჯიბრი

„მინდა, ჩემს საყვარელ ქუთაისელებზე მოგითხროთ. მართლა ძალიან კეთილი და თბილი ხალხია, მაგრამ ერთი ნაკლი აქვთ — ერთმანეთის წამხედურები არიან: იმას რომ აქვს, რას ჰქვია, მე არა მაქვსო?! და ა.შ. ერთხელ, ნათესავთან ვიყავი სტუმრად. რომ იტყვიან, თან გადაგვყვნენ. საღამოს, ჩემი მასპინძელი ნინო, სამძიმარზე წავიდა, მეზობელ ქუჩაზე. ერთი საათის შემდეგ დაბრუნდა საშინლად აფორიაქებული და გაბრაზებული. ვიფიქრე, ძალიან განიცდის იმ ადამიანის გარდაცვალებას და იმიტომ არის ასე-მეთქი. ვკითხე: რა არის, ნინო, ძალიან შეგეცოდა-მეთქი? დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო... დედა, რა ვნახე, ეს რა ვნახე, ჩემს გურამიეს რომ გოუსკდეს გული და ვნახე იმისთანა კუბოში ჩაწოლილი, მაგრამ ვერ მივართვი, რას დამიტოვებს, რომ ძვირფასი კუბო ვაღირსო? მაგ რო მიეწიოს მალე ბიგენტიეს... იქ „ლუსტრა“ იყოოო, კუბოს თავსახურავს აწვდენდა ბოლოებს. ახლა „ვეში“? სულ „ლუდოვიკო“, როკოკო... ახლა ცოლს „იუბკა“ ეცვააა! 100 ლარი ღირს, ბაზრობაზე. ისეთს მაინც ვაყიდიებ ჩემს ქმარს, თლათ რომ მიეწიოს ბიგენტიეს. აპა, მაგი იმისთანა „ლუსტრას“ სიზმარშიც ვერ ნახავსო. ქალი სამძიმარზე გაუშვი და დამწუხრებული დავხვდი. ვიფიქრე, უხერხულია-მეთქი, მაგრამ თურმე რა სამძიმარი? სულ სხვა საფიქრალი ჰქონია“.

## იყო და არა იყო რა...

„იყო და არა იყო რა, იყო ერთი ლამაზი გოგო, რომელიც ასევე ლამაზ ბიჭს შეუყვარდა. ბევრი იბრძოლა ბიჭმა ბედნიერებისათვის, რა ხერხს აღარ მიმართა და ბოლოს, მოიტაცა სატრფო. რაღა ბევრი გავაგრძელო და მალე იყო ქორწილიც. მერე წყვილი ვაჟი, 5-6 წელიწადში, აწყობილი ცხოვრება, ბედნიერებით გაბრწყინებული სახეები. ყველა მათ შეხაროდა, მაგრამ ზღაპარი უეცრად შეწყდა და უფრო მეტიც — ზღაპარს ბედნიერი დასასრული არ ჰქონია. ავტოავარიამ შეწყვიტა მათი ზღაპარი. ცოლ-ქმარი ერთად გადასახლდა სხვა სამყაროში. კახას და ხათუნას ხვალ დაკრძალავენ და ცა გახდება მათი სულების მისამართი... ასე გაქრა ბრძოლით მოპოვებული ბედნიერება და დარჩა ზღაპარი, რომელსაც ბედნიერი დასასრული არ ჰქონდა. ელისო“.

## სამშობლოს დამცველი

„VI-VII კლასში ვიყავი. საქართველოს ისტორიას ვსწავლობდი და ნერვები მეშლებოდა იმ ლაჩრებზე რომლებმაც საქართველოს ულალატეს. ამიტომ, როცა სკოლაში ჯგუფი ჯგუფზე ვჩხუბობდით, მე „ბრძოლის ველზე“ ბოლომდე ვრჩებოდი და ბოლოს დაბეგვილი, მაგრამ ამაყად გამოვდიოდი. ამიტომ, სულ მინდოდა, რომ ომის დროს საქართველო დამეცვა. ჰოდა, ერთ დღეს ბრძოლის ველზე ვარ (რა თქმა უნდა, ნანატრ სიზმარში) და გაგანია ომია. უცებ ბრახ და ტყვედ არ ჩავვარდი? თანაც, არაბების ხელში. აბა, დაფქვი, რაც იცი, თუ არა და, გავახურე შანთიო და ააგიზგიზეს ცეცხლი ამ ურჯულოებმა. რა უნდა მექნა? ვუთხარი: მეიცა, ბიძია-თქვა და რო გავაღე სალაპარაკო ღრუ... ყველაფერიც დავფქვი. გამომეღვიძა, მაგრამ ვაი, ამ გამოღვიძებას. იმ დღეს ისტორიის მასწავლებელს თვალებში ვერ შევხედე. ეს ამბავი 5 წლის წინ მოხდა და ახლაც გუშინდელივით მახსოვს“.

## გაშეშებულები

„სასოფლოელი არავინაა? სასოფლოს თურმე სასოფლო-ჯავახიშვილი ჰქვია (რექტორია ჯავახიშვილი). ორშაბათს ნიადაგმცოდნეობის ლექტორმა რა დაგვცოფააა?! სასოფლო, კანტორას შეადარა, გოგონები დალანძღა, ერთს „ჩაუნამიოკა" და ქუჩის ქალს შეადარა, ბიჭებს ყოფნა-არყოფნის საკითხი დაუსვა. ერთის სიარულის მანერა არ მოეწონა და კაცი კი არა, ცისფერიაო. ხმა, კრინტი, გაშეშდითო! 1 საათის განმავლობაში 60 ბავშვი გაშეშებული, თვალებში ვუყურებდით. გამოცდებზე გამლერებთ ნოტებზეო, დაგვემუქრა და ვაავა, გამოცდებზეეეე... სუხუმსკი".

## გოშენკა

„მეზობელი სოსო რუსეთში წავიდა სასწავლებლად. იქიდან კი დიპლომის ნაცვლად 2 წლის გოშენკა ჩამოიყვანა. სოსოიას რუსი დავარქვით, ჩვენებურად. გოშამ ქართული არ იცოდა და ბებო კახური აქცენტით აძინებდა: — გოშაა, „კუპატ ი სპაატ". მისი დიდი ბებო, პეპენა კი გაოცებული ამბობდა: — ქაა, 80 წლის ქალი ვარ და რუსულის ინჩიბინჩი არ გამეგება და ამ 2 წლის ბალღმა ეს რამოდონა რუსული იცისო. კახელი სალომე".

## 2 ვაჟკაცი

„მარ, კარგი, რა, რამდენჯერ უნდა დამბლოკო? მართალია, მთლად სვანი არა ვარ, მაგრამ სვანის მეზობელი ვარ. მეზობლისადმი ასეთი უყურადღებობა კი არ გეკადრება. დღეს ძლივს ვიშოვე „გზა" და თემაც გავიგე. მოკლედ, დიდი ხნის წინ, სკოლაში ერთ ბიჭს ვუყვარდი. როგორც თვითონ ამბობდა, ნამეტნავად. ეს ამბავი ჩემ გარდა ყველას უთხრა და მეც სხვისგან გავიგე. უფრო სწორად, თავისი ძმაკაცი მომიგზავნა და თავის მაგივრად სიყვარული აახსნევინა (მანამდე მომწონდა, მაგრამ ამ „ვაჟკაცური" საქციელის მერე...). სკოლა რომ დაამთავრა, თბილისში წამოვიდა სასწავლებლად და ჩემი თავი (მე აზრზე არ ვიყავი) ძმაკაცს ჩააბარა. მისმა ძმაკაცმა კიდევ, მე მიყვარხარ, ჩემი ძმაკაცი მკიდია და შენც დაივიწყეო. მე იოლი გამოსავალი ვიპოვე და ორივესთან გავწყვიტე ურთიერთობა. ეჰ, ამდენი წელი გავიდა და დღემდე ვერ გავიგე, რომელი უფრო ლაჩარია. პირველი, რომელმაც თვითონ ვერ გაბედა სიყვარულის ახსნა თუ მეორე, რომელმაც ძმაკაცს უღალატა და ისიც დაკარგა და მეც, მაგრამ მადლობა ღმერთს, ახლა ჩემგან ორივე შორსაა".

## რა ღირს გზა?

**„ახლა ღამეა და არ მეძინება. ამიტომ, გადავწყვიტე, თქვენთვის მომეწერა. ეს ამბავი რომ შემემთხვა, ყვითელი ავტობუსების ფასი სულ რამდენიმე თვის მომატებული იყო. ხუთშაბათ დღეს სასწავლებლიდან წამოსულმა „გზა" ვიყიდე, ავედი ავტობუსში, ჩემთვის მოვკალათდი და დავიწყე „გზავნილების" კითხვა. 5 წუთში ავტობუსი მგზავრებით აივსო, დასაჯდომი ადგილი რომ არ იყო, ზოგი ფეხზე იდგა. ჩემ გვერდზეც ვილაც ქალი იდგა, რომელიც მოლიმარი სახით უყურებდა ჩემს ჟურნალს. ცოტა ხანში მკითხა: გზა რა ღირს? მე სანამ ვუპასუხებდი, გავიფიქრე: წელან ალბათ წაიკითხა რამდენიმე გზავნილი, ჟურნალი მოეწონა და ახლა მისი ფასი აინტერესებს-მეთქი. მეც გავუღიმე და ვუპასუხე: — 80 თეთრი, ქალბატონო. — რას ამბობთ, 20 თეთრი არ ღირდა? ასე რატომ მოუმატეს ფასიო? — არა, ქალბატონო, 20 კი არა, 60 თეთრი ღირდა, ახლა „ჟურნალი ჟურნალში" დაამატეს და 80 თეთრი მიტომ ღირს-მეთქი. სანამ მე ვლაპარაკობდი, ქალი გაკვირვებული მიყურებდა. შემდეგ კი უკანმოუხედავად ჩავიდა. თურმე ქალს მგზავრობის ღირებულება აინტერესებდა, მე კი ლამის „გზის" დაარსების ისტორია მოვუყევი. აი, ასეთი ამბავი გადამხდა „გზის" წყალობით. უცნობი გოგო".**

## თახსირი

„ჩემი მათემატიკის მასწავლებელზე უნდა მოგწეროთ. მაგარი „პრიკოლი" კაცია. ისეთ რაღაცებს იტყოდა, მკვდარს გააცინებდა. სამწუხაროდ, 1 წელია, რაც სკოლიდან წავიდა. აუ, როგორ მისწორდებოდა, როდესაც მის გაკვეთილზე შევდიოდი, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ასეთი ზრდილობიანი სიტყვით შეგვამკო: — ნუ იცინით, თქვე თახსირო ბავშვებოო. თან ისეთი სახე ჰქონდა, გამეცინა. თან — გავბრაზდი. ნუ, გავიცინე, მაგრამ ამ დროს ისეთი მჭედა სიფათში, ლამის სახე ჩამომილო. თან დაამატა — თქვე თახსირებო, თქვენაო. სიბრაზემ თავისი ქნა და გამწარებულმა ვუთხარი — თახსირი თვითონ ხარ-მეთქი. მერე გვითხრა, სადაც გინდათ, იქ მიჩივლეთ, მე არაფრის მეშინიაო. მერე ბავშვებმა უთხრეს ჩვენს დამრიგებელს ყველაფერი. იმ კაცმა კი თავი იმართლა, არავინ მიცემია, მარტო ყური ავუწიეო. :) ამ ამბავზე ახლა მეცინება და თან მიკვირს, როგორ გავუბედე სიტყვის შებრუნება, მაგრამ მართლა მაგრად გავმწარდი. გიო-93".

## „ანტიკვარი" „ზაპოროჟეცი"

„გასულ საუკუნეში ველისციხის ატეესში მუშაობდა კარლო ქიტუაშვილი (განათლოს უფალმა მისი სული). კარლოს ერთი ძველისძველი,

„ანტიკვარი" „ზაპოროჟეცი" ჰქონდა, რომელსაც ყოველ 20 მეტრში მიწოლა სჭირდებოდა. შუა ზაფხულია, იწვის ქვეყანა და კარლო ვენახიდან მოდის მანქანით. მეზობელი ლეო შეხვდა. გაუჩერა მანქანა. — დაჯე, ლეო, სახლამდე წაგიყვანო. — არა, ნიკალაევიჩ, ძაან მეჩქარებაო და საქმიანად გააგრძელა გზა. P.S. კარლო ნიკალაევიჩი პაპაჩემი იყო. ბელ-555".

## მატნის ბირჟაზე

„LUXURY, არანაირი პრივატიზაცია და მსგავსი უბედურებები არ არის საჭირო, რადგან ეს საქართველო არ არის და ამ ქვეყნის პრეზიდენტი ჩვენი სათაყვანებელი მიშა არ არის. :) აქ სრულიად სხვა სამყაროა შექმნილი, რომელსაც „სიყვარულის ქვეყანა" ჰქვია და სული ჩვენმა მარიკუნამ შთაბერა. შესაბამისად, ის არის ამ სამყაროს პრეზიდენტიც, მეფეც, დედოფალიც, მბრძანებელიცა და ჩვენი სულიც და გულიც. მის ქვეყანაში კი ბინა ყველასთვის უფასოა, თან ყველა ცენტრშია და ისეთი კეთილმოწყობილი, რომ სხვაგან გადასვლის სურვილი არასოდეს გაგიჩნდება. არც კომუნალური და სხვა ჯანდაბა გადასახადების გადახდა მოგიწევს არასოდეს. :) აბა, თანახმა ხარ, ასეთი კეთილმოწყობილი, ყველაფრით უზრუნველყოფილი ბინა შენი მუდმივი საცხოვრებელი გახდეს? თათა".

„აუ, მე ნათესავები მყავს?! ანტიკვარები არიან. დეიდაშვილი მყავს (გოგო), ვეგონება 905-ში დაიბადაო. მაღაზიიდან დაბრუნებულმა მითხრა: — იცი? კვირტლოციკლი გაიყიდაო. — რა? — კვირტლოციკლი, შენ რომ მაგრად გინდოდა. ძლივს გავარკვიე, რისი თქმა უნდოდა. კვადროციკლი ვერ გაიხსენა და".

„ქუთაისის მაღაზიებში რაც იყიდება, ყველაფერზე მოქმედებს განვადება. ავეჯი, ჭურჭელი, ხალიჩები, პარფიუმერიაც კი განვადებითაა. ჰოდა, ახლა გაიგონებთ ასეთ ხუმრობას: ეგ შენი მეუღლე შენია თუ განვადებით გამოიყვანე? თაისი".

„სოფელ შილდაში ერთი მეზობელი მყავდა — მარუსა. ერთხელ მეზობლებმა ამბავი მოუტანეს: — მარუუს, შენს ბოსტანში კუები შესულანო. მარუსამ: — იიი, მეხი კი დავაყარე მაგათ, თუ ჩავუვარდიი, მე იმათ გავაკუებო. კახელი სალომე".

„მატნელები მატნის ბირჟაზე „სეკას" თამაშობდნენ, წიწილებზე. ერთმა მთელი წიწილები წააგო და კრუხი მიიყვანა, დამიხურდავეთო. კახელი სალომე".

„ამ საღამოს სამსახურში უნდა წავიდე და ზედიზედ სამი ღამე ვირივით ვიმუშაო. ხუთშაბათ დილას აუცილებლად, „სმენიდან" გამოსული „გზას" ვიყიდი და უძილარი თვალებით ჩემს მესიჯს დავუწყებ ძებნას უნივერსიტეტამდე... მერე ლექციებზე ლამის დამეძინება... ასე გრძელდება კაი ხანია. არადა, ერთი კვირაა, იმის გამო მოვთქვამ, სწავლას რომ ვამთავრებ. აწი როგორ უნდა ვიცხოვრო? არ მინდა უნივერსიტეტის დამთავრება. ნეტავ იცოდე, დღეს რა საცოდავი ვიყავი, როცა ცრემლნარევი ხმით ვყვებოდი სემინარს. აი, ნამდვილი სილაჩრე. ტერინა".

„მარ, რომ იცოდე, ჩემი მასწავლებელი რავარი ფანია თქვენი, გაგიჟდებით. ხუთშაბათობით გაკვეთილის მაგივრად „გზას" ვკითხულობთ. მაშ... იტა".

„გავიღვიძე და ეს რა ესმის ჩემს ყურებს? წვიმის წვეთები როგორ ასკდებიან ფანჯრებს... თან გუშინ ბიძაჩემთან დავრჩი და სიფრიფანა კაბისა და მაისურის მეტი არაფერი მეცვა. ახლა კი სახლიდან უნიკალურ ფორმაში გავდივარ — ბიძაჩემის შარვლით და „მაიკით". მიუხედავად იმისა, რომ სიმაღლით 198 სმ-ია, მაინც მოვირგე ამ ერთი ბეწო გოგომ. აუ, ხალხს „ბომჟი" ვეგონები. მარი, მართალია, თემაზე არ მომიწერია, მაგრამ სარკეში ჩახედვისას იმდენად მომხვდა გულზე ჩემი „პადზემკური" ზმანი, რომ მომინდა, მთელ საქართველოს გაეგო, რა „ვიდზე" დგას დღეს, ჩაცმაზე გადარეული შანსი".

„სამსახურში ვზივარ ჩემთვის, ხალხი დადის, ზოგი რას ყიდის, ზოგი — რას. ერთმა განსაკუთრებით მიიქცია ჩემი ყურადღება. ბიჭი (ალბათ იქნება 35 წლის) მოდის და რაღაც მოაქვს. ისე საცოდავად გამომხედა, გული დამეწვა. მერე ვიკითხე და მითხრეს, მჭადს ყიდისო. რამდენი ადამიანი მართლაც საცოდავად შოულობს ფულს. ახლაც რომ ვიხსენებ, მეტირება. ვერავინ გაიგებს, როგორი გაჭირვებულია ადამიანი, სანამ საკუთარი თვალით არ ნახავს. ასე მოხდა ჩემს შემთხვევაშიც. ეჰ, როგორი დაუნდობელია ხანდახან ცხოვრება. ერთი ფრაზა გამახსენდა: ზოგს თუ ცხოვრება ძალით აცინებს, რა დავაშავე, მე რომ მატირებს? ზოგს ძალიან ბევრი ფული აქვს, ზოგს — თითქმის არაფერი. პანტერიტა".

*მომდევნო ნომრის თემა იქნება — საიდუმლო. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com ვიცი, საიდუმლო მესიჯების უმეტესობა უნიკოდ ან შეცვლილი ნიკით მოვა. ნუ იდარდებთ, თამამად გამოგზავნეთ მესიჯები და გაამხილეთ გულში ჩარჩენილი საიდუმლო. იცით, როგორ მოგეშვებათ? ვინც უკვე გამომცადეთ, ხომ იცით, რომ სამარე ვარ... რაც შეეხება მოკლე ჩართვას, ამჯერად კითხვას არ ვსვამ, ვინაიდან წინა ნომერში „გააქტიურებული" საკითხი მომდევნო ნომერში გადავა. რატომ? ეს უკვე ჩემი საიდუმლოა და მეც მომდევნო კვირაში გაგიმხელთ (და არა მარტო ამ საიდუმლოს). ახლა კი გემშვიდობებით და ველი თქვენს მესიჯებს.*

# საყვარლო და სამაისო ქვეყანა, მაგალითად თბილისური რეკლამა...



**მკითხველს დავპირდი, რომ დროდადრო სხვადასხვა ოფისს ვესტუმრებოდი და შთაბეჭდილებებს დაუფარავად გავუზიარებდი. ამჯერად, ჩემი სამიზნე სარეკლამო ფირმები გახდა.**

*მარი ჯაფარიძე*

ცნობილია, რომ ყველა დიდი ბრენდი მოგების ნახევარზე მეტს რეკლამაში დებს. სწორედ ამის გამოა, რომ ტელევიზიები გადაცემებს რეკლამასა და რეკლამას შორის უჩვენებენ. ხშირ შემთხვევაში, ვიდრე რეკლამა დამთავრდება, აღარც კი გახსოვს, რას უყურებდი, ასე გაფაციცებით. მოკლედ, გადავწყვიტე, გამეგო, რა ხდება სარეკლამო სააგენტოებში.

პირველ რიგში, ყვითელ ავტობუსებზე რომ რეკლამებს განათავსებენ, იმ სამსახურს დავუკავშირდი. ახალგაზრდა მამაკაცის ხმამ ზრდილობიანად მიპასუხა.

— თქვენთან რეკლამის განთავსება მინდა, — მეც ზრდილობანად მივუგე.

— ჩვენი პრეისკურანტი იცით?

— არა, მაგრამ იმედია, გამაცნობთ.

— თქვენ ალბათ პოლიტიკური რეკლამა გინდათ... — სცადა, ჩემი „მოღვაწეობის" სფერო ამოეცნო.

— არა, პოლიტიკური რეკლამა არ მინდა.

— მაშინ, იქნებ არჩევნების შემდეგ დაგვიკავშირდეთ, მანამდე კი ჩვენს პრეისკურანტს გაგაცნობთ. თქვენი ელფოსტის მისამართი მითხარით, თუ შეიძლება.

ვუთხარი.

— კი, მაგრამ არჩევნებამდე რატომ არ შეიძლება?

— იმიტომ, რომ ახლა პოლიტიკური პარტიები გვაძლევენ შეკვეთებს.

— მერე, მე რატომ მჩაგრავთ? ჩემი ფული ყალბია თუ?!

— არა, როგორ გეკადრებათ, ქალბატონო... უბრალოდ, ახლა ასეა საჭირო.

— კარგი, რადგან ასეა საჭირო, რაღას ვიზამ?

— მაინც, რისი რეკლამირება გინდათ? — არ მომეშვა.

— რისი და... „ნაციონალების" ერთ-ერთი გამოკვეთილი ლიდერის ბებიას 85 წელი შეუსრულდა და ვიფიქრე, ასე მივულოცავდი.

— აა, მაშინ კი, ბატონო, მობრძანდით... ოღონდ, ჯერ პრეისკურანტს გაეცანით.

— ე.ი. ახლა შემიძლია, მოვიდე?

— დიახ, რა თქმა უნდა...

ჩემი და სარეკლამო სააგენტოს თანამშრომლის საუბარმა ღიმილი მომგვარა. მაშასადამე, ახლა აღარ არის საჭირო არჩევნების გაყალბე.... უკაცრავად, დამთავრებამდე ცდა...

ამის შემდეგ გადავწყვიტე, ნაწვიმარ და „ნაქარალ" თბილისში გამესეირნა და სარეკლამო „მარგალიტები" მომეძებნა. ქუჩაში გამოსულმა, სარეკლამო ფირნიშებისა და ბილბორდების თვალიერება დავიწყე. რას ნახავს უკეთესს თვალი...

აგერ, ერთი ფირმა მომსახურებასთან ერთად ენის გასატეხს გვთავაზობს — „ფოტოტელეატელიე". აბა, თუ ბიჭი ხარ, სამჯერ ზედიზედ, შეუცდომლად გაიმეორე. დავნაძლევდეთ, რომ თუ არ ივარჯიშე, ვერ გაიმეორებ. გზა განვაგრძე დარწმუნებულმა, რომ ასეთ „მარგალიტებს" კიდევ შევხვდებოდი.

არაერთი მაღაზიის ვიტრინაზეა გამოჭიმული წარწერა: „ყავა დაფქვით!" (ძახილის ნიშანიც არ დავიწყებიათ). ვისი რა საქმეა, დავფქვავ ყავას თუ ისე, მარცვალს ჩავაკნატუნებ? ბიჭოს! აა, როგორც ჩანს, მაღაზიის მეპატრონეს უნდოდა ეთქვა, რომ იმ მაღაზიაში ყავას ფქვავენ... ეს კი სულ სხვა საქმეა...

ისე, 2003 წლის არჩევნების დროს გამოკრული ერთი პლაკატი დამამახსოვრდა — „ჯუმბერ პატიაშვილის ბლოკი — ერთობა". გასართობად ჰქონდათ საქმე ამ დალოცვილებს? თურმე, კარს „ვარდების რევოლუცია" გვქონდა მომდგარი და ისინი კიდევ, ერთობოდნენ.

მართალია, ქართული ენა ისეთია, რომ შესაძლებელია, ერთ კონტექსტში ნათქვამი სხვადასხვანაირად იყოს აღქმული, მაგრამ ავტოპროფილაქტორიუმებზე გამოკრული წარწერები — „უესტი" და „უესტიანჩიკიც" ამის ბრალია, ვითომ? ამას „თუნუქი" და „მეთუნუქე" არ სჯობია?

ეს რაღაა? „მოგეწევით მალე" — აწერია ე.წ. გადასასვლელ ხიდთან მდგარ ჯიხურს. ნეტავ, რას უნდა ნიშნავდეს? შევჩერდი და კარგად დავაკვირდი. არა, თვალი არ მატყუებს, ნამდვილად ასე წერია... — ეტყობა, „ნაციონალებმა" მისწერეს შევარდნაძეს-მეთქი, გავიფიქრე და ხელი ჩავიქნიე. ცოტა კიდევ გავიარე და ახალ „მარგალიტს" წავაწყდი — „ნაძალადევ ადვოკატთა კოლეგია"... იუწყება ფირნიში. უყურე შენ! ვინ აძალებდათ? რა უნდოდათ, თუ ადვოკატობა არ უნდოდათ (ისე, ცოდვა გამხელილი სჯობს და, ალბათ გულმა უგრძნოთ, ორშაბათს, რედაქციაში რომ მოვდიოდი, წარწერა შესწორებული დამხვდა — ნაძალადევის ადვოკატთა კოლეგია ყოფილა. ვაშა!).

ვორონცოვის დასაწყისში, ერთ-ერთი მაღაზიის კედელზე წითელი საღებავით უზარმაზარი ასოებითაა გამოყვანილი — „აქ გვშია!" ალბათ აქ გაცილებით გაბედული ხალხი ცხოვრობს, თორემ თბილისში ცოტა მეგულება ადგილი, სადაც არ შიათ.

აგერ, ალმაშენებლის გამზირზე კაფე „პაემნის" მენიუც გამოუკრავთ.

კაფეს სახელწოდება ნამდვილად რომანტიკულია. რა სჯობია, მზე რომ ანათებს, ჩიტები ჭიკჭიკებენ, საყვარელ ადამიანთან პაემანზე რომ მიდიხარ, გული გამალებით რომ გიცემს, სიმბოლურად კაფე „პაემანში" დაგპატიჟებს... მაგრამ მენიუ გაცილებით რომანტიკულია, ვიდრე ის, რაც მე ზემოთ აღვწერე. ქაბაბი „პაემანი" — ასეთია მათი საფირმო კერძი. როგორია ნეტავ ეს ქაბაბი? რით განსხვავდება დანარჩენი ქაბაბებისგან? ლულაა თუ ისე? დიდია თუ პატარა? მოკლედ, ამაზე თავის მტვრევა არ ღირს. ჯობს, გზა გავაგრძელო...

უცნაურია, მაგრამ მეტროსადგურ „ისანთან" ახლოს მდებარე ერთ-ერთ ავტოგასამართ სადგურზე (თანამშრომლებისთვის აგებულ ოფისში) მთელი კომპიუტერული ცენტრია გახსნილი. ინტერნეტკაფე და „ტე(ქ)სტის აკრე(ფ)ა". ამის დამწერი „ტეკსტს" რომ აკრებს, ერთი ის ჩამაგდებინა ხელში და მეტი არაფერი მინდა. ტექსტს რომ აგიკრებენ, მერე იქვე ქსეროქსსაც გაგიკეთებენ, რომ ერთი ეგზემპლარი სამუდამოდ შეინახო და შთამომავლობას არ დაეკარგოს.

ახლა მეტყვით, „კლაოზნიკი" თუ არ ხარ, რა გინდოდა, რას დახეტიალებდი, მეტი საქმე არ გქონდაო? ამდენი „მარგალიტების" შეკრება საქმე არ არის? აგერ, „ბილაინის" უზარმაზარი ბილბორდიც, რომელზეც შავით თეთრზე... უკაცრავად, ყვითელზე აწერია: „მეგობრული" ტარიფი — 15 თეთრი ნებისმიერ ოპრატორზე". ეს „ოპრატორი" ვინღაა, ვერ გავიგე. ალბათ, „ბილაინის" მეგობარია, რადგან 15 თეთრად შეიძლება მასთან დაკავშირება. თქვენ კიდევ მეტყვით, „კლაოზნიკი" ხარო...

ეს რეკლამა რომ ვნახე, გადავწყვიტე, ბილბორდზე ერთი რეკლამა მეც შემეკვეთა და შინ დაბრუნებისთანავე საჭირო ნომერი ავკრიბე.

— ალლლოოო! — გაწელილი ხმით მიპასუხა მამაკაცმა.

— უკაცრავად, რეკლამის შეკვეთა შეიძლება? — მეც გავინაზე ხმა.

— როგორ არა, — გამოცოცხლდა უცებ.

— შეიძლება, რომ რეკლამისთვის ადგილი თვითონ შევარჩიო?

— კი, რა თქმა უნდა, თუ ის ადგილი დაკავებული არ არის. თუ უკვე დაკავებულია, დაელოდებით და როგორც კი მისი ვადა ამოიწურება, რიგში პირველი იქნებით.

— კიდევ ის მაინტერესებს, თუ შესაბამის თანხას გადავიხდი, ნებისმიერი ტექსტის განთავსება შემიძლია?

— რა თქმა უნდა. თქვენ რისი რეკლამირება გსურთ?

— იცით, ბებიაჩემს 80 წელი უსრულდება (რით არის „ნაციონალის" ბებიაზე ნაკლები?) და მადლიერმა შთამომავლობამ გადავწყვიტეთ, რომ რამდენიმე ბილბორდზე მისი ფოტო და მისალოცი ტექსტი განვათავსოთ. საწყალი, მოხუცია და გაუხარდება.

— როგორ თქვით? — დაიბნა მამაკაცი.

— ბებიაჩემს, ზინაიდა ივანოვნას 80 წელი უსრულდება...

— გავიგე, გავიგე, — შემაწყვეტინა უცებ. იცით, ასეთი შემთხვევა ჯერ არ გვქონია...

— თქვენთვის რა მნიშვნელობა აქვს? შესაბამის თანხას გადავიხდით...

— ძალიან ძვირი დაგიჯდებათ...

— არ არის პრობლემა. მაგაზე არ გალაპარაკებთ. მაინც, რა ეღირება 1 ასეთი ბილბორდი?

— ვფიქრობ, 1 ბილბორდი, 1 დღით 5 ათასი დოლარი დაჯდება. — არ ვიცი, მადა გაეხსნა თუ მართლაც ასეთი ტარიფები აქვთ.

— კი, ბატონო, მაშინ 5 ბილბორდს შეგიკვეთთ, თითოეულს 10 დღით, — ძალიან გულუხვი ვიყავი.

— კი, მაგრამ ბებიის დაბადების დღის მილოცვა 250 ათასი დოლარი რომ დაჯდება, ეგ არაფერი? — გაკვირვებისგან ლამის ყურმილში გამოძვრა.

— თქვენ იცით, ბებიას როგორი ამაგი აქვს ჩვენზე? იცით, როგორი ტკბილი, თბილი და გამრჯე ქალია? შვილიშვილებს თან გვყვებოდა და გგონიათ, რომ იმის ღირსი არ არის, რაღაც 250 ათასი დავხარჯოთ მის გასახარებლად? — „ნაწყენმა" ტონი შევიცვალე.

— კი, კი, როგორ არა, თქვენი ნებაა...

— ჰოდა, კიდევ ის მაინტერესებს, შეგიძლიათ თუ არა, რომ ერთსტროფიანი ლექსი დაწეროთ ბებიაჩემზე, ბილბორდისთვის?

— ამაზე ცალკე უნდა გადაიხადოთ... — აშკარად მადა გაეხსნა.

— რამდენი?

— სავარაუდოდ, 50 დოლარი...

— ?!

— 50 დოლარი ძვირია, — თუ ხუმრობაა, ხუმრობა იყოს!

— მაშინ თქვენ დაწერეთ და ისე მოგვიტანეთ.

— მე უკვე დაწერილი მაქვს და ჩაიწერეთ... „ბებო, შენი მოფერება ჩვენ ყოველთვის გვიხაროდა, დაბადების დღეს გილოცავთ, ზინაიდა ივანოვნა". ხომ მაგარია? — ისეთ დღეში ვიყავი, ერთი სული მქონდა, ყურმილს როდის დავკიდებდი, რომ გულიანად მეცინა.

— კი, მაგარია, — დამეთანხმა (ალბათ მეოთხედი მილიონის ხათრით).

— ჰოდა, ასე! კარგად ბრძანდებოდეთ. — ყურმილი სასწრაფოდ დავკიდე და სიცილისგან სული ძლივს მოვითქვი.

ჰოდა, მართლაც რომ ასე! ●



# როგორი ხასიათი გაქვს?

იმისათვის, რომ ეს ტესტი ბოლომდე გაიარო და შენ შესახებ სიმართლე გაიგო, გირჩევ, მე-17 გვერდზე მოთავსებულ ცარიელ ჩარჩოში ღორი ჩახატო. მნიშვნელობა არ აქვს, ხატვა გეხერხება თუ არა. როგორც შეძლებ, ისე დახატე.

*პასუხები კი 32-ე გვერდზე მხოლოდ მას შემდეგ იხილე, როცა ხატვას მორჩები.*

17 >>>

# ამბობენ

**ამბობენ... ამბობენ... თბილისში ბევრ რამეს ამბობენ... იქნებ, ჩვენც არ ჩამოვრჩეთ მოვლენებს და სამყაროს ჭორ-მართალი გავიგოთ?**

## რაჰ, ეს ინფლაცია

ამბობენ, საქართველოში, ბოლო 3 თვის განმავლობაში, ინფლაციის დონემ 3,5% შეადგინაო. საინტერესოა, ჭორია თუ სიმართლე? მივდექ-მოვდექი, საჭირო ინსტანციებში გავიკითხე და აღმოჩნდა, რომ თურმე, 2008 წლის 1-ელი აპრილის მდგომარეობის მიხედვით, საქართველოში საარსებო მინიმუმი შრომისუნარიანი მამაკაცისთვის შეადგენდა 128 ლარს; საშუალო მომხმარებლისთვის — 113 ლარს; 4-სულიანი ოჯახისთვის — 215 ლარს; შარშან ამ დროს, შესაბამისად, შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმი 123 ლარი იყო; საშუალო მომხმარებლისთვის — 109 ლარი; 4-სულიანი ოჯახისთვის — 207 ლარი. ამ მონაცემებით თუ ვიხელმძღვანელებთ, გამოდის, რომ ეს ინფორმაცია ჭორი კი არა, მართალი ყოფილა და ინფლაციის დონემ მართლაც 3,5% შეადგინა.



## დაიჭერენ თუ არა ბურჯანაძის მამამთილს?

ამბობენ, ნინო ბურჯანაძის მამამთილი ჭიათურის რაიონში, სოფელ სვერში სკოლის დირექტორი და ჭიათურის საკრებულოს წევრი ყოფილა და ახლა თურმე მალე დაიჭერენო. ჭორია თუ სიმართლე? სოზარ სუბარს მის წინააღმდეგ ისეთი მასალები ჰქონია, ქვას გახეთქავს თურმე. სახალხო დამცველი ამბობს, რომ ბატონი რეზო ბიწაძე თავისი სკოლის პედაგოგებს პარტიული ნიშნით დევნის და ვინც „ნაციონალებს“ ხმას არ მისცემს, სამსახურიდან გათავისუფლებით ემუქრება. იურისტები კი ამბობენ, რომ თუ საქმე სასამართლომდე მივა, ნინო ბურჯანაძის მამამთილს პოლიტიკური დევნის ბრალდებას წაუყენებენ და სოლიდური ჯარიმა ან 1-დან 3 წლამდე პატიმრობა ემუქრება. რადგან ომბუდსმენი ასე ამბობს, ეს ამბავიც, სავარაუდოდ, მართალი ყოფილა.



## ხატზე დაიფიცეს, რომ ხუთიანს შემოხაზავ...

ამბობენ, სვანეთში „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერებს ხატზე აფიცებენ, რომ მიცემულ პირობას არ გადავლენ და არჩევნებზე მართლაც ხუთიანს შემოხაზავენო. ჭორია თუ სიმართლე? საკუთარ ნათესავებში გავიკითხე და უმეტესობამ ეს ფაქტი დამიდასტურა. სვანი კაცისთვის ხატზე დაფიცება წმიდათაწმიდაა და აუცილებლად შეასრულებს; ეს ყველამ კარგად იცის და მათსავე წინააღმდეგ იყენებენ კიდეც. რატომ უნდა ჩარიონ ღმერთი ისეთ ბინძურ საქმეში, როგორიც პოლიტიკაა? წარმოიდგინეთ, თუ ფიცის დროს არ დააყოლა — ხუთიანს მხოლოდ ამ(?!) არჩევნებზე შემოვხაზავო, გამოდის, რომ ყველა სვანმა მთელი ცხოვრება ხუთიანი უნდა ხაზოს და ხაზოს...

## ინდოელები საქართველოში

ამბობენ, ფოთის ნავსადგურს ინდოელი დირექტორი ჰყავსო. როგორც „ინტერპრესნიუსი“ იუწყება, მართალი ყოფილა. ფოთის ნავსადგურის დირექტორად ვინმე ვენ გოვინგა დაუნიშნავთ, რადგან ტენდერში გამარჯვებული საინვესტიციო კომპანიის, „რაქ ინვესტმენტის“ წარმო-



მადგენელია. ამ კომპანიამ ნავსადგურის 51% შეიძინა. ვენ გოვინგა ასევე არაბთა გაერთიანებული საამიროების „რქსენ ხაენის“ საამიროს ნავსადგურების აღმასრულებელი პირი ყოფილა.

## ყველა ქართველი გამდიდრდება

ამბობენ, გია მაისაშვილი წინასაარჩევნოდ ხალხს არაფერს ჰპირდება, გარდა იმისა, რომ ასწავლის, როგორ უნდა გამდიდრდნენო. „საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში, სასწაულის იმედი არ უნდა ჰქონდეს. ჩვენ ვთავაზობთ ინიციატივას, პასუხისმგებლობას, „ნოუ ჰაუს“ კონკრეტულ გეგმას, მექანიზმს, გზას, ლიდერსა და ფუნქციას, რომ საზოგადოების რაც შეიძლება დიდი ნაწილი ჩაერთოს ხელებდაკაპიწებულ, ოფლისმღვრელ შრომაში, რასაც ქვეყნის მშენებლობა ჰქვია. არსად ჩანს ნამდვილი ლიდერი, ხელოვანი და არა — ხელოსანი; ხუროთმოძღვარი და არა — კალატოზი; მოღვაწე და არა — მეძავი; „მარიტა“ და არა — „კიკუ“, — აცხადებს მაისაშვილი. გაიგეთ, რამე? რა შუაშია „კიკუ“ და „მარიტა“? ვერაფერი გაიგეთ? უკუღმა წაიკითხეთ, უკუღმა!

## დავით ყიფიანის თასის გათამაშება ალბათ იქნება?

ამბობდნენ, რომ ზესტაფონის „ზესტაფონსა“ და თბილისის „დინამოს“ შორის გამართულ მატჩზე გარიგება



შედგაო. ამის თაობაზე ჯერ კიდევ მატჩამდე ლაპარაკობდნენ. ახლა კი დავით ყიფიანის შვილი, ლევან ყიფიანი მოითხოვს, რომ თასს მამამისის სახელი ჩამოაშორონ, რადგან მიაჩნია, რომ მისი სახელი გარიგებულ მატჩთან კავშირში არ უნდა იყოს. შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ, თბილისის „დინამომ“ „ზესტაფონს“ მოუგო და მეცამეტედ გახდა თასის მფლობელი. მატჩის შედეგი კი ფეხბურთის მოყვარულებმა თამაშამდე 3 დღით ადრე იცოდნენ.

## ოქროსი როგორ არ არის?

— გამარჯობა, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! მუსიკას ინებებთ? თუ — კი, დააჭირეთ თითი მწვანე ღილაკს და მონიტორზე სასურველი მელოდია ამოირჩიეთ. დეზინფექცია ჩატარებულია, შეგიძლიათ, საქმეს მიხედოთ. საქმის კეთილად დასრულებას გისურვებთ.

როგორ ფიქრობთ, რომელი ორგანიზაცია ემსახურება კლიენტებს ასე თავაზიანად? ტვინს ნუ იჭყლეტთ, მაინც ვერ გამოიცნობთ. ეს გახლავთ ახალი ტუალეტები, რომლებიც ქალაქის ხელისუფლებამ ამერიკაში, ქალაქ ატლანტაში დაამონტაჟა. ტუალეტები ქალაქის ბიუჯეტს 1,5 მილიონი დოლარი დაუჯდა. ის ვერცხლისფერ, ფართო კაბინას წარმოადგენს, ავტომატური კარით, რომელიც ლიფტს უფრო ჰგავს. შიგნით ყველა პროცესი ავტომატიზებულია. კლიენტს ტუალეტის ქაღალდის მოხევაც კი არ სჭირდება. შესაბამის ღილაკზე თითის დაჭერით, ის თავისით გამოდის. თითოეული ასეთი კაბინის ფასი 300 ათასი დოლარია. ფასის შემხედვარე გვიკვირს, რომ ისინი ოქროსი არ არისო, აცხადებენ ატლანტელები.



# აფხაზეთის პრინცესის გულში შეჭრილი თავხედები




**ამჯერად ინტერვიუ აფხაზეთის პრინცესასთან ჩავწერე. მინდა გითხრათ, რომ ინტერვიუმ საოცრად გამახალისა და მე და ჩემმა რესპონდენტმა სულ სიცილ-ხარხარით ჩავწერეთ. თავიდან, ინტერვიუს გიო93-იც ესწრებოდა, რომელიც ძლივს გავაგდეთ ოთახიდან, თორემ ვინ იცის, როდის დავასრულებდით საუბარს. გაგიმხელთ, რომ მე და აფხაზეთის პრინცესა თანაკლასელები ვიყავით და ვდაქალობთ. მარ, იმასაც გაგიმხელ, რომ ძალიან ვნერვიულობ. ვაითუ, არ მოგეწონოს ჩემი ინტერვიუ. ასე, პირველ ინტერვიუზე არ მინერვიულია.**

*მარი კოპახიძე (NON STOP)*

— **აფხაზეთის პრინცესავ, გაეცანი მკითხველს.**

— მე ვარ ანა ჯოჯუა. დავიბადე 1990 წლის 14 ივნისს. ვცხოვრობ სენაკში. მყავს დედა, მამა და ძმა. ოჯახური მდგომარეობა — გაუთხოვარი (*იცინის*).

— **როდის და როგორ შემოიჭრა „გზავნილები“ შენს ცხოვრებაში?**

— „გზავნილები“ შენი წყალობით აღმოვაჩინე და უკვე თითქმის ერთი წელია, მისი აქტიური მკითხველი ვარ.

— **შენი პირველი გზავნილი თუ გახსოვს?**

— სამწუხაროდ, მარიმ ჩემი პირველი გზავნილი არ დაბეჭდა და ის დრო ცუდად მახსენდება. აი, პირველი დაბეჭდილი გზავნილი კი კარგად მახსოვს და არასოდეს დამავიწყდება.

— **რას ნიშნავს შენთვის „გზავნილები“ და რა შეცვალა მან შენს ცხოვრებაში?**

— „გზავნილების“ წყალობით ჩემს ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალა. აქ თავს ისე ვგრძნობ, როგორც მეორე ოჯახში.

— **შენმა ნაცნობ-მეგობრებმა თუ იციან შენი „მეორე ოჯახის“ შესახებ?**

— იციან, რომ ვამესიჯებ და ჩემი ნიკიც ცნობილია მათთვის.

— **მგზავნელებიდან ვის იცნობ და თუ მეგობრობ მათთან?**

— მგზავნელებიდან გიცნობ შენ, გიო93-ს (მანამდეც გიცნობდით) კოხი-20-ს, მანაველს, ნინო-მილანს, ვარდენას და ოლეგარიოს. დიდი სურვილი მაქვს, ყველა მათგანი გავიცნო და ვიმეგობრო მათთან.

— **მოდი, ცოტა რამ შენს დადებით და უარყოფით თვისებებზეც უამბე მკითხველს...**

— ვარ ჭკვიანი (*იცინის*), მეგობრული, მაქვს პასუხისმგებლობის გრძნობა. ჩემს უარყოფით თვისებად მიმაჩნია ის, რომ ადამიანების ამოცნობისას ხშირად ვცდები. ზოგჯერ ბოროტი და დაუნდობელი ვარ (*იცინის*).

— **რა თვისებებს აფასებ ადამიანში ყველაზე მეტად?**

— ერთგულებას, თავდადებას და იუმორის გრძნობას.

— **რატომ დაირქვი აფხაზეთის პრინცესა?**

— იმიტომ, რომ აფხაზეთიდან ვარ. თანაც, ერთხელ ასე მომმართეს და ამ ნიკით დამესიჯება მას შემდეგ გადავწყვიტე.

— **ჩვენი „გზავნილ-იორკის“ მერზე, მარიზე რას იტყვი?**

— ჩემი აზრით, მარი ძალიან მაგარი ადამიანია, რადგან ჩვენი, მგზავნელების გასახარებლად ღამეებს ათენებს მუშაობაში. მინდა, შემთხვევით ვისარგებლო და გამოვტყდე, რომ ეს ადამიანი უკანონოდ შემოიჭრა ჩემს გულში და თან მგზავნელებიც თავხედურად შემოიყოლა (*იცინის*).

— **მაინტერესებს, ჟურნალ „გზის“ ყველა რუბრიკას კითხულობ თუ არა და რომელია შენთვის ყველაზე საინტერესო რუბრიკა?**

— თავდაპირველად, „გზავნილებს“ ვკითხულობ, შემდეგ კი ყველა დანარჩენ წერილს ვეცნობი. „გზავნილების“ შემდეგ, ჩემთვის ყველაზე საინტერესო რუბრიკა „მინიატიურებია“.

— **გაგვიმხილე, რაზე ოცნებობ?**

— ვოცნებობ, ვიცხოვრო ძლიერ საქართველოში. კიდევ ვოცნებობ, რომ „გზა“ მინიმუმ 200-გვერდიანი მაინც იყოს ან კვირაში ორჯერ იბეჭდებოდეს (*იცინის*).

— **ოცნების ახდენას გისურვებ. დიდი მადლობა ინტერვიუსთვის. დასასრულ, რამეს ხომ არ დაამატებდი?**

— დასასრულ, ყველა მგზავნელს ვუსურვებ, რომ თითოეულს თავის არჩეულ გზაზე სულ მშვიდობით ევლოს და მიზნისთვის მიეღწიოს. ●

# ჩითი ეჩითობა მაჩტო მცხოვრები ილინი...

**ჩორი-ჩორის საპირველაპრილო ხუმრობამ, თითქოს მე და ილინმა ვიჩხუბეთ და ილინმა დანა მომიღერა, ჩემი ახლობლები შეაშინა. მირეკავდნენ, აინტერესებდათ, რა ხდებოდა. — ეგ ილინი ვინლააო? — გაოცებულები კითხულობდნენ. ჰოდა, მიუხედავად იმისა, რომ პროფესიით ჟურნალისტი არ ვარ, სწორედ ამ ფაქტმა გადამაწყვეტინა ილინთან ინტერვიუს ჩაწერა. ის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მგზავნელია, რომელსაც მე „მოსიარულე იუმორი“ შევარქვი.**

*ლელუჩია*

— **სალამი, ილინ, მოდი, მკითხველს შენი თავი გააცანი.**

— მე გახლავართ ელენე ბასილიძე, 19 წლის, ჟურნალის-

ტიკის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი, „დაუქმარშვილებელი" (*იცინის*).

— **რატომ აირჩიე ეს ნიკი?**

— თუ ვინმემ არაბული ენა იცის, მიხვდება, რომ ილინი ჩემი სახელის არაბული ვარიანტია, რადგან ამ ენაში „ე" არ არის.

— **როგორ ერთობი?**

— გახსოვს, „მოკლე ჩართვაში" რომ ნომინაციები განაწილდა? მაშინ გზავნილების პრინცესა, ხიფათა და გოჭი ვიყავი. ახლა კი შენი წყალობით მოსიარულე იუმორიც გავხდი. რადგან შინ იშვიათად ვარ, ძირითადად, ქუჩაში ვერთობი, მეგობრებთან ერთად. თავისუფალ დროს კი ვკითხულობ, ვწერ და ვფიქრობ, თანაც — ძალიან ბევრს.

— **ჩორი-ჩორის საპირველაპრილო ხუმრობის წყალობით, ბევრს მტრები ვეგონეთ. იმ „ხიპიშს" ვგულისხმობ, ვითომ დანა რომ დამიძვრე. იქნებ აუხსნა მკითხველს, რა მოხდა?**

— არაფერიც არ მომხდარა; უბრალოდ, ჩორიმ იხუმრა. სხვათა შორის, მეც ბევრმა დამირეკა — აუ, გოგო, შენ კიდევ შარი გინდოდაო? მიუხედავად იმისა, რომ ჩორიმ მაშინვე აღნიშნა — ხუმრობააო, ბევრმა მაინც დაიჯერა. მინდა, ყველას გასაგონად ვთქვა, რომ მე და ლელუჩია მეგობრები ვართ და ჩვენ შორის მსგავსი არაფერი მომხდარა!

— **რა ოცნება და მიზანი გაქვს და თუ გარისკავ მათი განხორციელებისთვის?**

— არ ვეთანხმები გამოთქმას — „მიზანი ამართლებს საშუალებას". გავრისკავ, მაგრამ არასოდეს გადავაჭარბებ. საკმაოდ შორს მიმავალი მიზნები და დიდი ამბიციებიც მაქვს. პირველ რიგში, მინდა, კარგი ადამიანი ვიყო, ჩემი დედიკოს იმედები გავამართლო და ჩემით ყველა ახლობელმა იამაყოს.

— **როგორ წარმოგიდგენია შენი მომავალი, როგორც ჟურნალისტს?**

— საქართველოში ჟურნალისტობა რატომღაც ტელევიზიასთან და მიკროფონთან ასოცირდება. მე კი ჩემი თავი პრესაში უფრო წარმომიდგენია. მანამდე კი სწავლის გაგრძელებას და ხარისხის დაცვას ვაპირებ.

— **როგორი ურთიერთობა გაქვს მშობლებთან და რას ურჩევდი სხვა თინეიჯერების მშობლებს?**

— გარდატეხის ასაკში დედასთან ურთიერთობა მიჭირდა. ახლა კარგად ვუგებთ ერთმანეთს. მთავარია, მშობელმა შვილს რჩევა ისე მისცეს, რომ არ გააღიზიანოს.

— **მინდა, შენს „პირად ეშაფოტთან" დაკავშირებით გკითხო: რამ გაგამწარა ასე, ძლიერი სქესის წარმომადგენლებს მოკვლით რომ ემუქრები?**

— არ ვემუქრები. უბრალოდ, როდესაც იმედი რამდენჯერმე გიცრუვდება, ადამიანებისადმი



ილინი

ნდობას კარგავ. ამ შემთხვევაში მარტო მამაკაცებზე არ ვლაპარაკობ.

— **როგორც ვიცი, მარტო ცხოვრობ. არ გიჭირს?**

— ეს იმაზეა დამოკიდებული, აქვს თუ არა ადამიანს მარტოობის მოთხოვნილება. ხშირად უთქვამთ, აქ მარტო როგორ ძლებო? ჩემთვის კი ეს პრობლემას არ წარმოადგენს. უფრო მეტი დრო მაქვს საკითხავად და საფიქრალად. რაც მარტო ვცხოვრობ, გაცილებით თავდაჯერებული გავხდი. პასუხისმგებლობის გრძნობაც მომემატა როგორც საკუთარი თავის, ასევე ოჯახის მიმართ.

— **შენი ფოტო რამდენჯერმე დაიბეჭდა „გზაში". ქუჩაში გცნობენ?**

— იმიჯს ხშირად და რადიკალურად ვიცვლი. ამის გამო, ჩემი ცნობა არც ისე იოლია. ასე რომ, ვერ მცნობენ.

— **როდის დაამესიჯე „გზავნილებში" პირველად და რა განცდა გქონდა, როდესაც შენი მესიჯი ჟურნალში იხილე?**

— „გზა" 2 წლის წინ აღმოვაჩინე, მაგრამ არ ვამესიჯებდი. როცა ჩემი მესიჯი პირველად დაიბეჭდა, სიხარულისგან შუა ქუჩაში დავრბოდი.

— **როდის გაიცანი მგზავნელები?**

— ნოემბერში კანიბალკამ შეხვედრა რომ დანიშნა, მე და ნელკა მივედით. მაშინ მხოლოდ ჩვენ ვიყავით. ახლა მგზავნელების 90%-ს ვიცნობ და ძალიან ბედნიერი ვარ, ამის გამო.

— **გაცნობამდე როგორები წარმოგედგინა ისინი და რომელი მათგანი აღმოჩნდა რადიკალურად განსხვავებული?**

— ოჰ, კანიბალკა! რატომღაც მართლა კაციჭამია მეგონა, მაგრამ ვეგეტარიანელი და თანაც, მაგარი ადამიანი აღმოჩნდა. ასევე ლიმონა. სურათში ძალიან მაღალი ჩანდა. სინამდვილეში კი მართლაც „პატალა" ყოფილა.

— **მარის გაცნობა არ გინდა?**

— „ნახალოვკაში", მარის „მოდის სახლის" გვერდით ვცხოვრობ. ერთხელ ყვავილებით მივედი, მაგრამ შესვლა ვეღარ გავბედე. იმედია, მალე გავიცნობ.

— **რას უსურვებ მარის და მგზავნელებს?**

— პირველ რიგში, დიდი მადლობა მარის, ასეთ კარგ ხალხს რომ გადამყარა. გაძლება მისცეს ღმერთმა, ჩვენს ბუუტურს რომ კითხულობს. მგზავნელებს კი ვუსურვებდი, რომ წლების შემდეგაც არ დაგვეკარგოს ერთმანეთი.

— **დიდი მადლობა, ინტერვიუსთვის.**

●

# ანბანი, რომლის წაკითხვაც მამაკაცებისთვის აკრძალულია



ამ წერილის წაკითხვა მამაკაცებისთვის იმიტომ არის აკრძალული, რომ მასში სუსტი სქესის წარმომადგენელთა აზრი მათ შესახებ გულღიად, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშეა გადმოცემული. ჩათვალეთ, რომ ისინი ერთმანეთს უბრალოდ, აზრს უზიარებენ და ჭორაობენ; ჭორიკანა ქალებისთვის ყურის გდება კი მამაკაცის საქმე არ გახლავთ.

**ა — დამი**

ბიბლიური პერსონაჟია — მამაკაცის სიმბოლო, რომელიც უხსოვარ დროში პირველი აცდუნა ქალმა. მას შემდეგ ყველა მამაკაცი მის ბედს იზიარებს.

**ბ — ურთი**

მამაკაცებისთვის საყვარელი, ქალებისთვის საძულველი, მრგვალი, ჰაერით გაბერილი საგანია, მაგრამ ბევრი მამაკაცის ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. შესაძლოა, ის ოჯახური სკანდალისა და უკმაყოფილების მიზეზიც კი გახდეს.

**გ — ოლი**

ფეხბურთის (ან სხვა გუნდური თამაშის) თანმდევი მოვლენაა, რაც მოწინააღმდეგის კარში ბურთის გატანას ნიშნავს. მამაკაცები ამ მოვლენას ხშირად ოვაციებითა და ყვირილით ხვდებიან, დოინჯშემოყრილი ქალები კი ამ დროს თავს სინანულით აქნევენ.

**დ — ედა**

ქალისთვის — დედამთილი. მამაკაცის ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურაა, რომლის აზრსაც ასაკისა და სოციალური მდგომარეობის მიუხედავად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ჭკვიანმა ქალმა იცის, რომ პირველ რიგში დედამთილს უნდა შეაყვაროს თავი. მერე მასთან ერთი გუნდი შექმნას და ქმრის წინააღმდეგ და საკუთარი მიზნების განსახორციელებლად გამოიყენოს.

**ე — ვა**

ყველა მამაკაცმა იცის, რომ საშიში ბიბლიური პერსონაჟია და რომ არა ევა, ახლა ყველა მათგანი სამოთხეში ტკბილად და ბედნიერად იცხოვრებდა.

**ვ — აშლი**

ეს ის გახლავთ, რითიც ევამ მამაკაცი აცდუნა. დამღუპველი ხილია — ასე მიაჩნია მამაკაცთა უმეტესობას.

**ზ — ურმუხტი**

ძვირფასი ქვაა. ქალზე ჯადოსავით მოქმედებს — აფართოებს თვალის გუგებს, იწვევს სიხარულსა და აღმაფრენას.

**თ — ვალი**

ეს ის ორგანოა, რომელსაც მამაკაცი ქალს აყოლებს და თუ მისი რომელიმე ადგილი განსაკუთრებით მოეწონა — ვერ წყვეტს.

**ი — ნტერესი**

ყველა მოკვდავისთვის დამახასიათებელი თვისებაა და მამაკაცებს განსაკუთრებულად, ქალებზე მეტად აქვთ განვითარებული. პროტესტი არ მიიღება! თუ არასწორად ვმსჯელობ, ამ სტრიქონებს როგორ კითხულობ, შენთვის ხომ აკრძალული იყო ამ გვერდების წაკითხვა?

**კ — აპრონი**

ეს ის მასალაა, რომლისგანაც ქალის თხელი, მშვენიერი წინდა და თოკი მზადდება. წინდა ქალს სექსუალურობას სძენს და მამაკაცს გონებას ურევს... გონარეული მამაკაცისთვის კი თოკი ხშირად საჭირო ხდება.

**ლ — ომი**

ცხოველთა მეფეა და ყველა მამაკაცს მოსწონს, როდესაც მას ადარებენ.

**მ — ობილური**

საჭირო და სასარგებლო გამოგონებაა, არა მარტო მამაკაცებისთვის. ეს ერთადერთი ნივთია, რასაც მამაკაცები ერთმანეთისას ადარებენ და უხარიათ, რომ მისი უფრო პატარაა.

**ნ — ული**

ცალკე არაფერია; თუ რომე-



ლიმე ციფრის მოსდევს, დიდი ძალა აქვს და რაც უფრო მეტი ნულია მამაკაცის საბანკო ანგარიშზე, მით უფრო სიმპათიური, სასურველი და უზადოა.

**ო — ბობა**

ერთი შეხედვით პატარა, უწყინარი მწერია, მაგრამ მისი ქსელი მამაკაცის გონებაში ქალთან, ინტრიგებთან და ჩახლართულ ამბებთან ასოცირდება.

**პ — ალმა**

მცენარეა, რომელიც ეგზოტიკურ ნაყოფს გვაძლევს და წესით, მაიმუნების საყვარელი სავანის გამო, მამაკაცს ეს მცენარე ადამიანის წარმოშობის დარვინისეულ თეორიას უნდა ახსენებდეს; მაგრამ აბა, ჰკითხეთ ნებისმიერ მათგანს... ზღვა, პლაჟი, ნაშები... ეჰ...

**ჟ — იგული**

ა) კარგი ავტომობილი კომფორტია. ბ) „ჟიგული“ არაკომფორტული ავტომობილია. გ) „ჟიგული“ ავტომობილი არ არის.

**რ — ჩევა**

ეს ის არის, რისი მიცემაც უხვად შეუძლია ცოლს, სიდედრს, დედას და ყველას, ვისაც ლაპარაკი არ ეზარება. მამაკაცები კი მიიჩნევენ, რომ ქალის რჩევას უნდა მოუსმინონ და პირიქით მოიქცნენ.

**ს — იდედრი**

იგივე ცოლის დედა. განძია, რომელიც მიწაში უნდა ინახებოდეს. სტატისტიკის მიხედვით ასე ამბობს მამაკაცთა 99%.

**ტ — აფა**

ასოცირდება შემწვარ კვერცხთან (განსაკუთრებით მაშინ, თუ მამაკაცი მარტო ცხოვრობს) და ხანდახან სიდედრთანაც.

**უ — კრაინა**

ოცნების ქვეყანაა, სადაც ბევრზე ბევრი ნაშა „ბინადრობს“.

**ფ — ული**

ხელის ჭუჭყია, მაგრამ ძალზე საჭირო და აუცილებელი. მისი რაოდენობის მიხედვით იცვლება მამაკაცის ქცევა, იმიჯი და პოპულარობა.

**ქ — ალი**

არსებაა, რომელსაც მამაკაცებმა ვერაფერი გაუგეს (თვითონ ასე ამბობენ). მასზე ლექსებსა და სიმღერებს წერენ, დითირამბებს აღავლენენ, ეტრფიან და აღმერთებენ. თუმცა, მაინც მიაჩნიათ, რომ ეშმაკზე 3 დღით ადრეა დაბადებული.

**ღ — ონე**

ილაჯი და არაქათი ამ სიტყვის სინონიმებია. მამაკაცისთვის აუცილებელია და „გამოულევლად“ უნდა ჰქონდეს.

**ყ — ვავილი**

მცენარეა, რომელსაც მამაკაცები ვერ იტანენ. რა საჭიროა ქალს მიუძღვნა ყვავილი, როდესაც არსებობს არაყი და ხინკალი?

**შ — არვალი**

ტანისამოსია, რომელიც ქალებმა თავისუფლებასთან ერთად „დააწერეს“ მამაკაცებს. სხვათა შორის, იცით, ვინ იყო პირველი ქართველი ქალი, ვინც შარვალი ჩაიცვა? მაია წყნეთელი. „ვოტ“!

**ჩ — ემოდანი**

1-2 ცალი ყველა ოჯახს აქვს. გამოიყენება სამოგზაუროდ წასვლისას ან შინიდან გაქცევისას, ტანისამოსის ჩასალაგებლად. ხშირად შეგხვდებათ სადარბაზოში, კართან, ნახევრად დაკეტილ, ტანისამოსგამოჩრილ მდგომარეობაში.

**ც — ოლი**

წოდებაა, რომელზეც ყველა ქალი ოცნებობს, რადგან მამაკაცზე უფლებებს აკანონებს, მაგრამ მიაღწევს თუ არა ამ „ჩინს“, მაშინვე გაუთხოვარ დაქალებს შენატრის.

**ძ — აღლი**

ყველამ ვიცით, რომ შინაური ცხოველია. თუმცა, მამაკაცისთვის ის პოლიციელთან, ცოლთან და სიდედრთან ასოცირდება.

**წ — ავი**

ეს ის ცხოველია, რომელმაც (ძაღლის არ იყოს) მამაკაცს ცხოვრება ჯოჯოხეთად უქცია. მისგან მზადდება შესანიშნავი ქურქი და ქალებს ძალიან მოსწონთ.

**ჭ — ური**

დიდი ზომის ჭურჭელია, რომელშიც ღვთიური სითხე ასხია. აღნიშნული სითხე იწვევს სასიამოვნო თავბრუსხვევასა და „პახმელიას“; ადამიანს არწმუნებს, რომ დედამიწა ბრუნავს; აწითლებს ცხვირს; აფუჭებს მაგიდის გადასაფარებელსა და რეპუტაციას.

**ხ — ერხი**

ანდაზა ამბობს, რომ ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი (და არა — ქალი) მოიგონებსაო. ამიტომ, ნებისმიერი სიტუაციიდან გამოსავლის პოვნა მამაკაცებს უნდა მიანდოთ.

**ჯ — იში**

ცოცხალი ორგანიზმის წარმომავლობას, გენეტიკურ ფონდს ნიშნავს. გამოიყენება გაბრაზებულ გულზე „მოსაკითხად“.

**ჰ — ამერი**

„ჟიგულისგან“ განსხვავებით — ავტომობილია. თუ „ჰამერი“ გყავს, ჩათვალე, რომ კაცური კაცი ხარ და „ტანკში ზიხარ“ (შემთხვევითი არ არის, რომ ამჯერად პირდაპირ მოგმართე. ვიცი, „ანი“-დან „ჰაე“-მდე წაიკითხე ის, რაც შენთვის არ იყო განკუთვნილი). ●

ტესტი

<<< 11

## როგორი ხასიათი გაქვს?

32 >>>

# რეალური



„ოო, ანას ამბავი უკვე ძალიან საინტერესო გახდა. ალბათ, ინტრიგა და სკანდალი არ მოგვაკლდება. მიდი, ანა, „მიაწექი“ ცხოვრებას, ძლიერი ქალი ხარ და ყველაფერი კარგად იქნება. კარმენი“.

„მარი, არაჩვეულებრივი კაცი ვარ... დიდი „ოხერი“ ვინმე ხარ, მაინც მოახერხე ჩემი დაინტრიგება. „რეალურს“ თვალს ვეღარ ვწყვეტ და მოუთმენლად ველოდები ხუთშაბათს, რომ ამბის გაგრძელება წავიკითხო. არადა, გეუბნებოდი, აღარ წავიკითხავ-მეთქი, გახსოვს?“

„დარწმუნებული ვარ, ანა პარიზში წავა და დათოს დავალებულ საქმეს პირნათლად შეასრულებს. აგერ ნახავთ, თუ ასე არ იქნება. ანა უფრო და უფრო მომწონს, დათოს კი ვერ ვიტან. ხათათუნები“.

„მარ, მაგარია „რეალური“. ბოლო ნაწილმა ისე დამაინტერესა, დიდი სურვილი მაქვს, დაგირეკო და ამბის გაგრძელება შენგან მოვისმინო, მაგრამ ვიცი, მეტყვი, მომდევნო ნომერში წაიკითხეო. ჰოდა, მეც ველოდები მოუთმენლად“.

„ბანძია, ეგ თქვენი ანა და ბანძია, ეგ თქვენი „რეალურიც“. აქამდე ვკითხულობდი, მაგრამ ახლა აღარ წავიკითხავ. ჩემს გემოვნებაში არ ჯდება. კარგად. მანჩო“.

*დასაწყისი — „გზა“, №11-19*

მარი ჯაფარიძე

***ახლა კი ამბის გაგრძელება, რომელიც წინა ნომერში იმ დროს შევწყვიტეთ, როცა ანამ დათოსგან პარიზში გამგზავრების წინადადება მიიღო. ეს არ იყო რომანტიკული მოგზაურობა, ეს იყო საქმიანი ვიზიტი, რომლის დროსაც ანას, დათოს მიერ გატანებული ნივთი სხვისთვის უნდა გადაეცა.***

— როდის უნდა წავიდე და რამდენი დღით?

— 3 მაისს წახვალ და ოთხ დღეში დაბრუნდები.

— კარგი, ვისარგებლებ ჩემს განკარგულებაში არსებული მოსაფიქრებელი დროით და პასუხს ხვალ გეტყვით.

გული გამალებით მიცემდა. ვგრძნობდი, რომ სადაც იყო, მუშაობაზე უარს მეტყოდა და გაჩერდებოდა. ერთი სული მქონდა, როდის გავაღწევდი ოთახიდან და მარტო ჩავიკეტებოდი. თანაც, დისკის უკან დაბრუნება მინდოდა და წარმოდგენა არ მქონდა, ამას როგორ მოვახერხებდი. თავზედს ვიწყევლიდი, თუმცა, მასზე ჩაწერილი ინფორმაციის მიმართ ინტერესი გამიასმაგდა და არც დასაბრუნებლად მემეტებოდა, მაგრამ სხვა გზა არ იყო. დროის გაწელვა მინდოდა, ვიფიქრე, დათოს საუბარში ავიყოლიებ, იქნებ მანამდე ან საპირფარეშოში გასვლა მოუნდეს, ან დასასვენებელ ოთახში და სულ 1 წამი დამჭირდებოდა, რომ უნებართვოდ აღებული ნივთი უკან დამებრუნებინა.

— ჩემი მოგზაურობის შესახებ მამუკამ იცის? — დაქალის მეგობარი და ჩემი პროტეჟე გამახსენდა უცებ.

— არა, არც მან და არც შენმა მეგობარმა ამის შესახებ არ უნდა გაიგონ. შენ თავისუფლად შეგიძლია, საქმეები ან უბრალოდ, დასასვენებლად წასვლა მოიმიზეზო. არ დაგიჯერებენ თუ რა?

— თქვენი საუბარი მაშინებს. გული მიგრძნობს, რაღაც შარში მხვევთ.

— არ გრცხვენია? მე ისეთ რამეს არ გთხოვ, რისი გაკეთებაც არ შეგიძლია და რაც ზიანს მოგაყენებს. სხვათა შორის, მოსაფიქრებელი დრო კი გაქვს, მაგრამ უარი არც ერთ შემთხვევაში არ უნდა მივიღო.

— გამოდის, რომ მნიშვნელობა არ ჰქონია ჩემს აზრსა და სურვილს.

— ჰო, ასე გამოდის.

— სხვათა შორის, დღეს სამუშაო მაგიდაზე სიურპრიზი დამხვდა, — ვთქვი და ჯიქურ შევხედე თვალებში.

— მართლა? რა სიურპრიზი, თუ საიდუმლო არ არის? — მანაც თვალი გამისწორა.

— სუნამო და გვირილები.

— შენი აზრით, ვის უნდა დაეტოვებინა?

— წარმოდგენა არა მაქვს. მე მეგონა, თქვენ დატოვეთ. — მხრები ავიჩეჩე.

— მე? — გულიანად გაიცინა. — რატომ იფიქრე ჩემზე? საინტერესო ვერსიაა.

— იმიტომ, რომ ვიცი, მოგწონვართ და ვიფიქრე, ამით სიმპათიის გამოხატვა სცადეთ.

— მდაა, ქალის ლოგიკა ყოველთვის მაოცებდა და ახლა დავრწმუნდი, რომ ზოგიერთ ქალს ლოგიკა საერთოდ არ ჰქონია.

— ალბათ ეკაზე ამბობთ, არა? — ვუკბინე, როგორც შემეძლო და გავიღიმე.

— ჰო, ეკაზეც, — ეს „ც“ ხაზგასმით წარმოთქვა.

ამ დროს შიდა ტელეფონმა დარეკა. დათო თითქოს შეკრთა მის ხმაზე და ყურმილს ელვის სისწრაფით დასწვდა.

— ჰო, მოიცადოს... გამოვალ... კარგი, ახლავე... — ნაწყვეტ-ნაწყვეტ ჩასძახოდა ყურმილს.

— წავალ, — ვთქვი და წამოვდექი.

— არა, არ გახვიდე! — ისე შეყვირა, მეგონა, რაღაც საშინელება ხდებოდა. შევჩერდი. — ეკაა მოსული და ახლა შენ რომ აქ განახოს, ისეთ ისტერიკას მოაწყობს, თავბედს გვაწყევლინებს.

— აა, — ირონიულად გავიღიმე და ისევ დავჯექი. გამიხარდა კიდეც, ეკას მოსვლა. ახლა დათო ცოტა ხნით გავიდოდა და მე დისკის დაბრუნებას შევძლებდი. სასწრაფოდ კარისკენ გაემართა.

— შეიძლება, ერთი წუთით თქვენი კომპიუტერით ვისარგებლო? — მივაძახე კართან მისულს.

— კი, — მომაძახა და გავიდა.

მის სავარძელში მოვკალათდი და სასწრაფოდ დისკი ჩავდე. თან ინტერნეტის გახსნას შევუდექი, რომ ჩანაწერის — სავარაუდოდ, სურათების გადაწერა შემძლებოდა, მაგრამ ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა. დისკზე ვიდეოჩანაწერი იყო, რომელიც ერთ-ერთი პოლიტიკური ფიგურის მაკომპრომეტირებელ მასალას შეიცავდა. ჩანაწერის გადაწერა დავიწყე და ჩემს მეორე მისამართზე გადავგზავნე. ყველაფერი მოვასწარი, დისკი თავის ადგილზე დავაბრუნე და მშვიდად განვაგრძე ინტერნეტში „ბორიალი“. გული დავიმშვიდე და ღიღინიც კი დავიწყე. კარგა ხანი გავიდა, ვიდრე დათო დაბრუნდებოდა. უკვე იქ ყოფნაც მომბეზრდა და ის იყო, გავიფიქრე, ახლა ავდგები და გავალ-მეთქი, რომ მისაღებიდან მისი ხმა გავიგონე. შემოვიდა თუ არა, სავარძლიდან წამოვდექი და ინტერნეტსაიტი, სადაც ჰოროსკოპს ვკითხულობდი, განგებ გახსნილი დავტოვე.

— ახლა შემიძლია, წავიდე? — ვკითხე და სახეზე დამცინავი ღიმილი „ავიწებე“.

— კი, წადი, — მოკლედ მიპასუხა.

— საინტერესოა, როგორ მოიშორეთ თავიდან? რა უთხარით ისეთი, რომ თავი დაგანებათ? ალბათ ის, რომ თათბირი გაქვთ და თათბირს მნიშვნელოვანი ადამიანი ესწრება, ვთქვათ, მინისტრი ან მისი მოადგილე, არა?

— ჰო, ზუსტად ასე ვუთხარი.

— ახლა მეც დავმშვიდდი, რადგან დავრწმუნდი — წეღან რომ ქალის ალოგიკურობაზე ლაპარაკობდით, ნამდვილად ეკას გულისხმობდით და არა — მე. დროებით. — ვთქვი და დამცინავი ღიმილით დავტოვე მისი კაბინეტი.

ჩემს ოთახში შევედი თუ არა, ტელეფონმა დარეკა.

— ჰოროსკოპით ვინ ხარ? — დათოს ხმა ვიცანი.

— კირჩხიბი, — მოკლედ ვუპასუხე. მივხვდი, ჰოროსკოპს კითხულობდა.

— კარგი, — იმანაც მოკლედ მომიჭრა და ყურმილი დაკიდა.

ახლა როგორ მოვიქცე? ახალი თავსატეხი გამიჩნდა. ეს რა შარს გადავეყარე!.. რა მინდოდა? ვცხოვრობდი ჩემთვის მშვიდად; არავინ მაწუხებდა. რას ავიტეხე ეს სამსახური? ახლა მიდი და გაერკვიე ამ ინტრიგებში, თუ გოგო ხარ. ვფიქრობდი და ვერ გამეგო, ვისთვის შემეჩივლა ჩემი გასაჭირი. ჭკუის დამრიგებელი მჭირდებოდა, მაგრამ ვისთვის გამემხილა ეს საიდუმლო? ისევ საკუთარი თავის იმედად უნდა ვყოფილიყავი. კარგად მესმოდა ისიც, რომ თუ ერთხელ დავთანხმდებოდი ასეთ საქმეზე, მერე მუდმივად მომიწევდა საიდუმლო დავალებების შესრულება. ერთი მხრივ, ინტერესით ვკვდებოდი და მიზიდავდა შემოთავაზებული წინადადება, მაგრამ მეორე მხრივ, ის ადამიანი მეცოდებოდა, ვის წინააღმდეგაც ეს ინტრიგა იხლართებოდა. მით უმეტეს, რომ ამ ადამიანის მიმართ „პოლიტიკური“ სიმპათია მქონდა.

მთელმა სამუშაო დღემ ისე გაიარა, ოთახიდან არ გამოვსულვარ. ხან ნიკა შემოიხედავდა, რაღაცას მკითხავდა, ხან — ალენა და ხანაც — ლაურა. ვცდილობდი, მღელვარება არ დამტყობოდა, მაგრამ ალენას თვალს რამეს გამოაპარებ?

— რა იყო, ქალბატონო ანა, უცნობმა თაყვანისმცემელმა ასეთი საფიქრალი გაგიჩინათ?

— ჰო, ვერაფრით ვხვდები, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო ჩემს კაბინეტში, — გამიხარდა, რომ თავადვე მიკარნახა, რისთვის შეიძლებოდა უგუნებობის გადაბრალება.

— ნიკასთვის არაფერი გიკითხავთ?

— დარწმუნებული ვარ, ნიკას არ ეცოდინება.

— მე კი მგონია, რომ ჩვენი შეფის მოფიქრებული სიურპრიზია.

— მართლა? — გამეცინა. — რას ამბობ?! ეგ არავისთან წამოგცდეს, ისედაც აღრენილია ჩემზე და საბაბიც მიეცემა, რომ გამათავისუფლოს. — შეთქმულივით ჩურჩულზე გადავედი.

— მე კი მგონია, რომ ძალიან მოსწონხართ.

— ამ თემაზე ლაპარაკს მოვრჩეთ! — ხმაში სიბრაზე გავურიე.

— მაპატიეთ, ქალბატონო ანა, თქვენი გაბრაზება არ მინდოდა.

ალენა გავიდა თუ არა, ინტერნეტში დავიწყე ისეთი მასალების ძებნა, სადაც ჯაშუშებსა და მათ ქმედებაზე იყო მოთხრობილი და ერთ საინტერესო საიტს წავაწყდი. დაწვრილებით იყო მოთხრობილი იმის შესახებ, რა მეთოდებს იყენებენ საიდუმლო ინფორმაციის გადასაცემად.

„თუ ინფორმაცია ძალზე მნიშვნელოვანია, მისი ინტერნეტით ან ტელეფონით გადაცემა რისკთანაა დაკავშირებული. ამიტომ, ასეთი ინფორმაცია პირდაპირ, ხელიდან ხელში გადაეცემა და ის ყოველთვის საგანგებოდაა დაცული“. ვკითხულობდი ჩემთვის საინტერესო ინფორმაციას და თანდათან შიში მიძლიერდებოდა.

შინ უხასიათოდ დავბრუნდი. მახომ ჩემი გამოწვევა სცადა და რამდენიმე ისეთი ფრაზა მტყორცნა, რომელზეც ადრე მწვავე რეაქცია მექნებოდა და უკომენტაროდ არ დავტოვებდი, მაგრამ

ამჯერად ხმა არ გავეცი. სალომესთან შევედი და გაკვეთილები ჩავაბარე. მერე ცოტა ვითამაშეთ ინტერნეტში და დასაძინებლად ადრიანად დავწექი. ჯერ ერთი, წინაღამის უძინარი ვიყავი და მეორეც — მთელი დღის განმავლობაში ემოციებმა ისე გადამღალა, რომ დასვენება ჩემთვის მისწრება იყო. მეგონა, ცოტა ხანს კიდევ ვიფიქრებდი ახალ თავსატეხზე, მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ, თავი ძილმა წამართვა და ისეთ ტკბილ ბურანში გავეხვიე, რომ მივნებდი და დილის 7 საათამდე საწოლში გვერდიც არ მიცვლია.

დილით თავს ისე მხნედ ვგრძნობდი, მეგონა, მთას რომ შევეჭიდებოდი, აუცილებლად გადავდგამდი. შესაბამისად, განწყობილებაც კარგი მქონდა და შხაპი სულ ღიღინ-ღიღინით მივიღე. მზიამ ყავა მზად დამახვედრა. ცხელი სითხე მესიამოვნა. სიგარეტს მოვუკიდე და ნება-ნება ვეწეოდი. ამ პროცედურის მთელი სიამოვნება შევიგრძენი. დილით ერთი სიამოვნებაა ყავა და სიგარეტი. შესაძლოა, მთელი დღე ისე გავიდეს, რომ ერთი ღერიც არ მოვწიო, მაგრამ დილით ამ სიამოვნებას ვერ მოვიკლებ. თითქმის ნახევარ საათს გავწელე ყავის სმა. თან გუშინდელ დღეზე ვფიქრობდი და აშკარად ვხვდებოდი, რომ გაცილებით საღად და სხარტად ვაზროვნებდი.

ჯერ სათბურს მივაკითხე და ყვავილების კვლები დავიარე. მოხუცი ძია ლადო, რომელსაც ყვავილების ენა ადამიანებისაზე კარგად ესმოდა, ერთ-ერთ ვარდის ბუჩქთან ჩამუხლულიყო და დაკვირვებით ათვალიერებდა.

— რა იყო, ძია ლადო, ხომ არ უჭირს რამე? — თავზე დავადექი მოხუცს.

— ჰო, ცოტათი მოიწყინა. ეტყობა, ფესვებში რაიმე მავნებელი შეუძვრა. — ჩემი ხმის გაგონებისთანავე წელში გაიმართა.

— მერე, რა უნდა უშველო?

— ამას კი ვუშველი, მაგრამ კვლის ბოლოში რომ ახალგადარგული ვარდებია, იმათ კი ვერაფერი გავუგე. გამებუტნენ და ხმას აღარ მცემენ. არადა, ავად არიან და თავიანთ გასაჭირს არ მეუბნებიან. წამო, ნახე, რა დღეში არიან, — მითხრა და წინ გამიძღვა. — ხედავ? — მიმითითა ფოთლებჩამოყრილ ნერგებზე, ხელი ისე გადაუსვა, თითქოს ეფერებოდა.

— სულ რამდენიმეს უჭირს, დანარჩენები ხომ კარგად არიან?

— ჰო, შვილო, მაგრამ ეს რამდენიმეც უნდა გადავარჩინო. აბა, წარმოიდგინე, აქ, ჩვენთან 20 ადამიანი მაინც ხომ მუშაობს? 2 რომ ავად გახდეს, იმათაც ხომ შველა უნდათ? რადგან ოცნი ვართ, იმ ორს არა უშავს?..

მინდოდა მეთქვა, ისინი ადამიანები არიან, ესენი კი მცენარეები-მეთქი, მაგრამ ვიცოდი, მოხუცს გავანაწყენებდი.

— შენ ხომ ამათი ექიმი ხარ, ძია ლადო, ექიმი კი არა, აკადემიკოსი. ჰოდა, ვიცი, რომ აუცილებლად უშველი. — მხარზე ხელი შევახე ლადოს და გავუღიმე.

— ეჰ, — ხელი ჩაიქნია და უკან მობრუნებულს თან გამომყვა. — შველა შენც გინდა, შვილო, შენც რაღაც გაწუხებს. — ზურგს უკან მისი ხმა მომესმა. გველნაკბენივით შევხტი და შევდექი.

— რას მატყობ საშველს, ძია ლადო? — თვალებში ჩავხედე მოხუცს.

— ნაღველი გაქვს თვალებში ჩამდგარი, ძველებური ხალისი დაკარგული გაქვს და აღარც თვალები გიბრწყინავს.

— ჰო, ალბათ მართალი ხარ, სადარდებელს რა გამოლევს?! — თითქოს თავი ვიმართლე.

— თითოეული ნაბიჯი, რომელსაც ცხოვრების გზაზე ვდგამთ, ჩვენი გადასადგმელია, მაგრამ ვიდრე ერთ ფეხს მეორეს შევუნაცვლებთ, კარგად უნდა დავფიქრდეთ, გავიაზროთ და მყარად უნდა დავდგათ, რომ შემდეგი ნაბიჯი უფრო მყარი იყოს...

უსიტყვოდ მოვბრუნდი და წამოვედი. ისევ „დავიგრუზე“ და განწყობილება გამიფუჭდა. არავის დავმშვიდობებივარ, მანქანა ადგილიდან მოვწყვიტე და გზაზე გამოვედი. მორჩა, გადაწყვეტილება უკვე მიღებული მქონდა. არავითარ ბინძურ, პოლიტიკურ თამაშში არ ჩავებმებოდი.

სამსახურში მისულმა, ჩემს ოთახში ჩანთა დავაგდე და დათოს კაბინეტს მივაშურე.

დაუკაკუნებლად შევედი. თავის მაგიდასთან იჯდა და რაღაცას წერდა.

— გამარჯობა.

— აა, მოხვედი? ისეთი სახე გაქვს, თითქოს აქ მე კი არა, საშინელებათა ფილმის პერსონაჟი დაგხვდა.

— დათო, პარიზში წასვლის არავითარი სურვილი არ მაქვს და ალბათ აჯობებს, ეს საქმე სხვას დაავალო, — მტკიცე ხმით ვთქვი, რითიც ჩემი გადაწყვეტილების სიმყარეს გავუსვი ხაზი.

— დარწმუნებული ხარ? — კაციჭამიას მზერა გაუხდა.

— დიახ.

— ანა, მე გითხარი, უარს არ მივიღებ-მეთქი. ეს გადაწყვეტილია, შენ უნდა გაემგზავრო.

— არა, არ გავემგზავრები! ეს უკვე მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი და თუ ამ საკითხის გამო კიდევ შემაწუხებ, მამუკას ყველაფერს მოვუყვები, პრესასა და ტელევიზიას მოვიწვევ და საჯაროდ ინტერვიუებს დავარიგებ. — დავემუქრე, როგორც შემეძლო და შემდეგ კარისკენ გავემართე.

— კარგი, მაგრამ იცოდე, ინანებ, — მომესმა ზურგს უკან, მაგრამ აღარ შევბრუნებულვარ. — ჰმ, — მხოლოდ ეს ვთქვი, მხრები ავიჩეჩე და საკუთარ კაბინეტს დავუბრუნდი.

საღამო ხანს ჩემმა რძალმა, ნინომ დამირეკა. ხმაზე მღელვარება ეტყობოდა. გული ყელში ჰქონდა მიბჯენილი და ლამის ხმამაღლა აბღავლებულიყო.

— რა იყო, ნინო, რა მოხდა? — ჩავძახე ყურმილს.

— ანა, სასწრაფოდ სათბურში მოდი, — მითხრა და ტელეფონი გათიშა.

გულმა რეჩხი მიყო. რაღაცნაირად, შინაგანად ვიგრძენი, რომ ეს ზარი, ჩემსა და დათოს შორის შემდგარ, დილანდელ საუბართან მჭიდრო კავშირში იყო.

*გაგრძელება შემდეგ ნომერში.*

# გლდანის ციხეში გარდაცვლილი პატიმრის სული დაძრწის

**კარგა ხანია, რაც ამბობენ, რომ გლდანში აშენებულ ახალ ციხეში მოჩვენება დადის. მას შემდეგ, რაც ამის შესახებ ერთმა მკითხველმა მომწერა, ვცდილობდი, ციხის რომელიმე თანამშრომელთან კონტაქტი დამემყარებინა და საინტერესო კითხვებზე პასუხი მიმეღო, მაგრამ კომენტარზეც კი უარი მივიღე; არაფერს ვამბობ ინტერვიუზე. ახლახან კი შემთხვევით აღმოვაჩინე, რომ ჩემი მეგობრის მაზლი იქ მუშაობს. ჰოდა, მათთან სტუმრად მისულმა რამდენიმე შეკითხვა დავუსვი, ისე, როგორც ჩვეულებრივმა, დაინტერესებულმა ადამიანმა და არა — როგორც ჟურნალისტმა. ვფიქრობ, პასუხები გულახდილი იქნება, რადგან ჩვენს საუბარში დიქტოფონი არ „მონაწილეობდა“ და რესპონდენტს ეჭვი არ შეჰპარვია, რომ ინტერვიუს ვიღებდი.**



მარი ჯაფარიძე

**— მართალია, რომ გლდანის ციხეში მოჩვენება დადის?**

— კი, მართალია. ამაზე მთელი საქართველო ლაპარაკობს, რადგან ჩვენთან პატიმრები ყველა კუთხიდან მოჰყავთ, ისინი თავიანთ ახლობლებს უამბობენ და ინფორმაცია ასე გავრცელდა.

**— პირველად როდის შენიშნეთ?**

— როდის გამოჩნდა პირველად, არ მახსოვს, მაგრამ კარგად მახსოვს ის ფაქტი, რომ ერთ ღამეს, მორიგეობისას, საკნიდან საშინელი ყვირილი შემომესმა. იქით გავიქეცი, საიდანაც ხმა მოისმოდა. ვიფიქრე, პატიმრები დაერივნენ ერთმანეთს და სანამ ცუდი შედეგი მოჰყოლია, გავაშველებ-მეთქი. ხმა იმ საკნიდან ისმოდა, სადაც პატიმარი მარტო იყო. შევიხედე საკანში და რას ვხედავ? პატიმარი საწოლზე იწვა, თავისივე თითები კისერზე ჰქონდა შემოჭდობილი და ტანით ისეთ მოძრაობებს აკეთებდა, გეგონებოდა, ვიღაცას ებრძოდა. კარი გავაღე და საშველად მივვარდი. მეგონა, ეძინა და ძილში კოშმარი ესიზმრებოდა, მაგრამ თვალები გახელილი ჰქონდა და ისე მიყურებდა, მზერით შველას მთხოვდა. ვეცი და თითები გავახსნევინე. მიძალიანდებოდა, მაგრამ როგორც იქნა, დავიმორჩილე. ცოტა ხანში დამშვიდდა, სახეზე ფერი დაუბრუნდა და წამოჯდა კიდეც. რა დაგემართა-მეთქი? — ვკითხე. მიამბო, რომ ეძინა, თითქოს ვიღაცამ ხელი ჰკრა, და გამოაღვიძა. კედელზე რაღაც ჩრდილიც დავინახეო, ამბობდა, მაგრამ არ დავუჯერე. ის პატიმარი ნარკოტიკის გამო იყო დაკავებული და ვიფიქრე, რომ „ლომკა“ ჰქონდა და ყველაფერი ამის ბრალი იყო, მაგრამ მერე მითხრეს, რომ თურმე ყოველღამე ასე ემართებოდა.

**— მარტო იმ პატიმარს ერჩოდა?**

— თავიდან კი, მაგრამ მერე თანამშრომლებსა და სხვა პატიმრებსაც გადასწვდა. როგორც მითხრეს, მისი ჩრდილი საკნებსა და დერეფნებში განთავსებულმა კამერებმაც დააფიქსირა, მაგრამ მე ეს ჩანაწერი არ მინახავს.

**— მარტო ნარკომანებს ხომ არ ერჩოდა?**

— არა, ის ერჩოდა იმ პატიმრებს, რომლებიც საკანში მარტო იყვნენ და იმ თანამშრომლებს, რომლებსაც ოთახში მარტო ყოფნა უწევდათ.

**— პატიმრებში პანიკა ხომ არ დაიწყო ამის გამო?**

— კი, ისინი მოითხოვდნენ, რომ ადმინისტრაციას მოძღვარი მოეყვანა და ციხე გვეკურთხებინა.

**— შეუსრულეთ სურვილი?**

— რამდენადაც ვიცი — არა.

**— პირადად შენთვის ხომ არაფერი დაუშავებია?**

— ჩემს ოთახში ლამის ხანძარი გააჩინა. კიდევ კარგი, რომ დროზე მივუსწარი.

**— ცეცხლი დაანთო?**

— არა, საფერფლეზე ანთებული სიგარეტი დავდე და გარეთ



გავედი. რომ დავბრუნდი, სიგარეტი ველარ ვიპოვე. ვიფიქრე, რომ რომელიმე თანამშრომელი შემოვიდა და აიღო, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ კარადიდან, სადაც ძველ გაზეთებსა და სხვა ქაღალდებს ვინახავთ, კვამლი გამოვიდა. ვნახე და ჩემი სიგარეტი არ იყო შიგ?

**— იქნებ, სხვამ შეაგდო?**

— რას ამბობ? რომელი ჭკუათამყოფელი ადამიანი იზამდა მაგას?

**— აგრესიული ყოფილა ეგ თქვენი მოჩვენება.**

— კი, ძალიან აგრესიულია.

**— რას ამბობენ მაინც, საიდან მოვიდაო?**

— ხომ იცი, ჩვენთან ათასი ჯურის ადამიანი იყრის თავს. ერთი პატიმარია, რომელიც ამბობს, რომ ამ საკითხებში კარგად ერკვევა და მან თქვა, რომ ეს ის პატიმარია, რომელიც ამ ციხის კედლებში მოკვდაო.

**— ასეთი შემთხვევა გახსოვთ?**

— პირადად მე — არა. ისე, თქვეს, რომ ციხის გახსნის შემდეგ მალევე მომკვდარა ერთი ახალგაზრდა მამაკაცი.

**— თუ მოჩვენებას ხედავთ, ვერ ამსგავსებთ იმ პატიმარს?**

— ვერა. არავინ იცის, ვინ იყო ის კაცი და რატომ მოკვდა.

**— ნივთები ხომ არ იკარგება?**

— ზოგიერთი პატიმარი ჩივის, რომ რაღაც დაკარგა. ახლა, სხვა პატიმრის მოპარულიც რომ იყოს, მაინც იმას დაჰბრალდება.

**— ხომ არ შეგინიშნავთ, რომ რაიმის მიმართ განსაკუთრებული შიში აქვს? მაგალითად, ამბობენ, რომ მოჩვენებებს ნივრის, ხატის, პირჯვრის ეშინიათო.**

— არა, მგავსი რამ არავის უთქვამს. თუ რამდენიმე დღის განმავლობაში არ გამოჩნდება, ყველა შვებით ამოისუნთქავს იმ იმედით, რომ სამუდამოდ წავიდა, მაგრამ მერე ისევ შეგვახსენებს ხოლმე თავს.

**აი, რა მოვისმინე თვითმხილველისგან. მართლაც, საინტერესოა, არსებობენ თუ არა მოჩვენებები და საიდან ჩნდებიან ისინი. მათ შესახებ კომენტარის გაკეთება ჩვენს მეგობარს, გრაფ თარხანს ვთხოვე.**

# როგორ იქცევიან მოჩვენებები



**ცნება „მოჩვენება“ მთელ რიგ მოვლენებს აერთიანებს, რომელთაც სხვადასხვაგვარი წარმოშობა აქვთ. ამ ტერმინს შემდეგი ფენომენის დანახვის დროს იყენებენ: არახორციელი ადამიანის გამჭვირვალე გამოსახულება, რომელიც შესაძლოა, დაფრინავდეს კიდეც; კედელში გადიოდეს; მოულოდნელად ჩნდებოდეს და ქრებოდეს; არ არის აუცილებელი, რომ მოჩვენებას ადამიანის ფორმა ჰქონდეს. სავსებით შესაძლებელია, მას რომელიმე ცხოველის ან საგნის გამოსახულება ჰქონდეს. მაგალითად, ცნობილია მრავალსართულიანი შენობა, რომელიც ამერიკის ერთ-ერთ დიდ ქალაქში, დროდადრო ჩნდება. მოჩვენებები ხშირად ჩნდებიან ფოტოსურათზე, ფირის გამჟღავნების შემდეგ. ამ დროს შესაძლოა, გამოისახოს ადამიანის სახე, გაუგებარი ჩრდილი, მანათობელი ღრუბელი და ა.შ. მოჩვენების არსებობას ადასტურებს ის ხმები, რომელიც მის გამოჩენას თან სდევს. თვითმხილველები ხშირად ამბობენ, რომ მოჩვენების გამოჩენისას ჰაერის ტემპერატურა მკვეთრად იცვლება და გოგირდის ან გახრწნილი გვამის სუნიც დგება. ამ დროს შინაურ ცხოველებს მოუსვენრობა იპყრობთ და ელექტროხელსაწყოები მწყობრიდან გამოდის.**

გრაფი თარხანი

ყოფილა შემთხვევა, როდესაც ადამიანს ერთი და იგივე მოჩვენება სხვადასხვა ქვეყანაში ყოფნისას მოსჩვენებია. თუმცა, ისეთი შემთხვევაც მრავლადაა, როდესაც მოჩვენება ერთ ადგილზეა მიჯაჭვული და მხოლოდ იმ კონკრეტულ ტერიტორიაზე ჩნდება.

შესაძლოა, მოჩვენება მთელი წლის განმავლობაში ვერავინ ნახოს და მისი გამოჩენა წელიწადში ერთხელ, კონკრეტულ თარიღს ემთხვეოდეს.

მოჩვენება, რომელიც ადამიანს ჰგავს, თვითმხილველთან ხშირად შედის კონტაქტში; ხანდახან კი წინასწარმეტყველებს კიდეც. ხშირია შემთხვევა, როდესაც მოჩვენება კვალსაც კი ტოვებს — ნაფეხურების, წარწერების ან ნახატების სახით. ყოფილა შემთხვევა, როდესაც მოჩვენებას ადამიანის მიმართ აგრესია გამოუხატავს, თავს დასხმია და ფიზიკური ზიანი მიუყენებია. მოჩვენებებზე უამრავი ფოტო, ვიდეო და კინომასალა არსებობს. ამ მოვლენას პარაფსიქოლოგები შეისწავლიან, რომელთა მეთოდებიც მეცნიერულისგან საკმაოდ შორს დგას და რის გამოც, ხშირ შემთხვევაში, მათი კვლევის შედეგები ეჭვქვეშ დგება.

მეცნიერები ზებუნებრივი ძალების არსებობას უარყოფენ; მათ შორის — მოჩვენებების არსებობასაც და კონკრეტულ შემთხვევებს განსაკუთრებულ ახსნას უძებნიან. კერძოდ, ამბობენ, რომ ეს შესაძლოა, ჰალუცინაციებით, ალკოჰოლის ზემოქმედებით ან ავადმყოფური წარმოსახვით იყოს გამოწვეული.

ილუზიის ცალკე შემთხვევად უნდა განვიხილოთ მირაჟი, რომელიც ბუნებრივი მოვლენებითაა განპირობებული. რაც შეეხება ვიდეო ან ფოტოფირზე აღბეჭდილ მოჩვენებებს, მეცნიერები ამას ფირზე სინათლის განსაკუთრებული კუთხით დაცემით ხსნიან.

უძველესი დროიდან მოჩვენებას გარდაცვლილი ადამიანის სულად მიიჩნევდნენ, რომელმაც იმ ქვეყნად სიმშვიდე ვერ პოვა და დაუმთავრებელი საქმეების მოსაგვარებლად ან ცოდვების მოსანანიებლად დედამიწაზე დაბრუნდა.

გავრცელებული აზრის მიხედვით, ყველაზე ხშირად დაუმარხავი მიცვალებულის სული ბრუნდება დედამიწაზე, რათა ახლობლებს თავისი გვამის ადგილსამყოფელი მიანიშნოს და წესის აგებისა და დამარხვის შემდეგ, სიმშვიდე მოიპოვოს.

ცნობილია, რომ ექსტრემალურ სიტუაციაში მოხვედრისას, ადამიანი ტელეპათიურ სიგნალს უშვებს; აღნიშნულ სიგნალს თვითმხილველი მხედველობით აღიქვამს და მეცნიერთა აზრით, სწორედ ამის გამო ხვდება მოჩვენება ფოტოფირზე.

მართლმადიდებლურ სარწმუნოებაში მოჩვენებები ეშმაკისეულ ძალებთან ასოცირდება და მიიჩნევენ, რომ მოჩვენება თვითმხილველს მკვლელობისკენ უბიძგებს ან თვითმკვლელობას აიძულებს.

ძველებური გადმოცემის თანახმად, მოჩვენებები უძველეს კოშკებში ბინადრობენ. რაც უფრო ძველია კოშკი, მით უფრო ხშირად ჩნდება მოჩვენება და მასპინძელთა ყურადღების მიპყრობას ცდილობს. თუ ეს ვერ მოახერხა, გარკვეული ხნის შემდეგ, ის უკვალოდ ქრება.

მოჩვენებას ხშირად იყენებენ მედიუმები. მათი თქმით, ისინი იმქვეყნიურ სამყაროსთან კონტაქტის დამყარებაში ეხმარებიან.

რამდენიმე წლის წინ გავცელებული ინფორმაციით, ლონდონის მეტროში მოჩვენებები დაძრწოდნენ. არსებობს ამის დამადასტურებელი მტკიცებულებები: ერთ-ერთის მიხედვით, 1758 წელს მოკლული ენ ნეილორი, ღამღამობით სადგურ არინგდონს სტუმრობს ხოლმე. ათასობით ადამიანი ირწმუნება, რომ მისი ყვირილის ხმა მკაფიოდ გაიგონეს.

პარაფსიქოლოგიურ ლიტერატურაში ლედი ჰარისის ამბავია აღწერილი. მას მოხუცი, წვერიანი მოჩვენება სტუმრობდა ხოლმე და საძინებელში რაღაცის მოძებნას ცდილობდა. როგორც დიასახლისმა შეიტყო, მისი ბინის ყოფილი მფლობელი გრძელწვერა მამაკაცი ყოფილა, რომელიც ღამით წვერს თმის სამაგრი რეზინით იკრავდა. ლედი ჰარისმა სახლში მსგავსი რეზინი იპოვა და საძინებელში, საწოლზე დადო. მეორე დღეს რეზინი გაქრა და მასთან ერთად — მოჩვენებაც.

პროფესორი ოგასტეს ჰეირი თავის წიგნში — „ჩემი ცხოვრების ამბავი" — ერთი ირლანდიელი ქალბატონის, მისის ბატლერის შემთხვევას აღწერს. ქალბატონი ყოველღამე სიზმარში ერთსა და იმავე სახლს ნახულობდა, რომელსაც მოგვიანებით სხვა ქალაქში გადააწყდა. მან სახლში შესვლა ითხოვა, მაგრამ შესვლამდე ყველაფერი დეტალურად აღწერა. მისის ბატლერმა ყველა კარის ადგილმდებარეობა იცოდა, გარდა ერთისა, რომელიც რამდენიმე თვის წინ ჩაეშენებინათ. სახლი იაფად იყიდებოდა. პატრონი გამოტყდა, რომ დაბალი ფასი



ცნობილია მრავალსართულიანი შენობა, რომელიც ამერიკის ერთ-ერთ დიდ ქალაქში, დროდადრო ჩნდება

იმ მოჩვენების დამსახურება იყო, რომელიც რამდენიმე წლის წინ აქ გამოჩნდა. დიასახლისმა მისის ბატლერში სწორედ ის მოჩვენება ამოიცნო...

ლონდონის ერთ-ერთ მუზეუმში, 10 წლის განმავლობაში, ყოველდღე, საღამოს 6 საათის შემდეგ შეიძლებოდა გენახათ კუთხეში მიმჯდარი მოხუცი. ყველამ იცოდა, რომ ეს ადგილობრივი ელექტროსადგურის ინკასატორის აჩრდილი იყო, რომელიც 1962 წელს გარდაიცვალა. თავიდან ყველას ეშინოდა, შემდეგ კი მიეჩვივნენ და აღარ უფრთხოდნენ. ერთხელ მუზეუმის დირექტორმა მისი გამასპინძლება გადაწყვიტა და ჭიქით სასმელი დაუდგა. მოხუცმა ჩაიცინა და გაქრა და 1 კვირის განმავლობაში აღარ გამოჩენილა.





# მობილი-ზაცია

**იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტო-ვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზა-ვნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსუ-ლი მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზა-ვნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხო-ლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესი-ჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.**

## ქალები



1. ვარ 25/174/58, თბილისელი, ლამაზი გოგო. მსურს გავიცნო თბილისელი, კარგი ტიპი. ეკატერინე.

2. მშვენიერი გარეგნობისა და კარგი აღნაგობის, 39 წლის ქალბატონი ოჯახის შექმნის მიზნით გაიცნობდა თბილისელ, სიმპათიურ, დასაქმებულ, განათლებულ, 47 წლამდე ასაკის მამაკაცს.

3. მყავს 43 წლის, მომხიბვლელი მეგობარი. გაუთხოვარი. დაუმესიჯოს ოჯახის შექმნის მსურველმა, 47 წლამდე ასაკის, თბილისელმა მამაკაცმა, რომელიც უზრუნველყოფილია ბინით და სამსახურით.

4. ვარ 23 წლის, შავგრემანი გოგო. ბუნებით თბილი და ყურადღებიანი. გავიცნობ ოჯახის შექმნის მიზნით 22-28 წლის სერიოზულ, დასაქმებულ და სიმპათიურ ბიჭს.

5. გამარჯობა, მე თამთა ვარ, 35 წლის, ინვალიდი. ალბათ გაგეცინებათ, მაგრამ ძალიან დამღალა მარტოობამ. მინდა, sms-მეგობარი მყავდეს. თუ ვინმე ჩემს ტკივილს გაიგებს, დამიმესიჯოს.

6. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისელ, დასაქმებულ მამაკაცს. ვარ 28/176/83.

7. ვარ 25/173/58, ლამაზი, თბილისელი გოგო. გავიცნობ თბილისელ, კარგ ბიჭს. ეკატერინე.

8. გავიცნობდი 42-47 წლის, მატერიალურად უზრუნველყოფილ, ამჟამად უცოლო, ერთგულ მამაკაცს. ვარ განათხოვარი, განათლებული, თბილი, ერთგული, კარგი გარეგნობის ქალი.

9. პრივეტ, მარი, ძვირფასო, იმედი მაქვს, ჩემს ნომერს გადასცემ №34-ს, გმადლობთ. ლიზი.

10. გავიცნობ 40 წლამდე ასაკის მამაკაცს, მეგობრობის მიზნით, ვისაც სწამს ღირსეული მანდილოსნის. თბილ და ლამაზ წუთებს გპირდებით. ვარ 35 წლის, გაუთხოვარი.

11. გულით მინდა შეწირულის გაცნობა. გთხოვ, „ქალებში“ ჩამწერე და თუ ენდომება ჩემი გაცნობა, დამიკავშირდება. მომენატრა მისი მესიჯები. ქეთი.

12. არავისაც არ ვეძებ. უბრალოდ, გამომეხმაუროს ადამიანი, ვინც სერიოზული, დასაქმებულია და ვინც შეძლებს ჩემში ყინული გაალღოს. ერთისთვის ერთი არსებობს მხოლოდ, იმ ერთის პოვნის თუ გახდი ღირსი... იმედი არასდროს დამიკარგავს. გამომეხმაუროს სერიოზული, დასაქმებული, თბილი მამაკაცი.

13. სერიოზული ურთიერთობისთვის მინდა გავიცნო 25 წლამდე ასაკის, სერიოზული ბიჭი. ვარ 19 წლის, ქერა, ცისფერთვალება.

14. გთხოვთ მომცეთ „გზა“ №17, 47-ე გზავნილის ავტორის ნომერი.

15. ოჯახის შექმნის მიზნით გამომეხმაუროს 32 წლამდე ასაკის, სერიოზული მამაკაცი, რომელსაც შეუძლია ერთგულება და სიყვარული. ვარ 28 წლის, მომხიბვლელი, პატიოსანი, ოჯახის გოგო.

16. მყავს საკმაოდ ლამაზი, განათლებული, სუფთა წარსულის მქონე დაქალი, რომელიც წუნიობის გამო გასათხოვარი დარჩა. ოჯახის შექმნის მიზნით გამოეხმაუროს სიმპათიური, განათლებული, მატერიალურად შეძლებული, 47 წლამდე ასაკის მამაკაცი. ნომერს მე მოგცემთ. კახეთი.

17. ვეხმაურები „გზა“ №19-ში დაბეჭდილ 29-ე ნომრის ავტორს. გთხოვთ, დამაკავშიროთ. ნინო.

18. ვარ 35 წლის, სასიამოვნო გარეგნობის, სიმპათიური, სუფთა წარსულის მქონე მანდილოსანი. მყავს ორი შვილი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობდი სერიოზულ მამაკაცს.

19. ვარ 28 წლის გოგონა. კონტაქტური და სასურველი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ცხოვრების აზრზე მყოფ მამაკაცს.

## მამაკაცები



20. ფარული, ინტიმური შეხვედრისთვის გავიცნობ თბილისელ, კოხტა მანდილოსანს. ვარ 44 წლის.

21. ვარ 42 წლის, დასაქმებული მამაკაცი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისელ ქალბატონს.

22. მარი, გთხოვ, დამაკავშირო „გზა“ №18, მე-10 მესიჯის ვტორს. ძალიან გთხოვ.

23. გთხოვთ დამაკავშიროთ „გზა“ №18, მე-5 მესიჯის ავტორთან.

24. ვარ მანქანიანი, დასაქმებული, 30 წლის, თბილისელი, თბილი ბიჭი. ანონიმური, საიდუმლო, ფარული სექსშეხვედრისათვის გავიცნობ გოგოს. გთხოვთ, დამიმესიჯოთ.

25. ვარ 36/183/80, თბილისელი მამაკაცი. გავიცნობ არამსუქან ქალბატონს, ფარული შეხვედრებისთვის. ბესო.

26. გავიცნობ 21-25 წლის, განათხოვარ, თბილისელ გოგოს. ვარ ცოლს გაცილებული, რაიონიდან. არ ვარ მდიდარი. ველოდები თქვენს გამოხმაურებას. ლევანი.

27. გავიცნობ ფარული შეხვედრებისთვის თბილისელ, 40 წლამდე ასაკის ქალბატონს, ვისაც გსურთ დაუვიწყარი, ვნებით სავსე დღეები ვაჩუქოთ ერთმანეთს. მაქვს მანქანა და ბინაც. დათო, 27 წლის.

28. ვარ რაიონიდან, მაქვს მანქანა და კარგი სამსახური, თბილისში. გავიცნობ 42 წლამდე ასაკის, ბინით

უზრუნველყოფილ ქალბატონს, სერიოზული ურთიერთობისთვის. დამიმესიჯეთ. ნიკუშა, 28 წლის.

29. ვარ 36 წლის, თბილისელი მამაკაცი, მატერიალურად უზრუნველყოფილი სამეგობროდ გავიცნობ 30-40 წლის ქალბატონს. ანონიმურობა დაცული იქნება.



30. პრივეტ. თქვენი ჟურნალის ერთგული მკითხველი ვარ. ყველანი ძალიან მიყვარხართ. მინდა გავიცნო პატიოსანი, ერთგული პიროვნება. ვარ 18 წლის. ნუთუ დავიჯერო, აღარ გენატრები, აღარც მირეკავ და აღარც გახსენდები? ნუთუ მესიჯისთვის აღარ გემეტები, შენს თავს გეფიცები, მაგრად მენატრები.

31. ვარ 45 წლის, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისელ მარტოხელას.

## ვეძებ



32. ვეძებ მშობლებს. გამაშვილეს 16 წლის წინ, ვანის რაიონის, სოფელ ტობანიერში, გეგიძეების ოჯახში. სამწუხაროდ, მათი სახელი და გვარი არ ვიცი. იქნებ გამოაქვეყნოთ ეს მესიჯი და თუ ვინმე ამომიცნობს, შემეხმიანოს. ლექსო გეგიძე.

33. მარი, იქნებ დამეხმარო და დამაკავშირო (მაპოვნინო) მამუკა ბალახაძე (სახმელეთო ჯარების უფროსი). უსაზღვროდ მომწონს. წინასწარ გიხდი მადლობას. პატივისცემით, 6.

34. ვეძებ თბილისში მცხოვრებ მალხაზ თენგიზის ძე გაფრინდაშვილს. ჰყავს დედა და და. დედა ექიმია, თუ არ ვცდები — პედიატრი. წარმოშობით — საჩხერიდან.

35. ვეძებ ნატუკა მიზანდარს. ძალიან, ძალიან მენატრება. შემეხმიანოს. გოგა.

36. „გზა" №19-ში გამოქვეყნებულ, „ვეძებ" რუბრიკაში №43-ს. მაქვს ინფორმაცია. მაინტერესებს, როგორ დავუკავშირდე ავტორს.

37. ვეძებ ლარისა აკოფის ასულ ვარსემაშვილს. თუ ვინმემ იცის მის შესახებ, გთხოვთ გამოეხმაუროთ.

38. გიორგი დვალიშვილი. გთხოვთ დამაკავშიროთ 19-43 მესიჯის ავტორს, რომელიც მეძებს.

## სხვადასხვა



• ათენელო კობრა, „გზავნილებს" რომ კითხულობ, იქ შენამდე კობრა რომ არსებობდა, არ იცი? 3 წელია, ამ ნიკით ვბლატაობ და შენ გინდა, ამახიო? კარგად დაფიქრდი, მე მგონი არ ღირს, ჩემს შხამს გეფიცები. კობრა.

• 8 წელია, გერმანიაში ვცხოვრობ და ამ წლების განმავლობაში პირველად ახლა, 2 კვირის წინ ჩამოვედი. ოთხშაბათს ისევ მივდივარ. თითქოს ყველაფერი რიგზეა, მაგრამ... scarlet-მა ვერმახტი გამაცნო. მინდოდა მეკაიფა, მაგრამ სულ რაღაც 2 საათში შემიყვარდა. მის გარეშე სიცოცხლე არ შემიძლია. ჩემთვის მისი 1 მესიჯიც კი ბევრს ნიშნავს. ვგრძნობ, არც ისაა გულგრილი, მაგრამ ჩვენ ერთად ვერ ვიქნებით. როკო, მე წავალ და ვეღარასოდეს გაიგებ ჩემზე ვერაფერს. არ მინდა, დავიტანჯოთ. ამას პირისპირ ვერ გეტყოდი. არ მინდა, გული გატკინო. უშენოდ მომიწევს ცხოვრების გატარება, მაგრამ არ დაგივიწყებ, არასოდეს. იცი, მანდ ვიყავი და შორიდან გიცქერდი, ახლოს კი აღარ მოვედი, რადგან მერე განშორება გამიჭირდებოდა. ლამაზ მომავალს გისურვებ, მალე გეპოვოს სიყვარული, ჩემო სიცოცხლევ. მე კი შენი მფარველი ვიქნები, თვალს გადევნებ და თუ დაგჭირდები, დაგეხმარები, მაგრამ აღარასოდეს მოგწერ.

• მართალია, მესიჯებს არ მიბეჭდავ, მაგრამ მაინც მაგარი ხარ, თუნდაც იმიტომ, რომ ამდენ ხალხს უყვარხარ. ახლა იცი, სად ვარ? სოფელში ვარ და ბლის კენწეროზე ვარ მოქცეული. აუ, რა მაგარია, იცი? მთელ სოფელს გადავყურებ და წითელი ბლით ვიკოკლოზინებ პირს. ყველას გეპატიჟებით, მოხვალთ? მაფიოზა.

• ათენელ მგზავნელებს პრივეტები! რავა ხართ, ჩემო ლამაზებო? თქვენ გენაცვალათ გუ-ათენი. აუ, უკარება, მოგვეკარე რააა... მარ, ევხარისტო პარაბოლი! გუ-ათენი.

• ამ მესიჯით მოვიკითხავ საქართველოში, ახალგაცნობილ მეგობრებს, უსაყვარლეს მანდილოსნებს: ლიმონა-მანიუს, ჩორიჩორს და green girls. ასევე საქართველოში, ყველა მგზავნელს. იმედია, გაგვეცნობით. გკოცნით. გუ-ათენი.

• მადლობა მარი, მართლა ჯიგარი ყოფილხარ. ახლა გეტყვი, ვინ ვარ — ათენი-23 ის დედა. მოკითხვა პირადად შენ და ყველა ქართველს.

• მარი, მადლობა, შენ და „გზა" რომ არსებობთ. მართლაც ბევრი მგზავნელი გყავთ. ვარდენა გავიცანი. საქართველოვ, მალე დაიბრუნე შენი შვილები. ათენი-50.

• რა არ ხდება, კაცოოო! :-) დედაჩემს ისე მოეწონა მგზავნელობა, რომ მე მომასწრო ყველა მესიჯის წაკითხვა. :-) ახლა კი „გზას" ვერ ვიყოფთ. ამიერიდან ორი „გზა" უნდა ვიყიდოოო. :-) ათენი-23.

• ცხოვრებაში სიყვარულმა გული მატკინა და ცუდად ვარ. თან ამხელა გულისტკივილისთვის იმ ადამიანმა გამიმეტა, ვისგანაც არ ველოდი. ალექსანდრა.

• მეგრელო კანიბალკავ, ფინტიკოზავ, მონასტრის ბიჭო, ლუციფერ, სად დაიკარგეთ? იკითხავთ ალბათ, ვინ მოგვიკითხაო. თქვენ მე არ გემახსოვრებით, ხანდახან ვმესიჯებ ხოლმე, მაგრამ შორიდან ყოველთვის გადევნებთ თვალს. ჩემი ნაბუჟუტურევის კითხვას, თქვენი საინტერესო ამბების წაკითხვა მირჩევნია. გამოჩნდით და ნუ დაიკარგებით.

• ხარებას, ხარების ეკლესიასთან მინდოდა მისვლა, მაგრამ მომერიდა. რომ ეთქვათ — ვინ ხარ, საიდან მოდიხარო? თან ამხელა, გაბერილი მუცლით რომ მნახავდნენ, რას იტყოდნენ?

• მეუღლეს არ ეცალა, რომ გამომყოლოდა. მარ, ნუთუ უკვე გვყავს მეორე გზავნილ-შვილი? მე 2 თვეში ველოდები პატარას და იმედია, ჩემი შვილიც იქნება ელისოს გიოსნაირი გზავნილ-შვილი. ყველანი ძალიან მიყვარხართ. ფახუცანა, ქუთაისიდან.

• როგორ ხართ, ხალხო? დღეს კვირაა და იმედი მქონდა, რომ მე და ვარდენა გავიპარებოდით, მაგრამ ვარდენა არ წამოვიდა. ვარდენ, მაგარი ადამიანი ხარ. კობრა.

• მარ, წინა კვირაში ჩემმა უსამართლო საყვედურებმა ეტყობა გაგაბრაზა და მიმბლოკე, მაგრამ მე ბოდიში რომ მოგიხადე? თუმცა, ველარ გავითვალისწინე, რომ შენი გული უსამართლობას ვერ აიტანდა. ალბათ იფიქრე, შენი ბოდიში შუბლზე აიკარიო და განაჩენიც გამომიტანე. დღეს „გზას" ვეძებდი. ერთმა გამყიდველმა მითხრა — გამოილია, მაგრამ ნეტავ რა ნახეთ ამ „გზაში" ასეთი, რომ გიჟებივით დასდევთო? ჰმ, ვირმა რა იცის, ხურმა რა ხილია? ბევრი ვიარე და მის ჯიბრზე მაინც ვიყიდე, მაგრამ დავრჩი მწარედ გალიმებული. სადაა ჩემი მესიჯები? არა, შენი მჯერა, ვიცი, დაბეჭდავდი, უბრალოდ, შორმა გზამ დაღალა და შემდეგ კვირას ჩამოვა ათენში.

მარ, ჩემი გაცნობა უნდოდა ashley pcd-ს და როგორ გავიცნო? უყურადღებობაში არ ჩამითვალოს, რომ არ ვუპასუხე. გკოცნით, ძალიან მიყვარხართ. სო-ნი.

• აი, ჩაიარა კვირამაც. ვნახე ბავშვები. ნელ-ნელა ერთმანეთს ვიცნობთ და ვიგებთ ერთმანეთის პლუს-მინუსებსაც. „გზავნილები“ სამოთხეა, მაგრამ რეალური ცხოვრება ნამდვილად არ არის ასე. ყველამ იცოდეს, რომ თითოეულ მათგანს თავისი ადგილი აქვს ჩემს გულში. ყველას მოვიკითხავ, ვინც მიცნობს. ვარდენა.

• პატარა, შავტუხა ბაიები მიყვარს, ჰოოდა, ელთი ბეწო მინდა ჩემი შვილიკო იყოს. გამეცანი, ელთი ბეწო. გქეწები. კახელო-616.

• მოვიკითხავ ლიმონას, ჩორის, green girls, მამაც თოჯინას. ლუნას, კიკოს, მაესტროს, ლელოს, ყველას, ვინც გამომრჩა, sorry. მიყვარხართ. ბოტოტა.

• ათენელ მგზავნილებს მოკითხვა — ვარდენას, კობრას, გუათენს, 13.07-ს, კოხის, ათენი-23-ს, უკარებას, ბარბის, ანარქიას, ტატუსიას და ყველა ემიგრანტს. გაკოცეთ, ჩემო სიხარულებო. ბოტოტა.

• გაკოცეთ ყველას. მარ, გამახარე, ჩემი sms-ები რომ ვიპოვე. უჰ, რა კარგი იყო?! ამოვისუნთქე. green girl, საკალელი რათა ხარო? გატოცე და მიკალქალო. უკარება.

• დედიკო და მამიკო, მაგრად, მაგრად მენატრებით. უთქვენოდ ცუდად ვარ. ძაან მაკლია თქვენი ალერსი. გაკოცეთ და იმედი მაქვს, მალე ჩაგეხუტებით. ღმერთი გფარავდეთ. უკარება ანი.

• ძაან მაგრად მიყვარს მზარეულობა, მაგრამ გუშინ მივხვდი, რომ თურმე არც ისე კარგად მცოდნია. კვირა დილით სამსახურიდან ჩემს ძმასთან გავრბივარ, რომ თბილი საჭმელი გავუკეთო. ჰოდა, გუშინ საცივი მოვამზადე, მაგრამ ნიგოზი დამავიწყდა. უჰ, ამის მერე მახელებენ — შენ მალე საცივს უქათმოდაც გააკეთებო. არადა, რა ჩემი ბრალია, არა? გაკოცეთ. უკარება.

• უჰ, აპოლონ, შენ გაიხარე, ასე რომ ფიქრობ და საღოლ, რომ ხმამაღლაც თქვი. მართალია, გოგო ვარ, მაგრამ ვიცი, რომ მართალი ხარ. ასეა, გოგონებისას რას გაიგებ? ვარდენა.

• აუ, დღეს რა მითხრეს, იცი? ხონი სამეგრელოს არ ეკუთვნისო? კაცი გადამრიეს... სიზმარში მეგონა თავი. ძლივს დავაჯერე, რომ იმერეთს ეკუთვნის. მასპინძლობისთვის დიდი მადლობა. გაიხარეთ, კარგი ხალხი ხართ. გუ-ათენი.

• ვარდენ, რა მაგრად მომჯდარხარ ათენში, კერძოდ — ომონიაზე! კვირას ყველა შენზე ბაზრობდა და სურვილი გამიჩნდა შენი გაცნობის. ვინ ხარ, ასე რომ გლიჯავ? მავნე.

• დათო ბათლიძეს! დათ, კარგად ვართ. ჯერჯერობით ახალი არაფერია. ორშაბათს მოუთმენლად ველი. კარგია, ახალი კვირა სასიამოვნოდ იწყება ჩემთვის. აბა, შენ იცი. მე მჯერა, მალე რაღაც შეიცვლება ჩვენდა სასიკეთოდ. გკოცნით — მარი, ნიკა, მაკა, დაკო და ეკა.

• პრივეტები, ხომ მაგრად ხარ? სწავლის საქმე ხომ კარგად მიდის? რატომ არ გზავნი ხოლმე „გზავნილებში“ რამეს? კაი აბა, წავედი. დათო ბერიძეს.

• გაუმარჯოს მარის და მგზავნილებს. პირველად ვმესიჯებ და იმედია, მარიკუნა არ დაბლოკავს. მაგრები ხართ. გკოცნით ყველას. მიმიღებთ, თქვენს კლუბში? ლულუნ.11.

• ძალიან მინდა მანაველთან ინტერვიუს ჩაწერა. ვთხოვ, უარი არ მითხრას, რადგან ერთი მიწა-წყლის შვილები ვართ. ნეტავ ტელეფონის ნომერი სად ვიშოვო? გრუზინკა.

• ყოჩაღ, ქუთაისელებო, რა კარგი ძიუდოს დარბაზი გქონიათ... ჩორი-ჩორი, შენს კლუბში მინდა და შეიძლება? გიორგობას ვულოცავ ყველა გიორგის. გაიხარეთ. 9122.

• ჩვენი თვალები წამის მეათედით ხვდებიან ხოლმე ერთმანეთს, მაგრამ ეს დრო ჩემთვის საკმარისია, ვიგრძნო, რომ შენი გაბედნიერება შემიძლია. კაკი, გამოფხიზლდი...

• მაგარია, „რეალი“ ჩემპიონია! დადუმდა კატალონია“? რეალისტებო, ყველას გილოცავთ ამ წარმატებას. განსაკუთრებით — მის რეალს. ახალი ერა დაიწყო მადრიდში. მაგარიააა! ლევა მადრიდ.

• ოლააა! როგორ ხართო, კარგებო? ნუ, ქუთეისმა ვერ გაქაჩა და რამე... ანუ, ვერ შევხვდით და რამე... სოფი.

• ვოო გოგააა რავა ხარ, მუხბე... გოგა ნიჟარაძევ, „სვაბოდას“ გისურვებ... სოფი.

• მარიკო, ზოგჯერ მაგრად მბლოკავ ხოლმე, მაგრამ მაინც ვერ გეშვები შენ და ამ სამყაროს. სოფი.

• გაცნობა განვადებიიიიით... სოფი.

• მაფიოზა, კარგი, იმედია ოდესმე მომიყვები. გამაგრდი, ყველაფერი კარგად იქნება. მის რეალ, მეც ძაან, ძაან მიყვარხარ. კამელიას და ელისოს მოვიკითხავ. ლუნა.

• „გზაელებო“, ჩვენი კლუბი — „დილეტანტი გენიოსები“ ვაპირებთ მგზავნელთა ჰიმნის დაწერას. თუ სხვებსაც შეგიძლიათ ეს, გამომეხმაურეთ. მერე კონკურსი მოვაწყოთ. კახელი სალომე.

• პრივეტებიი, სუყველას მოგიკითხავთ, განსაკუთრებით კანიბალკას, ილინს, მგლის დას, სესის, ლორელაის, მაესტროს, მგელოს. green girl, ჩამოვედი, ილინს აქვს ჩემი ნომერი. ბოა.

• ოლეგარიო, რა მაგრად გამახარე, რომ გამოჩნდი. გაიხარე! ეგოისტკა, არ გინდა თქვა, რომელი მგზავნელი ხარ? ჩორი, შენს კლუბში მიმიღებ? პავლიკ, რაფერ ხარ? 9122.

• პრივეტები ყველას! მე ახალი ვარ და პირველად ვმესიჯებ. ზესტაფონი მაგადიაა! ტრაგიკოსა.

• ჩორტიოზნაეტ, მოკითხვა ჩემგან, მომენატრე... ელთი ბეწო, მე მინდა შენი დობა და უალი ალა მითხლა, ლაა... :) მგელო, გენათალე, ბაო, არაფრის, სიხ. :) პარიჟანკა დეიდა მიყვარს. ნიკოლი.

• კიკო და ვერმახტ, თქვენ გაიხარეთ! :) ეგოისტკა, გმადლობთ, საყვარელო, მგონი გიცანი. :) შემეხმიანე რაა, ოკ? ჩორი-ჩორი, გამოკეთდი? green girl-ის გაცნობა მინდა. ნიკოლი.

• ლუნა, გმადლობთ, სიხარულო, კარგი გოგჩუნია ხარ. :) გავიცნოთ ერთურთი თუ — ნწუ? გაკოცე, ტვინის ნაოჭების კედლებზე. :) რა აზრები მაწუხებს, პროსტა, აზრობთ? მეგრელი მგელო.

• ეჰ, მავნე, მეც მენატრება ჩემი დედიკუნა, მაგრამ სად არის? ახლა ველაპარაკე და ცოტა წავუტირე კიდეც. ვოტ ტაკ! ასეთი ყოჩაღი ვარ. :) დედ, მიყვარხარ. თათა.

• აუ, პროსტა რა იქნება, გაკვეთილს რო ვაპლუთუზებდეთ ტვინში?! ზამკანია იქნება, ნეტავ? ოო, დავიღალეე! „მგლების“ ფანებო, მე-4 ნაწილი წაიკითხეთ? მე — კიი! :-) მეგრელი მგელო.

• ნინი (კიკო), ძალიან მიყვარხარ, ყოველთვის ჩემი საუკეთესო, განსაკუთრებული და ერთადერთი მეგობარი იქნები! არ დავუშვებ, რამე რომ შეიცვალოს. მაპატიე... ბუბუსიკა.

• პანტერიტა, არ იდარდო. :) მერე რა, მე რუსულიც ვიცი და ინგლისურიც, ცოტა ფრანგული, სომხური და გერმანული, მაგრამ რად გინდა? ასეთ, ასგზისგანათლებულ (თითქმის პოლიგლოტ) გოგოს, ოცნების მამაკაცი ვერ მიპოვია. ისე, დროა, კასტინგი დავიწყო. :) ჯონ აბრაჰამის მსგავს ტიპს ვერ ვნახავ, რომც ვნახო ეგეთი კრასავჩიკი, სულ მე დამიწყებს დევნას... ამიტომ, კაკ მინიმუმ, „დედა მთვარის“ ვალენტინს მაინც უნდა ჰგავდეს. მგონი, აჯობებდა „ქალებში“ გამეშვა ჩემი მესიჯი, ხომ? მაშ, ასეე... ვარ, ღია ყავისფერთმიანი, 18/164/49, მხიარული, მულატი (აღარაფერი მიკლია), სექსუალური გოგონა. :) კარგი, კარგი, არ იფიქროთ, ashle-იმ გაუბერაო, :) ვხუმრობ, რა (ნუ, ძალით ღადო ვარ). ashley pcd.

• ეგოისტკას მადლობა, თანადგომისთვის. ლუნა მის რეალს ვერ უკავშირდება და იქნებ შენ გამოართვა როგორმე ჩემი ნომერი. ბაო-ბაო, ერთმანეთი როგორ გავიცნოთ? გრუზინკა.

• განძის მაძიებელს კარგად ყოფნას ვუსურვებ. არ იყო საჭირო, არაფრის გამო, ომი ერაყსა და ამერი-

კას შორის თავიდან დაგვეწყო. სახლში მისვლა თუ შეიძლება? გრუზინკა.

- ვილაც წერდა, რომ ვერ გაიგო, „სექსი დეპეშით“ — რატომ მაინცდამაინც ქუთაისშიო? ეს იმიტომ, რომ ქუთაისში ახმეტელის ქუჩა არ არის. თაისი

- პარიჟანკას ვეპატიჟები ჩვენს კლუბში. ისე, ძველი ნიკი ჯობდა. მანაველთან და აწყურელ ელისოსთან მინდა ინტერვიუების ჩაწერა, მაგრამ ნომრები საიდან ვიშოვო? გრუზინკა.

- ეგოისტკა, ჩემი გიჟი ქალიიი! რა კარგია, რომ გიცანი... :-) თავიდან ისტერიჩკა მეგონე. ნეტავ ეგეც დაგვიბრუნდეს. ვერმახტ, ქორწილში გეპატიჟებით. :) ashley, ჩართე მობილი. ნიკოლი.

- აწყურელ მიშკას ვთხოვ, დამიმესიჯოს, რადგან მისი ნომერი წამეშალა. აქვე მინდა შაკა, ბიძაჩემი მოვიკითხო. ახლა ერთი კვირა უნდა ველოდო. სხვა რა გზა მაქვს? გრუზინკა.

- ჩუმად მოსული ტკივილის გარდა, გული ხომ ათას სიხარულს ელის და მე ვიცინი, ვიცინი, რადგან ვილაცას ჩემი სიცილი შველის. non stop.

- ჭრიჭინ, მოგვიანებით, მაგრამ მაინც აპლოდისმენტების თანხლებით ვგზავნი მადლობას. მაგრად გამიხარდა, სასტავში მეც რომ მომიხსენიე.

- მინდა, დიდი სიყვარულით მოვიკითხო ჩორი-ჩორი, ილინი, ოლეგარიო, იკჩო-სიხჩო, ლელუჩია, ნიცოლე, მამაცი თოჯინა, კახელი სალომე, სცარლეთ, ლიმონა-მანიუ, მის რეალი. ashley pcd.

- პრივეტები ყველას! მე ახლი ვარ და პირველად ვამესიჯებ. მაგარი დამევასა „გზა“. ამიერიდან თქვენთან ვიქნები. :) ზესტაფონი მაგადიაა! ტრაგიკოსა.

- მარჩიელი გამომეკიდა, ამ დილას. ხომ ვერ მოვიშორე, ეს შტერი ქალი. — ბიჭი, ბიჭი, მომეცი ლარი და ყველაფერს გეტყვი, შენ ირგვლივ რაც ხდებაო. დიდად არ გამახარა?!

- მე ვუთხარი — ჩემ ირგვლივ რაც, ხდება იმან გამომაშტერა და შენი მოყოლა მინდა კიდო-თქვა? მოშორდი აქედან-მეთქი. — არა, მომეცი ლარი, ყველაფერს ვხედავ შენშიო. მე ვუთხარი, ყველაფერს თუ ხედავ, ლარი რომ არ მაქვს ჯიბეში, იმას ვერ ხედავ, შენ დაგეფსო მაგ თვალები? მომშორდი აქედან, შე ჩემაალაათქო. ჯეჯე.

- მეგრელო მგელო და non stop, მაგადები ხართ. თქვენ გენაცვალეთ, აბეზარა.

- გაუ, „მობილი-ზაციას“! პირველად ვამესიჯებ თქვენთან. მეგრელ მგელოს მინდა ვკითხო: ხობში ცხოვრობ? რა ადგილზე? ჟანი.

- გამარჯობა, „მობილი-ზაცია“. აფხაზეთის პრინცესა, რათა მსაყვედურობ, ჰა? ძველი ნომრები აღარ მაქვს და იქ თუ მწერ, ვერანაირად ვერ გიპასუხებ. ფინტიკოზა და კანიბალკა, რატომ დაიკარგეთ? შეწირული.

- მავნე, მამაშენმა იცოდეს მაინც, რა ცვეტშია... :) ჩემი თავკომბალა ვინ არისო, ვინაო? :) ზაზუნა22, სად დამეკარგე, დეიდა? :( ლიფსო, გძე ტი? ბაო-ბაო.

- დიდი სიყვარულით მოვიკითხავ კახელ სალომეს, განძის მაძიებელს, მის რეალს, გრუზინკას და მგელკაცას. კლუბი „დილეტანტი გენიოსები“ მაგარია! გაკოცეთ ყველას. ლუნა.

- ნუ, რა სწრაფად ვითარდება მოვლენები! ashley-მ მობილი ჩართო, green girl-ი გავიცანი და მმმაგარია! მიყვარხართ, გოგონებო. :) კიიდო? კიიდო რუსკა მიკალს და მენატრება. ნიკოლი.

- გამარჯობა. მის რეალ, დიდი მადლობა იმისთვის, რომ ამ თქვენს დიდი ქალაქის ქუჩებში მოსიარულე მგზავრი შენიშნე და სიყვარულით შეხვდი. ყველანი მიყვარხართ. მგზავრი.

- მარ, სადაა ლუნას ნომერი? ველოდები გულისფანცქალით. მომწერე, თორემ ავმკვლელდები, იცოდე. :-) აბეზარა.

- მარი, მიყვარხარ და არ მინდა „გზიდან“ წასვლა, მაგრამ უნდა წავიდე... მიყვარხარ და არასოდეს დაგივიწყებ. შესანიშნავი ადამიანი ხარ. რაც მოხდა, არ არის შენი ბრალი. ეთო.

- იეეეს! მამა დამიბრუნდაააააა! :) იეეს, გასკდეს გულზე, ვისაც არ გაუხარდა. :) არა, მაინც როგორ ვგავართ ეს დედა-შვილი ერთმანეთს?! :) პატარა მავნე.

- ბიჭებს უფრო დიდი და წრფელი სიყვარული შეუძლიათ. ბიჭებსაც აქვთ გრძნობები, განცდები, ემოციები! ნუ აფარებთ ქვის ქვეშ! პატარა მავნე.

- ბიჭებო, რჩევა ჩემგან: ერიდეთ ბაო-ბაოსა და პატარა მავნეს. p.s. გაითვალისწინეთ, სანამ მთლად არ დაგვილუპიხართ. დედა, არ მომკლა. :)) პატარა მავნე.

- სიკვდილი საშინელებაა! რა ჯობია სიცოცხლეს. სანამ ცოცხლები ვართ, ნუ ვკბენთ ერთმანეთს. დავაფასოთ, რაც ღმერთმა გვაჩუქა. პატარა მავნე.

- აუ, რა მაგარია! დღეს მესიჯებით ლუნა გავიცანი. ძალიან კარგი პიროვნება აღმოჩნდა. გადავწყვიტეთ, ინტერვიუ ჩაგვეწერა, მაგრამ... თავი დავანებეთ. აბეზარა.

- ოე, მოგესალმებით, მგზავნელებო, ვხედავ, აქ მაგრად მხიარულობთ. როგორც ვატყობ, აქ დვიჟენიები მგელოს მიჰყავს. საინტერესოა... მაგრამ დრო მოვიდა, ყველამ თქვენი ადგილი დაიკავოთ.

- როგორ ხართ, ბავშვებო? მართლა ყველანი კარგები ხართ. პატარა მავნე, მე აქ ვარ და არსად წავალ. 19-ში მე იუბილარი ვარ. გაკოცეთ. მაგრად მიყვარხართ. პატარა ლელა.

## მიყვარხარ



- ჩემს ლამაზ შვილებს, ნარგო, თეა და დემურის მინდა ვუთხრა: მენატრებით შვილებო და ძალიან მიყვარხართ. მეოთხე წელი დაიწყო, რაც არ მინახავხართ. გაჭირვებამ დაგვაცილა დროებით და გული არ გაიტეხოთ. ვიცი, ძალიან გიჭირთ უჩემოდ, მაგრამ მამათქვენი ძალას არ იშურებს, რომ ბედნიერები იყოთ. თუკი ოდესმე თავს იგძნობთ მარტოდ, ნუ შეშინდებით, ჩემო შვილებო, გახსოვდეთ, მე ყოველთვის თქვენთან ვარ. გკოცნით, თქვენზე უზომოდ მონატრებული, თქვენი დედა.

- კუს, მე ისევ ისე მიყვარხარ... წამოვედი შენგან, მაგრამ ჩემი გული მანდ დავტოვე. შენ ჩემი ცხოვრების უბედნიერესი წუთების სათაური ხარ. მიუხედავად იმისა, რომ უდიდესი ტკივილი მომაყენე და ისეთი ლაქა დამიტოვე, რომელსაც ვერასოდეს მოვიშორებ, მაინც მიყვარხარ (სამწუხაროდ)... ცრემლიანი ბომჟი.

- ჩემს სიცოცხლეს, მამუკა მუკბანიანს: ძალიან მენატრები და ძალიან მიყვარხარ. შენი ბარტყი.

- ნინიკო მათურელო, შენ ხათო დეიდუკას ულამაზესი და უსაყვარლესი გოგო ხარ. ძალიან მიყვარხარ. ხათო.

- მინდა, თიანეთში მოვიკითხო ნათია ირომაშვილი. ნათუშკი, ძალიან მიყვარხარ და მენატრები. ხათო.

- სანთლად აგენთები, ცრემლად დაგეღვრები, გულში ჩაგეკვრები, არც კი დავფიქრდები, ცეცხლად დაგენთები, სისხლად დაგეღვრები, ჩემო სიცოცხლევ, თუკი დაგჭირდები. ჩემს პატარა დაიკოს, თაკო ფეტვიაშვილს მინდა ვუთხრა, რომ სიგიჟემდე მენატრება. ხათო.

- ჩემს ერთადერთ ძმიკოს, ლერიკოს მინდა ვუთხრა, რომ ძალიან მიყვარს და მენატრება. მე კარგად ვარ, ძმიკო, ყველაფერი კარგად იქნება. უფალი გფარავდეს. ეკა.

- მიყვარხარ, საქართველოვ! ათენი, მარია-111.

- იაგო, მიყვარხარ და მეყვარები ყოველთვის. სადაც უნდა წახვიდე და მიმატოვო, მე მაინც მეყვარები და დაეტიე რა, საცა ხარ და რაფრაც ხარ. ნუ მაბრაზებ. მიყვარხარ. კუსკუსა.

- გიო მგალობლიშვილო, უზომოდ მიყვარხარ და უშენობა მკლავს. ნეტავ იცოდე, რას ნიშნავ ჩემთვის. რატომ აღარ მწერ ძველებურად, ლამაზ სიტყვებს? მეუღლე გაღმერთებს. გკოცნი.

- ჩემი სიყვარული, ლევან

ინასარიძე მენატრება ძალიან, ძალიან, ძალიან, უძაანესააად! ცუდად ვარ მის გარეშე... თათა.

- ლერიკუნა, ჩემო პატალა სიხარულო, ჩემო საკალელო ქმარუკავ, ძალიან მიყვარხარ. ჩემი სიცოცხლე და უდიდესი ბედნიერება ხარ. შენი მოსიყვარულე მეუღლე, გოჭუნია.
- მიყვარხარ, დღეა თუ ღამე, წუთია, წამია, თოვლია, ქარია, დარია, მიყვარხარ ძვირფასო, რა ჩემი ბრალია? ანტონ გოგიაშვილო, უზომოდ მიყვარხარ და მენატრები. ნინო.
- სიყვარული ყვავილია, დაყნოსე და გადააგდე. გოჩა გამცემლიძე, ძაან მიყვარხარ მეც, მაგრამ მაგას არასდროს გეტყვი. ღმერთი მუდამ გფარავდეს, ჩემო ცხოვრება ადამიანო.

**მილოცვა**



- ლეო91-ს მინდა მივულოცო დაბადების დღე. ყოველივე კარგს გისურვებ, არ გიცნობ ახლოდან და მინდა გაგიცნო. ღმერთი გფარავდეს და მრავალს დაესწარი. მეგრელი კისა.
- გიორგი დვალიშვილო, გიორგობას გილოცავ, გფარავდეს! მენატრები.
- ჩემს საყვარელ მამიდაშვილს, გიორგი კანდელაკს ვულოცავ დაბადების დღეს, 10 მაისს. ვუსურავებ დიდხანს სიცოცხლეს და უფლის წყალობას. ძალიან მიყვარხარ. შტერუკა ელისო.
- ჩვენს ემიგრანტ დას, ნანა ჯიმშიტაშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს. ჯანმრთელობას და მალე დაბრუნებას ვუსურვებთ. მცხეთიდან ლია, ნონა და ნინო. გკოცნით.
- კობა გუგუტიშვილო, დაბადების დღეს გილოცავ. ყველაფერს საუკეთესოს გისურვებ. ღმერთი გფარავდეს. ნინი.
- ნელკა, გილოცავ დაბადების დღეს, ბედნიერებას გისურვებ. მიყვარხარ, სიხარულო, ძალიან. კოხისაც ვულოცავ, მრავალს დაესწარით, გოგონებო, უფალი გფარავდეთ! გკოცნით, თქვენი ნიკოლი.
- მინდა, გიორგი ჩაკვეტაძეს და მის ახალ შერთულ მეუღლეს, თეონას ბედნიერება და ჯანმრთელობა ვუსურვო. ღმერთი იყოს თქვენი შემწე და მფარველი. აბეზარა.
- ჩემს უსაყვარლეს დისშვილს, ლუკა კვინიკაძეს 14 მაისს ვულოცავ დაბადების დღეს და თამარობას — ჩემს უსაყვარლეს თამარ ოშაყმაშვილს. ნათია-გველი.
- შენც გილოცავ აღდგომას და გიორგობასაც. გაიხარე. აბეზარა.
- მცხეთაში, ლამარა კვეზერელ-მეხაშიშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. ჯანმრთელი, ბედნიერი, გახარებული და გამრავლებული მენახე ლამაზ, თბილ ოჯახთან ერთად. მზია.
- ელო (ლენა) მამიაურს ვულოცავ დაბადების დღეს, უსაზღვრო სიხარულს, ჯანმრთელობას და ყოველივე საუკეთესოს გისურვებ, ოჯახთან ერთად. მზია.
- ჩემს უსაყვარლეს მეუღლეს, შამილ წიკლაურს ვულოცავ დაბადების დღეს, 12 მაისს. გისურვებ ჯანმრთელობას, შვილებით გახარებას და რაც მთავარია, ჩემთან ერთად ბედნიერებას.
- ალუდა და ლალი წიკლაურებს ვულოცავ შვილის დაბადების დღეს, 10 მაისს. ვუსურვებ ულევ სიხარულს, ლამაზ სიყვარულს და ბედნიერ მომავალს. მეგრელო. ათენი.
- მინდა მივულოცო ჩემს დისშვილს, თეონას 15 მაისს ოქროს დაბადების დღე. მე გისურვებ ჩემო კარგო, დაბადების დღეს, ოცნებების ასრულებას, გაზაფხულის თვეს. გკოცნის შენზე მონატრებული დეიდა (თათუჩი). თამუნა, მიყვარხარ, ჩემო ცისფერთვალება გოგოვ. გკოცნი.
- დაბადების დღეს ვულოცავთ 15 მაისს, ზაზა ფოლადაშვილს. მრავალს დაესწარი, ჯანმრთელი, ბედნიერი და მუდამ გახარებული, ჩვენთან ერთად. ღმერთი იყოს ჩვენი ტკბილი ოჯახის მფარველი. გვიყვარხარ და გვენატრები. გკოცნით, ფატი და გვანცა.
- დაბადების დღის იმ ლამაზ ღამეს, შენი აკვნისთვის ღმერთს უკოცნია, დიდხანს სიცოცხლე ცოტაა შენთვის, დიდი სიცოცხლე მომილოცნია. გიორგი ნასრაძეს ვულოცავ დაბადების დღეს. დედიკო.
- ჩემს მონატრებულ დედას, სალომე ხორნაულს ვულოცავ დიდ ბებიობას. ჩემო დედი, ღმერთმა გიმრავლოს შვილთაშვილები. მენატრები, გკოცნი და გეფერები. შენი მზია.
- უშგულში, თეა მარგველანს ვულოცავ დაბადების დღეს. ჯანმრთელი და ბედნიერი იყავი, შენს ლამაზ ოჯახთან ერთად, ჩემო კარგო. გფარავდეს ღმერთი. მენატრები, გკოცნი. მზია.
- ნანი ჯიმშიტაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. ღმერთს ებარებოდე. გაგაძლიეროს და მოგათმენინოს შვილების უსაზღვრო მონატრება. მზია.
- შარაშენიძე მალხაზს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ულევ სიხარულს და ყოველივე კარგს, მის ლამაზ ოჯახთან ერთად. მაია 07.05.
- მინდა 10 მაისს დაბადების დღე მივულოცო ჩემს უსაყვარლეს მამიდაშვილს, თამუნა ონიაშვილს. თამო, ძალიან მენატრები. ხათო.
- ჩვენს საყვარელ დათო ტეფნაძეს ვულოცავთ დაბადების დღეს, 14 მაისს, ნაირა მამიდა და მამიდაშვილი, ლელა. დათო, გისურვებთ ჯანმრთელობას, სიხარულსა და სიყვარულს, შენს მშობლებთან ძმასთან, ბებიებთან და მრავალრიცხოვან ახლობლებთან ერთად. გფარავდეს ღმერთი და გკოცნით და გეხვევით. გვენატრები ძალიან.
- ჩემს უმშვენიერეს და უერთგულეს მეგობარს, მზია დევძეს 19 მაისს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს და იმ ოცნების ასრულებას, რომელიც მიზნად აქვს დასახული. ჩემო მზია, ღმერთმა ჯანმრთელად და მშვიდობით დაგაბრუნოს, შენს მონატრებულ ოჯახში. გკოცნი ბევრს. დიდი სიყვარულით, მაია ლომთაძე.
- დაბადების დღეს ვულოცავთ ჩვენს პატარა ხატია გოგოლიძეს. გვიყვარხარ და გვენატრები. ლია, ნინო და მარიკა დეიდა.
- მინდა, ჩემს ერთადერთ შვილს, მარიამ გრიგალაშვილს მივულოცო სკოლის დამთავრება და ვუსურვო წარმატება ცხოვრების რთულ გზაზე. ცხოვრება ომია! ეცადე, გაიმარჯვო, მაგრამ არც ადამიანობა დაკარგო. ეცადე, საკუთარ ბედნიერებას პირადად მიაღწიო და არა — სხვისი ღალატის, გაყიდვის ფასად. ეცადე, გული არავისატკინო, იოლად. ეცადე, სიყვარული, სითბო გასცე და ნახავ, ყველაფერი დაგიფასდება. უფალი იყოს შენი მფარველი. გეხუტუნები ბევრს. შენი ეკო.
- იკა, გილოცავ 18 წლის შესრულებას, ძმი. საუკეთესოს გისურვებ ცხოვრებაში. ძალიან მენატრები. გკოცნი ბევრს. უფალი გფარავდეს. შენი 13.07.
- კოხი-20-ს ვულოცავ 23 წლის შესრულებას. სოფ, ბედიერი მენახე, მთელი ცხოვრების მანძილზე, შენს პატარა ოჯახთან ერთად. გაკოცე ბევრუკები. უფალი გფარავდეს. 13.07.
- ათენში დროებით მცხოვრებ ცირა ავანაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 15 მაისს. გისურვებ ულევ სიხარულს, ლამაზ სიყვარულს და ბედნიერ მომავალს. ცხოვრების ყოველი წუთი

ყოფილიყოს სიყვარულით და სიხარულით სავსე. ღმერთი იყოს შენი მფარველი და მზრუნველი. დიდი სიყვარულით, ლია.

• ჩემს საყვარელ მამიკოს, შალვა სადაღაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 20 მაისს. მრავალ დაბადების დღეს დაესწარი მამიკო, გისურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, ლამაზ და ტკბილ სიბერეს. ღმერთი იყოს შენი მფარველი და მზრუნველი. ძალიან მიყვარხარ და მენატრები. სულ მალე ერთად ვიქნებით. გკოცნი ბევრს, შენი სიყრმის შვილი, ლია.

• დათო ფუტკარაძეს ვულოცავ 17 მაისს, დაბადების დღეს. გისურვებ ჯანმრთელობას და ცხოვრებაში წინსვლას. გაიხარე, შენს ეკასთან და მარისთან ერთად. კახელი თამუნა.

• მადონა, 20 მაისს გილოცავ. მენატრები. ჩემი სიცოცხლე ხარ. მინდა, ბედნიერები ვიყოთ. გფარავდეს ღმერთი, ჩემო ლამაზო ქალბატონო. გკოცნი ბევრს. შენი სიცოცხლე.

• მეგრელთა კოლორიტს, ლალი ცირდავას ვულოცავ დაბადების დღეს, 20 მაისს. ვუსურვებ ყოველივე კარგს, თავის ლამაზ შვილებთან ერთად. მრავალს მოგასწროს ღმერთმა. ლალი.

• ჩემს დედიკოს, მზიას ვულოცავ დაბადების დღეს. დიდხანს სიცოცხლეს და ყოველივე კარგს ვუსურვებ. მამიკოსაც ვულოცავ. ნათელში იყოს მა, შენი სული. მიყვარხართ. გიჟი შვილი, ბოტოტა.

• ჩვენს მონატრებულ ბიძაშვილს, გუგალოს ვულოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ულევ სიხარულს. უფლის წყალობა არ მოგაკლებოდეს. ძალიან გვიყვარხარ და გვენატრები. ელო და ნინი.

• თბილისში, ულამაზეს პატარა ქალბატონს, ანასტასია ლიპარტელიანს ვულოცავ გაქრისტიანებას. ქართველთა განმანათლებლის, წმ. ნინოც ჯვარი გფარავდეს მუდამ, ჩემო პატარა ანგელოზო. ბედნიერ ბავშვობას და მომავალს გისურვებ. გაიზარდე სასახელო ქართველი ქალი. დიდი სიყვარულით, ცისანა ბებია.

• ჩემს ცქრიალა რძალს, მზევინარ ოღაძეს ვულოცავ დაბადების დღეს. ღმერთი ჰფარავდეს შენს ლამაზ ოჯახს. დიდი სიყვარულით, დედამთილი.

• დაბადების დღეს ვულოცავ მზევინარ ოღაძეს. ვუსურვებ ბედნიერებას, ქმარ-შვილთან ერთად. გფარავდეთ ღმერთი. ციური ჭიკაიძე.

• დათო იაშვილს 20 მაისს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ჯანმრთელობას და გამრავლებას, უსაყვარლეს ცოლშვილთან ერთად. ღმერთმა დაგლოცოს და გაგაძლიეროს. ძალიან მიყვარხართ შენც, ნათიაც და პატარა ნიკოლოზიც. პატივისცემით, ცისანა.

• დაბადების დღეს ვულოცავთ ჩვენს საყვარელ რძალს, ნათელა ჭიკაიძეს, მულები, ციური და იზა.

• სოფიკო ჭიკაიძეს 29 მაისს ვულოცავთ დაბადების დღეს. ღმერთის მფარველობა არ მოჰკლებოდეს შენს ლამაზ ოჯახს. დიდი სიყვარულით, მამიდები, იზა და ციური.

• წნორში, ნინო ქოქიაშვილს, 20 მაისს ვულოცავ დაბადების დღეს. დედის ერთადერთო სანთელო, სულ დალოცვილი იყავი, ამ მზიან ქვეყანაზე და გაახარე მონატრებული დედის გული, რომელიც შენთვის ლოცულობს. სიყვარულით, ცისანა დეიდა.

• გუგალო, გილოცავთ დაბადების დღეს. გაიზარდე სასახელო ბიჭი. მშობლების გული გაგეხარებინოს, მუდამ. ღმერთმა მალე ჩაგახუტოს შენს მონატრებულ მშობლებს. გკოცნით, ვერიკო და ზვიადი.

• 17 მაისს დაბადების დღეს ვულოცავ ჩემს მონატრებულ შვილს, თამუნა მარგველანს. მრავალს დაგასწროს ღმერთმა, ჩემო სიხარულო, გისურვებ ულევ სიხარულს და ბედნიერ მომავალს. მუდამ შენთან ვარ. გფიცავ, უსაშველოდ მონატრებული, მუდამ შენთვის მლოცველი, შენი დედიკო.

• ჩემი შვილის ნათლიას, ლალი ცირდავას მინდა მივულოცო დაბადების დღე, 21 მაისი. ლალი, საყვარელო, გილოცავ, ჯანმრთელი და გახარებული იყავი ყოველთვის, შენს შვილებთან და ყველა შენს საყვარელ ადამიანთან ერთად. გისურვებ მალე საქართველოში დაბრუნებას. მიყვარხარ. ლილი.

• ათენიდან ინგლისში, ჩვენს საყვარელ ძმას, ხვიჩა ხახიაურს ვულოცავთ დაბადების დღეს, 23 მაისს. ძმაო, ჯანმრთელობას, სიხარულს და სიყვარულს გისურვებთ. მალე დაბრუნებულიყავი, საქართველოში. შენი მონატრებული დები, ლილი, ციური და მაყვალა.

• ჩემს საყვარელ ადამიანს, ფიქრია არაბულს მინდა მივულოცო დაბადების დღე, 20 მაისი. დახატულო, გისურვებ ჯანმრთელობას, გამძლეობას და ყოველივე საუკეთესოს ცხოვრებაში. ღმერთი იყოს შენი მფარველი. ლილი.

• ზაზა მგელიაშვილო, ძალიან მენატრები, დამპალო. ხომ კარგად ხარ? ალბათ მალე გნახავ. გკოცნი. ნინო მათურელი.

## ყურადღება!

**„მობილი-ზაციაში" ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. ამისათვის, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის" ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა" №39-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში აკრიბეთ: guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.**

# ფოტოჰოროსკოპი




## ორშაბათი

შესაძლოა, შენს სახლში რაღაც უსიამოვნო საუბარი შედგეს. ეცადე, დაუფიქრებელი ფრაზებით სიტუაცია არ გაართულო. მომავლის დაგეგმვისა და საქმეების გაანალიზებისთვის კარგი დღეა.

## სამშაბათი

დღევანდელი მოვლენები დაგარწმუნებს, რომ კიდევ ბევრი რამის გაკეთება და მოსწრება შეგიძლია. დაუყოვნებლივ იმოქმედე! ამ კონკრეტული დღით იცხოვრე, საკმაოდ საინტერესო იქნება. საღამოს განწყობილება შეგეცვლება და ცოტათი მოიწყენ.





## ოთხშაბათი

დღეს შენთვის ფიზიკური დატვირთვა სასარგებლოც იქნება და გულში დანთებულ სიყვარულის ცეცხლსაც გაანელებს; ეს კი შეცდომების დაშვების ალბათობას შეამცირებს. შესაძლოა, გრძნობები აგერ-დაგერიოს, მაგრამ რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, მთლიანობაში ეს დღე შენთვის ნაყოფიერი აღმოჩნდება.



## ხუთშაბათი

შესაძლოა, ამ დღეს რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენის მონაწილე გახდე. თუ შეგიძლია, ამას მოერიდე. მართალია, მოწყენილობას გაიქარვებ, მაგრამ ემოციები გადაგღლის. შენთვის ამ დღეს ყველაზე დიდი დეფიციტი კარგი თანამოსაუბრე იქნება. უფრო სწორად, არა იმდენად თანამოსაუბრე, რამდენადაც — მსმენელი.



## პარასკევი

მართალია, ყველგან ხელგაშლით შეგხვდებიან, მაგრამ იმის იმედი არ გქონდეს, რომ ყველგან მხარდაჭერას მიიღებ. რეალური შანსი გაქვს, გუშინდელი მოწინააღმდეგეები მოკავშირეებად აქციო (პოლიტიკოსებს წაადგებათ). ოღონდ, ამას სერიოზული ძალისხმევა დასჭირდება.

## შაბათი

თუ საკუთარ ემოციებს გასაქანს მისცემ, შესაძლოა, ძვირფასი რამ დაკარგო. ასე რომ, სანამ რაღაცას იტყვი, მოსალოდნელ შედეგზე იფიქრე. მაღალი შემოქმედებითი პოტენციალი გექნება და თუ სათანადოდ არ გამოიყენებ, სისულელეს ჩაიდენ.





## კვირა

იმაზე ცუდი არაფერია, ვიდრე დასვენების დღის დასრულება. არ აჩქარდე, თორემ შესაძლოა, ის საქმე გააფუჭო, რომელიც შენდა უნებურად გამოგდის. საკუთარი თავი ხელში აიყვანე: ეს სავალალო შეცდომებისგან გიხსნის.

# მეცნიერებმა გენეტიკური დაავადებების მკურნალობის მეთოდს მიაგნეს



ბრიტანელმა მეცნიერებმა შეძლეს, 3 მშობლისგან აღებული გენით ხელოვნური ემბრიონის შექმნა. მათი აზრით, ეს შესაძლებლობას მისცემს ისეთი დაავადებები განკურნონ, რომელიც შთამომავლობით გადადის. ემბრიონები ერთი მამაკაცისა და 2 ქალის ბიომასალისგან შექმნეს. ასეთი ეგზოტიკური ექსპერიმენტისგან მედიკოსები სარგებელს ელიან.

ღირს კი ექსპერიმენტების ჩატარება ისეთ სრულყოფილებაზე, როგორიც ადამიანის ორგანიზმია?

მეცნიერები ირწმუნებიან, რომ მათი მიზანი გენეტიკური დაავადებებისგან ბავშვების დაცვაა. ეს კი დაავადების მატარებელი მიტოქონდრიების ტრანსპლანტატებით შეცვლის შედეგადაა შესაძლებელი. დაავადებული მიტოქონდრიები ვერ ახერხებენ საკვების სრულყოფილად მონელებას, რაც ორგანიზმში მავნე ნივთიერებების დაგროვებას იწვევს და 40-ზე მეტი დაავადების წარმოქმნის წინა პირობას წარმოადგენს.

თავის მხრივ, ეს პროცესი გონებრივ ჩამორჩენილობას, მძიმე ნერვულ დაავადებებს, კუნთების პროგრესირებად დისტროფიას, დიაბეტს და სმენისა და მხედველობის დაკარგვას იწვევს.

ექსპერიმენტისთვის ბრიტანელმა მეცნიერებმა ჩვეულებრივი ემბრიონი გამოიყენეს, რომლის დე-ენ-კაც დეფექტურ მიტოქონდრიებს შეიცავდა. ახალი მეთოდიკის მიხედვით, მეცნიერებმა 10 ემბრიონი შექმნეს, რომლებსაც 5 დღის განმავლობაში აკვირდებოდნენ. შემდეგ ყველა მათგანი გაანადგურეს. თუ გამოკვლევებმა დამაკმაყოფილებელი შედეგი გამოიღო, „დაავადებული" მიტოქონდრიების ახლით შეცვლა, 3-5 წლის შემდეგ გახდება შესაძლებელი.

ეს კი საშუალებას მოგვცემს, რომ ყველა ბავშვი ჯანმრთელი დაიბადოს.

ტესტი

<<< 17

# როგორი ხასიათი გაქვს?

## ტესტის პასუხები

- თუ ლორი ჩარჩოს ზედა ნაწილშია დახატული, დადებითი, ოპტიმისტი ადამიანი ხარ. თუ ჩარჩოს შუაში — რეალისტი ყოფილხარ. ჩარჩოს ქვედა ნაწილში — პესიმისტი ადამიანი ყოფილხარ და ცუდად მოქცევაც შეგიძლია.
- თუ შენ მიერ დახატული ლორი მარცხნივ იყურება, კონსერვატორი და ტრადიციების მოყვარული ადამიანი ხარ. კარგად იმახსოვრებ თარიღებს. თუ მარჯვნივ იყურება, ნოვატორი ყოფილხარ, მაგრამ ოჯახურ ფასეულობებს პატივს არ სცემ. თუ ლორი შენ გიყურებს, პირდაპირი ადამიანი ყოფილხარ და უწმინდური ძალების გჯერა. ძალიან გიყვარს კამათი.
- თუ ლორი ყველა დეტალითაა გამოსახული, ანალიტიკური აზროვნების უნარი კარგად გქონია განვითარებული; ფრთხილი და ეჭვიანი ადამიანიც ყოფილხარ.
- თუ ნახატზე ბევრი დეტალი არ არის, გამოდის, რომ ემოციური, მიამიტი და რისკიანი ადამიანი ხარ.
- თუ შენს ლორს 4 ფეხზე ნაკლები აქვს, საშიში ადამიანი ყოფილხარ, ხოლო თუ ოთხივე ფეხი ჩანს — საიმედო მეგობარი. ამასთანავე, ჯიუტი და მყარი შეხედულებები გაქვს.
- ყურების ზომა იმაზე მეტყველებს, რამდენად კარგი მსმენელი ხარ ანუ რაც უფრო მოზრდილია, მით — უკეთესი.
- კუდის სიგრძე კი შენი სიყვარულის უნარის პირდაპირპროპორციულია.

# მართალი იობი წინასახე განკაცებული უფლის დედამიწაზე მოსვლისა

**ეკლესიის წიაღში მყოფ ადამიანებს ალბათ ხშირად გაგვიგონია გამოთქმა — „იობის მოთმინება“ ან „იობის გამძლეობა მოგცეს ღმერთმა!“ და შესაძლოა, ბევრმა ჩვენგანმა არც უწყის, თუ ვინ იყო წმინდა და მართალი იობი, რომელსაც ეკლესია 19 მაისს იხსენიებს.**




**შორენა მერკვილაძე**

მართალი იობი, რომელიც მრავალვნებულადაც იხსენიება, ცხოვრობდა „ძველი აღთქმის“ პერიოდში (ქრისტეშობამდე დაახლოებით 2000-1800 წ.წ.). მისი ცხოვრება აღწერილია „ბიბლიაში“ — „ძველი აღთქმის“ წიგნში. იობი ღვთისმოსაობითა და ღვთისმოშიშებით გამოირჩეოდა. მისთვის მთავარ საზრუნავს ღვთის ნების აღსრულება წარმოადგენდა. მრავალი სიკეთე მიჰმადლა ღმერთმა იობს, ქონება, პატივი. მას შვიდი ვაჟი და სამი ასული ჰყავდა. შვილებიც ღვთისმოშიშები აღზარდა. მამა ყოველ მეშვიდე დღეს მსხვერპლს სწირავდა შვილების სახელზე: „ვინ იცის, იქნებ რომელიმემ შესცოდა, იქნებ რომელიმემ მკრეხელობა გაივლო გულში...“

ეშმაკს შეშურდა იობისა: „უფალი იცავს იობს და უმრავლებს დოვლათს, მაგრამ თუ განსაცდელი დაატყდება თავს, მაშინვე დაგმობს ღმერთს“, — განაცხადა ბოროტმა სულმა უფლის წინაშე. უფალს სურდა, გამოეცადა იობის მოთმინება. მრავალი განსაცდელი მოუვლინა: ერთ-ერთი მსახური მივიდა და შეატყობინა, — რაც კი ხარი გვყავდა, ყველა გაიტაცესო. მეორე მსახურმა ცხვრების ფარისა და მსახური ბიჭების დაწვის შესახებ ამცნო: ზეციდან ჩამოვარდნილმა ცეცხლმა ყველანი ერთად ამოხოცაო. აქლემებიც ერთიანად გაუწყდა. ყველაზე მძიმე და თავზარდამცემი განსაცდელი კი შვილების დახოცვა გახლდათ. იობმა შეიტყო, რომ მისი ქალ-ვაჟნი, რომელნიც წესისამებრ, ერთ-ერთი ძმის სახლში იყვნენ შეკრებილნი სატრაპეზოდ, ჭერის ჩამონგრევას ემსხვერპლნენ — ჭერი უდაბნოდან მონაბერმა ძლიერმა ქარმა ჩამოანგრია. უსაზღვრო იყო იობის მწუხარება. გლოვის ნიშნად, მან თავი გადაიპარსა და მოსასხამში გაეხვია. მწუხარების მიუხედავად, ღვთის საგმობი სიტყვაც არ დასცდენია; პირიქით — ესოდენ განსაცდელის ჟამსაც არ შეუწყვეტია უფლის დიდება — მიწაზე პირქვე დაემხო, თაყვანი სცა ღმერთს და შეჰღაღადა: „შიშველი მოველ დედისაგან ჩემისაგან, შიშველი მივალ დედისა ჩემისა მიწისა მიმართ. უფალმა მომცა, უფალმა წამგვარა. იყავნ სახელი უფლისა კურთხეული ამიერითგან და უკუნისამდე“.

არც ამით დაკმაყოფილდა ბოროტი სული: „ვიდრე თვითონაა უვნებელი, არ გგმობს, თუ თვით მას შეეხება უბედურება, გმობას შეგკადრებს“, — მიმართა უფალს. ღმერთმა ეშმაკი იობზე მიუშვა: „უფლება გაძლევ, გააკეთო, რაც გინდა, ოღონდ სულს ნუ შეეხები“, — აუწყა ბოროტ სულს. სატანამ საშინელი სნეულება შეჰყარა — იობი კეთრით დაავადდა. ყველას მიერ პატივცემული კაცი არათუ ნაცნობებმა, თითქმის ყველა მეგობარმაც მიატოვა; ახლოს არავინ ეკარებოდა. ცოლიც კი დღენიადაგ საყვედურობდა: „სად არის შენი სარწმუნოება და მართალი საქმე, რატომ არ გშველის ღმერთი? ჯობს, გმო იგი, იქნებ ბოლო მაინც მოგიღოს“. ვერაფერმა გატეხა იობის ღვთისმოშიშება და ერთგულება. არათუ გმობა, ერთი სასაყვედურო სიტყვაც არ დასცდენია ღვთის მიმართ.

რამდენიმე ხნის შემდეგ, იობის განსაცდელის შესახებ მისმა სამმა მეგობარმა შეიტყო. ისინი მის მოსანახულებლად გაემართნენ. იობის გაუსაძლისი ტანჯვის ხილვით შეძრწუნებული მეგობრები, გულწრფელად თანაუგრძნობდნენ მას. მეგობრებს დაებადათ აზრი, რომ იობი ცოდვების გამო ისჯებოდა; ამის შესახებ მასაც ამცნეს და ურჩიეს, ცოდვები მოენანიებინა. ცოდვათა გამო კი არ ვისჯები, ეს სატანჯველი უფალმა გამოსაცდელად მომივლინაო, — უპასუხა ღვთის ერთგულმა მონამ. მეგობრებმა არ დაუჯერეს. იობმა ღვთის წინაშე ლოცვა აღავლინა და შემოქმედს შესთხოვა, მისი სიმართლე დაემტკიცებინა. ღმერთი ქარიშხლის სახით გამოეცხადა და უსაყვედურა იმის გამო, რომ ღვთის განგების განჭვრეტა ინება.

გულწრფელად მოინანია უფლის რჩეულმა შეცოდებანი. მას შემდეგ მხოლოდ განადიდებდა ღმერთს და მადლობას სწირავდა. ამგვარი დათმენისა და ერთგულების სანაცვლოდ, კვლავ მრავალი სიკეთე მიჰმადლა უფალმა იობს ჯილდოდ: ის სრულიად გამოჯანმრთელდა, უწინდელზე მეტად აღივსო მიწიერი სიმდიდრით და კვლავ ათი შვილი შეეძინა — შვიდი ვაჟი და სამი ასული.

ამის შემდეგ იობმა 140 წელი იცოცხლა. იგი 248 წლისა მიიცვალა.

ეკლესიური სწავლებით, მართალი იობი იყო წინასახე განკაცებული უფლისა, იესო ქრისტესი, რომელიც მოვიდა დედამიწაზე, ევნო, ეწამა ცოდვილი კაცობრიობის ხსნისთვის, შემდეგ კი დიდებით ამაღლდა ზეცად.

# სილამაზე, რომელიც გულს აგიჩქროლებს...



მანქანების გამონაბოლქვით გამურული თბილისის შემდეგ, აქ მოხვედრა მართლაც, სასწაული გეგონებათ. ბედნიერებაა ამ მადლიან მიწაზე ფეხის დადგმა, ბედნიერებაა ამ წმინდა მონასტრის მოლოცვა...

## ეკა ესართია

მარტვილიდან მონასტრისკენ ვიწრო გზა მიიკლაკნება...

თავად მონასტერი, წარმართული ტაძრის საძირკველზეა აგებული. აქ ძველად დიდი მუხის ხე ყოფილა — დიდი ჭყონი, სადაც დედები ჩვილ ბავშვებს სწირავდნენ მუხის კერპს, თან მოთქვამდნენ — მა რვილი (მე მოგკალი). სწორედ აქედან მოდის სახელწოდება — მარტვილი.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ მონასტრის ეზოსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე საერთოდ არ ხარობს მუხა, ალბათ წარსულში, წარმართულ ბომონს შეწირულ ჩვილ ბავშვთა სისხლმა მოსრა მუხის სახსენებელი.

როდესაც აქ, ანდრია პირველწოდებულმა იქადაგა ქრისტიანობა, მუხა მოაჭრევინა, მოქცეულმა ქრისტიანებმა დიდი ჭყონის ქურუმები გააძევეს. დიუბუას აზრით, სწორედ საკერპო ადგილას ააშენეს ტაძარი, რომელიც VII საუკუნით თარიღდება. ტაძარი ჯვრის ფორმისაა, მაგრამ მცხეთის ჯვრისგან განსხვავებით, მის არქიტექტურულ და მხატვრულ გაფორმებაში შეტანილია ორიგინალური ხაზი, რომელიც VI საუკუნის დასასრულსა და VII საუკუნის დასაწყისში არსებობდა საქართველოში. გადმოცემით, სამსხვერპლოს სვეტის ნან-



# ფცხოეთის ცის ქვეშ

## წერილი მეხუთე

წინამორბედი წერილები იხ. „გზა“, №16-19

## გიორგი მახარაძე

### ფერეიდანი

მაჰმადიანური სპარსეთის ულმობელმა გამგებელმა შაჰ-აბას პირველმა არაერთი ლაშქრობა მოაწყო საქართველოზე. ერთ-ერთი შემოსევის დროს, XVII საუკუნის დასაწყისში მარტო კახეთიდან (უმთავრესად, გარე კახეთიდან) აყარა და ირანის სხვადასხვა რაიონში გაასახლა 130 ათასზე მეტი ქართველი. ირანის და კერძოდ, დღევანდელი ფერეიდნის ახალგაზრდა მკვლევარი შარაშენიძე შენიშნავს, რომ „გურჯის“ შემცველი ბევრი სოფლის სახელწოდებაა ირანის სხვადასხვა რეგიონში — ირანის აზერბაიჯანში, ქურთისტანში, ლურისტანში, ხუზისტანში, ფარსში. ისიც დასტურდება, რომ ამ რაიონების უმეტეს ნაწილში ოდესღაც ქართველი მოსახლეობა ცხოვრობდა.

მხოლოდ ფერეიდნის ქართულმა დასახლებამ შეინარჩუნა მშობლიური ენა და ტრადიციები.

პირველი ცნობები ფერეიდნელ ქართველთა შესახებ დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელის მიერ 1640 წელს რომში გაგზავნილ რელაციაშია მოყვანილი: „დაახლოებით 30 წელი იქნება, რაც სპარსთა ხელმწიფემ შაჰ-აბასმა განსაკუთრებით გაანადგურა ქართლ-კახეთი. მან მთელი კახეთის მკვიდრნი აჰყარა და სპარსეთის პროვინცია ფერაბადში გაადასახლა“.

სერ ოსტინ ჰენრი ლეიარდი, რომელმაც ფერეიდნის ტერიტორიაზე 1840 წელს გაიარა, წერდა: „ჩვენ ახლა შევედით ფერეიდანის ანუ ფერეიდუნის მხარეში, რომლის უდიდესი ნაწილი ბახტიართა დიდ მთავარს მუჰამედ თაგი ხანს ეკუთვნის. შევჩერდით მის მთავარ სოფელში... აქ ცხოვრობდა ჯერ კიდევ შაჰ-აბასის მიერ შექმნილი ქართველთა კოლონია. აქაურმა ქრისტიანებმა მშობლიური ენა და რელიგია შეინარჩუნეს. ეს იყო შრომისმოყვარე ხალხი, და ხეხილის ბაღებით გარშემორტყმულ მათ სოფლებს აყვავებული სახე ჰქონდა. ქრისტიანთა ცნობა მაშინვე შეიძლებოდა, რადგან მათი ნაკვთები განსხვავდებოდა მეზობელი მოსახლეობისაგან. ქალები უჩადროდ დადიოდნენ და ბევრი მათგანი საოცრად ლამაზები იყო“ (უნებლიეთ მომაგონდა XX საუკუნის ცნობილი გერმანელი ხელოვნებათმცოდნის ვილკენმანის სიტყვები: „ახლაც ხომ არსებობს ზოგიერთი ხალხი, რომლებთანაც სილამაზე უპირატესობად არ მიიჩნევა... მოგზაურები ამას ერთსულოვნად ამბობენ ქართველებზე“).



XX საუკუნემდე, უფრო ზუსტად, XIX საუკუნის დასასრულამდე ჩვენში, საქართველოში, შეიძლება ითქვას, ზერელედ იცოდნენ ფერეიდნელ ქართველთა ბედის, მათი ყოფის შესახებ.

ფერეიდნელ ქართველთა ამბის გამომზეურებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში სტუმრად ჩამოდიოდნენ იქაურები

გრევები საუკუნეების მანძილზე ეყარა შესასვლელში და იქ მისული მლოცველი, ნიშნად წარმართობის შეჩვენებისა, სანამ ტაძარში შევიდოდა, ჯერ ამ ნამსხვრევებს დაჰკრავდა ფეხს.

აქაურ მუხის ქურუმებს ჭყოინდარებს უწოდებდნენ, ქრისტიანული ეკლესიის მსახურებს კი ჭყონდიდელები ეწოდებოდათ.

ეს მონასტერი იყო საქართველოს პირველი ვეზირების — ჭყონდიდელების რეზიდენცია. დავით აღმაშენებლის აღმზრდელი, გიორგი ჭყონდიდელი (1090-1118 წ.წ.) პირველი ვაზირთუპირველესი იყო. ტაძარში დაცულია ოთახი, სადაც დავით მეფე მარხვის განმავლობაში ცხოვრობდა, აქ იღებდა გიორგი ჭყონდიდელსაც და აქ წყდებოდა საქართველოს სვე-ბედი.

მონასტერში იყო მამათა ლავრა, ფუნქციონირებდა კრიპტერია — წიგნის გადამწერ ბერთა სამყოფი, აქ მოღვაწეობდა X საუკუნის ცნობილი ჰიმნოგრაფი იოანე მინჩხი.

მონასტერი მურვან ყრუს ლაშქრის შემოსევისას აუოხრებიათ, აქაურობა ცხენების თავლად უქცევიათ, წასვლისას კი გადაუწვავთ და ისე გაუნადგურებიათ, რომ X საუკუნეში აფხაზთა მეფემ გიორგიმ, ხელახლა აღაშენა.



ანდრია პირველწოდებული

მარტვილის მონასტერი ისეთი ძლიერი კულტურული და რელიგიური კერა ყოფილა, რომ ბაგრატ IV-ეს აურჩევია, გიორგი მთაწმინდელის სამოღვაწეოდ და თავის საძვალედ.

დიდი თურქობის დროს, 1080 წელს, მონასტერი სასტიკად ააოხრეს, ამიტომაც დაიკარგა ბაგრატ IV-ის საფლავიც.

ამჟამად, მეუფე პეტრეს ლოცვა-კურთხევით, დიდი აღმშენებლობითი სამუშაოა გაჩაღებული, მიმდინარეობს თვით ტაძრის რეკონსტრუქცია, ამასთან ერთად, შენდება დედათა და მამათა მონასტრები, აგრეთვე — სასტუმრო ოთახები მომლოცველი სტუმრებისთვის. აღდგომის მარხვისას მონასტერს 50-მდე მორწმუნე სტუმრობდა.

მეუფის ლოცვა-კურთხევით, მონასტერში ფუნქციონირებს აგრეთვე, ფუტკრის მოვლის უსასყიდლო სემინარები, სადაც ნებისმიერ მსურველს 10 დღის განმავლობაში ასწავლიან ამ საქმის ძირითად პრინციპებს, წარმატებულ მოწაფეს კი საჩუქრად, ერთი ოჯახი სკა გადაეცემა. ამ გზით აპირებს მეუფე მარტვილში ფუტკრის გამრავლებას.

P.S. *არასდროს დამავიწყდება მეუფის საოცრად თბილი, ტკბილი და მადლიანი გამომეტყველება, მონასტრის წინამძღვრის, მამა ილიას გულიანი მასპინძლობა, თაფლის სურნელით გაჟღენთილი კელიები, საოცარი ბაღი, სადაც ფარშავანგი, შვლის ნუკრი, კურდღლები, ფუტკრები ბინადრობენ... ყველაფერი ბუნებრივია და უბრალოც, მაგრამ ენა რომ ვერ აღწერს, ისეთი ლამაზი. უნდა მოხვიდე და შენი თვალით ნახო ეს მიწიერი წალკოტი და მწვანედ აფეთქებული ხედები, რომლებიც ნებისმიერ ადამიანს გულს აუჩქროლებს...* ■

## თანამემამულენი



ფერეიდუნშაჰრი (მარტვილი)

— იოათამ ონიკაშვილი, ყოლამ-რეზა ხუციშვილი და ყოლამ ხოსეინ ონიკაშვილი, მოჰამედ მაყაშვილი და მისი სიძე ნასრულა, სეიფოლა ხან იოსელიანი, რომელმაც საქართველოში რამდენიმე თვე დაყო (მონათხრობი მათ შესახებ „გზის“ 2008 წლის მე-3 ნომერში შეგიძლიათ იხილოთ).

„კარგა ხანია ტრიალებდა ხმა ჩვენს საზოგადოებაში, რომ ვითომ სადღაც, იქ, შორს სპარსეთის სამფლობელოში არის ქართველთა მოსახლეობა. ხოლო რა მოსდგამთ მათ ქართველის და რის მიზეზით შეიძლება იწოდებოდნენ იგინი დღემდე ქართველებად — ამისი საზოგადოებამ სინამდვილით არა იცოდა რა. საჭირო იყო მათი ადგილობრივი ნახვა, ადგილობრივი შემოწმება ყოველივე ამ ხმებისა, რომ ქართველებს ჰქონდა ხელთ მათ შესახებ ნამდვილად უტყუარი ცნობები და მისდა გვარად შეიძლებოდა შესაბამისი მოქმედება. აი, ამ მიზნით განვიზრახე მე იქ წასვლა და დავყავი სრული ერთი წელიწადი“, — წერს ცნობილი საზოგადო მოღვაწე და ლოტბარი ლადო აღნიაშვილი, პირველი ქართველი, რომელმაც საფუძვლიანად აღწერა ფერეიდნელთა ყოფა-ცხოვრება 1896 წელს, ტფილისში გამოცემულ წიგნში „სპარსეთი და იქაური ქართველები (მგზავრის წერილები)“. აღნიაშვილი იქ საკუთარი ინიციატივითა და ხარჯებით გაემგზავრა.

დიდი ამაგი დასდო ფერეიდნელთა ცხოვრების შესწავლის საქმეს სპარსული ლიტერატურის ცნობილმა მთარგმნელმა ამბაკო ჭელიძემ, რომლის წიგნი „ფერეიდნელი ქართველები“ ორჯერ გამოიცა: 1936 და 1951 წლებში. თუ აღნიაშვილი იყო პირველი ქართველი, რომელმაც საერთოდ, ფეხი დადგა ფერეიდნის მიწაზე, ჭელიძე ასევე პირველი ქართველი გახლდათ საბჭოთა საქართველოდან, ვინც ინახულა ფერეიდნელი ქართველობა.

„ფერეიდანი მაღალმთიანი ადგილია, 2500 მეტრის სიმაღლეზე, ბასთიარიის მთებში, ირანის უძველეს დედაქალაქ ისპაჰანიდან (იგი სატახტო ქალაქად გამოაცხადა შაჰაბას პირველმა 1598 წელს) დაახლოებით 100 კილომეტრზე, ხოლო დღევანდელ დედაქალაქ თეირანისაგან 700 კილომეტრზე მდებარეობს. ფერეიდანში ჰაერი ძალიან წმინდა და საღი, წყალი — მშვენიერია“, — წერდა ლადო აღნიაშვილი.

ფერეიდნის ქართველებით დასახლებული 12 სოფელი 1979 წელს ორად გაყვეს: ფერეიდნის ანუ დარანის შაჰრესთანად (ქვეგუბერნია, პროვინცია), 7 ქართული სოფლით: ბუინი, მიანდაშთი, აფუსი (რუისპირი), აღჩა, დაშქესანი, შაჰიურდი (ეს პროვინცია უფრო ქვემოთ, ისპაჰანისკენ მიმავალ გზაზეა) და ფერეიდუნშაჰრის (ახორე ბალა ანუ ზემო მარტყოფი; ახალი სახელწოდება 1966 წლიდან დაერქვა) შაჰრესთანად: საკუთრივ ფერეიდუნშაჰრი (ზემო მარტყოფი), ჩუღრუთი (ჩუღურეთი), სიბაქი (ვაშლოვანი), ჯაყჯაყი, ხონგი. მარტყოფსა და მის ზემოთ ხეობაში განლაგებულ სოფლებში — სიბაქში (ვაშლოვანი) ჩუღრუთსა და ჯაყჯაყში ქართული უკეთ არის შენახული. პროფესორი ჭიპაშვილი შენიშნავს, ფერეიდუნშაჰრი, ქართველებით დასახლებულ პუნქტებს შორის ყველაზე დიდი და ხალხმრავალია. 1976 წლის აღწერის მიხედვით, მისი მოსახლეობა 6100 სულს აჭარბებდა დღეს 10000 კაცამდე ცხოვრობს. მათი უმრავლესობა — ქართველია.

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*



# ჯვრის საიდუმლო...

**დასაწყისი იხ. „გზა“, №4-19**

**სვეტა კვარაცხელია**

სუნთქვაშეკრულმა ავიღე ყურმილი.

— გისმენთ.

— სოფიო, შენ ხარ, გენაცვალე? — ანიკოს შეწუხებული ხმა ჰქონდა.

— დიახ, მე ვარ, ქალბატონო ანიკო. როგორ ბრძანდებით?

— ეჰ, ბრძანებამდე ბევრი მიკლია, საყვარელო. შენ როგორ ხარ?

— რა ვიცი, გმადლობთ...

— ნახვა მინდოდა შენი, სალაპარაკო მაქვს.

— ...

— როდის გეცლება?

— როცა მეტყვით, ქალბატონო ანიკო.

— როგორც გავიგე, არ მუშაობ. იქნებ, ხვალ გამომიარო?

რაღაც მენიშნა.

— ვინ გითხრათ, რომ არ ვმუშაობ?

— ვინ მეტყოდა, ვაჟბატონმა გამომიცხადა გუშინ. ნასვამი იყო და წამოსცდა, თორემ სხვა დროს კრინტს არ დაძრავდა.

— ნასვამი?

— ნასვამი, ნასვამი და ეგ არის ყველაზე დიდი უბედურება. ამ ბოლო ხანებში სმას მოუხშირა, მთლად გადარია იმ გოგომ.

გულის არეში ჩხვლეტა ვიგრძენი, თითქოს თვალთ დამიბნელდა.

— რა მოხდა ამისთანა, რატომ იჩხუბეთ, გენაცვალე, რა ვერ გაიყავით შენ და ბექამ?

— არ გვიჩხუბია, ქალბატონო ანიკო, უბრალოდ... — შევყოყმანდი, არ ვიცოდი, რა მეთქვა.

— მანაც ასე მითხრა და არ დავუჯერე. აბა, რა დაგემართათ? ტელეფონით რა გელაპარაკო... მოკლედ, ხვალ გელოდები, თორმეტისთვის მოახერხებ მოსვლას?

— რა თქმა უნდა, აუცილებლად მოვალ.

— კარგად იყავი, შვილო, კარგად, — ამოიოხრა ანიკომ და ტელეფონი გათიშა.

— რაო, რა მინდაო? — ცნობისმოყვარე თვალებით ამომხედა გიზელამ.

— ბექაზე უნდა გელაპარაკოო, — მხრები ავიჩეჩე.

— ჰოდა, ძალიანაც კარგი. ბიჭი მთლად ამოვარდა კალაპოტიდან. ასე არ შეიძლება. ახლა მას შენ გარდა ვერავინ უშველის, სოფიო, როგორმე უნდა მოაბრუნო აქეთკენ.

— მე უძლური ვარ, გოგოებო, არაფრის შეცვლა არ შემიძლია, — თვალები ცრემლით ამევსო.

— მოიცა, რა, სისულელეებს ნუ გაიძახი. შენ მოინდომე და რა შეგიძლია, მაგას ვნახავთ, — წამოიძახა ნათიამ, — შენნაირი ქალისთვის დაბრკოლებები არ არსებობს. ვერ ხედავ, ფეხქვეშ როგორ გეგებიან მამაკაცები?

— რაღაც ვერ ვხედავ, ვისზე გაქვს ეჭვი? — აცრემლებულს გამეღიმა.

— ყველაზე. გელაა და სულ შენზე ლაპარაკობს; ვაჟამ ხომ ყურები გამომიჭედა შენი ქებით, აღფრთოვანებულია; სანდროს რაც ემართება, ჩემზე უკეთ ხედავ და ბექაზე საერთოდ არ მაქვს ლაპარაკი. მეტი რა გინდა? ეს ზღვაში წვეთია, მხოლოდ ისინი, ვისთანაც მე მიწევს შეხება და წარმომიდგენია, გარეთ რა ხდება... — თითების მოკაკვით ჩამოთვალა ნათიამ „სავარაუდო კანდიდატები“.

— ასე რომ, თავი მაღლა ასწიე და საქმეს მიხედე, — გიზელა წამოდგა, — წავალთ ახლა ჩვენ, დაგასვენებთ. ხვალ მძიმე რაუნდი გელის.

ღიმილი ვერ შევიკავე. მადლობა გადავუხადე გოგოებს სტუმრობისთვის და მანქანამდე მივაცილე.

დილით საგანგებოდ გამოპრანჭული მივადექი ბექას დედას. შაბათი კი იყო, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, ბექა შინ არ დამხვდებოდა, თორემ ანიკო ამ დროს არ დამიბარებდა. მართალი გამოვდექი, მორიგე ყოფილა.

ანიკო თბილად გადამეხვია, მზრუნველად გადამისვა თმაზე ხელი. ლამაზი თვალები სევდით ავსებოდა, სახეც მოჰბერებოდა თითქოს.

— რა კარგი ხარ, შენ შემოგევლე, რა საყვარელი, — თითქოს სინანული ისმოდა ქალის ხმაში.

— რაღაც ვერ გამოიყურებით ძველებურად, ხომ ჯანმრთელად ხართ? — მოკრძალებით ვკითხე.

— ე-ეჰ, ჩემი შვილის ხელში კიდევ კარგად ვარ. ისე მამწარებს ბოლო ხანებში, არ ვიცი, რა წყალში გადავვარდე, — ამოიოხრა ანიკომ და შალმოხვეული დივანზე დაჯდა, ჩემ გვერდით.

მე ხმას არ ვიღებდი, უხერხულობისგან ხელები სად წამეღო, არ ვიცოდი. ვაჭიანურებდი ლაპარაკის დაწყებას, ან რაზე უნდა მელაპარაკა? შეფიქრიანებულმა კარგა ხანს მიყურა და მერე თვითონ წამოიწყო საუბარი.

— მაინტერესებს, რა ხდება. რა ბზიკმა გიკბინათ ან ერთს, ან მეორეს? რატომ გადაეკიდა ჩემი ბიჭი მაგ ტვინნაღრძობ ქალს, ამის მიზეზი ვერ გამიგია. იქნებ ამიხსნა, სოფიო?

დავიძაბე. როგორ ვუთხრა, რაც მოხდა, ამას ხომ ვერასდროს ვერავის ვეტყვი, რა მოვიგონო?

— ისეთი არაფერი, ქალბატონო ანიკო, ალბათ არ ვიყავი ბოლომდე ჩემს თავში დარწმუნებული, ამიტომაც დროებით უარი ვუთხარი შეხვედრებზე.

— დარწმუნებული არ იყავი? მე რომ საწინააღმდეგოს მიმტკიცებდი? — ეჭვის თვალით შემომხედა ქალმა. — მას მერე განა რამე შეიცვალა? როგორც ჩანს, რაღაც სერიოზული მოხდა, სოფიო, თორემ...

— არა, არა, მსგავსი არაფერი ყოფილა, დამიჯერეთ, უბრალოდ, ცოტა დრო მჭირდება, რომ... — თავის დაძვრენა ვცადე.

— ბექას უყვარხარ, შვილო. ეს ისე ვიცი, როგორც ორჯერ ორი რომ ოთხია. გულის გადასაყოლებლად დადის იმ ქალთან, უნდა, ამით რაღაც დაგიმტკიცოს, მაგრამ თვითონაც ვერ ხვდება, რამხელა შეცდომას უშვებს. მთლად აირია ბიჭი. შენ არ იცი, რა დღეშია. ნანკას საწინააღმდეგო კი არაფერი მაქვს, მაგრამ ვხედავ, რომ იმ ქალს არ უყვარს, მის თვალებში მხოლოდ ანგარებას ვხედავ და სხვას არაფერს. ეს არ მინდა, გესმის?! დარდისგან აღარ ვარ. ისედაც

მოწამლული მაქვს ცხოვრება, ვერ გავიხარე, შვილის გარდა არაფერში გამიმართლა. ახალგაზრდობა ხომ გამიმწარდა, უსიყვარულოდ გავთხოვდი, სიყვარული მეწვია და ვერ შევიშნე, შიშმა მძლია, ოჯახის დანგრევის შიშმა და მაინც ვერ შევინარჩუნე ქმარი. ამ სიბერეში თითქოს ცოტა გამოსწორდა სიტუაცია. ის-ის იყო, ვიფიქრე, ბიჭი შეყვარებულია, ცხოვრებას აიწყობს და სიბერე მაინც მექნება ტკბილი-მეთქი, რომ ყველაფერი რადიკალურად შეიცვალა. მეყოფა, რაც სიმწარე ვნახე, აღარ მინდა კიდევ ერთი ტკივილის გადატანა. დაგვღუპავს ის გოგო. რა ვქნათ, რით ვუშველოთ ამ საქმეს?

თავი ავწიე და ანიკოს თვალებში შევხედე.

— ბექა პატარა ბიჭი აღარ არის, ქალბატონო ანიკო, მან იცის, რასაც აკეთებს. იქნებ მისთვის ასე ჯობს?! იქნებ, ამ ეტაპზე სჭირდება კიდეც ნანკასთან ურთიერთობა?! მოვა დრო და გადაუვლის. მერე ვინმე ნორმალურს შეხვდება და...

— ამას ჩემს დასამშვიდებლად ამბობ, არა? ნუ, სოფიო, ნუ. შენ არ იცი, რა ხდება. არაფერიც არ გადაუვლის. იცი, წუხელ რატომ დაგირეკე? მთვრალი მოვიდა, გალეშილი. დამსვა და მელაპარაკა. ჯერ შენზე მითხრა, სამსახურიდან მიდისო; მერე — ნანკა ორსულად არის და ახლა შენ მირჩიე, როგორ მოვიქცე — აბორტი გავაკეთებინო თუ ცოლად მოვიყვანოო, გაიგე? ეს არის, რომ მკლავს. ის გოგო ყველაფერს აკეთებს, ბექას თავგზა რომ აუბნიოს. შვილი მეღუპება და ვერაფერს ვშველი. აი, ეს არის უბედურება.

ამის გაგონებაზე თითქოს ურო ჩამარტყეს თავში. ჩემდა უნებურად, კვნესა აღმომხდა.

— ამიტომ დაგიბარე, ჩემო კარგო, ამიტომაც მინდოდა შენი ნახვა. რას მირჩევ, რა მოვიმოქმედო? ჩემს ადგილას რომ იყო, როგორ მოიქცეოდი? იმ ქალს ასი კაცი ჰყავს გამოცვლილი, ეს დანამდვილებით ვიცი. რაღა მაინცდამაინც ჩემს შვილს დაადგა თვალი? ერთი წესიერი გოგო გაწყდა ჩემი ბექასთვის?

— ქალწული არც მე ვარ, ქალბატონო ანიკო, — დავიწყე კარტების გახსნა, სხვა გამოსავალი არ მქონდა, — მეც მყოლია მამაკაცი წარსულში.

— ეგ სხვა ამბავია, გენაცვალე. მაგას არ ვგულისხმობ. რა გასაკვირია, გასათხოვარ ქალს საყვარელი მამაკაცი ჰყავდეს?!. სიყვარულის გამო ქალი მსხვერპლს ყოველთვის იღებს. მე გათხოვილს მყავდა საყვარელი მამაკაცი, მერე რა? ამას არ ჰქვია ბოზობა. აქ სხვა რამეზეა ლაპარაკი. სულით არ უნდა იყო ბოზი, სულით. იმ ქალის თვალებში ისეთ რამეს ვკითხულობ, რაც ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის მიუღებელია. ის ვერასდროს იქნება კარგი ცოლი, ყოველთვის უღალატებს ჩემს შვილს და არა მარტო ცოლქმრობაში, ყველაფერში. მას ბექა შირმად სჭირდება მხოლოდ. ეს მანადგურებს, ჩემო სიხარულო. შენ სხვა ხარ, შენგან უდიდესი სითბო, საოცრად დადებითი მუხტი მოდის. ვიცი, როგორიც ხარ და ამიტომაც მომწონხარ.

თავდახრილი ვუსმენდი ანიკოს აღსარებას.

— გარდა ამისა, ერთი ეჭვიც გამიჩნდა: ჩვენ შორის დარჩეს, იცოდე, — ხმა გაუმკაცრდა ანიკოს; მივხვდი, დიდ საიდუმლოს მანდობდა, — არა მგონია, ნანკა ორსულად იყოს. ორი წლის წინ, როცა ბექა ჯერ კიდევ არ იყო, ასე ვთქვათ, „დადუღებული“ და წარამარა



ქალებში დარბოდა, ჯანმრთელობის მხრივ მცირე პრობლემები შეექმნა. როგორც ჩანს, რაღაც ინფექციური დაავადება აიკიდა. მერე იმკურნალა კიდეც, მაგრამ ანალიზები რომ გაიკეთა, უთხრეს, — უფრო სერიოზული მკურნალობაც გჭირდება; წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება, შვილი ვერ გაგიჩინოს ცოლმაო. ორმოცდღიანი კურსი დაუნიშნეს, თუმცა მკურნალობა არ ჩაუტარებია. მას შემდეგ რა უნდა შეცვლილიყო? ორი წლის მანძილზე ხომ უფრო გაუუარესდებოდა მდგომარეობა?!. მგონია, რომ ის გოგო იტყუება, ბექას გამოჭერა უნდა. იცის, როგორი მგრძნობიარეა და ამით სარგებლობს.

— ღმერთო ჩემო, ასეთი ტყუილის თქმა როგორ შეიძლება? — აღმომხდა. — როგორ გაბედავდა ამას, ქალბატონო ანიკო?

— ო-ო-ო! შენ არ იცნობ, როგორია. ბოროტი ნაპერწკალი უელავს თვალებში. მისგან ყველაფერია მოსალოდნელი. არ გამიკვირდება, ასე რომ იყოს, მაგრამ როგორ გადავამოწმო? რამდენიც უნდა ვუჩიჩინო ბექას, მიდი ექიმთან და გაესინჯე-მეთქი, არ დამიჯერებს, ისეთი თავისნათქვამაა; იუკადრისებს და თავს შეურაცხყოფილად მიიჩნევს. რა მოვიფიქრო, აღარ ვიცი...

— იქნებ ის მაინც გაარკვიოთ, რომელ პოლიკლინიკაში ან საავადმყოფოში დადის? ვინ არის მისი გინეკოლოგი?

— მაგას ვინ გამაგებინებს, გენაცვალე! გგონია, პირს მოაღებს და რამეს იტყვის, მით უმეტეს, თუ მართლა ტყუის?!

— და თუ არ ტყუის?

— მით უარესი მაშინ. ყველაფერს იღონებს, რათა ბექას შინ დაუჯდეს. თუ ტყუილს ამბობს, მაშინაც არ გაუჭირდება თავისი ნათქვამის დამტკიცება. ეყოლება ნაცნობი გინეკოლოგი და ცნობის გაკეთებას რა უნდა დღევანდელ პირობებში? გადაუხდის ფულს და მორჩა, რა პრობლემაა?!.

— ჰო, რა თქმა უნდა...

— რატომ უნდა იყოს ჩემი შვილი ასეთი გაუგონარი, ასეთი თავნება? ფუფუნებაში მე არ გამიზრდია, არც მამამისს მოუკლავს თავი მისი განებივრებით. რატომ არ ესმის ჩემი? ასე მგონია, ბოლო ხანებში უფრო და უფრო დავშორდით ერთმანეთს. სანამ პატარა იყო, კაბის კალთაზე მყავდა გამობმული, თვალებში შემომყურებდა, ჩემი სიტყვა კანონი იყო მისთვის. გაიზარდა და... ეჰ, ასეა, ასე. შვილი მანამ არის შენი, სანამ შენზეა დამოკიდებული. ახლა უკვე გვიან არის. მე კი მის გამო ავიწეწე ცხოვრება, მის გამო დავისაჯე თავი და ხელი ვკარი კარს მომდგარ ბედნიერებას. ამას გამიგებს ბექა? — რა თქმა უნდა, ვერა.

— მე ის ვნახე, ქალბატონო ანიკო, — ველარ მოვითმინე და წამომცდა.

— ვინ? — გაკვირვებით შემომხედა ანიკომ. — ნანკა?

— არა, არა... ბიძინა... — ვთქვი და სიმწრის ოფლმა დამასხა.

ქალს სახე გაუფითრდა და ტუჩები აუკანკალდა.

— ბიძინა?.. ვინ ბიძინა? — ჩურჩულით თქვა და ნახევარი ტანით ჩემკენ შემობრუნდა.

— მაპატიეთ, ამას რომ გეუბნებით... ის ჩემი ნათლიაა, მამაჩემის მეგობარი. დიდი ხანია, ერთმანეთს ვიცნობთ... ვმეგობრობთ კიდეც... ყველაფერი მომიყვა თქვენზე...

— მამაშენის მეგობარი? ვინ არის მამაშენი?

— თქვენ არ გეცოდინებათ, ის მოსკოვშია.

— ვეჭვობ, ჩვენ ერთსა და იმავე პიროვნებაზე ვლაპარაკობდეთ. ალბათ რაღაც გეშლება, სოფიო, — მას არ სურდა, დაეჯერებინა, რომ მისი ცხოვრების მამაკაცს ვიცნობდი.

— არ მეშლება... ის ავად არის. მარტო ცხოვრობს, სულ მარტო... მიმხედავი არავინ ჰყავს, როგორც თქვენ მითხარით. ხანდახან და დისშვილები აკითხავენ ხოლმე. მეც დავდივარ. მან მომაწყო სამსახურში. ახლახან ფეხი იღრძო, წევს. გუშინ ვინახულე და სრულიად შემთხვევით მელაპარაკა თქვენზე, არც იცოდა, მე თუ გიცნობდით. არ ვცდები, იმიტომ, რომ ყველაფერი ემთხვევა... მაპატიეთ, მაგრამ ჩემი ბრალი არ არის, რომ უკვე ყველაფერი ვიცი.

ანიკოს ნიკაპი აუკანკალდა, ხელებიც აუცახცახდა. კარგა ხანს იჯდა ხმის ამოუღებლად, უაზროდ მისჩერებოდა კედელზე ერთ წერტილს, თითქოს გაქვავებულიყო. მერე, დიდი ხნის მერე, შეირხა და უმეტყველო მზერა ჩემზე გადმოიტანა.

— ისევ იქ ცხოვრობს?

— დიახ.

— ძალიან ცუდად არის?

— არა, ძალიან ცუდად არ არის, მაგრამ... თავისი ბაღი აქვს, ყვავილებს უვლის. იმაზე წუხს, რომ რამდენიმე დღე ვერ შეძლებს ფეხზე წამოდგომას, ძალიან აქვს კოჭი გასივებული.

— ყვავილებს... — თითქოს ოცნებას გაეპასუხა ანიკო, თვალები მაღლა აღაპყრო. — მუქი წითელი ვარდებით ექნება ეზო მოფენილი.

— ჰო, ეგეთი ძალიან ბევრია... — გამეღიმა.

— რაო, რა თქვა ჩემზე?

— რა ვიცი... თქვენი სიყვარულის ამბავი მომითხრო. მას ახლაც უყვარხართ, ქალბატონო ანიკო, თქვენ მერე სხვა ქალზე არც უფიქრია, ამიტომაც დღემდე უცოლოა.

— იმედია, დღესაც მე არ მელოდება, — გაღიმება სცადა ქალმა.

— თქვენ წარმოიდგინეთ, გელოდებათ. მითხრა, ასე მგონია, ერთ მშვენიერ დღესაც, კარი გაიღება და ანა შემოვა ოთახშიო.

— ასე თქვა?

— ზუსტად ასე, — ვთქვი და ვიგრძენი, როგორ დავმშვიდდი. მან უკვე ყველაფერი იცოდა. მივხვდი, რომ ასე უნდა მოვქცეულიყავი, მას უნდა სცოდნოდა სიმართლე.

— სოფიო, მამტყუნებ? — მკითხა უცებ.

— რაში?

— მასთან მიმართებაში მტყუანი ვარ? შენი აზრით, სწორად მოვიქეცი?

— არ ვიცი, ვერ გეტყვით... არ მიფიქრია ამაზე, — დავიბენი.

— მაშინ სხვა გამოსავალი არ მქონდა. სხვა გზა არ დამიტოვეს — არც მან და არც ჩემმა ქმარმა. რჩევის მომცემიც არავინ მყავდა, სასოწარკვეთილი ვიყავი, თანაც — უზომოდ ამაყი. ვერ გადავაბიჯე ჩემს სიამაყეს. მერე კი ვინანე, მაგრამ გვიანი იყო უკვე.

— გვიან არასდროს არის ქალბატონო ანიკო, არასდროს, — მტკიცედ ვთქვი.

— შენ ამბობ ამას? შე-ენ? თუ ასეა, მოაბრუნე ჩემი შვილი, სანამ გზიდან გადაჩეხილა, — თითქოს გამოცოცხლდა.

— არა, არ შემიძლია. მე არ ვიმსახურებ მის სიყვარულს, მე...

— მას შენ უყვარხარ, გოგონი, დაიმახსოვრე ეს.

— ვიცი, ვიცი, მაგრამ მაინც არ შემიძლია. მე დამნაშავე ვარ მის წინაშე და ამ დანაშაულს ვერანაირად გამოვისყიდი.

— რატომ გგონია, რატომ? განა რა მოხდა ისეთი, რატომ არ მეუბნები?

ღრმად ამოვიოხრე, თავი დავხარე, ხელები ერთმანეთში ნერვიულად გადავხლართე და ძლივს გასაგონი ხმით ვთქვი.

— არის ერთი, რომელიც სტუდენტობისას მიყვარდა. ის მოსვენებას არ მაძლევს, ყველა ღონეს ხმარობს, რომ ბექას დამაშოროს...

— და ბექამაც იეჭვიანა?

— არა... არ ვიცი... ეს უფრო ჩემი პრობლემაა, ვიდრე ბექასი. მე თვითონ ვერ ვბედავ, თავს ბექას სიყვარულის



უფლება მივცე. არ ვიმსახურებ ამას.

— გიყვარს?

— ვინ, ის? — თავი ავწიე და საყვედურით სავსე მზერა მივაპყარი.

— ან ის, ან ბექა.

— ის აღარ მიყვარს, დიდი ხანია. ის ურთიერთობა წარსულს ჩაჰბარდა. ბექაზე კი... ბექაზე დღედაღამ ვფიქრობ, — ალმურმა გადამკრა სახეზე.

— მაშინ მოუგვარებელი არაფერია. ერთი კაცის გზიდან ჩამოშორება ძნელი არ არის. როცა დარწმუნდება, რომ არაფერი გამოუვა, თავისით წავა. ვიცნობ კაცებს, არც ამ შემთხვევაში შევცდები, — ხელზე ხელი დამადო ანიკომ, — შენ შენი სცადე. მეც დაგეხმარები, რაც შემიძლია. ვიყოთ ერთად და ყველაფერი გამოგვივა, მერწმუნე.

— არ ვიცი, არ ვიცი, ქალბატონო ანიკო...

— სამაგიეროდ, მე ვიცი. ხომ გაგიგონია — სუსტმა მამაკაცმა არ იცის, როგორ შეიტყუოს ქალი ლოგინში; ძლიერმა კი ის არ იცის, როგორ გამოაგდოს ქალი იქიდანო. ბექასაც ეს სჭირს, არ იცის, როგორ დააღწიოს თავი ნანკას. შენ უნდა დაეხმარო ამაში. გთხოვ, ძალიან გთხოვ, გააკეთე ეს, ჩემი ხათრით.

— როგორ უნდა მოვიქცე, ქალბატონო ანიკო, როცა ის საერთოდ აღარ იხედება ჩემკენ, არც მირეკავს, არც მელაპარაკება... საერთოდ ხმას არ მცემს, გესმით?

— მერე რა, სამაგიეროდ, შენ გაეცი, შენ დაურეკე, შენ დაელაპარაკე... როგორც შეგიძლია, ისე აუხსენი შენი სიტუაცია. ის მიხვდება, ბრიყვი ნამდვილად არ არის, ასეთად არ გამიზრდია.

— ვიცი...

— ჰოდა, დაურეკე. ახლავე დაურეკე, ამწუთას... — და ანიკო წამოდგა, მაგიდაზე შემოდებულ ტელეფონის აპარატს ხელი დაავლო, შავი კაბელი მოქაჩა და ყურმილი ხელში მომაჩეჩა.

ავილეწე, სულმა ფორიაქი დამიწყო. ვერც უარს ვეუბნებოდი ქალს, ვერც დარეკვას ვბედავდი.

— გაბედე, — თითქმის მიბრძანა ბექას დედამ.

უძლური ვიყავი მის წინაშე.

— სად დავრეკო?

— საავადმყოფოში. მობილურზე რომ დარეკო, მიხვდება, საიდანაც იქნება ზარი.

აცახცაცებულმა ძლივს ავკრიფე საორდინატოროს ნომერი. კარგა ხანს არავინ მპასუხობდა. მერე რომელიღაც ექთანმა აიღო ყურმილი და ახლავე დავუძახებო, მითხრა... ჯერ ნაბიჯების ხმა გავიგონე ტელეფონში, მერე ბექას სუნთქვა და...

— გისმენთ, — მისი ხმის გაგონებამ წამით გამაბრუა, ამაკანკალა.

— მე ვარ... — უცნაურად ჟღერდა ჩემი ხმა.

— ვინ შენ? — აგდებით მიპასუხა. დავიჯერო, ვერ მიცნო? უსიამოვნოდ გამცრა ტანში.

— სოფიო... — უფრო მკაფიოდ ვთქვი.

— ასეთს არ ვიცნობ, ნომერი შეგეშალათ, — უხეშად წარმოთქვა და გათიშა.

ვერ გადმოვცემ, რა დამემართა. ირგვლივ ყველაფერი დატრიალდა, გავშრი, გონება დამებინდა თითქოს. გაურკვეველი გუგუნის ხმა ჩამესმოდა ყურებში, საკუთარი გულის ბაგაბუგს ყელსა და საფეთქლებზეც კი ვგრძნობდი.

— სოფიო, სოფიო, რა დაგემართა? — ანიკოს ყვირილმა გამომაფხიზლა. ლოყაზე გამიტყაპუნა გაშლილი ხელისგული.

— კარგად ხარ? როგორ შემაშინე, რომ იცოდე, — არც მას ედო ფერი სახეზე, — კი, მაგრამ რა გითხრა ამისთანა? — ქალი სულს ძლივს ითქვამდა.

— ნომერი შეგეშალათო... — პირგამშრალმა ძლივძლივობით წარმოვთქვი.

ანიკო გავიდა და ჭიქით წყალი მომიტანა. ოდნავ მოვსვი. სუნთქვა გამიხშირდა, პულსის ძლიერ დარტყმებს ვგრძნობდი.

— იქნებ, ვერ გიცნო, შვილო?

— არა, მიცნო... ასეთს არ ვიცნობო, ასე მიპასუხა...

— ასეთს არ ვიცნობო? მართლა ასე გითხრა? მე მაგას ვუჩვენებ, როგორ უნდა შენთან ასე ლაპარაკი, — განიწმატდა ანიკო და ტელეფონს მივარდა, მაგრამ მაჯაზე ჩავავლე ხელი.

— არ გინდათ, არ ღირს... — ღონემიხდილმა შევაჩერე.

— რას ჰქვია, არ ღირს. როგორ გაგიბედა, როგორ მოუტრიალდა ენა მაგ საზიზღარს! — ქალი ანერვიულდა, ისე ცუდად გახდა, გულზე წაივლო ხელი. ახლა ის გახდა მოსაბრუნებელი.

— იქ, უჯრაში... წვეთებია გულის... — თითით მანიშნა კომოდისკენ.

რამდენიმე წუთში ორივე დავწყნარდით, ადამიანური ფერი დაგვიბრუნდა.

— ხომ კარგად ხართ, ქალბატონო ანიკო? — მზრუნველად ვკითხე.

— შენ როგორ ხარ, ჩემო სოფიო, თორემ მე რა მიჭირს, ამისთანები გადამიტანია? ხედავ, რას უშვრება ის გოგო? ბიჭი ჭკუაზე აღარ არის. არა, ნამდვილად რაღაც აქვს გაკეთებული. აბა, სხვანაირად როგორ შეიძლება? ასე უცებ, ამგვარად რამ შეცვალა? — ვიშვიშებდა ბექას დედა.

— მე წავალ, თუ არ გეწყინებათ, თავს შეუძლოდ ვგრძნობ, ცოტა ხნით დავწვები... — ვლუღლუღებდი ჩემთვის რაღაცას.

— წადი, შვილო, წადი, მაგრამ არ მოეშვა, იცოდე, არ მოდუნდე, უკან არ დაიხიო, გენაცვალე. მაგას მე დაველაპარაკები ხვალ დილით, როგორც კი მოვა. თუ ჰგონია, რომ ჩემთან მსგავსი რამეები გაუვა, ძალიან შემცდარა.

ნაძალადევი ღიმილით დავემშვიდობე აფორიაქებულ ქალს და წამოვედი.

არ მახსოვს, როგორ გამოვიარე მთელი გზა, ისეთი სისწრაფით მოვქროდი. ეს რა ვქენი, რა ჩავიდინე... როგორ დავრეკე, როგორ შევრცხვი... რას იფიქრებს ბექა... ეგონება, რომ ვეტენები, ვეხვეწები... არა, არ უნდა დამეჯერებინა ანიკოსთვის... კიდევ ერთი შეცდომა, კიდევ ერთი სამარცხვინო შეცდომა დავუშვი... როდის უნდა ვისწავლო ჭკუა? ახლავე დავუმესიჯებ და მივწერ, რომ დედამისმა მთხოვა მასთან დარეკვა, რომ სულაც არ მქონდა ამის სურვილი, მაგრამ ამით რა? ის ქალიც უხერხულ მდგომარეობაში უნდა ჩავაყენო. მან რა დააშავა?! ანიკოს მხოლოდ კარგის გაკეთება უნდოდა, მეტი არაფერი. რაც არის, არის, რაც უნდა, ის იფიქროს, ჩემთვის ყველაფერი სულერთია.

ძლივს მოვარგე გასაღები კარს. ოთახში შევაღწიე თუ არა, საწოლზე მივესვენე გამწარებული და მთელი ხმით ავღრიალდი.

მეორე დღეს, დაახლოებით სამი საათი იქნებოდა, ტელეფონმა რომ დარეკა. ჯერ კიდევ ლოგინში ვიწექი, არ ავმდგარვარ. ტირილისგან თვალები მქონდა დასივებული. წუხელ ტანსაცმელიც არ გამიხდია, როგორც მივეგდე საწოლზე, ისევე დავრჩი; მხოლოდ პლედი წავიფარე, ისიც — გამთენიისას, ძალიან რომ შემცივდა. თანდათან ჩავთბი და მერელა ჩამეძინა... ყურმილს დავწვდი.

— ალო! — ნამძინარევი ხმით ჩავძახე.

— რატომ შემოდიხარ ჩემს ცხოვრებაში ყოველთვის დაუკაკუნებლად, რა გინდა? — ბექას ხმა ვიცანი.

შევკრთი, ასეთ სიტყვებს არ ველოდი. ხმა არ ამომიღია.

— შენ გელაპარაკები, არ გესმის?

— რა გინდა, ბექა?..

— მე რა მინდა? კიდევ მე რა მინდა? ეგ შენ უნდა გკითხო, შენ რა გინდა? რისთვის დამირეკე? შენ და დედაჩემმა პირი შეკარით, არა? არ დამანებებთ თავს?

— მაპატიე, ეს შეცდომა იყო, — წართმეული ხმით ვთქვი.

— შეცდომა... ახლა მეუბნები, რომ შეცდომა იყო? იქნებ მითხრა მაინც, რა გინდოდა? ისე ხომ არ დარეკავდი, ესე იგი, რაღაც გინდოდა. თქვი, ბოლოს და ბოლოს, რა გაქვს სათქმელი! — ყვიროდა მთელი ხმით.

— არაფერი... შევცდი, რომ დავრეკე. მსგავსი რამ აღარასდროს განმეორდება, გეფიცები.

— მართლა? მართლა? რატომ მახსენებ თავს, რა გინდა? ხომ მითხარი, ყველაფერი დამთავრდაო, რაღა გინდა ჩემგან? — მომეჩვენა, რომ მისი ზარი მხოლოდ საბაბი იყო; ის რაღაცას ელოდა ჩემგან...

მოთმინებიდან გამოვედი. ყვირილი ასე არ უნდა-მეთქი და...

— რას მიყვირი, რომ მიყვირი! შენი ბავშვი ვარ?! რა დავაშავე ასეთი? ჰო, დაგირეკე, რა მოხდა მერე? არ შეიძლება შენთან დარეკვა, თუ რა? ბოდიში, ბატონო, არ ვიცოდი, თუ არ შეიძლებოდა! — ერთიანად ვკანკალებდი.

როგორც ჩანს, არ ელოდა ასეთ რეაქციას. მის პასუხს დაველოდე, მაგრამ კარგა ხმა არ ამოუღია. ალბათ ფიქრობდა, რა ეპასუხა. მე კი დრო ვიხელთე და გავაგრძელე.

— ან როდის გითხარი, ყველაფერი დამთავრდა-მეთქი?! მიპასუხე, გითხარი? რატომ ერთხელ მაინც არ დაინტერესდი — რატომ ვთქვი უარი შეხვედრაზე, რა მიზეზი მქონდა; იქნებ, რა ხდებოდა? კიდევ აქეთ მდებ შარს? უკაცრავად, რომ შემოგეჭერით, ბატონო მთავარი ექიმის მოადგილევ, ათასი ბოდიში, მომავალში მეცოდინება და აღარ შეგაწუხებთ. იმედია, თქვენც ასევე მოიქცევით! — გავკიოდი ტელეფონში. — მეტჯერ აღარ დარეკო ჩემთან, აღარ გაბედო! — დავამთავრე „ტირადა“ და ყურმილი დავახეთქე.

საკუთარ თავს ვერ ვცნობდი. ისე ვიყავი განრისხებული, თავადვე მიკვირდა. თუმცა კმაყოფილი დავრჩი. ხომ დავტოვე გაოგნებული, ასე მოუხდება. იცოდეს, ვისთან აქვს საქმე, ასე იოლად თავს არავის დავაჩაგვრინებ. მნახა რა, დაბალი ლობე!

ადგილს ვერ ვპოულობდი. წინ და უკან მიმოვდიოდი ოთახში. ალბათ ანიკოს, შვილთან მწვავე კამათი მოუვიდა ჩემ გამო. ისიც გაბრაზდა და სამაგიეროს გადახდა მოინდომა. ნეტავ, ანიკო სად იყო ამ დროს? დავიჯერო, ესმოდა ეს ყველაფერი? დავიჯერო, ასე გაანერვიულებდა დედას?

ორი საათიც არ გასულა ამ ამბიდან, რომ კვლავ დარეკა ტელეფონმა. არ ავიღე, მეგონა, ისევ ბექა იქნებოდა. კარგა ხანს ისმოდა ზარის ხმა. მერე მობილური ამღერდა. ნომერს დავხედე, გიზელა მირეკავდა. მწვანე ღილაკს თითი მივაჭირე.

— სოფიო, სად ხარ? — გიზელა აღელვებული ჩანდა.

— სახლში, რა მოხდა, რა ხმა გაქვს?

— ცუდი ამბავი მოხდა ძალიან.... ცუდი ამბავი.

— რა იყო, აღარ იტყვი? — ძრწოლამ ამიტანა და მექანიკურად სავარძლიდან წამოვდექი.

— ანიკო გარდაიცვალა...

— რა? — განწირული ხმით ვიკივლე. — ვინ ანიკო, როდის, სად?! — სიტყვებს ვერ ვპოულობდი, სიზმარში მეგონა თავი.

— უზნაძის ქუჩაზე იპოვეს ნახევარი საათის წინ გარდაცვლილი, — სლუკუნი აუტყდა გიზელას, — ყველანი აქ ვართ, საავადმყოფოში, შენც გამოდი, რა, გელოდებით...

უზნაძის ქუჩაზე? ღმერთო ჩემო, იქ რა უნდოდა? ღონემიხდილი იატაკზე დავეშვი...

გაგრძელება შემდეგ ნომერში



MK

## გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი.

1. რამდენი წლით იყო ტარიელი ნესტან-დარეჯანზე უფროსი?
2. სად და რა ვითარებაში დაიღუპა ფრიდრიხ ბარბაროსა?
3. რას ეძახდნენ თბილისელები, დედაქალაქში კათოლიკე მისიონერების მიერ 1740 წელს გახსნილ პირველ აფთიაქს?
4. დაასახელეთ ადამიანი, ვისაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იაპონიელები ოფიციალურად, ტყვედ ჩაჰბარდნენ?
5. ბანაობის დროს ტომ სოიერს, ჰეკლბერი ფინსა და ჯო ჰარპერს ფეხზე გველის ჩხრიალები ჰქონდათ შებმული. რისთვის?
6. რამდენი წლის იყო ყველაზე ხანდაზმული კოსმონავტი ჯონ გლენი?
7. დაასახელეთ ქალაქი, სადაც სუნიტი და შიიტი მუსლიმანები ერთ მეჩეთში ლოცულობენ.
8. „დიახ, ბატონებო, მისი ბაგით სწორედ თვით ღმერთი მეტყველებდა და ვაი, რომ დადუმდნენ იგი ბაგენი და ვინ იცის, როდისღა გვეღირსებს ღმერთი იმისთანა კაცს, როგორიც დღეს წავგვართვა...“ ვის ცხედართან წარმოთქვა ილია ჭავჭავაძემ ეს სიტყვები?
9. ვინ გამოიხსნა 1943 წელს პარტიზანების მიერ დატყვევებული ბენიტო მუსოლინი?
10. ამ დაავადებამ პანამის არხის მშენებლობისას იმდენი მუშა იმსხვერპლა, რომ მესაფლავეები გამდიდრდნენ. დაასახელეთ იგი.
11. რომელ სახელმწიფოს ეკუთვნის აღდგომის კუნძული?
12. ვინ სარდლობდა ტროის ომში ბერძენთა ლაშქარს?
13. „ინიციალები ბ.ბ.“ — ასე ჰქვია წიგნს, რომელშიც ეს მსახიობი ქალი თავის ოთხ ქმარსა და საყვარლებზე მოგვითხრობს. დაასახელეთ იგი.
14. რა ერქვა დავით აღმაშენებლის მიერ ჩამოყალიბებულ სამეფო გვარდიას, მეფის პირად სამსახურში მყოფ რჩეულ მეომართა კორპუსს?

# ანეკდოტები

***

გურული და კახელი საუბრობენ. გურულს თავზე კოდალა დააჯდა.

— ჩემგან რა გინდა, შე შობელძაღლო, ა, კახელი და მაგას დააჯექი თავზე.



— ჯოო, მაგასა ფუტუროო უყვარს!..

***

— მაღვიძარა ჩემზე გასროლასავით მოქმედებს.

— მაშინვე ფეხზე წამოგაგდებს, არა?

— არა, მოკლულივით ვგდივარ.

***

ორი სოფლელი კაცი მანქანით მგზავრობს.

— მგონი, უკვე ქალაქში ვართ.

— რა იცი?

— უფრო და უფრო მეტი გამვლელი ვარდება ბორბლებქვეშ...

***

— არ შეიძლება, ადამიანებზე ცუდი ილაპარაკო, მაგრამ მთელი ცხოვრება ჩუმად ხომ ვერ იქნები?!.

***

— რაია, ბუჯო, რავა სულყველა ცოლს თხოულობს? გედვირიე კაცი!

— ზამთარი მოდის, ძამა... შეშაზე უფრო იაფი ჯდება!

***

— ალო, დოლარები თუ გაქვთ გაყიდვაში?

— დიახ.

— რა კურსით?

— თითო დოლარი თითო ლარად.

— უკაცრავად, ეს ბანკია?

— არა, სტამბა.

***

ქმარმა აივანზე ცოლის საყვარელი აღმოაჩინა.

— აქ როგორ მოხვდით?

— პარაშუტისტი გახლავართ. თვითმფრინავიდან გადმოვხტი და თქვენს აივანზე ამოვყავი თავი.

— შემობრძანდით, ჩაი დავლიოთ.

— უცნაურია, თქვენ არც კი გიკვირთ ეს ამბავი...

— რა არის გასაკვირი? გუშინ ჩვენს აბაზანაში ვიღაც გეოლოგები ნავთობს ეძებდნენ.

***

ერთი დაქალი ეუბნება მეორეს:

— „კოლგოტკა“ გაქვს გახეული.

— აუ, ეტყობა, ტანკს გამოვდე!

— რომელ ტანკს?

— „პაგონებზე“ რომ არის დაკერებული...

***

მიხო დილაუთენია მაროს ეჩხუბება:

— მარო, მე შენი დედა რო ვატირე, რატომაა შარვალი ნახევრად დაუუთოებელი?



— ეჰ, მიხავ, რამდენჯერ გითხარი — უთოს შნური დაუგრძელე-მეთქი.

* * *

ორი ექსტრასენსი ქუჩაში მოსეირნობს.

— გინდა, ერთმანეთს შევეჯიბროთ?

— კარგი, შენ დაიწყე.

— ხედავ, წინ რომ ქალი მიდის? ახლა ჩანთას მოიქნევს და მოისვრის.

ქალმა მართლაც, მოისროლა ჩანთა.

— ეგ რა არის?! — ეუბნება მეორე. — ახლა ნახე, ამ სახლის მეშვიდე სართულიდან კაცმა საკუთარი ტელევიზორი თუ არ გადმოაგდოს.

იქნევს მეორე ექსტრასენსი ხელებს, იქნევს, დაძაბულობისგან ხვითქი გადასდის. ბოლოს მეშვიდე სართულის აივანზე კაცი გამოდის და განწირული ხმით ყვირის:

— არა მაქვს ეს ოხერი ტელევიზორი! გესმით?! არა მაქვს და დამანებეთ თავი!

* * *

— რამდენს მომცემთ, ბატონო მოსამართლევ?

— ასე, ოცდახუთიდან ოცდაათამდე.

განსასჯელს ინფარქტმა „გლიჯა“.

— ეს რა ჩაიდინეთ?! მას ხომ მხოლოდ ხუთწლიანი მუხლი უდგებოდა!

— მე მეგონა, თავის ასაკზე მეკითხებოდა.

* * *

— ძვირფასო, მე მხოლოდ ტორტისა და თევზის მომზადება ვიცი.

— არა უშავს, ოღონდ მითხარი, ეს ტორტია თუ თევზი?

* * *

სვანს მატერიალურად ძალზე გაუჭირდა და ფულის საბეჭდი მანქანა გაყიდა.

* * *

დიალოგი სასადილოში:

— წუხელი აკოფა მომკვდარა.

— რომელი აკოფა?

— როგორ, არ გახსოვს? ულვაშიანი კაცი, აქ რომ დადიოდა ყოველდღე და თითო ჯერზე სამ ლიტრა არაყსა და თხუთმეტ კათხა ლუდს სვამდა.

— რისგან მოკვდა, საწყალი?

— წარმოდგენა არ მაქვს.

* * *

— რატომ უთხარი მეზობელს, თითქოს იმის გამო შემი-



რთე ცოლად, რომ კარგი კულინარი ვარ? მე ხომ არ ვიცი კერძების კეთება!

— რაღაცით ხომ უნდა მემართლებინა თავი!..

* * *

წითელქუდა ტყეში მგელს გადაეყარა. ნადირი კაბაში იყო გამოწყობილი, ტუჩები ჰქონდა შეღებილი და ცალ ყურზე საყურე ეკეთა.

— რუხო მგელო, ეს რას დამსგავსებიხარ?

— მე უკვე აღარა ვარ რუხი.

* * *

ებრაელი მანქანების გაქირავების პუნქტის უფროსს მიმართავს:

— მითხარით, თქვენი „რენო“ ერთ კილომეტრზე რამდენ ბენზინს ხარჯავს?

— ერთ კოვზს!

— ჩაის თუ სუფრის?..

# ფორტუნას საჩუქარი

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

## (პასუხები)

1. შვიდი წლით.
2. გერმანიის მეფე მცირე აზიაში მესამე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს, მდინარე სალეფზე გადასვლისას დაიხრჩო.
3. წამალთ-ხანას.
4. გენერალი დუგლას მაკარტური.
5. ცრურწმენით, ეს უებარი საშუალება იყო კრუნჩხვისგან თავის დასაცავად.
6. 77 წლის.
7. თბილისი (მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, მეტეხის ხიდთან 1940-იან წლებამდე არსებობდა მეჩეთი, რომელიც თბილისის განაშენიანებას შეეწირა. ამ მეჩეთის დანგრევის შემდეგ, როგორც ამას ქართველი აღმოსავლეთმცოდნეები აღნიშნავენ, მოხდა უპრეცედენტო შემთხვევა, რომელიც მხოლოდ თბილისში შეიძლებოდა მომხდარიყო: მას შემდეგ თბილისელი სუნიტები და შიიტები ერთად ლოცულობენ).
8. ეს სიტყვები ილია ჭავჭავაძემ გაენათის ტაძარში იმერეთის ეპისკოპოსის, გაბრიელ ქიქოძის პანაშვიდზე წარმოთქვა (ამ დიდ პატრიოტს ფასდაუდებელი ღვაწლი მიუძღოდა ქართული ენის მოსპობის მოსურნე იანკოვსკისა და გადაგვარების მოსურნე გიორგი მუხრანსკის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლებიც ქართველთა დიდ ერებში გათქვეფას ესწრაფოდნენ).
9. დუჩეს გამოსახსნელად, ჰიტლერმა ოტო სკორცენი გაგზავნა. სკორცენიმ მუსოლინი მოიტაცა და გერმანიაში ჩაიყვანა.
10. ყვითელი ცხელება.
11. ჩილეს.
12. მიკენის მეფე აგამემნონი.
13. ბრიჟიტ ბარდო.
14. მონასპა.

# ჩვენი ფოტო გალერეა

## ძვირფასო მკითხველებო!

შეგახსენებთ, რომ ნამუშევრები შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ ელფოსტით: gza.fantazia@gmail.com, „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთების (კონვერტზე მიაწერეთ „გზისთვის“) მეშვეობით ან მოგვაწოდოთ რედაქციაში მის.: თბილისი, იოსებიძის ქ. №49.



რუბრიკა მოამზადა თემურ ივანიძე

# 10 მითი სილამაზის შესახებ



## 1. ივარჯიშეთ და წონაში დაიკლებთ

მხოლოდ ჩვეულებრივი ტანვარჯიშითა და დილის გამამხნევებელი ვარჯიშით გახდომა შეუძლებელია. იმისთვის, რომ წონაში 1 კგ დაიკლოთ, დღეში 8000 კალორია მაინც უნდა დახარჯოთ — მაშინ, როდესაც ნახევარსაათიანი ვარჯიშის შედეგად ორგანიზმი მხოლოდ 300 კალ-ს კარგავს. თუმცა, ტანვარჯიში სხვა სპეციალურ საშუალებებთან ერთად, გახდომაში ნამდვილად დაგეხმარებათ.

## 2. საუნაში ზედმეტ წონას დაკარგავთ

საუნაში ოფლის გამოყოფის ხარჯზე მართლაც კარგავთ დაახლოებით 2 კგ-მდე წონას, რაც ორგანიზმიდან წყლის აორთქლების ხარჯზე ხდება. სამწუხაროდ, „ზედმეტი კილოგრამები" ძალიან მალე — რამდენიმე საათში აღდგება.

## 3. არსებობს ისეთი დიეტები, რომელთა საშუალებით ერთხელ და სამუდამოდ გახდებით

ნებისმიერი დიეტა ნიშნავს ადრენალინის გამოყოფის შემცირებას, რომელიც ცხიმების წვის ხელშემწყობია. ასე რომ, დიეტის კურსის გავლის შემდეგ წონაში მალევე მოიმატებთ, თუ არ აკონტროლებთ კვების რაციონს, არ შეზღუდავთ ცხიმებისა და შაქრის მიღებას.

## 4. რაც უფრო იშვიათად ჭამთ, მით მალე იკლებთ

ადამიანი დღეში 3-ჯერ მაინც უნდა იკვებოს. თუ მან საუზმე გამოტოვა, მაშინ სადილად 2-ჯერ მეტს შეჭამს; ხოლო თუ სადილის გამოტოვებაც ხშირად უწევს, ამ ყოველივეს რეჟიმიდან ამოვარდნა მოსდევს, ორგანიზმი ველარ ახერხებს ზედმეტი კალორიების დაწვას და მას ცხიმის სახით ინახავს. მღრღნელებზე ჩატარებულმა ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ 3-ჯერადი კვებისას მათი წონა უცვლელი დარჩა, მაშინ, როცა ერთჯერადი კვების შედეგად იმავე რაოდენობის საკვების მიღებისას, წონის შესაჩნევი მატება დაეტყოთ.

## 5. ხილი არ ასუქებს

ნებისმიერი ხილი შაქარს შეიცავს, ე.ი. ორგანიზმს კალორიებით ამარაგებს. ზოგი სახეობის ხილი, მაგალითად, ბანანი, ყურძენი, გაცილებით აქტიურად „ეხმარება" ორგანიზმს წონის მომატებაში, ვიდრე ცომეული და საკონდიტრო ნაწარმი. ამიტომ თუ ხილის დიეტაზე ხართ, მიირთვით საზამთრო, გრეიპფრუტი, ქოლო, მარწყვი, ქლიავი, ანანასი. სხვათა შორის, ანანასიც საკმაოდ მდიდარია შაქრით, მაგრამ წონისთვის უსაფრთხო ხილია, რადგან შეიცავს ბრომელინს — ნივთიერებას, რომელიც ცხიმების წვას უწყობს ხელს.

## 16. ხალებისა და პიგმენტური ლაქების მოცილება არ შეიძლება

თუ ხალები და პიგმენტური ლაქები, სხეულის ისეთ ადგილებში გაქვთ, სადაც ხახუნის დიდი ალბათობაა; ან ისინი ფერსა და ზომას იცვლიან, აუცილებლად უნდა მოიცილოთ, მაგრამ არა დამოუკიდებლად, არამედ სპეციალისტის დახმარებით.

## 7. დეკორატიული კოსმეტიკა კანს აფუჭებს

მაკიაჟი არანაირად არ მოქმედებს კანის მდგომარეობაზე, თუ რასაკვირველია, ხარისხიან კოსმეტიკას იყენებთ. კარგი კანი, პირველ რიგში, მემკვიდრულ ფაქტორზეა დამოკიდებული, შემდეგ — ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, და ბოლოს — ასაკზე. ჯანმრთელ, მოვლილ კანს კოსმეტიკური საშუალებები ვერაფერს დააკლებს.

## 8. ტონალური კრემი და მაკიაჟის ქვეშ გაკეთებული დამცავი საფარი, კანს სუნთქვის საშუალებას არ აძლევს

თანამედროვე საშუალებები იმდენად დახვეწილია, რომ წარმოუდგენელია, კანს სუნთქვაში ხელი შეუშალოს. ჯანმრთელი კანი შესანიშნავად უძლებს ასეთ საფარს. პირიქით, მისი მეშვეობით კანი საიმედოდაა დაცული ქარისა თუ მზის მავნე ზემოქმედებისგან; გარდა ამისა, დამცავი საფარი ხელს უწყობს კანის ტენიანობის შენარჩუნებას.

## 9. A ვიტამინი ხარისხიანი ნამზეურის გარანტიაა

სინამდვილეში A ვიტამინს ნამზეურთან არანაირი კავშირი არ აქვს. ეს მცდარი აზრი შესაძლებელია იქიდან წარმოიშვა, რომ კაროტინის გადაჭარბებული რაოდენობით მიღებისას კანი მოყვითალო ელფერს იღებს.

## 10. სახის კუნთების ვარჯიში ნაოჭების წარმოქმნას უშლის ხელს

ნაოჭები, უპირველეს ყოვლისა, კანის დაბერების ნიშანია და გამოწვეულია კოლაგენის ნაკლებობით. ამ პროცესის შეჩერება არაფერს — მათ შორის არც ვარჯიშებს შეუძლია. სამაგიეროდ, ვარჯიში კანს ელასტიკურობის შენარჩუნებაში ეხმარება და მიმიკური ნაოჭების წარმოქმნას უშლის ხელს. ■

აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად
ინტერნეტ მაღაზია
www.elva.ge
წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

| გამოცემის დასახელება | 1 ეგზ. ფასი | 6 თვე |
|---|---|---|
| 1. რეიტინგი | 1.00 | 26.0 |
| 2. გზა | 0.80 | 20.8 |
| 3. Æåíñêèé æóðíàë | 11.65 | 69.7 |
| 4. Æåíñêîå çäîðîâüå | 7.00 | 41.8 |
| 5. Ñàíäðà | 4.00 | 24.0 |
| 6. Âñå äëÿ æåíùèíû | 0.80 | 19.9 |
| 7. Ãëàìóð | | |

აგრეთვე ნებისმიერი სხვა დასახელების ჟურნალ-გაზეთები

პრესის გავრცელების სააგენტო
ქ. თბილისი
№ 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elva@kvirispalitra.com

# მომხიბვლელი ზურგის საიდუმლო



ზურგამოჭრილი კაბების ჩაცმა მე-20 სკ-ის 20-იანი წლებიდან დაიწყეს, მანამდე კი ზურგი კორსეტით იყო დაფარული.

ფსიქოლოგების აზრით, ყველაზე სექსუალური და ამავე დროს, გამოსასვლელი კაბა ის არის, რომელიც ზურგს „აშიშვლებს". კაბა ამოჭრილი ზურგით — ეს პროვოკაციაა: წინა მხარეს ყველაფერი დაფარულია, უკან კი ღია...

ზამთრის პერიოდში სხეულზე კანი შრება, იფიტება და იქერცლება. ამიტომ, კანი რომ იდეალური — გარეგნულად სუფთა და გლუვი, შეხებით კი ხავერდოვანი იყოს, ზურგის გასუფთავება-დატენიანებაზე უნდა იზრუნოთ. ზურგი არანაკლებ მგრძნობიარეა, ვიდრე მკერდი. მასზე ასობით ნერვული დაბოლოებაა განლაგებული. ამიტომაცაა, რომ ყველა ხერხემლიან ძუძუმწოვარს ფხანა და ზურგზე ხელის გადასმა ძალზე სიამოვნებს.

ზურგის დასაბანად გამოიყენეთ ჯაგრისი ან სახეხი. პროცედურის შემდეგ კი სხეულზე კრემი შეიზილეთ ან კოსმეტიკური რძე წაისვით.

ზურგის კანისთვის შეიძლება გამოიყენოთ იგივე ნიღაბი, რასაც სახისთვის იყენებთ; ძალზე ეფექტურია პილინგიც.

სანამ ზურგამოჭრილ კაბას ჩაიცვამდეთ, იზრუნეთ მის მაკიაჟზეც: მცირე ლაქები და სიწითლე ოქროსფერი ტონალური კრემით დაიფარეთ. ■

# ისწავლეთ სტრესის დაძლევა

**სტრესი ორგანიზმს აუძლურებს. განერვიულებულ ადამიანს კი შეიძლება წვრილმანი საზრუნავიც გადაულახავ პრობლემად ექცეს. კარგი იქნება, თუ ნერვულობას არ აჰყვებით და თავს სტრესული მდგომარეობისგან დაიცავთ. ამაში უპირველეს ყოვლისა, სუნთქვითი ვარჯიშები დაგეხმარებათ:**



1. მოძებნეთ მყუდრო ადგილი, სადაც ყურადღებას არავინ გაგიფანტავთ და არც თქვენ შეუშლით ხელს ვინმეს. სკამზე ან იატაკზე დაჯექით, წელში გაიმართეთ, არ მოიხაროთ — ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია! დამშვიდდით და თვალები დახუჭეთ.

2. მთელი ყურადღება სუნთქვაზე გადაიტანეთ. ისუნთქეთ ნორმალურად, მშვიდად. არ შეეცადოთ სუნთქვის გაკონტროლებას. ნება მიეცით სუნთქვის რიტმს, დამოუკიდებლად ჩადგეს ნორმაში.

3. თუ ფიქრები (მით უმეტეს, უსიამოვნო), მაინც მოგეძალათ, შეეცადეთ, ნელ-ნელა ყურადღება ისევ სუთქვაზე გადაიტანოთ.

4. ამ მდგომარეობაში (ჩუმად და უმოძრაოდ) დაახლოებით 15 წუთი დაყავით.

5. როცა თქვენი წარმოდგენით, ეს დრო გაივლის (საათის დანიშვნა საჭირო არ არის — ეს ყურადღებას გაგიფანტავთ), ნება მიეცით აზრებს, ყოველდღიურ საზრუნავს დაუბრუნდეს. მერე თვალები გაახილეთ.

### შეინარჩუნეთ ტონუსი

მართალია, დაღლილს დივანზე წამოწოლა ყველაფერს გირჩევნიათ, მაგრამ ფიზიკური დატვირთვის გარეშე, სტრესული სიტუაცია უფრო მწვავდება. შეეცადეთ, ირბინოთ ან სწრაფად იმოძრაოთ და კუნთები დაძაბოთ. მათი აქტივობა გულ-სისხლძარღვთა სისტემას წვრთნის, სხეულსა და ტვინს ჟანგბადით უფრო აქტიურად ამარაგებს. ეს აგიმაღლებთ ტონუსს და ენერგიით აგავსებთ. როცა ფორმაში ჩადგებით, დატვირთვა ნაკლებ ძალას წაგართმევთ. ძალზე ეფექტურია ყოველდღიური ვარჯიში, თუნდაც ეს მხოლოდ გასეირნება იყოს. იდეალური ვარიანტი კვირაში 3-ჯერ, 30 წუთით ვარჯიშია.

### შეიძინეთ ახალი სამოსი და...

დაბალი თვითშეფასება ხშირად ქრონიკული დაღლილობის მიზეზი ხდება და შეიძლება დეპრესიამდეც მიგიყვანოთ. თუ სამუშაოსადმი ინტერესს კარგავთ, ცუდად გძინავთ, წონაში მოულოდნელად იმატებთ ან იკლებთ, რიგით ცხოვრებისეულ პრობლემებს ველარ უმკლავდებით — ასეთი მდგომარეობიდან საკმაოდ მარტივი გამოსავალი არსებობს. შეიძინეთ ახალი ტანსაცმელი და მსუბუქი ფლირტით გაერთეთ. მიღებული სიამოვნება სულიერ სიმხნევეს შეგმატებთ და ანტიდეპრესიული პრეპარატები აღარ დაგჭირდებათ. ■



## ბადრიჯნის უხორცო ჩანახი

**მასალად საჭიროა:**

500 გ ბადრიჯანი;
1 კონა მწვანილი;
500 გ კარტოფილი;
3 თავი ხახვი;
500 გ პომიდორი;
200 გ კარაქი;
3 კბილი ნიორი;
მარილი — გემოვნებით.

ბადრიჯანი დაჭერით სიგრძეზე, მოაყარეთ მარილი და ნახევარი საათის შემდეგ გაწურეთ ისე, რომ არ დაიჭყლიტოს. ალყა-ალყა დაჭრილი ხახვი, წმინდად დაჭრილი ქინძი, ოხრახუში და ნიახური აურიეთ ერთმანეთში, დაუმატეთ წიწაკა. ქვაბის ფსკერზე მოასხით ცხიმი. პირველ ფენად დააწყვეთ სიგრძეზე დაჭრილი კარტოფილი, შემდეგ — ბადრიჯანი, მოაფინეთ ერთმანეთში არეული მწვანილი და ხახვი; შემდეგ — ისევ კარტოფილი, ბადრიჯანი და ა.შ. თან შიგადაშიგ მოაყარეთ მარილი. ბოლოს დაალაგეთ მთელ-მთელი პომიდვრები და დაუმატეთ კარაქი. შუშეთ ნელ ცეცხლზე, ვიდრე კარტოფილი არ მოიხარშება. ■

რუბრიკა მოამზადა ეკა ბუნთაიშვილმა



# დიდგორის ცაზე ფრენდა ის ჯვარი

**გოჩა მანველიძე**

*დასაწყისი იხ. „გზა", №15-19*

აალელვა ნინია უფლისწულის სიტყვამ. მასავით ჭაბუკი იყო და თანაც — მეგობრობაში ერთგული. ქვეყანაც უყვარდა და მომავალი ხელმწიფეც. მისი ადრეული სიტყვაც ახსოვდა და სპათა დავითისეული წვრთნაც.

ერთხელ ყამირი მინდვრის მოხვნა მოითხოვა უფლისწულმა...

გაუკვირდათ ყმათა. არა ყოფილა მეფეთა წესად მიწისა ჩიჩქნა, მაგრამ დაიჟინა უფლისწულმა, თავად დაიკაპიწა მკლავები და ყველაზე ღრმა ხნულიც თავად გაავლო გეგუთის სასახლესთან.

„მერე მხედარნი მიუშვა ხნულსა ზედა..."

გაკვირვებულნი ადევნებდნენ თვალს ჭარმაგი ერისთავნი მხედრების ყირამალა ცვენას — ერთს ცხენი წაექცა, მეორის ბედაურმა წაიჩოქა, მაგრამ მაინც აზიდა მძიმე ტორით შეჭურვილი პატრონი; მესამემ ზეგადაისროლა მხედარი; მეოთხემ კი საერთოდ ველარ აზიდა ტანი, ჯავშან-აბჯარი შეუჭეჭყა მხედარს...

— შეწყვიტე, უფლისწულო, — წამოსცდა მასავით ყმაწვილ ნინიას, — დაწყდებიან მეომარნი!

— ეგენი ისედაც მკვდარნი არიან. ომსა არ იგებს ჯარისა სიმრავლე, არამედ გამარჯვება წვრთნასა, წყობასა და სარდლის მორჩილებას მოაქვს! — დინჯად თქვა დავითმა.

ისწავლა სპამ მოხნულ მინდორზე ცხენის ჭენება. მერე სხვა წვრთნა დააწესა უფლისწულმა — უბელოდ უნდა ეჭენებინათ ცხენი. ისევ ცვიოდნენ უნაგირიდან. ისევ ეცემოდა ცხენი და მხედარი. ისევ ილახებოდა აბჯარი...

ესეც გაითავისეს...

მერე ისარიც უნდა ესროლათ და შუბ-მახვილიც მოექნიათ....

და ერთ დღეს ბრძანა ყმაწვილმა უფლისწულმა:

— ასეთი უნდა იყოს სრულიად საქართველოს მუდმივი ლაშქარი!..

— მუდმივი ლაშქარი?! — უცნაური იყო უფლისწულის სიტყვა, მაგრამ ამაზე აღარც უფიქრია ნინიას. ამის მოსმენა უჩვეულოდ ეჩვენა თოთხმეტი წლის ყმაწვილისგან, ბავშვურ გატაცებად მიიჩნია — იმად, რაც ჯერ არავის უთქვამს და უკეთებია სამეფოში...

მაგრამ ხომ მართალი იყო ესე სიტყვა. თავადაც უფიქრია ამაზე, მაგრამ ტაოკლარჯეთს ვერ გასცდებოდა ნინია, თანაც უფლისწულის ასაკისა...

მაინც დაიმახსოვრა...

და როცა უფლისწული ასე წვრთნიდა თავის მომავალ სპათ, ერისთავთ შთამომავალიც ასე უწვრთნიდა მომავალ მოლაშქრეთ, მომავალ მეფესა...

ხნულში შეეძლოთ ტაოელთ ცხენისა ჭენება, უნაგირითაც და უბელოდაც...

ისარსაც სტყორცნიდნენ და შუბოროლსაც აძგერებდნენ...

ახლა ერთი აკლდა ჭაბუკ ერისთავს...

ბრძოლისა და მტრისა სისხლის სანთხეველი ველი!.. ომისთვის კი უკვე მზად იყო. მზად იყო თვითონაც და მზად ჰყავდა ტაოს ლაშქარიც.

თავად ჩამოიარა იმ ღამით ბაკურიანმა აღმოსავლეთ ბანაკი. ხერგილთა და გუშაგთა მზადყოფნა იხილა.

იდგნენ...

დარწმუნდა ბანაკის შეუვალობაში, მაგრამ მაინც არ მიუბრუნდა კარავს. მშვილდოსანთა ასეული აიყოლია და ტყეს შეხიზნული ატ ტავილის ლაშქრისკენ გაქუსლა.

მტკვარს მიჰყვა. აღმოსავლეთიდან მიუახლოვდა სელჩუკთა ბანაკს.

მაცდური იყო ტყე. ბალღობას ახსენებდა შრიალ-ჩურჩულით, სადღაც ფრინველი ფაჩუნობდა, სადღაც ტურა კნაოდა...

გვერდით ტახმა გაარღვია ბუჩქი... იქით ქურციკი წამოაგდო ცხენის ფლოქვისა ცემამ...

ღამის ტყემ ირემზე ნადირობა გაახსენა, უფლისწულთან ერთად რომ სდევდნენ აჯამეთის ტყეში...

ერთმანეთს ედავებოდნენ ტყიურის გამოჯავრებაში...

გაელიმა ბალღობის გასართობის გახსენებაზე. დავითი სჯაბნიდა ძუს ატანილი ირმის მოზიდვაში. ორივ ხელს მიიბჯენდა ტუჩებზედ და მართლაც ირემივით ბღაოდა.

სიყმაწვილის გახსენებამ ნადირობის ჟინი აღუძრა. მარჯვენამ თავისთავად მოძებნა მშვილდი, მაგრამ მალე ამოიგდო თავიდან. დავითმა დაბანაკებისთანავე აუკრძალა მეომრებს ნადირობა და მაგალითი თავად სარდალს უნდა მიეცა.

არ მოძრაობდა ატ ტავილის ბანაკი. თავადაც ხერგილები გაემართათ და გუშაგები დაეყენებინათ. არაფერი იყო ამაში გასაოცარი. გამოცდილი სარდალი იყო ატ ტავილი და სიხარბე რომ არა, იქნებ დიდი თანამდებობაც მიელო მალიქ შაჰისგან.

უკან გამოაბრუნა ტაოელი მოლაშქრენი. ბანაკთან მოახლოებისას შემოდგომის ნესტმა ნაიარევი მუხლი შეახსენა. გული დასწყდა. ხერგილთა შემოვლა და გუშაგთა შემოწმება სწადდა, მაგრამ მიხვდა, რომ ვერ მოახერხებდა. ახლა რომ არ დაესვენა, ველარ ზიდავდა სხეულს. უფლისწული კი ატ ტავილის თურქული ბრბოს თავდასხმის მოლოდინში იყო. თავისი მეაბჯრე იხმო, უბრძანა: მეისრეებთან ერთად ხერგილები ჩამოევლო და გუშაგთა სიფხიზლე შეემოწმებინა. თვითონ კი ცხენიდან ჩამოქვეითდა და კარავს შეეფარა.

ულრან ტყეს შეფარებულმა ატ ტავილის ბანაკმა, სალოცავში მოგროვებული მთვრალი ხატიონი მოაგონა დაიაურებს. უამრავი კარავი გაეშალათ. ყველგან ცეცხლი ენთო. იხარშებოდა ცხვარი. ისმოდა გაუთავებელი ყაყანი. აქ იყვნენ თურქები, შირვანელები, ძმებისთვის საერთოდ უცნობი ჯურის მეომრები. ბანაკში ქალთა, ბავშვთა სიმრავლემაც გააკვირვა ფხოველები. ადრე ასეთი რამ არასოდეს ენახათ. დედაწულიანად აყრილიყვნენ მუსლიმები და ქალ-ბავშვ და ცხვარძროხიანად ჩამოთესლებულიყვნენ მტკვრის ჭალებში.

ყველაფერი უცხო იყო მათთვის: უცხო ხალხი, უცხო ენა, უცხო გარემო... მაშინვე მიხვდნენ, რომ ამ მოყაყანე ბანაკში ვერ შეიძენდნენ მეგობარსა და თანამებრძოლს.

მამა გაახსენდათ...

ბრაზით აზიდა წარბები ბერდია დაიაურმა, როცა ძაგანისძე კახთ მეფის დავალებაზე ალაპარაკდა. მცველებად უნდა გაჰყოლოდნენ ძმები რუსთავს მიმავალ მსტოვარს.

მის დამშვიდებას შეეცადა არაგვის ერისთავი:

რუსთავს ჩავლენ და მაშინვე უკან გამობრუნდებიან, ამით არა დაშავდება.

მაგრამ ვერ მოიგო ფხოველის გული.

— აქ საომრად ჩამოვედით და არა მსტოვართა გამცილებლებად!.. — მაშინ პირდაპირ უთხრა სათქმელი. იცოდა, ასე უფრო ადვილად იპოვიდა ფხოველის გულისკენ მიმავალ გზას.

— მსტოვრად სხვა გამცილებელს მოიძებნიდა. ბევრი ჰყავს ალსართანს საამისო კაცი, მაგრამ მე მცდიდა კახთ მეფე. დაშინებულია. ლიპარიტის განდგომამ შეჰყარა უნდობლობის სენი. მარტო დარჩენისა ეშინია. ვინ ჰყავს მოკავშირედ?.. თბილისის ამირა?.. ის დაუძინებელი მტერია და მარტო თავის მომძლავრებას ელის, რომ ლაშქარი დასძრას კახეთს!.. ვერც შირვანელნი გაუწევენ მეგობრობას. ისინიც თბილისის ამირასავით არიან და მარტო შესაფერის დროს ელიან. კვირიკე ცვედანია... მემკვიდრეა და ამიტომაც მისდევს ალსართანს, მაგრამ არ მოსდგამს ძალა, რომელიც ახლა სჭირია კახთ მეფეს. ლიპარიტი ისევე მოიქცა, როგორც სჩვევია, გვერდზე გადგა და ელის, ვისკენ გადაიხრება სასწორი... ვინლა დარჩა?.. არაგვი და ფხოვი. არაფერი უთქვამს ალსართანსა, მაგრამ შევატყვე, როგორც იწყინა ფხოვის უარი. იწყინა და იმაზე უფრო შეშინდა. შეშინდა, საწყენი სიტყვით, მტრად არ მოეკიდებინა ფხოვი და არაგვი!.. ჩემი ნათლულები კი გამოსაცდელად გამომთხოვა. ჯერ არაგველების ატ ტავილთან წარგზავნა მთხოვა. უარი ვუთხარი. მაშინ შენი ვაჟები გამომთხოვა. უარს ვერ ვეტყოდი. ერთ ლაპარაკში ორჯერ უარი ჩემს განდგომაზე აფიქრებინებდა და მეც არ მინდა ჩვენ შორის დავის დაწყება. მარტო ერთად... საერთო ძალით თუ დავიცავთ თავს ბაგრატოვანთაგან. ცალ-ცალკე თუ დავრჩით, ყველას ერთი ბედი მოგველის. ჯერ კახეთ-ჰერეთს დააჩოქებენ ბაგრატოვნები. მერე მოიცდიან. ფესვებს გაიდგამენ და ისევ კახ მოლაშქრეთა ძალით შემოესევიან ჯერ არაგვს და მერე — ფხოვსა. ბევრი დავა უნახავს ჩვენს მიწას, ბერდიავ, მაგრამ არ გაგონილა არაგველისა და ფხოველის მტრობა. ერთნი ვიყავით მარადჟამს და თუ დაგვხლიჩეს ბაგრატოვნებმა, ასეთი ომიც მოხდების. მაშინ მასთან დაძმობილებული არაგვის ლაშქარი მოვა ფხოვს, თავის ძმათა ასაწიოკებლად. ამიტომ უნდა წავიდნენ უშიშა და მუროჩი ატ ტავილთან. ჩათვალე, რომ ამას კახთა მეფისთვის კი არა, ჩემთვის... შენი ვაჟების ნათლიისთვის აკეთებ!

მერე ცალკე დარიგებაც მისცა სამგზავროდ გამზადებულ ძმებს.

— ომი ვაჟკაცისთვის თავის გამოჩენის ასპარეზია, მაგრამ თქვენს ვაჟკაცობაში არავის ეპარება ეჭვი და ატ ტავილთან ყოფნისას ნუ გამოიდებთ თავს. თქვენი საქმე ალსართანის მსტოვრის ატ ტავილთან მიყვანაა და სხვას არას გავალებთ.

გაუკვირდა ტყუპს. პირველად ისმენდნენ ნათლიისგან ასეთ სიტყვებს. არიგებდა ყრმებს:

— ომსა და ხმალთა კვეთებაში ვინმეს ზურგს არ მოჰკრათ თვალი. წინათმებრძოლეობა ვაჟკაცთ წესია და თქვენც ნურვის გაუშვებთ თქვენზე წინ.

— რატომ ამბობ მაგას? — ჰკითხეს ნათლიას.

— ახალგაზრდები ხართ და პირველად გიწევთ მეფეთა და ერისთავთა დავაში ყოფნა. გაგიკვირდებათ, მაგრამ უფრო გახარებული იქნება კახთ მეფე, ბაგრატოვანთა სპათა მახვილით თუ დაიღუპებით ორივე!.. ხვდებით, რატომ?..



ძმებმა უხმოდ აიჩეჩეს მხრები.

— დიდი სახელი აქვს მამათქვენს ფხოვში. მისი შვილების მკვლელს, არდოტელები მოსისხლედ მოეკიდებიან. და თუ არ უმტრობენ, მისი თანამებრძოლნი მაინც არასოდეს იქნებიან... თქვენ თუ დაიღუპეთ, არაგვსაც ბოლომდე მიაბამს ამ ომს ალსართანი. ჩემი ნათლულები ხართ და მე გგზავნით ატ ტავილთან და არა — ალსართანი. რატომაც გგზავნით, უკვე გითხარით, მაგრამ რომ დაიღუპოთ, აღარ იქნება არაგვისა და ბაგრტოვანთა დაზავება... ეს ისეც არ მოხდება, მაგრამ იცოდეთ და გახსოვდეთ, რომ თქვენი ცოცხლად დაბრუნება, ბევრი არაგველის სიცოცხლეს გადამირჩენს!..

ამ დარიგებით ეწვივნენ დაიაურები ატ ტავილის ბანაკს.

გააოცა ტყუპი თურქთა სარდლის კარავმა. ბანაკის შუაგულში წამოეჭიმათ უზარმაზარი კარავი. ირგვლივ რამდენიმე მცირე კარავი შემოედგათ. მერე გაიგეს ძმებმა, რომ იქ ატ ტავილის ცოლები და ხარჭები ცხოვრობდნენ, რომლებსაც ლაშქრობებშიც კი არ იშორებდა მძარცველთა ლაშქრის სარდალი.

თავად ატ ტავილი უზომოდ მაღალი მამაკაცი აღმოჩნდა. თავი თეთრი ჩალმით ჰქონდა შებურვილი. მხრებზე მოქარგული მწვანე მოსასხამი მოესხა. მკერდზე ეფინებოდა ჟღალი წვერი. წელის სარტყელში კი ბოლომოკაუჭებული, შავსატევრიანი ქარქაში გაერჭო.

მდიდრულად იყო გაწყობილი ატ ტავილის კარავიც. სარდალი აბრეშუმის ბალიშებით გაწყობილ ტახტზე განისვენებდა. კედლები უხვად მოერთოთ ატ ტავილის იარაღით. თორით, ჯაჭვის პერანგებით, ფარებით, მუზარადებით, ხმლებით, შუბებით. იატაკი ხალიჩებით დაეფარათ. ტახტს აქეთ-იქიდან ხმლის ვადაზე მარჯვენაჩამოდებული მეაბჯრენი ჩამომდგარიყვნენ, რომლებიც მზად იყვნენ, ნებისმიერი მომხდურისგან დაეცვათ ბატონი.

მსტოვარი ტახტს წელში მოხრილი მიუახლოვდა. მერე მუხლებზე დაემხო და მუსლიმთა წესით მიესალმა ატ ტავილს. მარტო მაშინ ინება თურქმა მისკენ გამოხედვა. ზანტად აიქნია ხელი და ანიშნა, მომიახლოვდიო. მსტოვარმა სწრაფად გადაინაცვლა ტახტის სიახლოვეს და დიდ მუთაქაზე ფეხმორთხმით დაჯდა. ატ ტავილის მეაბჯრენი მაშინვე გამოცოცხლდნენ. ორი მათგანი აქეთ-იქიდან ამოუდგა სტუმარს.

დიდხანს იჩურჩულეს ატ ტავილმა და მსტოვარმა. ბოლოს თურქი ტახტზე შესწორდა, წვერი თითებით ჩამოიფარცხა, კარვის შესასვლელთან უძრავად გაქვავებულ დაიაურებს გახედა და მსტოვარს ჰკითხა:

— ვინ არიან? კახებს არ ჰგვანან.

უთხრა მსტოვარმა, ვინც იყვნენ მისი გამცილებლები. მერე წინ გადაიხარა და ჩურჩულით გააგრძელა:

— ალსართანს უნდა, რომ ისინი აქ

დარჩნენ, შენს ბანაკში და თანაც ყოველთვის შენ სიახლოვეს იყოლიო.

არ მოეწონა თხოვნა ატ ტავილს. მკვლელის შიშით, თავის მეომრებსაც კი არ აძლევდა მასთან მიახლოების ნებას და რატომ უნდა გაეჩერებინა თავის სიახლოვეს ორი დაბღვერილი ფხოველი?!

დაამშვიდა მსტოვარმა:

— შენი მეომრების ღალატის უფრო უნდა გეშინოდეს, ვიდრე მათი. პირისპირ ბრძოლაში მათგან დანდობას ნუ ელი. ვისაც ხმალს მიაწვდენენ, თავსაც წააცლიან, რაც ბევრჯერ გაუკეთებიათ, მაგრამ ზურგში არასდროს დაგკრავენ. არ არის ეს ფხოველთა წესი.

ჩაეცინა ამაზე ატ ტავილს:

— ამიტომაც გახდა თქვენი ქვეყანა სხვატომელთა საჯილდაო ასპარეზი. ბევრი თუ გყავთ ასეთი, მალე საერთოდ გადაჯიშდებით და სხვანი აძოვებენ თქვენს მინდვრებზე ცხვარს! კარგი, დარჩნენ, მაგრამ იცოდე, რამე თუ არ მომეწონა, ჩემი მეაბჯრენი იქავ დააყრევინებენ თავებს!

ის ღამე მეაბჯრეთა კარავში გაატარეს ძმებმა. ერთი კუთხე გამოუყვეს ორივეს. იარაღი არ აუყრიათ, მაგრამ მაინც ტყვეებად გრძნობდნენ თავს. თვალს არ აშორებდნენ ატ ტავილის მეხმლენი. ერთს თუ კარავში ეძინა, ორიც შესასვლელთან შემართული შუბით წრიალებდა და ავი მზერით აკვირდებოდა უცხოდ ჩაცმულ და იარაღასხმულ ფხოველთ.

აღსართანის მსტოვარი დარიგებით გამოემშვიდობა ძმებს:

— დაისვენეთ... შორი გზა გამოვიარეთ და მზის ამოსვლამდე მოგვიწევს ბანაკიდან გასვლა. ატ ტავილი რუსთავს მიემგზავრება და ამალაში თქვენც უნდა ეახლოთ.

მერე ქრცვინასავით (თაგვის მსგავსი მღრღნელი) მოჭუტა თვალები და ჩურჩულით განაგრძო:

— ბედი გწევიათ და თქვენ იცით, ხელიდან არ გაუშვათ. ბღვერით ნუ იცქირებით. შუბლი გაიხსენით და ისე შეხვდით ამ ბანაკის ბატონს. ეცადეთ, თავი მოაწონოთ, რომ როგორმე თავის ლაშქარში დაგტოვოთ. იცოდეთ, რომ დიდი სარდალია ატ ტავილი. თქვენ ხევისთავებსა და კახ აზნაურებს არ შეადაროთ. ერისთავები, მეფენი და ემირებიც მასთან დამეგობრებას ცდილობენ, და ვაი, მისი რისხვის დამმსახურებელს!

— ვეჟინს როდის დავბრუნდებით? — ბრაზით ჰკითხა მუროჩიმ.

— ეს ატ ტავილზეა დამოკიდებული, რაღაცას ელის და მაშინ დაგვითხოვს, როცა მეფე აღსართანისთვის ახალი ცნობა ექნება. მანამდე კი მის ამალაში, მეაბჯრეებთან ერთად იქნებით... და ღმერთი არ გაგიწყრეთ, დაიაურნო! რამით მისი რისხვა არ დაიმსახუროთ, თორემ მეხმლენი იქავ დაგაყრევინებენ თავებს! — თქვა მსტოვარმა და თანაც, შიშით გადგა უკან. ავად აელვარებულმა თვალებმა მიახვედრა, რომ ფხოველნი გაბრაზებულები იყვნენ. ერთი დაამატა მხოლოდ:

— მზად იყავით. დილით თავად მოგაკითხავთ... — და სწრაფადვე გაიძურწა მეაბჯრეთა კარვიდან.

დაისვენეთო, უთხრეს ძმებს, მაგრამ არც ერთს არ გაჰკარებია ძილი. კარვის შესასვლელიდან ათვალიერებდნენ ბანაკს.

— მართალს ბრძანებდა მამაი. უცნაურ ყოფილან მეფენი. ვუყურებ ამასა და ვერაფერ გამიგია, — ბოღმით აღმოხდა მუროჩის.

— რაი ვერ გაგიგია? — შეეხმიანა ტყუპისცალი.

— ქართულია ესე მიწა და მეფენიც ქართველნი არიან. რა მოშლის დავას მეფეთა და ერისთავთ შორის, მაგრამ რატომ თავისი ლაშქრებით არ იომებენ? ვერა გამიგია რა, უშიშავ! რაით უნდა მეფეთა თავიანთ ომში უცხოთა და თანაც უსჯულოთა მოწვევა?.. იქნებ, მოიგო ომი გიორგი მეფემა. რა იქნების მერე?! მისი ლაშქარი მოარბევს კახეთ-ჰერეთსა და ვინძლო ფხოვსაც შემოესიოს?! ან მოიგო ომი კახთ მეფემ და მაშინ ატ ტავილისა ლაშქარი შეესევა ქართლს, მაგრამ როგორც არ უნდა დამთავრდეს ომი, ხომ მაინც ამ უსჯულოთა ხელით უნდა დაიღვაროს ქართველთა სისხლი?! — თავისი საფიქრალი გაუმხილა მუროჩიმ.

— ჰო... უცნაურ არიან მეფენი, მაგრამ ნუ იფიქრებ ამაზედ. ჩვენ ხომ არც ერთი მეფის სამსახურად არ ვართ აქა და არც უსჯულოთ ვემსახურებით. ცუდ რომ ყოფილიყო რამეჲ, მამაი თავად არ ჩამოვიდოდა ბარსა. ნათლიამ გვიხმო და აქაც ნათლიამ გამოგვგზავნა. სხვა კი არ მაინტერესებს. ნათლიამ თქვა: ეს კაცი რუსთავს ჩაიყვანეთ და მერმე ისევ ვეჟინს მოაცილეთო!.. და ჩვენც მის სიტყვას მივყვებით, — დაამშვიდა უშიშამ.

— ეგ მეც ვიცი, მაგრამ იმის გაგება მინდა, რად იქცევიან ასე მეფენი?! განა, უსჯულოთა ჯარის გარეშე ვერ იდავებენ? — არ მოეშვა მუროჩი.

— რა მნიშვნელობა აქვს, მტერი — მტერია, გინდ უსჯულო იყოს, გინდ — კახი და გინდ — იმერი. ყველა ხმლის წერა უნდა გახადო! — უპასუხა უშიშამ.

— მაშინ გამოდის, რომ ძმათა შორის ვართ?.. ბაგრატოვანნი ნათლიაჩვენს ეომებიან. ესენი კიდევ, იმ ბაგრატოვანთა სისხლის საღვრელად ლესავენ ხმალსა... მაგრამ თუ ასეა, რად მაშმაგებს მათი ყაყანი და რად მინდება ყველას კისრის ჩემის ხმლით მოსინჯვა?! — განაგრძო მუროჩიმ.

— მართლაც დაღლილხარ, ძმაო. ადრე არ გჩვეოდა ამდენი ლაპარაკი. მიწექ... დაიძინე, თორემ ხვალ ბაგრატოვანთა სპანი რომ შეგვხვდნენ, იმის გარკვევას დაიწყებ: თქვენა ხართ ჩემი ძმანი თუ ატ ტავილიო, და ამასობაში, იქნებ, სხვამ მოგსინჯოს ხმლითა! — გაიცინა უშიშამ. მერე ჯუბა მოიგდო მხარზე და ძმას ზურგი შეაქცია, იქნებ, ასე მაინც დაიძინოსო.

ხერგილების შემოვლას ამთავრებდნენ ნიანიას მეაბჯრე და ტაოელი მოისარნი, როცა მთვარემ ღრუბლებიდან გამოანათა. მაშინვე შენიშნეს ბუჩქნარში ფრთხილად მომავალი მხედრები. ისინიც მიხვდნენ, რომ ღამის მნათობმა აალაპლაპა მათი მუზარადები და შუბის წვერები. მალვას აღარ ჰქონდა აზრი. მხედრებმა დეზი ჰკრეს ბედაურებს და ხერგილებისკენ გამოქანდნენ.

— მომხდური!.. — დაჰკივლეს გუშაგებმა და თვითონაც საომრად გამართეს შუბები, მაგრამ მომხდურმა იმძლავრა. ერთი ძაძგერებით გადათელა ხერგილთა მცველნი და ბანაკში შეიჭრა. მაშინ მიუსწრეს ნიანიას მეაბჯრემ და ტაოელმა მოისრეებმა. ისრის სროლის დრო აღარ იყო. მეაბჯრემ შუბი გამართა. მოისრეებმა კი მახვილები მოიმარჯვეს. ერთი მხედარი ჩამოაგდო მეაბჯრემ ცხენიდან. მეორეს გაჰკრა შუბი. მესამე დაანარცხა მიწას... მერე ისიც აჩეხეს...

ფლოქვის თქარუნისა და ცხენის ფრუტუნის ხმა ჩაესმა ნიანიას. იფიქრა: მეაბჯრე და მოისარნი ბრუნდებიან უკანო. გარეთ გაიხედა და ჩალმიან მომხდურთ მოჰკრა თვალი. მიხვდა ტაოელი სარდალი — ატ ტავილი მოდის იერიშზეო და უგანა. მახვილს წაეტანა, მკლავის ერთი აქნევით გაკვეთა კარვის უკანა კედელი და გარეთ გავიდა.

არ ჩაევლო უქმად მეფის ბრძანებას და ჯარისა წვრთნას. ანაზდეულად დადგა ფეხზე ტაოელთა ლაშქარი. ბუკსა ჰკრეს და ყიჟინით მიესივნენ მომხდურთ. იმავ დროს, მეაბჯრემ ცხენიც მოართვა ბაკურიანს. ამხედრდა ნიანია, მეომრებს მომხდურთა ჩეხა უბრძანა. თავად კი მეაბჯრენი აიყოლია და დავითის კარვისკენ გაქუსლა.

აქამდე მეორე შეცდომაც დაეშვა ატ ტავილს. პირველი შეცდომა გამაგრებული ბანაკის ჯიქურ შეტევა იყო. მეორე — ტყისპირა მინდორზე გაშლილი კარვების რბევა უბრძანა თავის მხედრებს. მძინარენი უნდოდა აეჩეხა და კარვებშივე გამოებუგა დავითის მეომრები. ის კი არ იცოდა, რომ არავინ ათევდა ღამეს იმ კარვებში.

მტრისთვის თვალის ასაბმელად მარტო დღისით ტრიალებდა სპა მინდორზე. ღამით ცეცხლსაც ანთებდნენ კარვების წინ. აქ ვართ, მიდით და მძინარენი გაგვჟუჟეთო. იმ დროს კი ლაშქარი აბჯარასხმული იყო და ტყეში გაშლილ კარვებში ელოდა ატ ტავილის შემოსევას.

მალე მიხვდა თურქი, რომ კარვები ცარიელი იყო და ახლა ტყის სიღრმეში მიმართა ლაშქარი. ესეც მისი მესამე შეცდომა იყო. კარვებს შორის ალაგი თხრილებითა და მარგილიანი ღობეებით დაექსელა დავითის სპას. საცოდავი ხვიხვინ-ფრუტუნით აწყდებოდნენ ცხენები ღობეებს, ცვიოდნენ თხრილში და მიწაზე ანარცხებდნენ მხედრებს. ამ დროს კი ყოველი მხრიდან მოფრინავდა ისარი და შუბი. ელავდა ქართული ხმალი.

დავითის კარვამდე ბრძოლით გაიკაფა გზა ატ ტავილმა. იქნებ უკვე მიმხვდარიყო, რომ სასიკვდილო ხაფანგში შემოიყვანა ჯარი და იმედი ჰქონდა, რომ სარდლის მოკვლით მაინც გაიმარჯვებდა.

კარვის შესასვლელში გადააწყდა ჭაბუკ უფლისწულს. აბჯარასხმული და მახვილმომარჯვებული მიიჩქაროდა თავის სპასთან. იცნო თურქმა. ელვასავით მოიქნია ხმალი და...

გამორჩეული სიმაღლის გამო „მუჰამედ გრძელს“ ეძახდნენ ატ ტავილს. ყველა ბრძოლაში შველოდა სიმაღლე. ზემოდან სცემდა ხმალსა და შუბს მეტოქეს. ახლა კი ზუსტად იმან დაღუპა.

კარვის შესასვლელში იდგა დავითი. ზემოდან მოქნეული ხმალი ძელს შეეხეთქებოდა და არას დაუშავებდა. ცერად გადაუქნია და ძალაც ვერ მიატანა. ოდნავ გაჰკენწლა ქართველი უფლისწულის მუზარადი ისპაჰანს ნაჭედმა ფოლადმა.

ახლა ბაგრატოვანის ჯერი იყო. ელვასავით აიქნია მახვილი და ატ ტავილის თეთრჩალმიანი თავი კოტრიალით გაგორდა მისივე მეაბჯრეთა ფეხებთან.

— ალაჰ!.. — განწირული კივილი აღმოხდათ სარდლის სიკვდილით დაზაფრულ თურქებს. თანაც ეს მათი ბოლო კივილიც იყო. მთის ჯიქივით მოვარდა ნიანია თავისი ტაოელნით. გააფთრებული ხმალთა კვეთება ატყდა უფლისწულის კარავთან. ალბათ, გაცლაც სურდათ სარდლის სიკვდილის შემსწრე თურქებს, მაგრამ სხვა ანგარიში ჰქონდათ ქართველებს. ყველას იქ დატოვება გადაეწყვიტათ. მალე უფლისწულის კარავს მისული ყველა თურქი უთავო ან შუაზე გაჩეხილი ეგდო მიწაზე...

ჩამოქვეითდა ნიანია. თავისი ცხენი მიართვა უფლისწულს, მაგრამ არ ინება დავითმა ამხედრება და ყველას უბრძანა: ჩამოქვეითდით და მტერს ფეხდაფეხ შეუტიეთ; ასე ერთმანეთს უკეთ გამოარჩევთ და აღარც ღობეთხრილები შეგაფერხებენო.

ჩამოქვეითდნენ ტაოელნი და ხმლის ქნევითა და ყიჟინით მიჰყვნენ უფლისწულს.

ამასობაში ბრძოლაში ქართლის ლაშქარიც ჩართულიყო. მეომრები შუბებს და ოროლებს სცემდნენ თურქებს, ცხენებიდან ყრიდნენ და იქვე ულებდნენ ბოლოს. ამ დროს მოლაშქრეთა შორის ქართველი მხედარი გამოჩნდა. ატ ტავილის ცხენზე შემომჯდარიყო, შუბზე მისივე თავი წამოეგო და მთელი ხმით, თურქთა გასაგონად ყვიროდა:

— აგე, თქვენი სარდლის, მუჰამედ



ატ ტავილის თავი!!!

შეკრთნენ თურქები, წვერგაბურძგნილი და მზერაჩამქრალი ატ ტავილის თავის დანახვაზე; დაიქსაქსნენ და გასაქცევად იბრუნეს პირი, მაგრამ გასაქცევიც რომ აღარ ჰქონდათ... მაშინ გამოჩნდა ბრძოლის ველზე აქამდე დაფარული ეგრის-აფხაზეთის ლაშქარი. ვიდრე ტაოსა და ქართლის ლაშქრები ტყეში ჩეხდნენ თურქთ, ერისთავ ლიპარტიანს თავისი ჯარი ოთხ მწკრივად გაეწყო დასავლეთის მხარეს და გასაქცევი გზა მოეჭრა თურქთათვის. თურქთა პირველი წყება ანაზდეულად გადაეხია ლიპარტიანის მოლაშქრეთა შუბებს. ისევ შედგნენ მუსლიმანნი. ნაწილი შებრუნდა და ისევ ტყისკენ გაქანდა. იქიდან კი უკვე გამოდიოდა საომრად გაწყობილი ქართლის ლაშქარი. თურქთა კიდევ ერთი წყება დაირეცა (განადგურდა).

ისევ იბრუნა პირი ატ ტავილის ჯარმა და იმ მხარეს გაიქცა, საიდანაც არავინ სცემდა ოროლსა და შუბს. თანაც იმ მხარეს მაცდურად ლაპლაპებდა მტკვარი, რომლის მიღმაც რუსთავის ციხე იდგა...

ესეც ჯარის ბოლო შეცდომა იყო, რომელსაც ვეღარ შეესწრო მისი თავწაკვეთილი სარდალი...

მაცდური იყო მტკვარი და სადღაც სიბნელეში აღმართული რუსთავის ციხის ქონგურები, მაგრამ არა უწყოდნენ თურქებმა, რომ მდინარემდე ჭაობზე უნდა გაევლოთ.

გააფიცხეს ცხენები გადარჩენის იმედით გახარებულებმა. მალე ჭაობს მიადგნენ. პირველი წყება მოცელილივით წაიქცა. მაინც არ შეაჩერეს სრბოლა. თავისიანებმა გადაქელეს და ცხენთა ფლოქვების ცემით ჩაფლეს ჭაობში.

იგივე ბედი ეწია მეორე წყებასაც.

მესამე ტალღა შედგა. ტალახში ჩაფლულ თანამოძმეთა განწირულმა კივილმა მიახვედრა თურქნი, ვერ მიაღწევდნენ ვერც მტკვარსა და ვერც რუსთავის ციხემდე. ამასობაში დავითის სპა წამოეწიათ. მარცხნიდან ნიანიას ტაოელნი მიაწვნენ, მარჯვნიდან — ლიპარტიანის ეგრის-აფხაზნი. შუაში კი ქართლის ლაშქარი მოემართებოდა. ახლა თავად უნდა აერჩიათ თურქებს, ქართველთა ხმლებს შეეწირებოდნენ თუ ჭაობში ჩაიხრჩობოდნენ...

— ჰკა მაგათ!!! — გაისმა ყიჟინა და სამეფო ლაშქარი მძვინვარე ვეფხვივით ეცა თურქებს.

ისევ დაფრთხა ატ ტავილის ლაშქარი. თურქთა ნაწილი ქართველთა ხმლის ლუკმად იქცა, ნაწილი — ჭაობში ჩაიხრჩო. იმაზე მეტი, საკუთარი ცხენების ფლოქვებმა იმსხვერპლა, როდესაც ქართველთა შუბებით დამფრთხალნი ერთმანეთის ჭყლეტით მიიწევდნენ მდინარისკენ. მხოლოდ სამასიოდე მეომარმა თუ გააღწია ჭაობს. მათ გაუმართლა. ქართველები აღარ დასდევდნენ და დამფრთხალმა თურქებმა ცურვით გადალახეს მდინარე და რუსთავის ციხისკენ გაქუსლეს.

გამთენიისას ყველაფერი დამთავრებული იყო. დავითმა ქარქაშში ჩააბრუნა ნაომარი მახვილი, მუზარადი მოიხადა და ბანაკს მიმოავლო მზერა. ძნელი საცნობი იყო მიდამო. სისხლსა და აჩეხილ სხეულებს დაეფარა მიწა. მუჰამედ ატ ტავილის ხუთი ათასი მარბიელიდან, ოთხი ათას ხუთასი სამუდამოდ ჩარჩენილიყო მტკვრის სანაპიროზე; ორასიოდე კი — ისევ ფართხალებდა ჭაობში და საწყალობელი ხმით ითხოვდა შეწყალებას.

ზედიზედ მოაგდეს ცხენები მაცნეებმა. სარდლები იუწყებოდნენ, რომ ბრძოლა ყველა ფრთაზე მოგებული იყო. თანაც იმ ღამის მთავარი ნადავლიც მოართვეს უფლისწულს. ატ ტავილისა და მისი სარდლების თავები მიუყარეს ფეხებთან:

— ასე დაეცეს შენი მტერი, უფლისწულო!!! — აიმრიზა დავითი. თვალი აარიდა ომში დაღუპულთა დაღმეჭილ სახეებს. გუშინ იყვნენ ისინი მისი და საქართველოს მტრები. ახლა კი...

მკვდართან ანგარიშსწორება კი რა ვაჟკაცის საქმე იყო...

ცხენი მოითხოვა დავითმა. ამხედრდა და ჭაობში ჩარჩენილ თურქთა სანახავად გაეშურა.

ჭაობის ნაპირები გვამებითა და ცხენების მძორით იყო მოფენილი. იქაურობა თურქთა იარაღს გადაეჭედა. ყოველ ფეხის ნაბიჯზე ეყარა ფარები, ხმლები, შუბები... ყველაფერი, რაც ხელიდან გასცვენოდათ დამფრთხალთ. ჭაობის შუაგულისკენ ნაკლებს გაეღწია, მაგრამ იქაც მოჩანდა ჭაობში ჩაფლული გვამები. აქა-იქ ცოცხლებიც გადარჩენილიყვნენ. ზოგან საცოდავად ფართხალებდა ცხენი, ფეხების ქნევით იბრძოდა სიცოცხლის გადასარჩენად. შეწყალებასა და შველას ითხოვდნენ მხედრებიც. მთელი ხმით ყვიროდნენ:

— ოღონდ ჭაობში ნუ ჩაგვახრჩობთ და მონებად გვიგულეთ!

მოშორებით კიდევ ორი მებრძოლი შენიშნა უფლისწულმა. არ ჰგავდნენ დანარჩენებს. ყველაზე შორსაც გაეღწიათ და შველასაც არ ითხოვდნენ. ცხენებს აქეზებდნენ და მათთან ერთად იბრძოდნენ წებოვანი ლაფიდან თავის დასაღწევად. სახე მოიჩრდილა დავითმა და ყურადღებით დააკვირდა იმ ორს. არ იყვნენ თურქები. იარაღიც არ გადაეყარათ. მერე კი ორივეს ფხოვური ჩაბალახებიც შენიშნა.

მსტოვრის აღწერილი ორი ფხოველი გაახსენდა, რომლებიც რუსთავის ციხეში ახლდნენ ატ ტავილს. ტყუპი ძმა იყოო — ამბობდა მაშინ მსტოვარი. მართლაც ჰგავდნენ ძმებს, ჩაცმულობითაც და ასაკითაც.

— ის ორნი ჭაობიდან ამოიყვანეთ და აქ მომგვარეთ. ამ ნაპირიდან ვერ მისწვდებით. მტკვრის მხრიდან მოუარეთ და ქამანდი სტყორცნეთ! — ქართლელ მოლაშქრეებს უბრძანა უფლისწულმა.

უმალ ცხენებს მოახტნენ მეომარნი და ჭენებით გაქუსლეს უფლისწულის ნების აღსასრულებლად.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



# ევრობიზნესის პირველი ლედი



ბრიტანული მედიაგიგანტ Pearson-ის აღმასრულებელი დირექტორი, ამერიკელი მარჯორი სკარდინო ახლახან ჟურნალმა Fortune ევროპული ბიზნესის ყველაზე გავლენიან ქალად დაასახელა. სკარდინო მსხვილი ბრიტანული კომპანიის პირველი ხელმძღვანელი ქალი, ამ პოსტზე პირველი უცხოელი და, აგრეთვე, დიდ ბრიტანეთში ყველაზე მაღალანაზღაურებადი აღმასრულებელი დირექტორია.

მარჯორიმ საგამომცემლო ბიზნესში ბედი პირველად 1970 წელს სცადა, როცა სამართლის სკოლის დამთავრების შემდეგ, Associated Press-ის ჩარლსტონის განყოფილებაში მიიღეს სამუშაოდ. მარჯორის პირველი თანამდებობა ძალზე მოკრძალებული იყო: ის, ძირითადად, სხვა კორესპონდენტების ნაკარნახებ ცნობებს იწერდა. თუმცა ნიჭიერმა გოგონამ ლიტერატურული დირექტორის თანამდებობასაც სულ მალე მიაღწია. ერთ მშვენიერ დღეს კი მის მაგიდაზე ახალბედა რეპორტიორ ალბერტ სკარდინოს მოზრდილი სტატია აღმოჩნდა. მარჯორიმ ალბერტს სასტიკი განაჩენი გამოუტანა: მაინც ვინ გითხრათ, რომ წერა შეგიძლიათო? თუმცა, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე, ურთიერთმტრობა მალე სიყვარულში გადაიზარდა და ცოტა ხანში, ახალგაზრდები დაქორწინდნენ.

1978 წელს ცოლ-ქმარმა ალბერტის სამშობლოში, სავანაში გადასვლა და საკუთარი გაზეთის გამოცემა გადაწყვიტა. მათ მიერ დაარსებულ პოლიტიკურ ყოველკვირეულ The Georgia Gazette-ს ტირაჟი თვით ყველაზე საუკეთესო დროშიც კი 2600 ეგზემპლარს არ ასცილებია. გაზეთს თავი ძლივს გაჰქონდა და, შესაბამისად, მოგებაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. ყოველკვირეული გაზეთის მთელი არსებობის მანძილზე, მარჯორი პარალელურად ერთ-ერთ იურიდიულ ფირმაშიც მუშაობდა და ოჯახსაც, ძირითადად, იქაური შემოსავლით ინახავდა.

1884 წელს The Georgia Gazette-ს პულიცერის პრემია მიანიჭეს. თუმცა გაზეთში რეკლამის განთავსების ბოლო მსურველებმაც სწორედ მაშინ აქციეს ზურგი და ერთი წლის შემდეგ, გამოცემა იძულებით დაიხურა. ცოლ-ქმარ სკარდინოს კი მრავალრიცხოვანი კრედიტორის 250 ათასამდე დოლარის ვალი დარჩა, რომლის ბოლომდე გადახდა მხოლოდ 1995 წელსღა თუ მოახერხეს.

პირველი სერიოზული კრახის შემდეგ ოდნავ გონს მოსულმა მარჯორიმ და ალბერტმა ნიუ-იორკში მშვიდი და მაღალანაზღაურებადი სამუშაოს ძებნა დაიწყეს. პულიცერის პრემიის ლაურეატის ავტორიტეტის წყალობით, ალბერტმა The New York Times-ში მოწყობა მოახერხა, ხოლო მოგვიანებით ნიუ-იორკის მაშინდელი მერის, დევიდ დინკინსის პრეს-მდივანი გახდა. მარჯორიმ კი მრავალი წინააღმდეგობისა და ბარიერის გადალახვის შემდეგ, ბრიტანული The Economist Newspaper-ის საგამომცემლო ჯგუფის ჩრდილოამერიკული განყოფილების აღმასრულებელი დირექტორის ძალზე საპასუხისმგებლო თანამდებობა მიიღო.

## ინგლისური ხარისხით მოვაჭრე ამერიკელი

მიუხედავად იმისა, რომ ბრიტანული ჟურნალ The Economist-ის ამერიკულ ბაზარზე გავრცელების მარკეტინგული კომპანია ადრე იყო დაწყებული, ახალი ხელმძღვანელის მისვლის შემდეგ, ამ საქმემ მაინც სულ სხვა მუხტი და გაქანება შეიძინა. მარჯორის ხელში, სარეკლამო კამპანიაში განსაკუთრებული აქცენტი ჟურნალის პუბლიკაციების გაწონასწორებულობასა და არგუმენტირებულობაზე გაკეთდა. ახალ აღმასრულებელ

დირექტორს მხედველობიდან არც The Economist-ის მეორე თვისება — ელიტურობის აურა გამორჩენია. სკარდინო, The Economist-ის მასობრივ გამოცემად გადაკეთებას არ აპირებდა. მაგალითისთვის, 1993 წელს ჟურნალზე წლიური ხელმოწერა 110 დოლარი — ანუ წამყვან ამერიკულ საქმიან ყოველკვირეულებზე ბევრად უფრო მეტი ღირდა. ერთი სარეკლამო გვერდიც რომ ვერ გავყიდოთ, შემოსავალი მაინც გვექნებაო, — სიამაყით აცხადებდა იმ წლებში მარჯორი სკარდინო.

თუმცაღა, The Economist-ის ამერიკული გამოცემა სკარდინოს ხელში სარეკლამო შემოსავლების მიხედვით ქვეყანაში მეხუთე ადგილზე გავიდა და მხოლოდ ისეთ მონსტრებსღა ჩამორჩებოდა, როგორებიც Forbes, Business Week, People და Brides არიან. ხოლო ტირაჟი 100 ათასი ეგზემპლარიიდან (1985 წ.) 230 ათასამდე (1992 წ.) გაიზარდა.

ამის შემდეგ გასაკვირი აღარ უნდა ყოფილიყო ის ფაქტი, რომ 1992 წელს, როცა The Economist-ის ხელმძღვანელი დევიდ გორდონი სამუშაოდ ტელევიზიაში წავიდა, The Economist-ის მთელი ჯგუფის აღმასრულებელი დირექტორის პოსტი მარჯორი სკარდინოს შესთავაზეს, რამაც სკარდინოს მთელი კომპანიის ხელმძღვანელობის გამოცდილების მიღების საშუალება მისცა. მან მთავარ ამოცანად ფინანსური ინფორმაციის მსოფლიო ბაზარზე საკუთარი ჯგუფის პოზიციების განმტკიცება დაისახა. სწორედ ამ მიზნით გადაწყვიტა ჟურნალ CFO-ს (გამოცემა ფინანსური დირექტორებისთვის), ყოველკვირეული Roll Call-ისა და საგამომცემლო კომპანია Business Internacional-ის შეძენაც.

წარმატებულთა გვერდით იყო წარუმატებელი შენაძენებიც. მათგან ყველაზე შესამჩნევი 1995 წელს, Journal of Commerce-ს (ამერიკული ყოველკვირეული გამოცემა წყლის ტრანსპორტის შესახებ) შეძენა იყო. გარიგების თანხამ 115 მილიონი დოლარი შეადგინა. აბა, სხვა რა უნდა მექნა, თუკი თავს The Wall Street Journal-ის ყიდვის უფლებას ვერ ვაძლევდი? — ნახევრად ხუმრობით ხსნიდა ყიდვის მოტივს თავად სკარდინო. თუმცა ფაქტი მაინც ფაქტად დარჩა: სკარდინომ ამ ბრენდის გამოყენების შესაძლებლობები გადაჭარბებით შეაფასა. შემოსავლები და გაზეთის ტირაჟი არა მხოლოდ იმაზე დაბალი აღმოჩნდა, ვიდრე ელოდა, არამედ მაჩვენებლებმა მის ხელში სწრაფი დაცემაც დაიწყო. მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, მსგავსი დანაკარგები კომპანია The Economist Newsparer-ის საერთო შემოსავლების (რომელთა მთავარ წყაროდ სარეკლამო შემოსავლები და ძირითადი ჟურნალის ტირაჟის ზრდა იქცა) ფონზე არც იმდენად საგრძნობი იყო. მარჯორი სკარდინოს მმართველობის პერიოდში ჯგუფის სუფთა შემოსავალი ორჯერ და მეტადაც —19,7 მილიონიდან (1993წ.) 42 მილიონამდე (1996წ.) გაიზარდა.



## ევროპაში პირველი

The Economist-ის წარმატების წყალობით, მარჯორი სკარდინოთი The Economist Newspsparer-ის ჯგუფის ნახევარი წილის მფლობელი ბრიტანული მედიაკონგლომერატ Pearson-ის დირექტორთა საბჭო დაინტერესდა. იმ მომენტისთვის Pearson არცთუ მთლად სახარბიელო მდგომარეობაში იმყოფებოდა. მეტიც, კომპანიის აქციები განუწყვეტლივ ეცემოდა და ექსპერტები მას მტრების პოტენციურ სამიზნეთა შორისაც სულ უფრო და უფრო ხშირად ასახელებდნენ. Pearson-ის იმჟამინდელი აღმასრულებელი დირექტორი, ფრენკ ბარლოუ მდგომარეობის გამოსწორებას მასმედიასთან კავშირის არმქონე ზოგიერთი აქტივის, მათ შორის, ფაიფურის საწარმოო ხაზ Royal Doulton-ისა და Chateau Latour-ის ვენახების თანდათანობით თავიდან მოშორებით ცდილობდა. თუმცაღა, ბარლოუს ეს მცდელობები 1994 წელს კომპიუტერული თამაშების კალიფორნიული მწარმოებლის — Mindscape-ს უკიდურესად წარუმატებელმა შესყიდვამ გადახაზა.

კომპანიას უთუოდ ახალი ლიდერი სჭირდებოდა. ხანგრძლივი განსჯის შემდეგ, დირექტორთა საბჭომ ეს პოსტი მარჯორი სკარდინოს შესთავაზა. ეს უკანასკნელი კი შეთავაზებულ წინადადებას ასევე ხანგრძლივი ორჭოფობის შემდეგ დათანხმდა. ასე გახდა ამერიკელი ქალი მსხვილი ბრიტანული კომპანიის მმართველი. კონსერვატიულად განწყობილმა ინგლისურმა პრესამ კი ამოუწურავი სადისკუსიო თემაც მიიღო. ამ დისკუსიის მთავარი კითხვა დაახლოებით ასე ჟღერდა: „განა სამი შვილის დედა 150-წლიანი ისტორიის მქონე უზარმაზარი ბიზნესის გაძღოლას შეძლებს?“ ჟურნალისტებმა „გულნატკენი“ არც მარჯორის ქმარი დატოვეს და მას „ამბიციური ცოლის შარვლიანი დიასახლისიც“ კი უწოდეს.



## ევროპაში კიდევ ერთი გამყოფი კედელი დაინგრა

ლიონის მახლობლად მდებარე პატარა ფრანგულ ქალაქში ეპოქალური მოვლენა მოხდა — მოსახლეობამ ორსაუკუნოვანი კედელი დაანგრია, რომელიც გაუცხოებისა და ერთმანეთისადმი უნდობლობის სიმბოლოდ იქცა. 1806 წელს ბომონ-დე-ვალანსის ტაძარში კათოლიკეთა და პროტესტანტთა ღვთისმსახურების გასამიჯნავად, კედელი აღმართეს. ქალაქელებს ჯერ კიდევ ახსოვთ ის დრო, როდესაც ორი კონფესიის წარმომადგენლები ცალ-ცალკე შენობებში ლოცულობდნენ და პროდუქტებსაც კი მხოლოდ „საკუთარ ვაჭრებთან“ ყიდულობდნენ. ბოლო ხანებში რელიგიურ თემთა შორის ურთიერთობა საგრძნობლად დათბა და მრევლის მოძღვრებმა ეკუმენური გუნდი ჩამოაყალიბეს, რასაც ტაძრის გამყოფი კედლის დანგრევა მოჰყვა.



მრევლმა თავდაპირველად, კედელში კარი გაჭრა, შემდეგ კი კარდინალური გადაწყვეტილება მიიღო და კედლის დანგრევის საკითხი საერთო კენჭისყრით გადაწყვიტა. აღსანიშნავია, რომ კენჭისყრის დროს, უმრავლესობა ამ ნაბიჯის მომხრე იყო და მხოლოდ ორმა მორწმუნემ შეიკავა თავი. ■

ბრიტანელების დაცინვებს მარჯორი მედგრად იტანდა. პირველი, რაც მან ახალ პოსტზე გააკეთა, გახლდათ ის, რომ Pearson-ის თითოეულ თანამშრომელს დაუგზავნა წერილები, რომლებიც ასე იწყებოდა: „ძვირფასო, ვინც არ უნდა იყო შენ...“ წერილში ის კომპანიის რეორგანიზაციის საკუთარ გეგმებზე ჰყვებოდა, რაც კონსერვატიული ბრიტანული ბიზნესისთვის საკმაოდ უჩვეულო იყო. ამის შემდეგ სკარდინომ აამოქმედა პროგრამა, რომელიც Pearson-ის უკლებლივ ყველა (17 ათას) თანამშრომელს კომპანიის აქციების მომცრო პაკეტის მიღების (ადრე ამ პრივილეგიით მხოლოდ რამდენიმე ასეული ტოპმენეჯერი თუ სარგებლობდა) საშუალებას აძლევს.

სკარდინომ კომპანიაში ურთიერთობის ამერიკული არაფორმალური ურთიერთობის სტილიც შემოიღო. კომპანიის ყველა თანამშრომელს შესთავაზეს, ბოსისთვის უბრალოდ მარჯორი დაეძახა. მარჯორი კი თავის მხრივ, კოლეგებს ხან იმით აოგნებდა, რომ საქმიან შეხვედრებზე ბეისბოლის კეპით ცხადდებოდა, ხანაც თათბირებზე საკმაოდ სარისკოდ ხუმრობდა.

## წარმატების სტრატეგია

სკარდინო თანამდებობაზე სულ ახალი მისული იყო, როცა უახლოესი წლების პროგრამა-მაქსიმუმის — ხუთ წელიწადში კომპანიის აქციების ფასის გაორმაგების შესახებ გამოაცხადა. თუმცა დათქმული ვადის ნახევარში ჩაეტია და ამჟამად Pearson-ის ერთი აქცია, რომლის ფასიც სამი



წლის წინ 11 დოლარზე ნაკლები იყო, დაახლოებით 30 დოლარად იყიდება.

კომპანიაში რეფორმების მთავარ მიმართულებად კონცენტრაცია იქცა. სკარდინომ გადაწყვიტა, რომ Pearson-ის მრავალფეროვანი საქმიანობიდან ორი წამყვანი მიმართულების — მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და განათლების გამოყოფა აუცილებელი იყო.

მასობრივი ინფორმაციის ბეჭვდით საშუალებებში Pearson-ის წამყვან ბრენდად უწინდებურად ყოველდღიური გაზეთი The Financial Times რჩება. მასთან დაკავშირებით, სკარდინომ ჟურნალ The Economist-ის ამერიკულ ბაზარზე დატრიალებისას მიღწეული წარმატების გამეორება გადაწყვიტა. ერთ-ერთი საეკლამო სლოგანი, რომელიც ამერიკელებს The Wall Street Journal-ან ერთად უცხოური FT-ს წაკითხვაშიც არწმუნებდა, მარტივად, გასაგებად ჟღერდა: „მსოფლიოში 143 ქვეყანაა და ყოველ მათგანში არის ფული“. ამის შედეგად, გაზეთის ამერიკული ტირაჟი 342 ათასიდან (1997წ.) 470 ათასამდე (2000 წ.) გაიზარდა.

ამ გაზაფხულზე კომპანია Pearson-მა, კონცერნ Bertelsmann-თან ერთად, The Financial Times-ის გერმანული გამოცემის გამოშვება დაიწყო და დღეს მისი ტირაჟი უკვე 60 ათასი ეგზემპლარია. FT ასევე ფლობს ესპანეთის, პორტუგალიისა და საფრანგეთის წამყვან საქმიან გაზეთებსა და ერთობლივ საწარმოს რუსეთში.

გასული საუკუნის 90-იან წლებში Pearson-ის სატელევიზიო იმპერიას ჩაეყარა საფუძველი. ეს ხაზი სკარდინომაც წარმატებით გააგრძელა. აღმასრულებელი დირექტორის პოსტზე მის ერთ-ერთ მსხვილ გარიგებად 1997 წელს, რამდენიმე პოპულარული ტელეშოუს, მათ შორის მალიბუს მაშველების გამომშვები კალიფორნიული კომპანია All American Communications Ins-ის შეძენა (გარიგების თანხა — 513 მილიონი დოლარი) იქცა. იმის გამო, რომ ALL American მთელ მსოფლიოში ადგილობრივი კომპანიების ქსელსა და ტელეთამაშების ფართო ბიბლიოთეკას ფლობს, ამ შენაძენმა Pearson-ს საერთაშორისო სატელევიზიო ბაზარზე მნიშვნელოვანი გაფართოების საშუალება მისცა და მნიშვნელოვნად შეავსო Pearson-ის ბრენდების კოლექციაც, რომელშიც, სხვებთან ერთად, რუსული Поле чудес-ის პირველსახე — სახელგანთქმული ტელეთამაში Wheel of Fortune-ც შედის.

სკარდინო ესპანურენოვანი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ბაზრის მიმართაც დიდ ინტერესს იჩენს. ესპანურს ის მსოფლიოს სამ უმნიშვნელოვანეს ენას შორის ასახელებს. სწორედ აქედან მოდის ლათინური სამყაროს საინფორმაციო ბაზარზე წამყვან მოთამაშესთან, ესპანეთის ყოფილ ტელესაკომუნიკაციო მონოპოლია Telefonica-სთან მჭიდრო თანამშრომლობაც. 1999 წელს Pearson თავისი ფილმებისა და ტელეშოუების ესპანეთსა და ლათინურ ამერიკაში საჩვენებლად წარდგენაზე მოელაპარაკა Telefonica-ს.

არანაკლებ ძალისხმევას ახმარს სკარდინო საგანმანათლებლო ბაზარზე ფეხის მოკიდებასაც. ზოგიერთი ანალიტიკოსის დაეჭვების მიუხედავად, კომპანია ამ მიმართულებას მაინც პერსპექტიულად მიიჩნევს. ეს განსაკუთრებით, ამერიკის შეერთებულ შტატებზე ითქმის, სადაც Pearson-ის მონაცემებით, დღესდღეობით, 14 მილიონი სტუდენტიდან თითოეულის სასწავლო მასალებით უზრუნველყოფაზე წელიწადში საშუალოდ 300 დოლარი იხარჯება. Pearson-ის პროგნოზით, მომავალში ეს თანხა კიდევ გაიზრდება, რადგან განათლების საკითხები დღეს ბევრი ამერიკელი პოლიტიკოსის პროგრამაში, მათი პარტიული კუთვნილების მიუხედავად, ერთ-ერთ პირველ ადგილზე დგას. სწორედ ამ ლოგიკით, Pearson-მა 1998 წელს, კომპანია Viacom-ისგან 4,6 მილიარდ დოლარად შეიძინა გამომცემლობა Simon & Schuster, რომელიც სასწავლო ლიტერატურის გამოშვებაზე სპეციალიზდება. ამ ახალი შენაძენის Pearson-ის კუთვნილ სხვა გამომცემლობებთან — Longman-თან და AddisonWesly-თან შერწყმის შემდეგ, ჩამოყალიბდა საგანმანათლებლო ქვეგანყოფილება Pearson Education, რომელიც სახელმძღვანელოების მსოფლიო ბაზრის თითქმის 40%-ს აკონტროლებს.

მარჯორი სკარდინოს თქმით, განმანათლებლობისკენ სწრაფვა მას მემკვიდრეობით გადმოეცა ბაბუისგან, რომელიც ტეხასში სკოლის დირექტორად მუშაობდა. აქედან გამომდინარე, საგანმანათლებლო ბაზარზე წამყვანი ადგილის დასაკავებლად სწრაფვისას სკარდინო მხოლოდ მოგების მიღებით კი არა, Pearson-ის დანიშნულების შესახებ საკუთარი წარმოდგენითაც ხელმძღვანელობს. „შეიძლება, ბანალურად ჟღერდეს, მაგრამ იმას, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, აზრი აქვს, — ამბობს მარჯორი სკარდინო, — ვფიქრობ, საუკეთესო კომპანიები ისინია, რომლებსაც აქვთ მიზანი და თავიანთ თანამშრომლებს იმის განცდის შანსსაც აძლევენ, რომ ისინი ვიღაცის ცხოვრებას ნამდვილად სასიკეთოდ ცვლიან“...

■



მოამზადა რუსუდან ლებანიძემ

## მორგან ფრიმენი — მორგან ფრიმენს „კლავს“



მსახიობი მორგან ფრიმენი ბროდვეიზე ერთადერთი მიზნით ბრუნდება — მას ყველასთვის კარგად ნაცნობი და საყვარელი მორგან ფრიმენის „მოკვლა“ სურს, რადგან ღმერთების, გულკეთილი პოლიციელების, ერთგული მეგობრების, შესანიშნავი პრეზიდენტების როლების შესრულება მოჰბეზრდა...

70 წლის „ოსკაროსანი“ მსახიობი ფრენსის მაკდორმანსა და პიტერ გალახერს შეუერთდა, რათა კლიფორდ ოდეტრის დრამაში — „სოფლელი გოგონა“ მიეღო მონაწილეობა, რომლის დადგმა რეჟისორმა მაიკლ ნიკოლსმა იკისრა. ფრიმენის გმირი — ხანში შესული მსახიობი და მომღერალი ფრენკ ელჯინი საკუთარ თავს და ალკოჰოლიზმთან დაკავშირებულ პრობლემებს ებრძვის. მას რეჟისორი ბერნი დოდი ახალ მიუზიკლში მთავარი როლის შესრულებას შესთავაზებს, მაგრამ ელჯინი მცირე პასუხისმგებლობასაც კი გაურბის და ამჯობინებს, მის ნაცვლად გადაწყვეტილებები მეუღლემ — ჯორჯიმ მიიღოს. რეჟისორი ფრენკის დახმარებას ცდილობს და ელჯინის პრობლემებში ჯორჯის ადანაშაულებს... აღსანიშნავია, რომ ფრენკ ელჯინის როლი განსახიერებული აქვთ ისეთ სახელგანთქმულ მსახიობებს, როგორებიც არიან: ჯეისონ რობარდსი, ჰელ ჰოლბრუკი და ბინგ კროსბი. მორგან ფრიმენმა პოპულარობა ფილმებში: „დიდება“, „გაქცევა შოუშენკოდან“, „შვიდი“, „უფსკრულთან შეჯახება“, „ყოვლისშემძლე ბრიუსი“ და „გოგონა მილიონ დოლარად“ ნათამაშევი როლებით მოიპოვა, მაგრამ საგულისხმოა, რომ მისი სამსახიობო კარიერა სწორედ თეატრში დაიწყო და მას შემდეგ, ბროდვეულ წარმოდგენებში რეგულარულად მონაწილეობს. მსახიობმა მრავალ დადგმაში ითამაშა. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია The Gospel at Colonus (1998) და The Mighty Gents (1978 წელს, ამ სპექტაკლში შესრულებული როლისთვის ფრიმენმა პრესტიჟული თეატრალური პრემია — „ტონი“ მიიღო). მაყურებელმა ფრიმენი სცენაზე ბოლოს 1990 წელს, სპექტაკლში — The Taming of the Shrew იხილა. ■

## პოლიცია ემი უაინჰაუსს ნარკოტიკების შენახვაში ადანაშაულებს

ტელეარხ Sky News-ის ცნობით, პოლიციამ ბრიტანელი მომღერალი ემი უაინჰაუსი ნარკოტიკების უკანონო შენახვის ბრალდებით დააკავა და მხოლოდ გირაოს გადახდის შემდეგ გაათავისუფლა. 2008 წლის იანვარში ტაბლოიდმა — The Sun 19-წუთიანი ვიდეოჩანაწერი და ფოტოსურათები გამოაქვეყნა, სადაც ჩანს, თუ როგორ მოიხმარს მომღერალი ნარკოტიკულ ნივთიერებებს (სავარაუდოდ, ჰეროინს, კოკაინს და ექსტაზს). ფირზე აღბეჭდილი საუბრისას ემი უაინჰაუსი აღიარებს, რომ 6 აბი ვალიუმი აქვს მიღებული!

პოლიცია ადასტურებს, რომ უაინჰაუსი დაკითხვაზე საკუთარი



ნებით გამოცხადდა. მომღერლის წარმომადგენელი კი აცხადებს, რომ ემი გამოძიებასთან თანამშრომლობს. აპრილში, 25 წლის ვარსკვლავმა ერთი ღამე პოლიციის განყოფილებაში გაატარა, სადაც ორი მამაკაცის ცემის გამო აღმოჩნდა! როგორც გაირკვა, ერთ-ერთი დაზარალებული ტაქსის გაჩერებაში ეხმარებოდა, რისთვისაც მან თავური დარტყმა მიიღო, ხოლო მეორე მამაკაცს ემის მუშტი სახეში მოხვდა... 2008 წლის დასაწყისში, უაინჰაუსმა ნარკოტიკებზე დამოკიდებულების გამო სარეაბილიტაციო კლინიკაში მკურნალობის კურსი გაიარა. თებერვალში მომღერალმა „გრემის“ 5 ნომინაციაში გაიმარჯვა (მათ შორის, ნომინაციაში „წლის საუკეთესო სიმღერა“), მაგრამ დაჯილდოების ცერემონია გამარჯვებულის გარეშე ჩატარდა, რადგან ამერიკის ხელისუფლებამ მას ვიზის გაცემაზე უარი უთხრა. ■

## Marvel–ის ახალი პროექტი

სტუდია Marvel Studios ფილმში — The First Avenger: Captain America, — სუპერგმირის როლის შემსრულებლის ერთ-ერთ უმთავრეს პრეტენდენტად მეთიუ მაქკონაჰის კანდიდატურას განიხილავს. ფილმის რელიზი 2011 წლის მაისშია დანიშნული, მაგრამ სტუდიამ მსახიობთა შერჩევა უკვე დაიწყო. აშშ-ის დროშის ფერების კოსტიუმში გამოწყობილი სუპერგმირი, კაპიტანი ამერიკა Marvel-ის კომიქსებში მეორე მსოფლიო ომის დროს გამოჩნდა. იგი „იდეალური ჯარისკაცის“ შექმნის ექსპერიმენტის მონაწილე სტივ როჯერსის ალტერეგოა, რომელიც ამერიკელმა სამხედროებმა ნაცისტური ბლოკის წევრი ქვეყნების წინააღმდეგ ბრძოლაში გამოიყენეს. ფილმს რეჟისორი ნიკ კასავეტისი („ალფა დოგი“) გადაიღებს. მეთიუ მაქკონაჰს მაყურებელი ფილმებით: „საჰარა“ და „როგორ დავაღწიოთ თავი ყმაწვილს 10 დღეში“ იცნობს. Marvel Studios-მა 2008 წელს გაქირავებაში გამოუშვა ფილმი — „რკინის კაცი“, რომელიც ამერიკული კინოგაქირავების ლიდერი გახდა და ჩვენების პირველ უიკ-ენდზე სტუდიას 100 მილიონ დოლარზე მეტი შემოსავალი მოუტანა. ■





## ჯოან როულინგმა ფოტოსააგენტოს წინააღმდეგ აღძრული სარჩელი მოიგო

„ჰარი პოტერის“ სახელგანთქმულმა ავტორმა, ჯოან როულინგმა ლონდონის უმაღლეს სასამართლოში ფოტოსააგენტოს წინააღმდეგ აღძრული სარჩელი მოიგო, რომელმაც მისი 5 წლის ვაჟიშვილის — დევიდის ფოტოსურათები გამოაქვეყნა. ფოტოები 2004 წელს ანუ მაშინაა გადაღებული, როდესაც ის მხოლოდ 18 თვის იყო. მწერალმა ქალმა მიიჩნია, რომ პუბლიკაციამ ბავშვის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა დაარღვია და სასამართლოში სარჩელი აღძრა, მაგრამ თავდაპირველად, პროცესი წააგო. 2007 წელს საქმე განსახილველად სააპელაციო სასამართლოს გადაეცა. 42 წლის ჯოან როულინგს სურს, რომ მისი შვილის პირადი ცხოვრება უკანონო ჩარევისგან თავისუფალი იყოს! ამ მოსაზრებას მოსამართლე ენტონი კლარკიც ეთანხმება: „თუ უბრალო მშობლების შვილი დარწმუნებულია, რომ მისი ფოტოსურათი პრესაში არ გამოქვეყნდება, მაშინ ცნობილი მშობლების შვილთა უფლებებიც დაცული უნდა იყოს“. როულინგმა ფოტოსააგენტო Big Pictures-ს წინააღმდეგ სარჩელი მიურეის გვარით აღძრა, რადგან მეორე ქორწინების შემდეგ, ის სწორედ ამ გვარს ატარებს. სასამართლო განაჩენის გამოტანის შემდეგ, ჯოანი და მისი მეუღლე ნილ მიურეი ერთობლივი განცხადებით გამოვიდნენ: „ჩვენ კარგად გვესმის, რომ „ჰარი პოტერის“ წარმატებამ ჯოანის პიროვნებისა და პროფესიული მოღვაწეობის მიმართ პუბლიკისა და საინფორმაციო საშუალებების ცხოველი ინტერესი გამოიწვია, მაგრამ ვცდილობთ, შვილებს ფოტოკამერებისგან დაცული, ნორმალური ცხოვრება ვაჩუქოთ. სასამართლოს მადლიერნი ვართ, რადგან მან ჩვენი შვილების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა დაიცვა. ეს გადაწყვეტილება მათ მომავალ ცხოვრებაზე უდიდეს გავლენას მოახდენს“.



2004 წლის ნოემბერში გადაღებული კადრები, რომლებზეც ედინბურგის ქუჩებში მოსეირნე ჯოან როულინგი და დევიდი არიან აღბეჭდილნი, ჟურნალმა Sunday Express-მა გამოაქვეყნა. მოგვიანებით, ამ გამოცემამ როულინგთან შეთანხმებას მიაღწია და ამის წყალობით სასამართლო განხილვას თავი დააღწია. ■

## უმა თურმანის თაყვანისმცემელს სასამართლომ 1-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა

უმა თურმანის ფსიქიკურად დაავადებულ თაყვანისმცემელს სასამართლომ 1 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. უმუშევარი ჯეკ ჯორდანი დარწმუნებული იყო, რომ ბედისწერამ თურმანი მას აჩუქა და რომ მსახიობი მხოლოდ მასთან პოვებდა ბედნიერებას! „გზის“ წინა ნომერში უკვე მოგითხრეთ იმის შესახებ, თუ როგორ შეაღწია ჯორდანმა უმა თურმანის ავტოფურგონში და როგორ დარაჯობდა მას სახლის კიბესთან, სადაც უმა ორ შვილთან ერთად ცხოვრობს. ჯეკ ჯორდანი პოლიციამ 2007 წელს დააპატიმრა. ფსიქოპათი თაყვანისმცემელი აცხადებდა, რომ თუ თურმანის ნახვის საშუალება არ ექნებოდა, სიცოცხლეს თვითმკვლელობით დაასრულებდა. ■



## კლინტ ისტვუდი „ბინძური ჰარის“ მკვლელობას ამზადებს



ცნობილი მსახიობი და რეჟისორი კლინტ ისტვუდი ფილმის — „ბინძური ჰარის“ (1971 წელი) მთავარ გმირს, პოლიციის ინსპექტორ ჰარი კალაჰარის როლს კიდევ ერთხელ და უკანასკნელად ითამაშებს — 77 წლის მსახიობი საკუთარ პერსონაჟს „მოკვლას“ უპირებს. ბოლოს, ჰარი კალაჰარი მაყურებლმა ფილმში — „სიკვდილის თამაში“ (The Dead Pool, 1988 წელი) იხილა და პუბლიკას მაგნუმის პისტოლეტით და ამერიკული კინოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი რეპლიკით: „რაო, ცხოველო, მოგეწონა?“ (Do you feel lucky, Punk) დაამახსოვრა თავი. ■

## ჟურნალი Gramophone 85 წლის მანძილზე შექმნილ არქივს ინტერნეტ-საიტზე გამოაქვეყნებს




ბრიტანული მუსიკალური ჟურნალი — Gramophone ახალ ინტერნეტსაიტს ქმნის, სადაც გამოცემის 85-წლიანი ისტორიის მანძილზე შექმნილი არქივი გამოქვეყნდება. ახალი პროექტი სექტემბრის დასაწყისში ამუშავდება. საიტზე იმ ყველაფრის ნახვა იქნება შესაძლებელი, რაც ჟურნალის გვერდებზე მისი დაარსების დღიდან — 1923 წლიდან მოყოლებული გამოქვეყნებულა. მომხმარებლის შრომის გასაიოლებლად, საიტი საძიებო სისტემით იქნება აღჭურვილი და მისი მეშვეობით 100 ათასი სტატიის, რამდენიმე ასეული ინტერვიუსა და მიმოხილვისგან შემდგარი არქივი მკითხველს უფასოდ მიეწოდება. 2009 წლიდან კი საიტს ექნება სპეციალური განყოფილება, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება სასურველი მუსიკალური კომპოზიციის (კლასიკური მუსიკის რეპერტუარიდან) ყიდვა და გადმოწერა. ასევე, მკითხველს ექნება იმის საშუალება, რომ ამ კომპოზიციების დირიჟორებსა და შემსრულებლებთან ჩაწერილ ინტერვიუსაც გაეცნოს, რაც მას არჩევანის გაკეთებაში დაეხმარება. ■



რუბრიკა მოამზადა ნატო მანჯავიძე

# „რატომ ფიქრობ, რომ ყველასთვის სასურველი ქალი ხარ?“

## „ვინც შენზე ცუდს ამბობს, მას შენი შურს“

**მულატკას ინტერვიუმ მის თაყვანისმცემლებს მოსვენება დააკარგვინა — ზოგი მესიჯს მიგზავნიდა, ზოგი კი მირეკავდა და სიყვარულს მიხსნიდა, რადგან მათ მულატკა ვეგონე. მაგრამ სამწუხაროდ, არც ერთ მათგანს არ ეყო გამბედაობა, რომ მას ჩვენთან ერთად შეხვედროდა. ამიტომაც, მხოლოდ თქვენ მიერ გამოგზავნილ „ესემესებს“ გთავაზობთ.**



*სოფო ჭონიშვილი*

„წმინდა თვალებში, სულ რომ გიყურო,/ უნეტარესი გრძნობით დავთვრები,/ ყოველდღიურად, 100-ჯერ რომ გნახო,/ მაინც 1000-ჯერ მომენატრები“.

„ძალიან მინდა, ეს მესიჯი მულატკამ წაიკითხოს და გთხოვთ, დაბეჭდეთ. მულატკა, ჩემი ოცნების ქალი ხარ, სიზმარშიც კი გხედავ. გიო, 27 წლის“.

„შენთან ერთად მთელ ცხოვრებას სიამოვნებით გავატარებდი. მშვენიერო, მიყვარხარ და ძალიან მინდა, ახლოს გაგიცნო. ვიცი, უამრავი თაყვანისმცემელი გყავს, მაგრამ ამ „ესემესს“ მაინც გწერ. ვინ იცის, იქნებ, გამიმართლოს და ჩემთან შეხვედრა მოინდომო“.

„ძალიან მაინტერესებს, შენს თავში „მინუსებს“ რატომ არ ეძებ და სხვებს რატომ აკრიტიკებ? შენს ადგილას რომ ვიყო, უარყოფით თვისებებზე საერთოდ არ ვილაპარაკებდი. იდეალური ნამდვილად არ ხარ. რომ გითხრა, ოდესმე შენზე კარგი შთაბეჭდილება მქონდამეთქი, მოგატყუებ, მაგრამ ამ ინტერვიუს წაკითხვის შემდეგ, მართლა გადავირიე — როგორ სიამაყით ამბობ, — ვიგინებიო. ნუთუ, არ გრცხვენია?!“

„იცი, რაზე ვფიქრობ? — შენს ლამაზ თვალებზე,/ იცი, რა მინდა? — მინდა, გაკოცო,/ იცი, რა მომდის? — გული მებზარება,/ უშენოდ ყოფნა და სიცოცხლე მეზარება“.

„მულატკა, შენი ქცევები ძალიან მაღიზიანებს. რატომ ფიქრობ, რომ ყველასთვის სასურველი ქალი ხარ? საკუთარ თავზე გადაჭარბებული წარმოდგენა გაქვს!“

„შეუდარებელი ხარ. ვინც შენზე ცუდს ამბობს, მას შენი შურს. გოგო ვარ, მაგრამ შენთან მაინც დიდი სიამოვნებით ვიმეგობრებდი. შენ მულტკა ხარ, მე — მულანი. გთხოვ, დამიკავშირდი“.

„ჰიპნოზისთვალებიანო,/ შენს კოცნას მაბრალიანო,/ 10-წლიან „სროკზე“ მიშვებენ,/ ციმბირში მაგზავნიანო,/ თუკი ერთ მესიჯს დამიწერ,/ ამ სასჯელს მომიხსნიანო“.

„მულატკა, სჯობს, სანამ გვიანი არაა, გონს მოხვიდე. გირჩევ, კარგად დაფიქრდე და ყველაფერი გაანალიზო. სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. ლიმონა“.

„მულატკას გაცნობა ძალიან მინდა და იქნებ, დამეხმაროთ. მერწმუნეთ, მისი ერთი ნახვა და ერთი კოცნა ჩემთვის საკმარისია. მიყვარხარ. დათო“.

„მშვენიერო, შენი და ჩემი ხასიათები ერთმანეთს ემთხვევა. მე ბათუმელი ბიჭი ვარ. თუ სურვილი გაგიჩნდება, ჩამოვალ და გაგიცნობ“.

„საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა გაქვს. დამიჯერე, არც ისეთი სექსუალური და მიმზიდველი ხარ, როგორიც გგონია. ნიკა“.

„მულატკა, ძალიან ლამაზი გოგონა ხარ. შენზე ძალიან ცოტა რამ ვიცი, რადგან საზღვარგარეთ ვიყავი და საქართველოში ახლახან დავბრუნდი. ჰოდა, მოწყენილობისგან აღარ ვიცი, რა ვაკეთო. მეც შენნაირი ვარ და ჯერჯერობით, ჩემი შესაფერისი გოგონა ვერ ვიპოვე. ვფიქრობ, ერთმანეთს კარგად გავუგებთ“.

„რატომღაც მიუწვდომელი მგონიხარ. ვოცნებობ, ჩემ გვერდით შენნაირი ადამიანი იყოს. მულატკა, ძალიან მიმზიდველი ხარ“.

„არც ბექჰემს ვგავარ და არც გატუზოს, მაგრამ ძალიან სიმპათიური ვარ და აუცილებლად მოგეწონები. უნაკლო ადამიანი არ არსებობს და ალბათ, ამაში შენც დამეთანხმები“.

„შენ ხარ თოჯინა, რომლითაც შეიძლება, მშვენივრად გაერთო. არა მგონია, შენზე ვინმემ სერიოზულად იფიქროს. რა ვიცი, ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვფიქრობ“.

„მულატკა, ისე მომწონხარ, არ ვიცი, სიყვარული როგორ აგიხსნა. არც გატუზოს ვგავარ და არც — ბექჰემს, ერთი ჩვეულებრივი გოგო ვარ. შენ კი მაგარი საყვარელი ვიღაც ხარ და ყველაფერ კარგს გისურვებ. აფხაზეთის პრინცესა“.

„მულატკა, ბექჰემი ვარ და საქართველოში შენს გასაცნობად ჩამოვფრინდი. დამიკავშირდი და გეტყვი, სადაც უნდა შევხვდეთ. მიყვარხარ“.

„ცუდად ვარ!/ იცი, რა მჭირს? — მონატრება./ იცი, რა მკლავს? — უშენობა,/ იცი, რა მინდა? — შენთან ყოფნა,/ იცი, რა მომარჩენს? — შენი კოცნა“.

„აუ... მაგრად „მევასები“ და შენთან ურთიერთობა ძალიან მინდა. თუ შემხვდები, არ ინანებ. ჰო, მართლა, გატუზოს ვგავარ“.

„მულატკა, შენთან ერთი თხოვნა მაქვს: მაინტერესებს, რა ინტელექტის პატრონი ხარ და ამიტომაც გთხოვ, რუბრიკა „ერუდიტში“ მიიღე მონაწილეობა. მესი“.

„ერთ რჩევას მოგცემ: ბოლომდე იყავი ის, რაც ხარ. მიმაჩნია, რომ მშვენიერი გოგო ბრძანდები. ჩემი აზრით, რასაც აკეთებ, ის გიხდება და ვინც გაკრიტიკებს, გოიმია. თუ გამეცნობი, ძალიან გამიხარდება“.

„ქვეყნად სილამაზე შენგან იწყება,/ ნაზი სურვილიც შენგან იფრქვევა,/ შენი სიყვარული ისე მჭირდება,/ როგორც უდაბნოს წყალი სჭირდება“.

„შენ ნამდვილი დედოფალი ხარ, ყველასგან განსხვავებული და ორიგინალური. მიუხედავად იმისა, რომ პირადად არ გიცნობ, მაინც მიყვარხარ და მენატრები ისე, როგორც არასდროს არავინ მომნატრებია“.

„მოდი, მაჩუქე ეგ სიყვარული,/ გულს უშენობით ნუღარ მიტანჯავ,/ და თუკი სადმე წმინდა გრძნობაა,/ სწორედ ამ გრძნობით, მე შენ მიყვარხარ“.

„ჩემი სიცოცხლის დიდო სურვილო,/ ნეტავ შემეძლოს შენი ფერება,/ ახლა უთვალავ კოცნას გიგზავნი,/ ვფიქრობ, რომ ნაზად მოგეფერება“.

რუბრიკის დასაწყისი იხ. გვ. 17

# საქართველო საფრთხეშია

პრეზიდენტის პოსტზე ვლადიმირ პუტინის ბოლო მნიშვნელოვანმა ნაბიჯმა კავკასია ახალი ომის ზღვართან მიიყვანა. შესაძლოა, პრემიერ-მინისტრის პოსტზე მოსვლის შემდეგ მის პირველ ნაბიჯადაც სწორედ ამ მიჯნის გადალახვა იქცეს. და თუ რუსეთი ბევრად უფრო მშვიდ დროშიც კი სიფიცხით გამორჩეული სააკაშვილის ხელით შეიარაღებული კონფლიქტის პროვოცირებას მოახერხებს, ეს კრემლისთვის მართლაც, საუკეთესო ვარიანტი იქნება.

აფხაზეთში საომარი მოქმედებების განახლებით, რუსეთი ნებისმიერ სიტუაციაში მოგებული დარჩება. პირდაპირი შეტაკების შემთხვევაში მას ქართულ ჯართან შედარებით დიდი სამხედრო უპირატესობა ექნება. თბილისს კი ევროპის მხრიდან სიტყვიერი მხარდაჭერის იმედიც კი (აღარას ვამბობთ მოქმედებებზე) არ უნდა ჰქონდეს. თანაც, ნებისმიერი „ცხელი“ კონფლიქტი საქრთველოსთვის, ნატოში ადრე თუ გვიან შესვლისა და დასავლურ დემოკრატიებს შორის ადგილის დაკავების შანსებსაც საგრძნობლად ამცირებს. მაგრამ ვითარება მკვეთრად შეიცვლება, თუ აფხაზები პირველები დაარტყამენ კოდორის ხეობას, რადგან მათ ქმედებებში მოსკოვის ხელი აშკარად გამოჩნდება. აშშ-სა და ევროპას კი პრემიერ-მინისტრ პუტინთან შედარებით, მათ მიერ უფრო კეთილმოსურნე და რბილ პოლიტიკოსად მიჩნეულ რუსეთის ახალგაზრდა პრეზიდენტ დმიტრი მედვედევთან ურთიერთობის გადახედვა მოუწევთ.

უნდა ვივარაუდოთ, რომ რუსები (იმ შემთხვევაში, თუ ისინი საქართველოში ომის პროვოცირებას მართლა მოახდენენ) ამ რისკების რეალურობას კარგად აცნობირებენ. გასულ კვირას ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მრჩეველმა ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, სტივენ ჰენდლიმ განაცხადა, რომ მოსკოვს „ნაბიჯის უკან გადადგმა“, დასავლეთს კი რაღაც უფრო მეტის გაკეთება მართებს. ნატოს შეუძლია, საქართველოსთვის უსაფრთხოების ოფიციალური გარანტიების მიუცემლად განაცხადოს, რომ განზე არ გადგება, თუ რუსეთი საქართველოს უშუალოდ ანდა აფხაზების მეშვეობით დაესხმება თავს. ამერიკას კი საქართველოში სამხედრო მრჩეველთა საკუთარი მისიის გაზრდა შეუძლია.

თავად მოსკოვი და ზოგიერთი დასავლელი „სასარგებლო სულელი“ ისევ ირწმუნებიან, — აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საქრთველოსთვის წართმევის ლეგიტიმური საბაბი რუსეთს, კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამ მისცაო, — თითქოს ბოლო 5 წლის მანძილზე კავკასიის რეგიონში მისი (რუსეთის) რეალური მიზანი, თბილისში რეჟიმის შეცვლა არ ყოფილიყო, და თითქოს პუტინი სრულიად მკაფიოდ არ მიანიშნებდა, რომ მისი მიზანი — ენერგომატარებლებით მდიდარ კავკასიასა და მთელ „ახლო საზღვარგარეთშიც“ რუსეთის „გავლენის სფეროს“ აღდგენა იყო.

რუსული აგრესიის ალის გასაღვივებელ ნაპერწკლად, კოსოვოს დამოუკიდებლობა კი არა, ბუქარესტის მოვლენები იქცა. რუმინეთის დედაქალაქში გამართულ ნატოს აპრილის სამიტზე გერმანიამ ალიანსის წევრობისათვის მოსამზადებელ სამოქმედო გეგმასთან უკრაინისა და საქართველოს მიერთების იდეა „დაბლოკა“. ბერლინმა ამ ორი დემოკრატიული ქვეყნისათვის ნატოში შესასვლელი გრძელი გზის გახსნას მოსკოვთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნება ამჯობინა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნატო ამ ორი ქვეყნის ბედში მონაწილეობის საქმეს თავადვე განუდგა.

კრემლმა, რომელიც შესანიშნავად ხედავს დასავლეთის ყოყმანსა და გაუბედაობას, ბუქარესტის სამიტიდან სულ რამდენიმე დღეში საქართველოზე ზეწოლა გააძლიერა. და თუ ახლა რუსეთი თავისას მიაღწევს, ამავე იდეის — მოგწონთ თუ არა ეს, მაინც „ჩვენი სამყაროს“ ნაწილი ხართო — ჩაგონებას ბევრად უფრო დიდ ქვეყანასთან — უკრაინასთან ცდის. ზბიგნევ ბჟეზინსკის სიტყვების პერიფრაზირებით შევნიშნავთ, რომ რუსეთი მხოლოდ მაშინ შეძლებს იმპერიად ხელახლა ქცევას, თუ უკრაინა მოსკოვის ბანაკში აღმოჩნდება. და პირიქით — რუსეთი მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდება დემოკრატიული ქვეყანა, რეგიონში კი მშვიდობა და თავისუფლება დაისადგურებს, თუ ის იმპერიად აღარასოდეს იქცევა. საქართველოში დღეს, სწორედ ევრაზიაში მოვლენების ასეთი დასრულებისთვის გამიზნული, აშშ-ისა და სხვა ქვეყნების ჩვიდმეტწლიანი მცდელობები დგას საფრთხის ქვეშ.

*The Wall Street Journal* **(აშშ).**

# რუსეთი ყველაფრისდა მიუხედავად გადაშენდება...




საერთაშორისო ექსპერტები დემოგრაფიული პრობლემების სწრაფად გადაჭრის თაობაზე რუსეთის ხელისუფალთა ოპტიმიზმს არ იზიარებენ. ისინი არარეალურად მიიჩნევენ დემოგრაფიული განვითარების კონცეფციაში დასახულ მიზანსაც, რაც მოსახლეობის რაოდენობის 145 მილიონამდე გაზრდას ითვალისწინებს. და თუ ამჟამინდელი ტენდენციები შენარჩუნდა, გაეროს ექსპერტების აზრით, რუსეთის მოსახლეობის რაოდენობა პირიქით, 125 მილიონამდეც კი შემცირდება. გაეროს ექსპერტთა ამ უმძიმესი პროგნოზის სისწორეს რუსეთის მთავრობის უსისტემო დემოგრაფიული პოლიტიკა და სრულიად გაუმართლებელი გულარხეინობაც ადასტურებს.

რუსეთის გადაშენებაზე ლაპარაკი, დღეს ნამდვილად არ დაწყებულა. თუმცა ხელისუფლება სწორედ ამ ბოლო ხანებში, ხშირად უსვამს ხაზს იმას, რომ მოსახლეობის შემცირება მხოლოდ სამამულო წარმოშობის პრობლემა როდია. მართლაც, მოსახლეობის რაოდენობის შემცირებითა და მისი დაბერებით მსოფლიოს განვითარებული ქვეყნებიც საკმაოდ არიან შეშფოთებულნი. მაგრამ დასავლეთში ეს, პირველ რიგში, პოტენციური მშობლების გაზრდილი მატერიალური და კარიერული მიდრეკილებების გამო შობადობის შემცირებითაა გამოწვეული. რუსეთში კი ამ პროცესს, შობადობის შემცირების გარდა, სწრაფად მზარდი სიკვდილიანობაც ერთვის.

რუსეთის მოსახლეობამ მაქსიმალურ რაოდენობას 1993 წლის დასაწყისისთვის მიაღწია და 148,6 მლნ ადამიანი შეად-

გინა. მაგრამ 2008 წლის დასაწყისისთვის, რუსეთის სტატისტიკის სამსახურის შეფასებით, ეს მაჩვენებელი 142 მილიონ ადამიანამდე შემცირდა. 1992 წლიდან ქვეყანაში გარდაცვლილთა რაოდენობა დაბადებულთა რაოდენობას გამუდმებით აღემატებოდა და 16 წლის მანძილზე ამ სხვაობამ 12 მლნ ადამიანი შეადგინა. მოსახლეობის რაოდენობის ესოდენი კლება მიგრაციული პროცესების ზრდის მეშვეობით მხოლოდ 5,5 მილიონით თუ დაკომპენსირდა. გაეროს ექსპერტთა თქმით, მოსახლეობის რაოდენობის შემცირების მასშტაბები დიდი საფრთხის შემცველია: 2001-2006 წლებში ქვეყანა ყოველწლიურად, მოსახლეობის 0,5%-ს კარგავდა.

სამართლიანობისთვის ისიც უნდა ითქვას, რომ რუსეთის ხელისუფლება მთლად უმოქმედოდ როდი ზის. მაგალითად, 2007 წელს ქვეყანაში შობადობის ხელშეწყობის მიზნით, არაერთი ქმედითი ღონისძიება გატარდა, რასაც შობადობის გაზრდაც მოჰყვა. მაგრამ ამ ყველაფრის უფრო ხარისხიანი ანალიზი სტატისტიკურ სურათს ძალზე არასახარბიელო დასკვნებითაც ავსებს. მიუხედავად იმისა, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან რუსეთში შემოსული მოსახლეობის ნაკადი შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობის შემცირების პრობლემას რამდენადმე არბილებს, სინამდვილეში ამ მხრივ, რუსეთის დანაკარგი შენაძენს ბევრად აღემატება. ამასთანავე, ამ დანაკარგის შეფასება ძალზე რთულია, რადგან ქვეყნიდან წასული „ტვინებისა და ტალანტების" ოფიციალური სტატისტიკა საერთოდ არ არსებობს. სამაგიეროდ, არსებობს მონაცემები იმ უცხოელების შესახებ, რომლებმაც რუსეთში ცხოვრების უფლება მიიღეს. მათი უმეტესობა, 2003-დან 2006 წლამდე, ცენტრალური აზიისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკების მოქალაქე იყო. ■

# ზბიგნევ ბჟეზინსკი რუსეთის დაშინებას ლამობს



პოლიტიკოსებსა და დიპლომატებს, მათი საქმიანობიდან გამომდინარე, იმის საჯაროდ თქმა, რასაც სინამდვილეში ფიქრობენ, ხშირად როდი შეუძლიათ. სწორედ ამისთვის არსებობს მედიაფორუმებიც, სადაც ძლიერთა ამა ქვეყნისათა პოზიციების გახმოვანება ექსპერტების, პოლიტოლოგებისა და ჟურნალისტების დახმარებითაა შესაძლებელი. ამ თვალსაზრისით, ალმა-ათაში ცოტა ხნის წინ ჩავლილი VII ევრაზიული მედიაფორუმი, რომელმაც 450 მონაწილეს მოუყარა თავი, გლობალური მოთამაშეების პოზიციების წარმოსაჩენ შესანიშნავ მოედნად იქცა.

ფორუმზე, რომლის საორგანიზაციო კომიტეტს ყაზახეთის პრეზიდენტის უფროსი ქალიშვილი დარიგა ნაზარბაევა ედგა სათავეში, ამჯერად სულ სხვადასხვა — აუღიარებელი ტერიტორიების, „მეორე ცივი ომის დეჟავიუს", „პოლიტიკაში გლამურისა და გლამურის პოლიტიკოსების" თემებს განიხილავდნენ. საკვანძო სპიკერებს შორის კი თავიანთი შეხედულებებით იმდენად განსხვავებული ფიგურები იყვნენ, როგორებიც არიან: საბჭოთა კავშირის დაშლის თეორეტიკოსი ზბიგნევ ბჟეზინსკი და ირანის ეროვნული უსაფრთხოების უმაღლესი საბჭოს ექსმდივანი და ბოლო დრომდე თეირანსა და დასავლეთს შორის ბირთვულ პრობლემაზე ძირითადი მოლაპარაკებელი ალი ლარიჯანი.

ზბიგნევ ბჟეზინსკის გამოსვლამ ემოციების ნამდვილი აფეთქება გამოიწვია. ან კი სხვაგვარად როგორ იქნებოდა, როცა ამერიკელმა პოლიტიკოსმა ხაზგასმით განაცხადა, — რუსეთის წარმომადგენელი რომ ვიყო, რუსეთ-ამერიკის ურთიერთობაზე მეტად, რუსეთ-ჩინეთის ურთიერთობა შემაშფოთებდაო, — და ამ შეშფოთების მიზეზიც დაასაბუთა: მისი თქმით, კატაკლიზმების მიუხედავად, რუსეთ-ამერიკის ურთიერთობების გათვლა მეტ-ნაკლებად მაინც შესაძლებელია; სადღეისოდ ვაშინგტონსა და მოსკოვს არსებითად, გასაყოფი აღარაფერი აქვთ და ბევრ გლობალურ საკითხში მათი აზრები ერთმანეთსაც კი ემთხვევაო. პეკინსა და მოსკოვს შორის ურთიერთობა კი, ბჟეზინსკის აზრით, მხოლოდ შურს ეფუძნება. „უფროს ძმას" ანუ რუსეთს ჩინეთის ეკონომიკური წარმატებების შურს. „უმცროსი ძმა" ანუ ჩინეთი კი იმას ვერ შეჰგუებია, რომ რუსეთი უზარმაზარ რესურსებსა და ტერიტორიებს ფლობს და ცივ ომში დამარცხების მიუხედავად, უწინდებურად, გლობალურ მსოფლიო მოთამაშედაც რჩება. ერთი სიტყვით, პოლიტიკური ინტრიგების დიდოსტატი ბჟეზინსკი პეკინისა და მოსკოვის წაკიდებას ყველანაირად ცდილობდა.

ბჟეზინსკი სიამოვნებით ეხებოდა ისეთ მტკივნეულ თემებსაც, როგორიცაა რუსული შორეული აღმოსავლეთის პრობლემა. მისი თქმით, ჩინელებმა იმავეს გაკეთება შეძლეს, რისიც ამერიკელებმა გასული საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში, როცა თავიანთი ქალაქების უმეტესობა ავტომაგისტრალებით დააკავშირეს, რუსეთში კი ასეთი რამ კვლავაც არ არსებობსო. ბჟეზინსკის აზრით, რუსები შორეული აღმოსავლეთიდან სულ უფრო აქტიურად გარბიან. ასეთ შეუსაბამობას კი, ადრე თუ გვიან, მოსკოვსა და პეკინს შორის კონფლიქტი მოჰყვება. ბჟეზინსკის აზრით, გასული საუკუნის 60-70-იანი წლების ცივი ომისგან განსხვავებით, რომელიც ბევრ რამეში იდეოლოგიურ დაპირისპირებას ეფუძნებოდა, ახალ კონფლიქტს ეკონომიკური და ტერიტორიული დავის ხასიათი ექნება და ბევრად უფრო სერიოზული შედეგებიც მოჰყვება. ■

## თინა ხიდაშელი, პოლიტიკოსი:



— ბოლო დროს, პოლიტიკაში ჩემი გააქტიურების გამო, ჟურნალების კითხვისთვის ვეღარ ვიცლი, მაგრამ შემიძლია ვთქვა, რომ „გზა" ყვითელი პრესისგან შორს არის... როდესაც აქტიურად ვკითხულობდი, თქვენს ჟურნალში საკმაოდ საინტერესო სტატიებს ვნახულობდი. რაც მთავარია, ჯერ არ მახსოვს, ჩემი ინტერვიუ „გზაში" დამახინჯებული დაბეჭდილიყოს... თქვენი გამოცემა საზოგადოებაში დიდ ინტერესს იწვევს, მაგრამ მე კიდევ უფრო მეტ მკითხველს, საინტერესო ამბების მოძიებას და შესაბამისად, საინტერესო სტატიებს გისურვებთ. ■

# სტივენ ჰოკინგი კაცობრიობას ვარსკვლავებისაკენ უხმობს

ამერიკული აეროკოსმოსური სააგენტო NASA-ს ორმოცდაათი წლისთავისადმი მიძღვნილ ლექციაზე, სახელგანთქმულმა ფიზიკოსმა — სტივენ ჰოკინგმა დედამიწელებს მზის სისტემის პლანეტების უსწრაფესი კოლონიზაციისკენ მოუწოდა. ის მიიჩნევს, რომ კოსმოსის ასათვისებელი ბიუჯეტის 10-ჯერ გაზრდა მაინცაა საჭირო. მაგრამ მეცნიერის აზრით, ამ შემთხვევაშიც, კოსმოსის ათვისებაზე გაწეული ხარჯები მსოფლიო ბიუჯეტის მეოთხედ პროცენტზე მეტს არ შეადგენს.

ჰოკინგი კოსმოსის კოლონიზაციას მზარდი ეკოლოგიური და ენერგეტიკული საფრთხეებისგან კაცობრიობის გადარჩენის უმნიშვნელოვანეს პუნქტად მიიჩნევს. ფიზიკოსი ყურადღებას ამახვილებს მთვარის კოლონიზაციის აუცილებლობაზე, რომელიც მზის სისტემის ასათვისებელ და პირველ რიგში, მარსზე ფრენების განსახორციელებელ სასტარტო მოედნად უნდა იქცეს. წითელი პლანეტა გაყინული წყლის მარაგებს ფლობს და შეიძლება, დედამიწელთა მსხვილი დასახლებების შესაქმნელ პირველ ადგილადაც იქცეს. ჰოკინგის მტკიცებით, NASA-ს გეგმების გადავადება, რომელთა თანახმადაც, მთვარის კოლონიზაცია 2020 წელს უნდა დაიწყოს, არ შეიძლება, რადგან 2030 წელს კაცობრიობამ უკვე მარსის ათვისებას უნდა მიჰყოს ხელი.

სტივენ ჰოკინგი ვარსკვლავთშორის გადაფრენებსაც აუცილებლად მიიჩნევს. მისი შეფასებით, თუ დედამიწის მსგავსი პლანეტების თანმხლები ვარსკვლავები 1% მაინც მზისგან 30 სინათლის წლით დაშორებით მდებარეობს, სიცოცხლის პრიმიტიული ფორმების მქონე პლანეტების არსებობის ალბათობა ძალზე მაღალი იქნება. „მაშინაც კი, თუ მაღალორგანიზებული სიცოცხლის მქონე პლანეტები ძალიან იშვიათად გვხვდება, წყლის მქონე პლანეტები სამყაროში იშვიათობა არ არის“, — აცხადებს სახელგანთქმული ფიზიკოსი. მისი შეფასებით, მზის მეზობლად მდებარე პლანეტების სისტემებს შორის 10-ზე მეტი ასეთი პლანეტის არსებობაა შესაძლებელი.

ჰოკინგის განცხადებით, ტექნოლოგიების დღევანდელი განვითარების დონის პირობებში, უახლოესი ვარსკვლავებისკენ გაფრენა შეუძლებელია, მაგრამ ასეთი შესაძლებლობა უახლოესი 200-500 წლის განმავლობაში აუცილებლად გაჩნდება. ■

რუბრიკა მოამზადა რუსუდან ლებანიძემ



# ფოტომოდელებად ქცეული ქართველი ბალერინები და ერთობლივი გამოფენა შარდენზე



**ფაქტობრივად, ერთი თვეც არ იყო გასული ფოტოხელოვან ირმა შარიქაძის პერსონალური გამოფენიდან, რომ გასულ კვირას, ირმამ თავისი გულშემატკივრები შარდენის ქუჩაზე, „შარდენ-ბარში“ მოწყობილ ახალ გამოფენაზე მიიწვია. პროექტს „მატერიების კვეთა“ დაარქვა და ის დიზაინერ თამუნა ინგოროყვასთან ერთად განახორციელა. როგორც ჩანს, შემოქმედს ახლა საოცრად აქტიური პერიოდი აქვს...**

ლალი ფაცია

**ირმა შარიქაძე:**

— ვფიქრობ, არასტანდარტული და ორიგინალური პროექტია, მოდელებად ბალერინები მოვიწვიეთ. კერძოდ, ქართული თანამედროვე ბალეტის ორი ამომავალი ვარსკვლავი — ნათია ბუნტური და სოფო ფანცულაია... ჩემთვის მათთან მუშაობა საინტერესო იყო.

— **მერე, ფოტომოდელები რომ არ არიან?!.**

— მიუხედავად ამისა, ექსპერიმენტმა გაამართლა, შესანიშნავად იმუშავეს და ძალიან კარგი შედეგი მივიღე...



ირმას გამოფენაზე როგორც ქართველი, ასევე უცხოელი მეგობრებიც ეწვივნენ...


ირმა შარიქაძე და მისი ობიექტივი

**— დიდხანს მუშაობდით?**

— ორი კვირა. აქ ახლა სულ 11 ნამუშევარი გამოვფინე (ბარის სივრცემ მეტი ვერ დაიტია), თუმცა არაერთი კარგი ფოტო გამოგვივიდა. ეს ფოტოპროექტი ერთ-ერთ ჟურნალში დაიბეჭდება და ჩემს პერსონალურ საიტზეც განთავსდება.

**— გამოფენა მაინცდამაინც „შარდენ-ბარში“ რატომ მოაწყვე?**

— ჯერ ერთი, დღეს ეს ბარი განახლებული სახით გაიხსნა, მერე — ფოტოსესიებისას აქაური ფერადი და ლამაზი სავარძლები გამოვიყენე...

**— სამოსი, რომელიც ფოტომოდელ-ბალერინებს აცვიათ, თამუნა ინგოროყვას ეკუთვნის და მისი ახალი კოლექციის ნაწილია... გოგონებისთვის კაბების შერჩევისას, რომელი უფრო აქტიურობდით?**

— ეს ჩემი და თამუნას ერთობლივი პროექტია. მან მუშაობისას თავისუფლება მომანიჭა. თუმცა ამ პროექტის გაკეთება ერთობლივად გადავწყვიტეთ. ამდენად, ამ ნამუშევრებში მოხდა უსულო (სავარძლები, სკამები) საგნებისა და სულიერი მატერიების კვეთა. და გამოფენას ასეც დავარქვით — „მატერიების კვეთა“.

**— ჟოლოსფერი კაბა, რომელიც ახლა გაცვია, მართლაც ლამაზია. ისიც თამუნას კოლექციიდან არის?**

— ვცდილობ, ყოველთვის „პოზიტიური“ და გამორჩეული ფერის სამოსი მეცვას. ეს ჯერ განწყობილებას მიმაღლებს და მერე — ფერადი სამოსი და კონკრეტულად, ეს ფერი მიხდება. ასე რომ, თამუნას ახალი კოლექციის ესთეტიკიდან გამომდინარე, შევარჩიეთ ასეთი მოდელი. ძალიან მომწონს თამუნას ახალი კოლექცია; რომ შემეძლოს, ყველა კაბას ჩავიცვამდი.

***ირმასთან გასაუბრების შემდეგ, ბარის სივრცეში შეკრებილ სტუმრებს მივადექი, რომელთა შორის, ცნობილი ადამიანებიც მრავლად იყვნენ და ინტერესით ათვალიერებდნენ ირმას ნამუშევრებს...***

**კრისტი:**

— ზუსტად ერთი თვის წინ ვიყავი ირმას პერსონალურ გამოფენაზე და ახლა აქაც მოვედი. ყოველთვის მომწონს მისი ნამუშევრები და თვითონაც, როგორც მოდელს, არაერთხელ მიმუშავია მასთან. ის გამორჩეული შემოქმედი და საინტერესო ადამიანია. ამასთან, არაორდინარულიც, რაც ყოველთვის


პროექტი — „მატერიების კვეთა“

ეტყობა მის ფოტოებს. ეს ახალი გამოფენაც ლამაზია, ქალური... მასში ქალის სილამაზესა და მშვენიერებას ვხედავ. ირმა გადაღებისას მუდმივად ზრუნავს იმაზე, რომ ქალი იყოს ლამაზი, მშვენიერი, სექსუალური...

**ავთო ცქვიტინიძე:**

— ძალიან მომეწონა თემა, რომელიც ამჯერად ირმამ აირჩია... ბალერინები ჯერ არავის გამოუყენებია მოდელებად. ეს რაღაც ახალია. თამუნასა და ირმას ტანდემს წარმატებას ვუსურვებ. აბრეშუმის კაბები, ბალერინები... მართლა სილამაზეა და საოცარ სინთეზს ქმნის. ახალი ხედვაა და თან, ამ კოლექციას უხდება.

**ნიკა ლომიძე:**

— ჩვენში თითქოს ისეა დამკვიდრებული, რომ პრეზენტაციებზე, ფოტოგამოფენებზე შეკრებილებს, მოსწონთ თუ არა ესა თუ ის ნამუშევარი, მაინც კომპლიმენტებად იღვრებიან ხოლმე... მე დღეს გულწრფელად გამოვთქვამ ირმას მისამართით დიდ კომპლიმენტს.

**ლალი მოროშკინა:**

— ირმა ნიჭიერი ადამიანია. მისი გამოფენა და ნამუშევრების წარდგენა ყოველთვის შოუს ხასიათს იღებს, რადგანაც ბუნებით, თვითონაც შოუმენია. ძალიან კარგად ახერხებს საზოგადოების მოხიბვლას, მაშინ, როცა ძალიან ძნელია, ვილაც გააკვირვო, რადგანაც დღეს, ჩვენს სინამდვილეში მძიმე ყოფითი ცხოვრება ბევრ რამეს შთანთქავს. მაგრამ ირმას ამის გასაოცარი უნარი აქვს... ის გაცილებით დიდი პოტენციალის მქონე შემოქმედია და ყველაფერი წინ აქვს.

**მალხაზ გულაშვილი:**

— ირმას ფოტოხელოვნებას, კარგა ხანია, ვაკვირდები და შეიძლება ითქვას, რომ მან დიდი და სერიოზული ნახტომი გააკეთა ამ სფეროში. ჩვენ რაღაც ერთობლივი პროექტებიც გვქონია. მაგრამ ის, რაც დღეს ვნახე, ვფიქრობ, რომ უბრალოდ, კლასიკაა... სანამ კარგად დავაკვირდებოდი ფოტოებს, ნახატები მეგონა. პერსონაჟების ხასიათი კარგად არის წარმოჩენილი. ნამუშევრები ძალზე ესთეტიკური და ლამაზია. ეს წმინდა წყლის ხელოვნებაა. ამ ფოტოებს, ვფიქრობ, რომ არ დაიწუნებდა არც ერთი უცხოური ჟურნალი და ალბათ, ირმას ხელოვნებას ამ მიმართულებითაც მიეცემა გასაქანი. ■


„მის ბიკინი საქართველო 2008“

ფოტომოდელების და მანეკენების სტუდია

„ფავორიტი“



იწვევს 17-24 წლამდე სასიამოვნო გარეგნობის გოგონებს სილამაზის კონკურსში: „მის ბიკინი საქართველო 2008“ მონაწილეობის მისაღებად.

გამარჯვებული ორი გოგონა გაემგზავრება სილამაზის საერთაშორისო კონკურსებზე: „მის ბიკინი მსოფლიო“ და „მის დედამიწა“.

საკონტაქტო ტელეფონი:
893 955 622

# მხედართმთავარი სტალინი

ბორის სოლოვიოვი, ვლადიმირ სუხოდეევი




*დასაწყისი იხ. „გზა“ №44-19*

ფაშისტების „გამანადგურებელი ომის“ სასტიკი გეგმისთვის საჭირო იყო, დაგვეპირისპირებინა საბჭოთა ხალხისა და წითელი არმიის მთელი სიძლიერე, გამოგვეყენებინა ბრძოლის ყველაზე ეფექტური ფორმები. თავდაცვის სახალხო კომისრის ბრძანებაში, რომელიც 1942 წლის 23 თებერვლითაა დათარიღებული, სტალინი წერდა: *„წითელი არმია იძულებულია, გაანადგუროს გერმანელ-ფაშისტი ოკუპანტები, რადგან მათ სურთ, დაიპყრონ ჩვენი ქვეყანა, მაშინაც, როცა ისინი გარშემორტყმულნი არიან ჩვენი ჯარებით და უარს ამბობენ, დაყარონ იარაღი და ტყვედ ჩაჰბარდნენ. წითელი არმია ანადგურებს მათ არა მათი გერმანული წარმოშავლობის გამო, არამედ იმიტომ, რომ მათ ჩვენი სამშობლოს დამონება სურთ. წითელ არმიას, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა ქვეყნის არმიას, უფლება აქვს და ვალდებულიცაა, გაანადგუროს თავისი სამშობლოს დამმონებლები, მიუხედავად მათი ეროვნებისა“.*

ახლა არსებობენ ისეთი ავტორებიც, რომლებიც ბელადს სისასტიკეში, ომის დროს ზედმეტი მსხვერპლის გაღებაში სდებენ ბრალს. სწორედ ამ მიზნით მიმართავენ სპეკულაციას 270-ე ბრძანებით, რომელიც წითელი არმიის უმაღლესი მთავარსარდლობის შტაბმა 1941 წლის 16 აგვისტოს გამოსცა და ასე დაასათაურა: *„სიმხდალეზე, ტყვედ ჩავარდნასა და ამგვარი ქმედების აღმკვეთ ღონისძიებებზე“.* ბრძანებას ხელს აწერდნენ: სტალინი, მოლოტოვი, ბუდიონი, ვოროშილოვი, ტიმოშენკო, შაპოშნიკოვი და ჟუკოვი. ის ყველა ასეულში, ესკადრილიასა და სხვა ქვედანაყოფებში წაიკითხეს. ბრძანებაში, კერძოდ, ნათქვამი იყო: ვინც ბრძოლის დროს განმასხვავებელ ნიშანს მოიხსნის და ტყვედ ჩაჰბარდება, ბოროტ დეზერტირად უნდა ჩაითვალოს; მისი ოჯახიც დაპატიმრებას ექვემდებარება, როგორც ფიცის გამტეხისა და სამშობლოს მოღალატის ოჯახი; ასეთი დეზერტირები ადგილზევე უნდა დაიხვრიტონ; ალყაში მოქცეულებმა უკანასკნელ შესაძლებლობამდე უნდა იბრძოლონ, რათა გააღწიონ თავისიანებთან, ხოლო ის, ვინც ამჯობინებს ტყვედ ჩავარდნას, უეჭველად უნდა განადგურდეს; რაც შეეხება ტყვედ ჩაბარებულ ჯარისკაცთა ოჯახებს, — მათ უარი უნდა ეთქვათ სახელმწიფო დახმარებაზე; გადაყენებულ იქნნენ მეთაურები, რომლებიც ბრძოლის დროს იმალებიან და რომლებსაც ეშინიათ, უხელმძღვანელონ ბრძოლის მსვლელობას; უფრო აქტიურად უნდა წარმოვაჩინოთ მამაცი და ვაჟკაცი ადამიანები უმცროს მეთაურთაგან და ის წითელარმიელები, ვინც თავი გამოიჩინა.

განსაკუთრებულად მწვავე და მრუდედ აფასებენ ზოგიერთები თავდაცვის სახალხო კომისრის — სტალინის 227-ე ბრძანებას, რომელიც 1942 წლის 28 ივლისითაა დათარიღებული. ეს დოკუმენტი ცნობილია, როგორც ბრძანება *„არც ერთი ნაბიჯი უკან!“* ამ ბრძანებას ბელადი, ქვეყნისთვის განსაკუთრებით რთულ ვითარებაში ადგენდა: ამ დროს დაკარგული იყო უზარმაზარი ტერიტორია — უკრაინა, ბელორუსია, ბალტიისპირეთი, მოლდავეთი, დიდი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო დატვირთვის მქონე, რუსეთის ფედერაციის ბევრი ოლქი. სტალინგრადის დაპყრობით, ჰიტლერელები ვოლგაზე, ურალისკენ გასვლას აპირებდნენ.

ჰოდა, ამ ბრძანებაში აისახა საშინელი და დაუნდობელი სიმართლე ქვეყანაში შექმნილ კრიტიკულ მდგომარეობაზე, ხალხის, მთავრობის, უმაღლესი მთავარსარდლობის, სტალინის უდიდეს წუხილზე, რომელიც გამოწვეული იყო ქვეყნის რესურსების უზარმაზარი ნაწილის დაკარგვით, ესოდენ აუცილებელი რომ იყო აგრესორიის წინააღმდეგ ბრძოლის გასაგრძელებლად. სწორედ მაშინ გაისმა მკაცრი მოთხოვნა და დაისახა ურთულესი ამოცანები — ომის მსვლელობაში ძირეული გარდატეხის მიღწევა, უკან დახევის შეწყვეტა, მშიშრებთან, პანიკისმთესველებთან შეუბრალებელი ბრძოლა, გულგრილობისა და უპასუხისმგებლობის ყოველგვარი გამოვლენის ამოძირკვა, როგორც ფრონტზე, ასევე — ზურგში. ბრძანების სიტყვები განგაშივით რეკდა: *„არც ერთი ნაბიჯი უკან! ასეთი უნდა იყოს ახლა ჩვენი მთავარი მოწოდება. ჯიუტად, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე უნდა დავიცვათ თითოეული პოზიცია, საბჭოთა ტერიტორიის ყოველი მეტრი, უნდა ჩავეჭიდოთ საბჭოთა მიწის თითოეულ გოჯს და უკანასკნელ შესაძლებლობამდე დავიცვათ იგი“.*

შესაძლოა, დღევანდელ მკითხველს ეს დოკუმენტები და მათში დასახული ზომები შეუბრალებლად, უსამართლოდაც კი მოეჩვენოს, მაგრამ საჭიროა, ისინი შევაფასოთ არა დღევანდელი გადასახედიდან, არამედ იმ მძიმე დროის პოზიციიდან, როცა ფაშისტებმა, მიუხედავად დიდი დანაკლისისა, შეძლეს ქვეყნის სიღრმეში შეღწევა, როცა წითელი არმია, დიდი ვაჟკაცობისა და გმირობის გამოვლენის მიუხედავად, მაინც იძულებული იყო, უკან დაეხია. ჩვენ, წიგნის ავტორები, რომლებიც მაშინ ფრონტზე ვიბრძოდით, ვადასტურებთ, რომ მაშინ, ამ და სხვა მკაცრ ბრძანებებს ხალხი არა მარტო გაგებით ხვდებოდა, არამედ მათ უზარმაზარი მორალური ზემოქმედება ჰქონდა — საკუთარი ძალების რწმენას გვმატებდა და გვაიძულებდა, ბრძოლისას გამძლეობა გამოგვეჩინა. აი, ამონარიდი სტალინისადმი გაგზავნილი წერილიდან, რომლითაც მას რუსი ჯარისკაცების ერთი ჯგუფი მიმართავდა: *„ჩვენ გწერთ დიდი ბრძოლის დროს, ზალპების უწყვეტი გრუხუნისა და თვითმფრინავების განუწყვეტელი ღმუილის თანხლებით, დიდი რუსული მდინარის — ვოლგის ციცაბო ნაპირზე წარმოშობილი ხანძრების გარემოცვაში აღმოჩენილნი; გწერთ, რათა გითხრათ თქვენ და თქვენი საშუალებით, მთელ საბჭოთა ხალხს, რომ სულიერად ისეთი ძლიერები ვართ, როგორც არასდროს. ჩვენი ნებისყოფა მტკიცეა, ჩვენი ხელები არ დაღლილან მტრის ჩეხით, ჩვენი გადაწყვეტილება მტკიცეა — სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ვიდგეთ სტალინგრადის კედლებთან“.*

მარშალი ვასილევსკი 227-ე ბრძანების შესახებ წერდა: *„სახალხო კომისრის 227-ე ბრძანებამ სწორედაც რომ გამოხატა ხალხის განგაში, სამშობლოს*

მოწოდება: „არც ერთი ნაბიჯი უკან!“ ამ ბრძანებამ გამორჩეული ადგილი დაიკავა დიდი სამამულო ომის ისტორიაში. მასში შემჭიდროებული, ყველა ჯარისკაცისთვის გასაგები ფორმით იყო გადმოცემული მტერთან ბრძოლის ამოცანები... პოზიციებიდან ბრძანების გარეშე უკან დახევის გამო გათვალისწინებული ზომების სიმკაცრე, რომელიც 227-ე ბრძანებაში გამოიხატა, სულაც არ უშლიდა ხელს ჯარისკაცებში მორალურ-პატრიოტული განწყობილების ამაღლებას. იგი მიმართული იყო სამხედრო დისციპლინის დარღვევის კონკრეტულ გამოვლენათა და საბრძოლო ამოცანის შეუსრულებლობის წინააღმდეგ. ამ ბრძანებამ, პარტიის, სამხედრო მთავარსარდლობის შტაბის, ფრონტების სარდლობის მიერ განხორციელებულ სხვა ზომებთან ერთად, აამაღლა თითოეული მებრძოლის პირადი პასუხისმგებლობა ყოველი ბრძოლის მსვლელობასა და შედეგზე. მას არ დაუმცირებია საბჭოთა პატრიოტის — სამშობლოს დამცველის ღირსება“.

სტალინის 227-ე ბრძანების — „არც ერთი ნაბიჯი უკან!“ — მნიშვნელობა ის გახლავთ, რომ ფრონტმაც და ზურგმაც იგრძნო: გერმანელ-ფაშისტთა არმიას უეჭველად გააჩერებდნენ, უკან დახევა აკრძალული იყო. ფრონტიც და ზურგიც პასუხისმგებლობით განიმსჭვალნენ — მათ ომის მსვლელობაში გარდატეხა უნდა შეეტანათ და იცოდნენ, რომ მიაღწევდნენ კიდეც ამას.

გააფთრებულ ბრძოლებში საბჭოთა ჯარებმა 1942 წლის შემოდგომაზე შეაჩერეს ფაშისტური არმია სტალინგრადსა და კავკასიის მთების მისადგომებთან. ფრონტზეც და ზურგშიც შეიქმნა იმის პირობები, რომ ომის მსვლელობაში მომხდარიყო ძირეული გარდატეხა საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ.

არა და არ წყდება სპეკულაციები ე.წ. საჯარიმო ბატალიონების შესახებ. ერთი მხრივ, ცდილობენ, დაგვარწმუნონ, რომ მათში ბევრი ადამიანი იღუპებოდა, რადგან ფრონტის ყველაზე სახიფათო მონაკვეთებზე გზავნიდნენ. მეორე მხრივ, იმასაც ამბობენ, რომ ომის მოგებას სწორედ მათ უნდა ვუმადლოდეთ. მაგრამ არც ჯარების ცალკეული სახეობები, არც, მით უმეტეს, საჯარიმო ბატალიონები ომს არ იგებენ. სამამულო ომში ჩაბმული იყო მთელი ხალხი და ხალხმა მოიგო იგი; ხალხმა, რომელმაც მთელი ძალები, მთელი ნებისყოფა მოიკრიბა, შეაიარაღა თავისი არმია ყველაფრით, რაც აუცილებელი გახლდათ ფაშისტურ აგრესორზე გასამარჯვებლად.

სტალინის გასაკრიტიკებლად, დემაგოგიურად იყენებენ ყირიმის თათრების, ინგუშების, ჩეჩნები, ყალმუხებისა და სხვა ერების შორეულ აღმოსავლეთში გადასახლების თემასაც. ამ დროს, მხედველობიდან „ეპარებათ“ ის, რომ ისინი გაასახლეს გერმანელ ოკუპანტებთან თანამშრომლობისა და ვერმახტის ოპერაციებში მონაწილეობისთვის (ყალმუხების კავალერისტთა კორპუსი და სხვ.); „ავიწყდებათ“, რომ 1943 წლის ბოლოს და 1944 წლის დასაწყისში საბჭოთა კავშირი ჯერ კიდევ მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. ფაშისტების მხარეს მებრძოლმა ნაწილებმა, რომლებიც დაკომპლექტებული იყო ამ ერების ზოგიერთი წარმომადგენლით, უკიდურესად გაართულეს საბჭოთა არმიის ბრძოლა, ჩრდილოეთ კავკასიისა და ყირიმის გასათავისუფლებლად.

ამასთან, არავინ უწყოდა, საით შებრუნდებოდა აშშ-ისა და ინგლისის პოლიტიკა. იქ კი გაისმოდა ხმები, გერმანიასთან შერიგებისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იარაღის შებრუნების საჭიროების შესახებ. სიმშვიდე არ იყო არც თურქეთთან საზღვარზე. მისი დივიზიები სრულ საბრძოლო მზადყოფნაში იმყოფებოდა და ხელსაყრელ მომენტს ელოდა საბჭოთა კავკასიის საზღვარზე. ამ პირობებში, მუსლიმანური სარწმუნოების წარმომადგენელთა ნაწილი, რომელიც კავკასიაში ცხოვრობდა და რომელმაც უკვე გამოავლინა საბჭოთა სახელმწიფოსადმი თავისი მტრული დამოკიდებულება, სავსებით შესაძლებელია, სახიფათოც კი გამხდარიყო.

რაც შეეხება საკუთრივ გადასახლებას, — ეს, უსისხლო ოპერაცია იყო, მაგრამ იგი ტარდებოდა, ერთდროულად მრავალ ფრონტზე მიმდინარე გააფთრებული ბრძოლების დროს, რომლებიც უდიდეს ძალისხმევას მოითხოვდა. ამიტომაც, გაუგებარია, ამ ხალხების დეპორტაციისთვის საყვედურების ამ ადამიანებისგან მოსმენა, ვისი ხელიც ჩეჩნეთის რესპუბლიკაში გაჩაღებულ სისხლიან ბრძოლებში ურევია ან თუნდაც დუმან არ არაფერს ამბობენ ამ ომის ტრაგიკულ შედეგებზე...

მასობრივი გადასახლება მძიმე და ტრაგიკული ოპერაცია იყო, მაგრამ იგი გამოწვეული გახლდათ სწორედ ომის ექსტრემალური პირობებით, მისი გარდატეხის ეტაპზე. მაგრამ მეორე მსოფლიო ომის დროს, მასობრივი გადასახლებები ხომ აშშ-შიც განხორციელდა — როცა ამერიკის ხელისუფლება ქვეყნის დასავლეთ სანაპიროებიდან ერეკებოდა იაპონური წარმოშობის საკუთარ მოქალაქეებს და მათთან ერთად, გერმანელთა ნაწილსაც. არადა, აშშ მრავალი ათასი კილომეტრით იყო დაშორებული საომარ მოქმედებათა რაიონებს!.. თანაც, იმ ხალხს საკონცენტრაციო ბანაკებში მიერეკებოდნენ, მაგრამ რატომღაც, დღეს არავინ საყვედურობს პრეზიდენტ რუზველტს ამ არაჰუმანურობის გამო.

ნამდვილად ძნელია იმის გაგება — ქვეყანაში, რომელმაც ტოტალური ომის, ფაშისტური ოკუპაციის მთელი საშინელებანი გადაიტანა, როგორ შეიძლება ცხოვრობდნენ ადამიანები, რომლებიც ნანობენ ფაშისტური გერმანიის დამარცხებას და საბჭოთა კავშირის გამარჯვებას?!. მაგრამ ეს მომდინარეობს თვით დიდი სამამულო ომისადმი ამ ადამიანთა მიდგომიდან, ამ ომის მიზნების გაგებიდან, დამოკიდებულებიდან — მტრისადმი, რომელიც თავს დაგვესხა, და იმ თაობის ადამიანებისადმი, ვინც საკუთარ მხრებზე გადაიტანეს სამშობლოს გადასარჩენად წარმოებული ბრძოლის უდიდესი სიმძიმე.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



# „გიორგის იარაღი არ ჰქონია, პატრულმა კი დაუმიზნა და მოკლა..." უფლებამოსილების გადამეტება თუ უნებლიე მსხვერპლი?

## დაზარალებული ოჯახი გამცემლიძის „ნაციონალურ მოძრაობაში" გაწევრებას უარყოფს

მოკლული გიორგი გამცემლიძე ცოლ-შვილთან ერთად



**რამდენიმე დღის წინ, თბილისში მომხდარ მკვლელობას მოსახლეობის შეშფოთება, საზოგადოების გარკვეული წრეებიდან კი მწვავე რეაქცია მოჰყვა. პატრულის მიერ გასროლილ ტყვიას კიდევ ერთი ახალგაზრდის, სამი შვილის მამის სიცოცხლე შეეწირა... 32 წლის თბილისელ გიორგი გამცემლიძეს მეუღლე, ორი ქალიშვილი — 10 და 6 წლის და სულ პატარა, 2 წლის ვაჟიშვილი დარჩა. პატრულის თანამშრომელი მას 8 მაისის ღამეს, დაახლოებით პირველი საათისთვის აედევნა და დაუმორჩილებლობის გამო, ტყვია ესროლა... გიორგი გამცემლიძე თავის არეში, უფრო ზუსტად — კეფაში დაიჭრა. ის საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა...**

მსგავსი შემთხვევის სიხშირისა და ყველასათვის კარგად ცნობილი საქმეების არაობიექტური გამოძიებით დაგროვილი უკმაყოფილების ფონზე, ამ ფაქტს თავიდანვე ეჭვის თვალით შეხედეს. მით უმეტეს, რომ დანაშაულთან დაკავშირებით გავრცელებული ოფიციალური ცნობები უკვე ბევრ კითხვას ბადებს. მკვლელობის ვერსია ჯერჯერობით ერთია, თვითმხილველთა ნაამბობი და სამართალდამცველთა მიერ გადმოცემული ფაქტები — არაერთგვაროვანი. დაზარალებული ოჯახი გამოძიების ფაბულას არ ეთანხმება და მუხლს, რომლითაც სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, ჩადენილი დანაშაულისთვის შეუსაბამოდ მიიჩნევს. მოკლულის ოჯახის წევრები წინასწარ განზრახულ, დაუნდობელ მკვლელობაზე ლაპარაკობენ, სამართალდამცველები კი თავიანთი კოლეგის ქმედებას სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებად აფასებენ...

მომხდარ ფაქტს პოლიტიკური ოპოზიციის წარმომადგენლებიც გამოეხმაურნენ: მათი თქმით, ქვეყანაში წინასაარჩევნო პერიოდი რომ არ იყოს, პატრულს არც დააკავებდნენ...

გამოძიების ინფორმაციით, 2006 წლის 8 მაისს ღამით, გიორგი გამცემლიძე BMW-ს მარკის ავტომანქანით ზანდუკელის ქუჩაზე მოძრაობდა. მძღოლმა მოძრაობის წესები დაარღვია, რაც პატრულის თანამშრომელმა — ვახტანგ აბუაშვილმა შენიშნა და მას მანქანის გაჩერება უბრძანა. გამცემლიძე პატრულის მითითებას არ დაემორჩილა, პირიქით, გზა კიდევ უფრო მაღალი სიჩქარით განაგრძო. მალე საჭე ვერ დაიმორჩილა და ბორდიურს შეეჯახა. გაჩერებული ავტომანქანიდან გიორგი გამცემლიძე იარაღმომარჯვებული გადმოხტა და გაიქცა. აბუაშვილმა კიდევ ერთხელ მოუწოდა, გაჩერებულიყო, მაგრამ გამცემლიძე არც ამჯერად დაემორჩილა. ამის შემდეგ, პატრულმა მისი მიმართულებით ისროლა...

არსებობენ ადამიანები, რომლებიც მომხდარს შეესწრნენ. იმ ფაქტს, რომ გამცემლიძეს ხელში იარაღი ეჭირა, თვითმხილველები არ ადასტურებენ. ერთ-ერთი მათგანის თქმით, მძღოლი არ გაქცეულა. მოწმე აღნიშნავს, რომ მანქანიდან გადმოსულმა გამცემლიძემ პატრულს ჰკითხა — რა გინდა, რისთვის მაჩერებო? პატრულმაც რაღაც უპასუხა, რამდენიმე წამში კი გასროლაც გაისმა...

ვერსიას დაზარალებული ოჯახის წევრები მხოლოდ ნაწილობრივ ეთანხმებიან: იმის შესაძლებლობას, რომ გიორგი გამცემლიძემ მოძრაობის წესები დაარღვია და პატრულისგან შენიშვნა ამის გამო მიიღო, ისინი არ გამორიცხავენ. ახლობლების თქმით, აწ გარდაცვლილს გადაჭარბებული სიჩქარით მანქანის მართვა მართლაც სჩვეოდა, მაგრამ დაუმორჩილებლობა და აგრესია მას არ ახასიათებდა. აქედან გამომდინარე, გამორიცხავენ პატრულთან რაიმე შელაპარაკების ან გამცემლიძის მხრიდან რაიმე გამომწვევი და გამაღიზიანებელი საქციელის შესაძლებლობას.

*„იმ პატრულთან გიორგის საერთო არაფერი ჰქონდა, ერთმანეთს არ იცნობდნენ. იმ ღამეს პირველად ნახეს ერთმანეთი. გიორგი ისეთი ბუნების ადამიანი არ იყო, რომ მასთან ჩხუბი და შელაპარაკება გაემართა ან უხეშად მიემართა მისთვის. მართალია, მანქანით სწრაფი სიარული უყვარდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ პატრულის ბრძანებას არ ემორჩილებოდა. ასეთი რამ მისი ხასიათისგან ძალიან შორსაა. ვინც იცნობდა გიორგის, ყველას გაუკვირდება და შეეპარება ეჭვი გავრცელებული ინფორმაციის სისწორეში. რა მოხდა ზუსტად, არ ვიცით. ჩვენ ჯერ არც თვითმხილველებთან, არც გამომძიებელთან გვისაუბრია. ის, რომ თითქოს გიორგის ხელში იარაღი ეჭირა, არ შეიძლება სიმართლე იყოს. გიორგის იარაღი არ ჰქონია, არასდროს ატარებდა და ვერავინ იტყვის, რომ მის ხელში ოდესმე შეუნიშნავს ის. აქედან გამომდინარე, წარმოუდგენელია, პატრულისთვის შეიარაღებული წინააღმდეგობა გაეწია. ისეთს არაფერს მოიმოქმედებდა, რომ მის წინააღმდეგ ცეცხლის გახსნა ყოფილიყო აუცილებელი"*, — აღნიშნავს მოკლულის ახლობელი.

*„თუკი გიორგი მართლაც გაიქცა და მისი შეჩერება უნდოდა, ფეხებში ესროლა, თავში რას უმიზნებდა?! ტყვია კეფაშია მოხვედრილი. უიარაღო ადამიანს უკნიდან დაუმიზნა და მოკლა..."* — დასძინა ჩვენთან საუბრისას, აწ გარდაცვლილის მეგობარმა. მან ისევე, როგორც მოკლულის დანარჩენმა ახლობლებმა და ნათესავებმა, კატეგორიულად უარყო, დაღუპულთან დაკავშირებით ამ დღეებში გავრცელებული ცნობები, რომლის თანახმად, გამცემლიძე ნარკოტიკების აქტიური მომხმარებელი და ქურდულ სამყაროსთან დაახლოებული პირი გახლდათ. სხვა ინფორმაციის მიხედვით, გიორგი გამცემლიძე სოფლის მეურნეობის სამინისტროში მუშაობდა, თუმცა სამინისტროს პრესსამსახურმა ეს ცნობა არ დაგვიდასტურა. გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ აწ გარდაცვლილი, „ნაციონალური მოძრაობის" წევრი იყო და წინასაარჩევნო კამპანიის ორგანიზებაშიც მონაწილეობდა. კერძოდ, ის ვაკის

მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს — ზაზა გამცემლიძეს ეხმარებოდა კამპანიაში და ერთ-ერთ შტაბსაც ხელმძღვანელობდა. ჩვენთან საუბრისას, ბატონმა ზაზამ აღნიშნა, რომ აწ გარდაცვლილთან საკმაოდ კარგი ურთიერთობა ჰქონდა, თუმცა მას არ ენათესავებოდა. *„ეს ოჯახი მეც სულ ცოტა ხნის წინ გავიცანი. ამ ახალგაზრდამ ჩემზე თავიდანვე კარგი შთაბეჭდილება დატოვა, მასზე დადებითი აზრი შემექმნა და დავახლოვდით“*, — აღნიშნავს დეპუტატობის კანდიდატი. „ნაციონალური მოძრაობის“ ცენტრალურ ოფისში გიორგი გამცემლიძის წევრობა დაგვიდასტურეს, მაგრამ ამას თავად ოჯახის წევრები უარყოფენ.

*„მე გიორგის მეჯვარე ვარ. მასთან ძალიან ახლოს ვიყავი, მის ბუნებას კარგად ვიცნობდი. თბილი, ყურადღებიანი ადამიანი და საუკეთესო მეგობარი იყო. მხოლოდ მშობლებისა და საკუთარი ოჯახისთვის კი არა, ყველასთვის კარგი გახლდათ. ეს ამბავი იმდენად მოულოდნელად, თანაც ისე სასტიკად და დაუნდობლად მოხდა, რომ ამის დაჯერება, გაცნობიერება და გაანალიზება წარმოუდგენლად გვიჭირს. ოჯახის წევრები უმძიმეს მდგომარეობაში არიან და ამაზე საუბარი არ შეუძლიათ. მით უმეტეს, აუტანელია, როცა გიორგის შესახებ ახლა ბინძურ ხმებს ავრცელებენ. ფაქტია, რომ ეს განგებ ხდება, მაგრამ იმ ადამიანებს, რომლებიც გიორგის ოდნავ მაინც იცნობდნენ, მასზე წარმოდგენას ვერასდროს შეუცვლიან. აგრესია მისთვის მიუღებელი იყო და დაუშვებელია, რაიმე შელაპარაკების ინიციატორი ყოფილიყო ან მსგავსი მიდრეკილების მქონე ადამიანებისთვის მხარი აება. მორწმუნე გახლდათ და წლების მანძილზე ეკლესიურად ცხოვრობდა. როგორც ყოველთვის, ამ აღდგომის დღესასწაულსაც განსაკუთრებულად შეხვდა და იერუსალიმში გაემგზავრა. იქიდან ჩამოტანილი წმინდა ცეცხლი ტაძარში სწორედ გიორგიმ მიიტანა. მაშინ ეს ტელევიზიითაც დაფიქსირდა. ახლა კი მისი სახელის შეურაცხმყოფელ, სრულიად უსაფუძვლო ინფორმაციებს ავრცელებენ. იარაღი საერთოდ არ ჰქონდა და რა თქმა უნდა, ეს გამოძიების ვერსიის გასამყარებლადაა მოგონილი. ამის შემდეგ, რა შედეგს უნდა ველოდეთ გამოძიებისგან? ან მოლოდინს რა აზრი აქვს, როცა უკვე ისედაც ნათელია ყველაფერი?! აშკარა, განზრახ მკვლელობა მოხდა და საქმე უფლებამოსილების გადამეტებით აღძრეს. ამ პირობებში, რა ობიექტურობაზეა ლაპარაკი?!. რაც შეეხება „ნაციონალურ მოძრაობას“, გიორგი მისი წევრი არასდროს ყოფილა. უბრალოდ, ამ არჩევნების პერიოდში მეგობრებმა სთხოვეს, ზაზა გამცემლიძეს დახმარებოდა. მანაც უარი არ თქვა“*, — აღნიშნა აწ გარდაცვლილის მეჯვარემ.

ექვმიტანილი — ვახტანგ აბუაშვილი იმავე დღეს დააკავეს. 9 მაისს, თბილისის საქალაქო სასამართლომ მას აღკვეთის ღონისძიების სახით, წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. აღკვეთის ღონისძიების საკითხი მოსამართლე მერაბ ჯორბენაძემ განიხილა. აბუაშვილის ინტერესებს ადვოკატი მირზა ქამადაძე იცავს. ჯერჯერობით ცნობილია, რომ ის ბრალდების მიერ წაყენებულ მუხლს ეთანხმება. ■



მარტინა პოში

# ავსტრიელ მანიაკს 17 წლის გოგონას მკვლელობასაც უკავშირებენ

## იოზეფ ფრიცლს 13 შვილი ჰყავს: ცოლისგან – 7, საკუთარი ქალიშვილისგან კი 6



**ავსტრიაში მომხდარი, ბოლო დროის ყველაზე საზარელი და გახმაურებული დანაშაულის გამოძიებაში ქვეყნის წამყვანი სპეციალისტები, ექსპერტები და საუკეთესო ფსიქოლოგები ჩაერთვნენ. ამ საქმის ირგვლივ სკანდალური ცნობები კვლავაც არ წყდება. გარდა იმისა, რომ 73 წლის მანიაკი (რომლის შესახებაც „გზის“ №18-შიც ვწერდით) საკუთარი ქალიშვილის გაუპატიურებასა და წამებას აღიარებს, ის სამართალდამცველებს იმასაც უმხელს, თუ რა ჰქონდა დაგეგმილი იმ შემთხვევაში, თუ მის ჯანმრთელობის პრობლემა შეექმნებოდა ან დანაშაულის გამჟღავნების საფრთხეს იგრძნობდა — ამ შემთხვევაში, სარდაფში, სადაც ქალიშვილი და მისგან გაჩენილი 3 შვილი ჰყავდა გამომწყვდეული, მომწამლავ გაზს გაუშვებდა და მათ გაგუდავდა. ახლა, ავსტრიელი პოლიციელები შენობას ათვალიერებენ და არკვევენ, შესაბამისი სისტემა იქ ნამდვილადაა დამონტაჟებული თუ არა. ცნობილია, რომ იოზეფ ფრიცლი პროფესიით ინჟინერია და მას მსგავსი მოწყობილობის კონსტრუირება მართლაც შეეძლო.**

მანიაკს სულ 13 შვილი ჰყავს: ცოლისგან — 7, საკუთარი ქალიშვილისგან კი 6. მისი მეუღლე — როზა-მარია (როზმარი) ფრიცლი ირწმუნება, რომ ქალიშვილისა და შვილიშვილების ადგილსამყოფლის შესახებ არაფერი იცოდა. სხვათა შორის, ამ ქალის სიტყვებში, სამართალდამცველებისგან განსხვავებით, მეზობლებს ეჭვი არ ეპარებათ. მათი თქმით, როზმარი ბუნებით ძალიან სამართლიანი და კანონმორჩილი იყო. *„მსგავსი სადიზმის შესახებ რომ სცოდნოდა, დარწმუნებული ვარ, არ მოითმენდა. შვილიშვილებს, რომლებიც მის სახლში ცხოვრობდნენ, თავს ევლებოდა, ყურადღებას არ აკლებდა. ისინი სკოლაში თავად დაჰყავდა და მათ სწავლა-განათლებასაც აქტიურად მეთვალყურეობდა. მეზობლებს გვიკვირდა კიდეც, საიდან ჰქონდა ამ ხნის ქალს ამდენი ენერგია“*, — ამბობს ერთ-ერთი მეზობელი.

ფრიცლების სახლთან ახლოს მდებარე საფუნთუშის გამყიდველი კი ამბობს: *„ეს ოჯახი, პირადად ჩემში, განსაკუთრებულ სიმპათიებსაც კი იმსახურებდა. ისინი კეთილი გულის ადამიანები ჩანდნენ — ქალიშვილის მიერ მიტოვებული 3 შვილი აიყვანეს და გაზარდეს... მათ სახლში ასეთი რამ თუ ხდებოდა, ვინ წარმოიდგენდა?*



მოწმეების დაკითხვა გრძელდება

*როზმარი წესრიგის მოყვარული ქალი იყო. ხშირად მოდიოდა ჩემთან და ბავშვებისთვის ფუნთუშებს ყიდულობდა. ბევრჯერ გვისაუბრია სხვადასხვა თემაზე. ის, რომ მისი ქალიშვილი 18 წლის ასაკში დაიკარგა, ყველამ ვიცოდით. როზმარი ამბობდა: ალბათ, სექტანტებს ჩაუვარდა ხელშიო. ახალშობილებს რომ მშობლებთან ტოვებდა, ამასაც სექტის კანონებით ხსნიდა“.*

მანიაკის ცოლისადმი ეჭვები ოფიციალურად ჯერჯერობით არ დასტურდება. გამომძიებლები ამბობენ, რომ მის საწინააღმდეგოდ არც ერთი მოწმის ჩვენება არ მეტყველებს. საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით, მთავარმა გამომძიებელმა — ფრანც პოლცერმა საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და ექსპერტიზის შედეგებიც გამოაცხადა. *„ტესტებმა ცხადყო, რომ ელიზაბეტ ფრიცლისა და მისი 6 შვილის მამა ერთი და იგივე პიროვნება — იოზეფ ფრიცლია. ჯერჯერობით, არაფერი მოწმობს იმას, რომ მისი ცოლი — როზმარი ფრიცლი დანაშაულის თანამონაწილე იყო ან მომხდარის შესახებ რაიმე იცოდა. თუმცა, გადაჭრით რაიმეს თქმა არ შეგვიძლია, რადგან მოწმეების დაკითხვა გრძელდება, მათი რიცხვი კი 100-ს აღემატება. ესენი ის პირები არიან, ვინც მთელი ამ 24 წლის მანძილზე, ფრიცლების ოჯახში ცოტა ხნით მაინც იმყოფებოდნენ. დავკითხეთ როზმარისა და იოზეფ ფრიცლის შვილებიც. დანაშაულთან კავშირი მათაც უარყვეს“.*

მეუღლისგან ფრიცლს 6 ქალიშვილი და ერთი ვაჟი შეეძინა. მათი ასაკი ამჟამად, 31-დან 51 წლამდეა. ისინი ჩვენებებში აღნიშნავენ, რომ გაუჩინარებული დის ადგილსამყოფელი არ იცოდნენ და დედის მსგავსად, ელიზაბეტი მათაც რომელიმე სექტაში ეგულებოდათ. თავად იოზეფ ფრიცლზე მეზობლებში განსხვავებული აზრია: ზოგი მას უწყინარ მოხუცად მიიჩნევდა, ზოგი კი პირიქით — გაურბოდა. *„გაგონილი მქონდა, რომ წარსულში სექსუალური ძალადობისთვის გახლდათ ნასამართლევი. ეზოში საცურაო აუზი ჰქონდა და მისი შვილიშვილები ჩემს შვილებს საბანაოდ ეპატიჟებოდნენ. შვილები არ გავუშვი. უფრო მეტიც, მათ ამ ოჯახთან ურთიერთობა სასტიკად ავუკრძალე. ბავშვობაში, ფრიცლის სახლთან ახლოს თამაშს მეც ვერიდებოდი“,* — ამბობს ერთ-ერთი მეზობელი.

კოლონელ პოლცერი — პოლიციის სპიკერი აღნიშნავს, რომ იოზეფ ფრიცლი, ასაკის მიუხედავად, შესანიშნავ ფორმაშია და კარგი ფიზიკური მონაცემებითაც გამოირჩევა. *„ასეთი დანაშაულის ჩამდენი, წესით, აგრესიული უნდა იყოს, მაგრამ ჩვენთან საუბრისას ფრიცლი სიმშვიდეს ინარჩუნებს... დაზარალებულებთან ფსიქოლოგები მუშაობენ. ისინი ამჟამად ნეიროფსიქიატრიულ კლინიკაში მკურნალობენ. ექიმების თქმით, ბავშვებს სუსტი იმუნური სისტემა აქვთ, ვიტამინების ნაკლებობას განიცდიან და ანემიურები არიან. პირველ რიგში, რაც მათ სჭირდებათ, დღის სინათლესთან შეჩვევაა“.*

მძიმეა დედის (მოძალადის ქალიშვილის) მდგომარეობაც. სამართალდამცველების თქმით, 42 წლის ელიზაბეტი 70 წლის ქალივით გამოიყურება. დაზარალებულთათვის მორალური მხარდაჭერის სურვილი კიდევ ერთი ავსტრიელი მანიაკის — აწ გარდაცვლილი ვოლფგანგ პიკლოპილის მსხვერპლმა,

სარდაფს არც ფანჯრები ჰქონდა და არც სხვა გასასვლელი



ნატაშა კამპუშმა გამოთქვა. გოგონამ მხარდაჭერა ფულადი შესაწირითაც გამოხატა და დაზარალებულების სახელზე გახსნილ ანგარიშზე საკმაოდ სოლიდური თანხა — 25 ათასი ევრო და 38.800 დოლარი გადარიცხა. კამპუში საქველმოქმედო ორგანიზაცია SOS MITMENSH-საც დაუკავშირდა და მის წარმომადგენლებს ფრიცლების დასახმარებლად ანგარიშის გახსნა სთხოვა. ის აღნიშნავს, რომ დედას და შვილებს მატერიალურთან ერთად, ფსიქოლოგიური დახმარებაც სჭირდებათ. 18 წლის კამპუში მანიაკს გაექცა, ელიზაბეტი კი ამას ვერც ახლა, 42 წლის ასაკში მოახერხებდა, რადგან სარდაფს, სადაც მას საუკუნის თითქმის მეოთხედის გატარება მოუხდა, კოდირებული რკინის კარის გარდა, არც ფანჯრები ჰქონდა და არც სხვა გასასვლელი.

ამ დღეებში გავრცელდა კიდევ ერთი შემაშფოთებელი ინფორმაცია. სამართალდამცველების თქმით, შესაძლოა, იოზეფ ფრიცლს 22 წლის წინ მომხდარ საშინელ მკვლელობასთანაც ჰქონდეს კავშირი. საქმე ეხება 1986 წელს, 17 წლის მარტინა პოშის მკვლელობას. გოგონა მოულოდნელად დაიკარგა, მისი გვამი კი გაუჩინარებიდან მე-10 დღეს, ზემო ავსტრიაში მდებარე, მონდსის ტბის ნაპირას იპოვეს. ცხედარი თოკით დაბმული და ნაწამები იყო. სამართალდამცველებმა გაარკვიეს, რომ სწორედ ამ ტბასთან ახლოს როზმარი ფრიცლს დასასვენებელი სახლი აქვს და პერიოდულად, ცოლ-ქმარი იქ ჩადიოდა ხოლმე...

თუმცა, ეს ერთადერთი მკვლელობა არაა, რაც მანიაკის დაკავების შემდეგ სამართალდამცველებს გაახსენდათ. დაახლოებით 40 წლის წინ მოხდა კიდევ ერთი, დღემდე ბურუსით მოცული დანაშაული: 17 წლის გოგონა — ანა ნოიმერი მოულოდნელად გაუჩინარდა. რამდენიმე დღეში კი მისი გვამი, მისივე საცხოვრებელ სახლთან ახლოს აღმოაჩინეს. მომხდართან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე 1966 წელს აღიძრა, მაგრამ უშედეგო გამოძიების გამო, იმავე წელს დაიხურა. სამართალდამცველები აცხადებენ, რომ საქმეს ხელახლა გადახედავენ და მკვლელობასთან ფრიცლის კავშირსაც გამოიძიებენ.

ფრიცლების ოჯახში მომხდარი საზარელი დანაშაულით აღშფოთებული საზოგადოება მანიაკის მიმართ კანონის ლოიალობით უკმაყოფილოა. საქმე ისაა, რომ ავსტრიის კანონმდებლობა, ამ სახის დანაშაულისთვის, სასჯელის ზომად 15 წლით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი ფრიცლს ზემოთ აღნიშნულ მკვლელობებთან კავშირიც დაუდასტურდება, სასჯელი მხოლოდ 20 წლამდე გაიზრდება...

■

# მოურინიოს კოლეგები არ აღიარებენ



იმ მწვრთნელებს, რომლებსაც ფეხბურთი თავად არ უთამაშიათ, ხშირ შემთხვევაში, კოლეგები სრულფასოვან სპეციალისტებად ვერ აღიქვამენ და ეს ტენდენცია მაშინაც თვალში საცემია, როდესაც ამა თუ იმ გუნდის თავკაცს დიდი ტიტულები აქვს მოპოვებული. მაგალითისთვის ლონდონის „ჩელსის" ყოფილი თავკაცი — ჟოზე მოურინიოც გამოდგება. პორტუგალიელმა, „პორტუსთან" ერთად, UEFA-ს თასის გათამაშებასა და ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება უკვე მოასწრო, „არისტოკრატებთან" ერთად კი ინგლისის პრემიერლიგა ორჯერ მოიგო. ცოტა ხნის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, სულ მალე, მოურინიო „მილანს" ჩაუდგება სათავეში. ამასთან დაკავშირებით, ჟურნალისტებთან საუბრისას, იტალიური გრანდის ამჟამინდელმა თავკაცმა, კარლო ანჩელოტიმ კომენტარი გააკეთა. მან, მასმედიის წარმომადგენლის მიერ დასმულ შეკითხვაზე — შესაძლოა თუ არა, რომ პორტუგალიელი „მილანის" თავკაცის თანაშემწე ან სულაც, გუნდის მთავარი მწვრთნელი გახდეს? — ასეთი პასუხი გასცა: „მას არასოდეს უთამაშია ფეხბურთი და ისიც კი არ იცის, თუ როგორ უნდა გამოიტანოს ბურთი კარიდან". ■



# რუნი სერ ალექსს ქორწილში არ ეპატიჟება

„მანჩესტერ იუნაიტედის" ფორვარდი, უეინ რუნი და მისი რჩეული — კოლინ მაკლაფლინი ქორწინებას მიმდინარე წლის ივნისში, იტალიაში გეგმავენ. საგულისხმოა ის, რომ ისინი ალექს ფერგიუსონის დაპატიჟებას არ აპირებენ, არადა, რუნიმ სწორედ მისი ძალისხმევით მოახერხა საკუთარი პოტენციალის რეალიზება. უფრო მეტიც, „მანჩესტერელთა" თავკაცმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ სწორედ მან ურჩია რუნის შემთხვევით ინტიმურ კავშირებზე უარის თქმა და დაქორწინებაზე სერიოზულად დაფიქრება. როგორც ჩანს, უეინი არა მარტო თავის მწვრთნელს, არამედ სხვა გარშემო მყოფებსაც უწევს ანგარიშს — ფეხბურთელის ერთ-ერთ ახლობელს მისთვის უთქვამს, რომ ქორწილში ფერგიუსონის ყოფნამ შეიძლება, საზეიმო განწყობილება გააფუჭოს, რადგან ეს საოჯახო ღონისძიებაა და თანაკლუბელების დასწრება საჭირო არაა. სხვათა შორის, თავის დროზე, სერ ალექსი ფილ ნევილისა და რუდ ვან ნისტელროოის საქორწინო ცერემონიებს დაესწრო, მაგრამ უარი თქვა ბექჰემის ქორწილში წასვლაზე. The Sun იუწყება, რომ კოლინმა ქორწილში იმ ნათესავთა დაპატიჟებაც არ ისურვა, რომლებიც სიმთვრალეში მუშტი-კრივის მოწყობით არიან ცნობილნი... ■

იყიდება
მაისის
ნომერი




თქვენ ხომ გემოვნებიანი
მკითხველი ბრძანდებით...

# რონალდო შეყვარებულს ბოდიშს უხდის

ცოტა ხნის წინ, „ფლამენგოში“ იჯარის წესით განათხოვრებულმა „მილანის“ ფორვარდმა, რონალდომ ბოდიში მოიხადა იმ ინციდენტისთვის, რომელიც მას შეემთხვა. შეგახსენებთ, იგი სასტუმროში გოგონებთან გართობას ცდილობდა, მაგრამ ისინი ტრანსვესტიტები აღმოჩნდნენ. ამ შემთხვევამ დიდი რეზონანსი გამოიწვია: ამის გამო, რამდენიმე სპონსორმა ფეხბურთელთან კონტრაქტი გააუქმა, ზოგიერთი კომპანია კი ამის გაკეთებას უახლოეს მომავალში აპირებს. თვით საბავშვო ჰუმანიტარული ორგანიზაცია, „იუნისეფი“ კეთილი ნების ელჩთა რიცხვიდან რონალდოს გარიცხვას გეგმავს.

„ცხოვრებაში ყველაზე დიდი სისულელე ჩავიდინე, — განაცხადა ბრაზილიური ტელეკომპანიისთვის, — Globo, — მიცემულ ინტერვიუში რონალდომ. — იმ დღეს მივხვდი, რომ საქმე ტრანსვესტიტებთან მქონდა და იქიდან სწრაფად წამოსვლა მსურდა. ძალიან ჩახლართული სიტუაცია იყო. ვიმეორებ, დანაშაულს ვაღიარებ, მაგრამ ეს ჩემი პირადი საქმეა, რამაც ჩემდა სამწუხაროდ, საერთაშორისო რეზონანსი გამოიწვია. მრცხვენია ამაზე ლაპარაკი. მსურს განვაცხადო, რომ ტრანსვესტიტებმა რაც არ უნდა ილაპარაკონ, ჰეტეროსექსუალი ვარ და მათთან არავითარი კავშირი არ მქონია. დარწმუნებული გახლავართ, ეს მალე დამტკიცდება“.



კიჟა ირწმუნება, რომ მან „გასეირნება“ შეყვარებულთან — მარია ბეატრის ენტონისთან უთანხმოების გამო გადაწყვიტა. „რა თქმა უნდა, ამ ამბავთან დაკავშირებით, მისი პირველი რეაქცია განაწყენება და ლანძღვა-გინება იყო. არ ვიცი, შეძლებს თუ არა, რომ ეს მაპატიოს. აქამდე იგი ერთადერთი ადამიანი იყო, ვინც მხარში მედგა, — ამბობს რონალდო, რომელიც თავისი სამკურნალო პროცედურებისა და მომავლის შესახებაც აკეთებს კომენტარს: — მიუხედავად ტრავმისა, მსუბუქად ვარჯიშს განვაგრძობ. შეიძლება, სრული გამოჯანმრთელებისა და „მილანთან“ საკონტრაქტო ვადის ამოწურვის შემდეგ, სპორტული კარიერა საერთოდ დავასრულო“. ■

# შანელ ჰაიესმა ოცნება აისრულა



შანელ ჰაიესს ის ყველაფერი ჰქონდა, რაც შეიძლება გოგონას უნდოდეს: პოპულარობა, მდიდარი გარდერობი და ჰყავდა თვით კერპიც — ვიქტორია ბექჰემის სახით, — ვის მიბაძვასაც ყოველთვის ცდილობდა. ერთადერთი, რაც მას სჭირდებოდა, მეგობარი ფეხბურთელი ბიჭი იყო. ბოლოს და ბოლოს, მან ეს სურვილიც აისრულა — გაიცნო „ტოტენჰემის“ მოთამაშე ტომ ჰადლსთოუნი. რა თქმა უნდა, ეს უკანასკნელი დევიდ ბექჰემი არ არის, მაგრამ შანელი მიიჩნევს, რომ ტომი საყვარლად ნამდვილად გამოადგება. გახარებულ ფეხბურთელსაც ბევრი არ უფიქრია და მისის ჰაიესი ინგლისის ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩზე დასასწრებად (რომელშიც მისი გუნდი „ლივერპულს“ დაუპირისპირდა) მიიწვია... ■


აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად

ინტერნეტ მაღაზია

www.elva.ge

წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

| გამოცემის დასახელება | 1 ეგზ. ფასი | 6 თვე |
|---|---|---|
| 1. МК-МОБИЛЬ | 1.70 | 20.3 |
| 2. АВТОМОБИЛИ | 8.40 | 50.4 |
| 3. АВТОСЕРВИС | 73.85 | 443.1 |
| 4. АВТОМАГАЗИН | 3.75 | 22.3 |
| 5. АВТОШКОЛА ПРОФИ | 63.70 | 191.0 |
| 6. АВТО - ОБОЗРЕНИЕ | 82.80 | 496.6 |
| 7. АВТОПАНОРАМА | 8.55 | 51.2 |

პრესის გავრცელების სააგენტო

ქ. თბილისი

[illegible] ქ. № 49

ტელ: 42-43-40; 38-26-73; 38-26-74.

ფაქსი: 38-26-74

E-mail: elva@kvirispalitra.com

აგრეთვე ნებისმიერი სხვა დასახელების ჟურნალ-გაზეთები

# Carlsson-ის განახლებული როდსტერი

ცნობილმა გერმანულმა ტიუნინგ-კომპანიამ — Carlsson — გაავრცელა ინფორმაცია განახლებული როდსტ-ერის — Mercedes-Benz SL — სპორტ-პაკეტის შესახებ. მოდერნიზების პრო-გრამაში შედის: ინტერიერის განახ-ლება, 5,5-ლიტრიანი, V8 ტიპის, SL500 ვერსიის ძრავას შეცვლა. ცვ-ლილების შედეგად, მოტორის სიმძლავრე 388-დან 436 ცხ.ძ-მდე გაიზრდება. ფირმის წარ-მომადგენელთა თქმით, ასეთი „მერსედესი“ 100 კმ/სთ სიჩქარეს 5,1 წმ-ში განავითარებს, ხოლო მისი მაქსიმალური სიჩქარე 293 კმ/სთ-ია. ატელიეში აგრეთვე დააზუსტეს, რომ ამჟამად სპეციალისტები მუშაობენ სპეციალურ პროგრამაზე, 12-ცილინდრიანი, 5,5-ლიტრიანი, 517 ცხ.ძ. სიმძლავრის მქონე ძრავას გასაახლებლად. მოდერნიზების შემ-დეგ, მისი სიმძლავრე 700 ცხ.ძ-მდე გაიზრდება. ასეთი აგრეგატით აღ-ჭურვილი როდსტერის დინამიკური მახასიათებლები ჯერჯერობით უც-ნობია. ■




## ტიუნინგ-პროგრამა V70-r-Design-ისთვის

კომპანია Volvo-მ უნივერსალისთვის, — V70-r-Design, — ტიუნინგის საფირმო პროგრამა წარ-მოადგინა. ასეთი სპორტპაკეტის მქონე ავტომო-ბილი, საბაზო წინამორბედისაგან, უკანა ხედვის ქრომირებული სარკეებით, აირგამომშვები სისტე-მით, რადიატორის ცხაურით, ნისლის საწინააღმ-დეგო წინა შუქფარებით, 18-დუიმიანი ალუმინის შენადნობისაგან დამზადებული ბორბლების დისკე-ბით განსხვავდება, რომელიც სპეციალურად ამ მოდ-ელისთვის შეიმუშავეს. ტიუნინგირებული Volvo V70-ის სალონში მრავლადაა ალუმინის დეტალი (მათ შორის, სატერფულებზეც). აგრეთვე, მას დაუმონ-ტაჟეს სპორტული სავარძლები და საჭე. გარდა ამისა, ფიგურირებს ლურჯი ციფერბლატი. ■





## არაბები ძვირად ღირებული ნომრების ყიდვას განაგრძობენ




რამდენიმე დღის წინ, დუბაიში გამართულ აუქ-ციონზე, საავტომობილო სანომრე ნიშნების გაყიდვით ამოღებული თანხის საერთო რაოდენობამ 10 მილიონ დოლარს გადააჭარბა. ვაჭრობაში, რომელზეც ორ, სამ, ოთხ და ხუთციფრიანი სანომრე ნიშნები იყიდებოდა, 300 კაცზე მეტი მონაწილეობდა. ყველაზე დიდი თანხა — 926 ათასი დოლარი — სანომრე ნიშანში — 50G — გადაიხადეს. მეორე ადგილზე გავიდა ნომერი, 32G. შეგახსენებთ, რომ ყველაზე ძვირად ღირებულ საავტო-მობილო ნიშნად „1“ იქცა. წლეულს თებერვალში ამ ნომერში ბიზნესმენმა საიდ აბდულ გაფფარ კურიმ საქველმოქმედო აუქციონზე 14,5 მილიონი დოლარი არ დაიშურა. მეორე ყველაზე ძვირად ღირებული — ნომერი „5“ (6,8 მილიონი) გახლდათ, ხოლო მესამე ადგილზე „7“ გავიდა (3 მილიონი დოლარი). ■



1. პერიოდული გამოცემა
2. უძლიერესი საწყავლებლის ხელმძღვანელი
3. მოკლე-ნიჩბიანი სპორტული ნავი
4. ჰაერის დაბალი ტემპერატურა
5. სოულის მეფე
6. აშშ-ის პრეზიდენტი 1969-74 წწ
7. დიპლომატიური წერილი
8. ექსპერიმენტი
9. იემენის დედაქალაქი
10. ბუნებრივი წყალსაცავი
11. ამერიკელი მწერალი
12. ამერიკის შტატი
13. სისველე, სინესტე
14. ყვავილი
15. დიდი მორბენალი ფრინველი
16. თურქეთის ფეხბურთის გუნდი
17. ქვეყანა ევროპაში
18. საფრანგეთის ფეხბურთის გუნდი
19. შეუსაბამობა, უაზრობა
20. კომში
21. მაღალი კოშკი
22. ტივტივა
23. ღლავი
24. ტოტი
25. მცირე-ალკოჰოლ-იანი სასმელი
26. ქალაქის ტიპის დასახლება
27. ძვირფასბე-წვიანი მტაცებელი
28. ... გუდიაშვილი
29. მრგვალწვერა ხანჯალი
30. თევზსაჭერი გემი
31. ფრანგი მწერალი
32. მოკლე და მსხვილი თითები
33. ბერძნული ცეკვა
34. მუს. ნოტი
35. ბრაზილიური ცეკვა
36. მუსიკის დიდი სიყვარული
37. რაიმე დისტანციის ცალკეული მონაკვეთი
38. ვარდობისთვე
39. მასხარა, ქილიკა
40. საგნები სცენის დეკორაციებისთვის
41. ... ნიკოლსონი
42. დიდი შალაშინია



**წინა ნომრის სკანვორდის პასუხები**

1. საბრალონი; 2. ბავარია; 3. რხევა; 4. ბასრი; 5. ლეპტოპი; 6. გნოლი; 7. ლივერპული; 8. ნარა; 9. ონავარი; 10. სუმო; 11. იბერია; 12. ომნიბუსი; 13. ლაოსი; 14. ვოლვო; 15. ოპელი; 16. მელოდია; 17. ნირი; 18. ივლისი; 19. კირა; 20. აბი; 21. ანტალია; 22. ექიმი; 23. ვნუკოვო; 24. ბესონი; 25. რადარი; 26. ქნესეთი; 27. ვეროკიო; 28. შუქი; 29. მიკ; 30. ამერიკა; 31. ბერნი; 32. კიო; 33. კაბარე; 34. ოინი; 35. ორგია; 36. სეტერი; 37. განდეგილი; 38. ასორტი; 39. გია; 40. კათხა; 41. ავიცენა; 42. კიი.

**სურათებზე:** სელინ დიონი; ემინემი.

# ადვილია თუ არა თქვენი ცდუნება?

**ამ ცხოვრებაში სრულიად მოულოდნელად, ფრიად არახელსაყრელ დროს გამოჩენილი დონჟუანი ან სექსუალური ქალბატონი როდი გახლავთ მხოლოდ ცდუნება — საცდური ადამიანს თითქმის ყოველ ფეხის ნაბიჯზე ელის. იგივე საცდურია, მაგალითად, კალორიული ტორტის ნაჭერი, სამუშაო საათებში ალკოჰოლის მიღება, ნასვამ მდგომარეობაში საჭესთან ჯდომა და სხვა მრავალი. უპასუხეთ ტესტის შეკითხვებს და შეიტყობთ, შეგიძლიათ თუ არა საცდურთან გამკლავება.**

**1. წლების მანძილზე უამრავ რამეზე ამბობდით უარს და მანქანისთვის ფულს აგროვებდით. ბოლოს და ბოლოს ოცნება აიხდინეთ და ავტომობილი შეიძინეთ. ნაცნობი გთხოვთ, მანქანა ნახევარი დღით ათხოვოთ. როგორ მოიქცევით?**

ა) ათხოვებთ, მაგრამ საშინელი მოუსვენრობა დაგეუფლებათ — 3;

ბ) თავაზიანად ეტყვით უარს — 2;

გ) იცრუებთ, რომ მანქანა გაგიფუჭდათ — 1.

**2. კონკრეტულ თარიღთან დაკავშირებით, ოჯახის წევრებს დაჰპირდით, რომ საღამოს მათთან ერთად გაატარებდით, მაგრამ მოულოდნელად, თქვენთვის მეტად სასურველ ადგილას დაგპატიჟეს. როგორ მოიქცევით?**

ა) საწრაფო საქმეს მოიმიზეზებთ და წახვალთ — 2;

ბ) ოჯახის წევრებს გულწრფელად გამოუტყდებით, რომ გეგმები შეგეცვალათ — 1;

გ) საღამოს ოჯახურ წრეში გაატარებთ — თქვენ ხომ მათ სიტყვა მიეცით — 3.

**3. წვეულებაზე, საწინააღმდეგო სქესის სუპერეროტიკული წარმომადგენელი თქვენდამი განსაკუთრებულ ინტერესს ამჟღავნებს. თქვენ:**

ა) ახლობლებში გაიკითხავთ, თუ რას წარმოადგენს ეს ადამიანი — 3;

ბ) სიამოვნებით გააგრძელებთ მასთან ნაცნობობას უფრო ინტიმურ გარემოში — 1;

გ) შეხვედრას მომდევნო დღეს დაუთქვამთ, რათა სიტუაცია ფხიზელი თვალით შეაფასოთ — 2.

**4. ახალ კოსტიუმში საკმაოდ სოლიდური თანხა გადაიხადეთ, ნაცნობი კი გეუბნებათ, რომ ეს სამოსი არ გიხდებათ. თქვენ:**

ა) სასწრაფოდ მაღაზიაში წახვალთ და შენაძენს უკან დააბრუნებთ — 1;

ბ) სხვისი აზრი ნაკლებად გაინტერესებთ. მთავარია, რომ თავად მოგწონთ — 3;

გ) ამის თაობაზე სხვებსაც ჰკითხავთ აზრს — 2.

**5. ვთქვათ, რაღაც კონკურსში გაიმარჯვეთ. რას აირჩევდით პრიზად?**

ა) რაიმე ნივთს. მაგალითად, მაცივარს, სარეცხ მანქანას — 3;

ბ) ფულად ჯილდოს ამჯობინებთ — 2;

გ) საზღვარგარეთის საგზურს აირჩევთ — 1.

## ტესტის შედეგები

**3-6 ქულა:** საოცრად მტკიცე ნებისყოფით გამოირჩევით და თამამად შეიძლება ითქვას, რომ პრაქტიკულად, თქვენი ცდუნება შეუძლებელია. ოღონდ, ნურც იმას დაივიწყებთ, რომ ზოგჯერ, ცდუნებულის როლში ყოფნა საოცრად სასიამოვნოა.

**7-11 ქულა:** საოცარი ზომიერების გრძნობით გამოირჩევით — საცდურს მაშინ კი არ აჰყვებით, როცა თქვენს ცდუნებას სხვა ცდილობს, არამედ მაშინ, როცა ამის სურვილი თავად გაქვთ. სწორადაც იქცევით, შემოთავაზება ხომ უამრავია, ცხოვრება კი მხოლოდ — ერთი.

**12-15 ქულა:** ნებისყოფის ნატამალიც არ გაგაჩნიათ. გამუდმებით საკუთარ თუ სხვის გულისთქმას ხართ აყოლილი, ასე ცხოვრება კი სიკეთეს ნამდვილად არ მოგიტანთ — ადამიანს საკუთარი ცხოვრებისეული პოზიცია აუცილებლად უნდა ჰქონდეს.

# „ტოროლა“ ხართ თუ „ბუ“?

**1. გიჭირთ თუ არა დილით ადრე ადგომა?**

ა) დიახ, თითქმის ყოველთვის — 3;

ბ) ზოგჯერ — 2;

გ) იშვიათად — 1;

დ) ძალზე იშვიათად — 0.

**2. ღამით რომელ საათზე ამჯობინებთ დაძინებას?**

ა) როცა შუაღამე გადასულია, დაახლოებით 1-ელი საათის შემდეგ — 3;

ბ) თორმეტის ნახევრიდან 1-ელ საათამდე — 2;

გ) ათიდან თორმეტის ნახევრამდე — 1;

დ) ათ საათამდე — 0.

**3. გაღვიძებიდან ერთი საათის განმავლობაში როგორ საუზმეს ამჯობინებთ?**

ა) ნოყიერს — 3;

ბ) ნაკლებად ნოყიერს — 2;

გ) მოხარშული კვერცხით ან ბუტერბროდით შემოვიფარგლები — 1;

დ) საკმარისია ერთი ჭიქა ჩაი ან ყავა — 0.

**4. უკანასკნელ ხანებში შინ თუ სამსახურში მომხდარი უსიამოვნებები გაიხსენეთ და შეეცადეთ აღიდგინოთ, დღის რომელ მონაკვეთში ჰქონდა ადგილი ამ უსიამოვნებებს.**

ა) დღის პირველ ნახევარში — 1;

ბ) დღის მეორე ნახევარში — 0.

**5. რაზე უფრო იოლად იტყოდით უარს?**

ა) დილის ყავასა თუ ჩაიზე — 2;

ბ) საღამოს ჩაიზე — 0.

**6. არდადეგების, შვებულების დროს რამდენად იოლად ღალატობთ საკუთარ კვების რეჟიმთან დაკავშირებულ ჩვევას?**

ა) ძალზე იოლად — 0;

ბ) საკმაოდ იოლად — 1;

გ) ძნელად — 2;

დ) ყველაფერს ჩვეულებისამებრ ვაკეთებ — 3.

**7. დილით მნიშვნელოვანი საქმეები გელით. ჩვეულებრივზე რამდენად ადრე დაწვებით დასაძინებლად?**

ა) 2 საათით ადრე — 3;

ბ) 1-2 საათით ადრე — 2;

გ) ნახევარი საათით ადრე — 1;

დ) ჩვეულებისამებრ — 0.

**8. რამდენად ზუსტად შეგიძლიათ განსაზღვროთ დრო — ვთქვათ, ერთი წუთის მონაკვეთი? სთხოვეთ ვინმეს, ამის დადგენაში დაგეხმაროთ.**

ა) წუთზე ნაკლები — 0;

ბ) წუთზე მეტი — 2.

## ტესტის შედეგები

**0-7 ქულა:** ნამდვილი „ტოროლა“ ბრძანდებით.

**8-13 ქულა:** არიტმიკი ხართ და მაქსიმალურად კარგად ერგებით იმ სიტუაციას, რომელშიც აღმოჩნდებით ხოლმე.

**14-20 ქულა:** ნამდვილი „ბუ“ ბრძანდებით.

# ჰოროსკოპი

**(15 - 21 მაისი)**

### ვერძი:

ახალი ნივთების შეძენის მოთხოვნილებამ შესაძლოა, თქვენს მატერიალურ მდგომარეობაზე უარყოფითად იმოქმედოს. რთულ სიტუაციაში დახმარება გავლენიან ან შეძლებულ ახლობლებსა და მეგობრებს სთხოვეთ.

### კურო:

პირადი საქმეებისა თუ სიყვარულის შესახებ ნურავის ნურაფერს უამბობთ. ამ კვირაში შესაძლოა, ოჯახის შექმნაზე დაფიქრდეთ. კარიერაში წინსვლა გელით. კარგი იქნება, თუ უქმე დღეებს ოჯახის წევრებთან ერთად გაატარებთ.

### ტყუპები:

ამ კვირაში წარმატება გელით. ფიზიკური და სულიერი სიახლოვე საყვარელ ადამიანთან ურთიერთობას კიდევ უფრო რომანტიკულს გახდის. გირჩევთ, სამომავლო გეგმებზე არავის არაფერი გაუმხილოთ.

### კირჩხიბი:

ზედმეტი დაძაბულობისაგან მარტოობა გიხსნით. შექმნილი მატერიალური პრობლემების დაძლევაში ახლო მეგობრები და ნათესავები დაგეხმარებიან, მაგრამ დროა, ახალი საქმის წამოწყებაზე თავადაც დაფიქრდეთ.

### ლომი:

ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს, თავი შეიკავეთ აგრესიისგან. კეთილი ზრახვები და პატიოსნება თქვენს კარიერულ წინსვლას შეუწყობს ხელს. საკუთარ აზრებს ნურავის მოახვევთ თავს და ნუ ეცდებით, მიზანს სხვების დახმარებით მიაღწიოთ.

### ქალწული:

შესაძლოა, თქვენს ცხოვრებაში ახალი სიყვარულის ობიექტი გამოჩნდეს. გელით რომანტიკული მოგზაურობა. გირჩევთ, ამ კვირას მატერიალურ პრობლემებზე ნაკლებად იფიქროთ, რათა ოპტიმიზმი არ დაკარგოთ.

### სასწორი:

გაუთვალისწინებელ შემთხვევებზე ბევრი ფული დაგეხარჯებათ. შესაძლოა, ამ კვირაში ქვეყნის საზღვრებიც გადალახოთ. არაორდინარული ხედვით პარტნიორებს იოლად გადაიბირებთ და სირთულეებსაც ადვილად დასძლევთ.

### მორიელი:

ცხოვრების მეგზურთან ან საყვარელ ადამიანთან ჰარმონიული ურთიერთობა თქვენს პროფესიონალურ საქმიანობაზეც სასიკეთოდ აისახება. ამ კვირაში მატერიალური მდგომარეობაც გაგიუმჯობესდებათ.

### მშვილდოსანი:

გაზაფხულის სითბომ შესაძლოა, სახლში რემონტის დაწყებისკენ გიბიძგოთ. ასევე, ეს კარგი დროა გამაჯანსაღებელი პროცედურებისა და მკურნალობის დასაწყებად, მაგრამ ქირურგიული ოპერაციები ჯობს, სხვა დროისთვის გადადოთ.

### თხის რქა:

ნებისმიერი სოციალური ფენის წარმომადგენელთან საერთოს ადვილად იპოვით, რის გამოც, საყოველთაო სიმპათიას, პატივისცემასა და სიყვარულს მოიპოვებთ. ეს მშვენიერი დროა საკუთარი შესაძლებლობებისა და წარმატებების დემონსტრირებისთვის.

### მერწყული:

კარგი იქნება, თუ მეუღლესთან ან საყვარელ ადამიანთან ერთად ახალ საქმეს წამოიწყებთ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მჭრელი საგნებით სარგებლობისას, რადგან დიდია ტრავმების მიღების ალბათობა.

### თევზები:

ამ კვირაში ნებისმიერი ინფორმაციის მიღება გაგიადვილდებათ და ახალი მეცნიერებების შესწავლის სურვილიც გაგიჩნდებათ. რომანტიკული ურთიერთობა განწყობილებას გაგიუმჯობესებთ და მიზნის მიღწევაში დაგეხმარებათ.

## იაპონური სენსაცია სუდოკუ

### წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 9 | 7 | 3 | 2 | 8 | 5 | 4 | 6 |
| 5 | 2 | 4 | 1 | 9 | 6 | 3 | 7 | 8 |
| 6 | 8 | 3 | 4 | 7 | 5 | 9 | 2 | 1 |
| 3 | 7 | 1 | 8 | 4 | 9 | 2 | 6 | 5 |
| 8 | 4 | 5 | 2 | 6 | 7 | 1 | 3 | 9 |
| 2 | 6 | 9 | 5 | 1 | 3 | 7 | 8 | 4 |
| 9 | 1 | 2 | 7 | 8 | 4 | 6 | 5 | 3 |
| 4 | 5 | 6 | 9 | 3 | 2 | 8 | 1 | 7 |
| 7 | 3 | 8 | 6 | 5 | 1 | 4 | 9 | 2 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 7 | 3 | 2 | 5 | 4 | 1 | 8 | 6 |
| 1 | 6 | 8 | 3 | 7 | 9 | 4 | 2 | 5 |
| 4 | 2 | 5 | 6 | 1 | 8 | 7 | 9 | 3 |
| 8 | 5 | 2 | 7 | 4 | 3 | 9 | 6 | 1 |
| 3 | 9 | 1 | 8 | 6 | 5 | 2 | 7 | 4 |
| 6 | 4 | 7 | 1 | 9 | 2 | 3 | 5 | 8 |
| 2 | 1 | 6 | 4 | 8 | 7 | 5 | 3 | 9 |
| 5 | 3 | 4 | 9 | 2 | 6 | 8 | 1 | 7 |
| 7 | 8 | 9 | 5 | 3 | 1 | 6 | 4 | 2 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 5 | 8 | 2 | 1 | 4 | 7 | 3 | 6 |
| 4 | 6 | 3 | 9 | 8 | 7 | 5 | 2 | 1 |
| 2 | 7 | 1 | 6 | 5 | 3 | 4 | 9 | 8 |
| 3 | 9 | 6 | 4 | 2 | 5 | 1 | 8 | 7 |
| 1 | 2 | 7 | 3 | 6 | 8 | 9 | 4 | 5 |
| 5 | 8 | 4 | 7 | 9 | 1 | 3 | 6 | 2 |
| 8 | 1 | 2 | 5 | 4 | 9 | 6 | 7 | 3 |
| 7 | 4 | 5 | 8 | 3 | 6 | 2 | 1 | 9 |
| 6 | 3 | 9 | 1 | 7 | 2 | 8 | 5 | 4 |

### * მარტივი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 7 | | 5 | 8 | | | | 2 |
| | 6 | | | | 4 | | 5 | 3 |
| | | 1 | 9 | | | 4 | | |
| | 1 | | | 4 | | 9 | | |
| 3 | | 2 | 7 | | | 8 | | 5 |
| | | 5 | 3 | 1 | | | 2 | |
| | | 6 | | | 2 | 3 | | |
| 5 | 3 | | 6 | | | | 8 | |
| 1 | | | | 9 | 3 | | 4 | 6 |

### ** საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 7 | | | 9 | | 2 | | |
| | | | | 4 | | | 6 | |
| 8 | | | | | 2 | 3 | | |
| 6 | | | | 7 | 1 | | 3 | |
| | | 7 | | | 8 | 6 | | |
| | 1 | | 3 | | | | | 2 |
| | | 1 | 7 | | | | | 9 |
| | 5 | | | 3 | | | | |
| | | 4 | | 1 | | | 2 | |

### *** რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | | | 4 | | | 7 | | |
| 1 | | | 5 | | | 2 | | |
| | | 3 | | | 2 | | | |
| | | 2 | | 8 | | | 4 | 9 |
| | | 5 | | 6 | | 1 | | |
| 8 | 6 | | | | | 5 | | |
| | | | 9 | | | 4 | | |
| | | 4 | | | 1 | | | 5 |
| | | 9 | | | 3 | | | 6 |

# ფოტოკურიოზები














ბომონდი
BEAUMONDE
ფასი 5 ლარი
ადოლფ
ჰიტლერის
აღსარება
ნაცისტური ოქროს
საიდუმლო
რაიხის დედოფალი
მადამ
კარბონიერის
სილამაზის რეცეპტები
მოდური სამკაული
სუნამო ზოდიაქოს
ნიშნების მიხედვით
ISSN 1987-510X
მაისში წასაკითხი ჟურნალი